

რუდოლფ შტაინერი

ახალი სელიგება

და ერისთავ გაცდა

XX საუკანეო



ოუდოლი შტაინერი

ახალი სულიერება  
და ქრისტეს განცდა XX  
საუკუნეები

7 ლექცია, წაკითხული დორნახში  
1920 წლის 17-31 ოქტომბერს

ბიბლიოგრაფია – GA 200

თბილისი 2016

RUDOLF STEINER

# Die neue Geistigkeit und das Christus-Erlebnis des zwanzigsten Jahrhunderts

Sieben Vorträge, gehalten in Dornach  
zwischen dem 17. und 31. Oktober 1920

Bibliographie - GA 200

RUDOLF STEINER VERLAG  
DORNACH/SCHWEIZ–2003

Tbilisi-2016

თქვენ წინაშეა რუდოლფ შტაინერის ლექციების ციკლი სახელწოდებით: „ახალი სულიერება და ქრისტეს განცდა XX საუკუნეში“. ის ეხება თანამედროვეობის სოციალური კრიზისის მრავალ მიზეზს, რომელიც გულისხმობს ადამიანური მოღვაწეობის სამი ძირითადი სფეროს (ეკონომიკური, პოლიტიკური და სულიერი) არამართებულ ურთიერთგანმსჭვალვას. გამოსავალი კი სწორედ სამწევრა სოციალური ორგანიზმის მოწყობაა, რაც ნიშნავს აღნიშნულ სფეროებთან დაკავშირებული სოციალური ინსტიტუტების სრულ დამოუკიდებლობას; ეს ხელს შეუწყობს განათლების ახალი სისტემისა და ახალი სულიერების, ქრისტეს ახალი ადქმის განვითარებას. ამით ადამიანი შეძლებს, გასცდეს მიწიერი არსებობის ფარგლებს და მოიპოვოს ჭეშმარიტი კოსმიური ღირებულება.

წიგნი ასევე ეხება ამ მოვლენებზე აღმოსავლეთისა და დასავლეთის სულების მოქმედებას, ქრისტეს ახალ გამოცხადებას, კათოლიკური ეკლესიის ბრძოლას ავტორიტეტის შენარჩუნებისთვის და ამის წინააღმდეგ რეფორმატორების ბრძოლას. ამასთან ერთად განხილულია სხვა უმნიშვნელოვანების თემები.

მთარგმნელი: **ა. პვარაცხელია**  
რედაქტორი: **ლ. მესხია**

Übersetzt ins Georgisch von: **A. Kvaratskhelia**  
Redaktion: **L. Mesxia**

ასოციაცია „კოგიტო“  
Assoziation „Cogito“

თარგმანი შესრულებულია 2003 წლის გერმანული გამოცემის მიხედვით (დორნახი, შვეიცარია).

გარეპანზე: მარგარიტა საბაშნიკოვას ნახატი –  
მთავარანბელობზე რაცაელი.

ISBN 978-9941-0-8297-9

## ՑՈՆԱԱՐՏԵ

ՅՈՒՐՑԵԼՈ ՀԱՅԺՈԱ	
ԺՈՐՆԱԽՈ, 1920 ՎԼՈԸ 17 ՈԺԾՈՄԾԵՐՈ . . . . .	5
ԺԵՐՐԵ ՀԱՅԺՈԱ	
ԺՈՐՆԱԽՈ, 1920 ՎԼՈԸ 22 ՈԺԾՈՄԾԵՐՈ. . . . .	25
ԺԵՍԱՑԵ ՀԱՅԺՈԱ	
ԺՈՐՆԱԽՈ, 1920 ՎԼՈԸ 23 ՈԺԾՈՄԾԵՐՈ. . . . .	41
ԺԵՐՐԵՑԵ ՀԱՅԺՈԱ	
ԺՈՐՆԱԽՈ, 1920 ՎԼՈԸ 24 ՈԺԾՈՄԾԵՐՈ. . . . .	60
ԺԵԽՇՈՅԵ ՀԱՅԺՈԱ	
ԺՈՐՆԱԽՈ, 1920 ՎԼՈԸ 29 ՈԺԾՈՄԾԵՐՈ. . . . .	80
ԺԵԷԺՑՍԵ ՀԱՅԺՈԱ	
ԺՈՐՆԱԽՈ, 1920 ՎԼՈԸ 30 ՈԺԾՈՄԾԵՐՈ. . . . .	99
ԺԵՑՑՈՇԵ ՀԱՅԺՈԱ	
ԺՈՐՏԵԽՈ, 1920 ՎԼՈԸ 31 ՈԺԾՈՄԾԵՐՈ. . . . .	118
ԺԵԿՈՑՑԵՋՈ . . . . .	139

პირველი დექტი  
დორნახი, 1920 წლის 17 ოქტომბერი

აქ, კურსის ფარგლებში, ისტორიის შესახებ წაკითხულ ლექცი-  
ებში\*, არაერთხელ ითქვა ის, რაც შესაძლოა განსაკუთრებით  
მნიშვნელოვანი იყოს თანამედროვე დროში. უპირველეს ყოვლი-  
სა, კაცობრიობის განვითარების ისტორიულ მსვლელობაზე  
დაყრდნობით ბევრჯერ ითქვა, რომ ხსენებული განვითარების  
უმთავრეს მამოძრავებელ ძალას წარმოადგენენ გამოჩენილი პი-  
როვნებები, რომლებიც ქმნიდნენ ფონს ყველაფრისოვანის, ან არ-  
სებითად უშუალოდ ზემოქმედებდნენ არა ცალკეული პერსონა-  
ბისგან, არამედ მასებისგან. ეს საკითხი მუდმივად სადაც იყო  
ისტორიკოსების წრეში, ამასთან მისი გადაწყვეტისას უფრო  
სიმპათიებითა და ანტიპათიებით ხელმძღვანელობდნენ, ვიდრე  
ნამდვილი შემეცნების შედეგებით. მე ვფიქრობ, ეს არის მნიშ-  
ვნელოვანი ფაქტი. მეორე მნიშვნელოვანი ფაქტი ისტორიული  
თვალსაზრისით არის შემდეგი: ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირ-  
ველ ნახევარში ეს მკაფიოდ ჩამოაყალიბა კილკელმ ფონ პუ-  
ბლიდგება\*. მან წამოაყენა წინადადება, რომ ისტორია განხილუ-  
ლიყო არა როგორც დანაწევრებული გარეგნული ფაქტების  
კრებული, არამედ ისტორიული ფენომენების მიმართ გამოეყენე-  
ბინათ ინტეგრირებული მიდგომა, რომელიც მისაწვდომი იქნებო-  
და მისთვის, ვისაც შეუძლია პოეტური სახით, ნამდვილი, ჭეშმა-  
რიტი პოეტურობით, ისტორიული ფაქტების სინთეზირება და  
რეზიუმირება. ლექციებში მითითებული იყო, როგორ ყალიბდე-  
ბოდა XIX საუკუნეში ისტორიული კვლევის საპირისპირო მი-  
მართულებაც, რომლის მიმდევრებიც ამტკიცებდნენ, რომ ისტო-  
რიაში შეუძლებელია რაიმე იდეური გავლენის დანახვა და ამი-  
ტომაც საჭიროა დავეყრდნოთ უშუალოდ გარეგნულ ფაქტებს.  
ბოლო პუნქტობან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ აქ სიც-  
ხადის შეტანა შეუძლია მხოლოდ სულისმეცნიერებას, ვინაიდან  
მარტოოდენ მას ხელეწიფება კაცობრიობის ისტორიული ჩამო-  
ყალიბების ნამდვილი მამოძრავებელი ძალების გახსნა. მსგავსი  
სულისმეცნიერება პუმბოლდდებისთვის ჯერ კიდევ მიუწვდომელი  
იყო. ის საუბრობდა იდეებზე, მაგრამ იდეები თავისთავად მოკ-  
ლებულია მამოძრავებელ ძალას. იდეები მხოლოდ აბსტრაქციუ-  
ბია, რაზეც მე უკვე ვისაუბრე\* და ისინი, ვინც ესწრაფოდა ის-

ტორიაში იდეის მამოძრავებელი ძალის გამოვლენას, ვერ ასა-  
ბუთებდნენ, რომ ეს იდეები რაღაც რეალურ ზემოქმედებას ახ-  
დენენ, ვინაიდან ისინი სულაც არ წარმოადგენენ რაღაც არ-  
სობრივს, ზემოქმედება კი შეუძლია მხოლოდ არსობრივს. სუ-  
ლისმეცნიერება მიუთითებს გრძნობად-ფიზიკური პროცესების  
უკან მდგომ რეალურ სულიერ ძალებზე, რომლებიც წარმოად-  
გენენ სწორედ ისტორიის ჰეშმარიტ მამოძრავებლებს, თუმცა  
თავად ადამიანისთვის ეს სულიერი ძალები შეიძლება უშუა-  
ლოდ იდეის მეშვეობით გამოიხატოს.

ყველა ამ ვითარების გასარკვევად საჭიროა კაცობრიობის  
ისტორიულ ჩამოყალიბებას შევხედოთ სულისმეცნიერული  
თვალსაზრისით, ამიტომ დღეს ამ საკითხის განხილვისას ჩვენ  
ყურადღებას მივაპყრობთ ცალკეულ ფაქტებს, რომლებიც კა-  
ცობრიობის დღევანდელი ვითარების გაგებისთვის ძალზე  
მნიშვნელოვანია. მე ხირად მივუთითებდი\* იმაზე, რომ ისტო-  
რიული კვლევის დროს სულისმეცნიერებამ უნდა გამოიყენოს  
სიმპტომატოლოგიური მეთოდი, რომელიც აღიარებს გრძნო-  
ბად-ფიზიკური მოვლენების ნაკადებს მიღმა დაფარული მამოძ-  
რავებელი ძალების არსებობას. მაშინ ისტორიული ჩამოყალი-  
ბების პერიოდში ყოველთვის შეიძლება დავინახოთ ისეთი მო-  
მენტი, სადაც არსობრივი სიმპტომურად ამოდის ზედაპირზე.  
ეს საშუალებას მოგვცემს, ვიმსჯელოთ სიმპტომურ ისტორი-  
ულ მოვლენაზე დაყრდნობით. უბრალოდ საჭიროა, მოცემული  
მოვლენის მოცილებით შევძლოთ, დრმად შევიჭრათ კაცობრი-  
ობის ისტორიული ჩამოყალიბების სიღრმეებში.

მე მინდა ნათქვამი აგისსნათ მარტივი ნახატის მეშვეობით.  
ვთქვათ, აქ ჩვენ გვაქვს (იხ. ნახ. 1) ისტორიული მოვლენების  
ნაკადი. მოვლენათა მამოძრავებელი ძალები ჩვეულებრივი დაკ-  
ვირვების დროს დაფარულია ამ ნაკადით. სულიერი მზერით  
მოვლენათა ამ ნაკადის შესწავლისას შეიძლება დავინახოთ,  
მათ ქვემოთ როგორ ავლენს რეალური ქმედითი ძალები (წითე-  
ლი) თავის აქტივობას. მაგრამ მოვლენათა ნაკადში შეიძლება  
ვიპოვოთ მნიშვნელოვანი საყრდენი წერტილები, რომლებიც  
შესამჩნევია იმით, რომ მათში დაფარული ზედაპირზე ამოდის.  
ამიტომ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ: აი, აქ მოხდა განსაკუთრებუ-  
ლი მოვლენა, რომელიც მხოლოდ სწორად უნდა შევაფასოთ,  
სწორად განვმარტოთ; ცხადია, ის სხვა მოვლენებსაც მოიცავს,

თუმცა იქ ისეთივე ძალით ვედარ გამოასხივებს, როგორც ამ ცალკეულ ღირსშესანიშნავ მოვლენაში. დავუშვათ, რომ მსგავსი ისტორიული მოვლენა (იხ. ნახ. 1) მოხდა დაახლოებით 800 წელს ქრისტეშობიდან.

700 n. Chr.



ნახ. 1.

1. n. Chr.-ქრისტეშობის შემდგომი. 2. rot-წითელი.

ის, რაც ევროპისთვის, ვთქვათ, დასავლეთ ევროპისთვის იყო მთავარი, მოქმედებდა, ბუნებრივია, ადრეც და აგრძელებდა მოქმედებას შემდგომში. თუმცა არც მანამდე და არც მას შემდეგ ის არ გამოვლენილა ისეთი ყურადსადები სახით, როგორც უშავალოდ ამ მომენტში. ისტორიული ანალიზისას მსგავს მნიშვნელოვან მომენტებს თუ გამოვყოფთ, მაშინ ასეთი კვლევა სრულად შეესაბამება გოეთების სულისკვეთებას. თავად გოეთესაც სურდა ისტორიული კვლევების იმ სახით ჩატარება, რომ თვალთახედვის არეში შეენარჩუნებინა გარკვეული ძირითადი მოვლენები, რომ მასზე დაყრდნობით შეეღწია სხვა მსოფლიო მოვლენების არსში. სწორედ გოეთე ამბობს\*, რომ ფაქტების ამ სიმრავლეში უნდა ვეძოთ რომელიდაც მნიშვნელოვანი მოვლენა, რომლის წყალობითაც შეიძლება გაიხსნას ისტორიის უამრავი გამოცანა.

ახლა ავიღოთ 800 წლის პერიოდი. ეს საშუალებას მოგვცემს, მივუთითოთ კაცობრიობის დასავლეთევროპული განვითარების რაღაც ფაქტზე, რომელიც ჩვეულებრივ ისტორიკოსს შეიძლება ნაკლებ შესამჩნევად მოეჩვენოს, ვინაიდან მის თვალში ის წარმოადგენს რაღაც ნაკლებმნიშვნელოვანს, თუმცა კაცობრიობის ჩამოყალიბების სიდრმისეული გაბზრუებისთვის ის სწორედ ძირითადი საყრდენი წერტილი შეიძლება აღმოჩნდეს. დაახლოებით მითითებულ დროში გაიმართა თავისე-

ბური სახის მეცნიერული თეოლოგიური დისპუტი საფრანგეთის სამეფო კარის ერთ ფილოსოფოსსა და მავან ბერძენს შორის, რომელიც ამ მხარეში ცხოვრობდა. ეს ფილოსოფოსი იყო ალექსინი.\* ბერძენს, რომლის მშვინვიერი წყობაც ადვილი იყო ბერძენი ხალხისგან მეტკვიდრეობით მიღებული თავისებურებებით, განზრახული პქნედა, შეექმნა გარკვეული წარმოდგენა ქრისტიანობის პრინციპებზე, რამაც ის მიიყვანა ცნებასთან – ხსნა. მან დასვა კითხვა: ვის გადაუხადა იქსო ქრისტემ გამოსასყიდი ადამიანის ხსნისას? მან, ბერძენმა მოაზროვნებ, დაასკვნა, რომ გამოსასყიდი გადაუხადეს სიკვდილს. შეიძლება ითქვას, რომ ქრისტიანობის წიაღში წარმოიშვა ხსნის თავისებური სახის თეორია, რომელსაც ავითარებდა ეს ბერძენი, როცა მოლიანად ეყრდნობოდა აზრის ბერძნულ წყობას. მისი თეორიის თანახმად, გამოსასყიდის გადახდა სიკვდილისთვის მოხდა სამყაროს ძალთა მეშვეობით.

დასავლური თეოლოგიური ნაკადის წარმომადგენელმა ალექსინმა, რომელიც გავლენას ახდენდა რომის კათოლიკური ეკლესიის განვითარებაზე, ამ ბერძენის არგუმენტაციას დაუპირისპირი შემდეგი: მან თქვა, რომ გამოსასყიდი შეიძლება გადაუხადო მხოლოდ რეალურ ცოცხალ არსებას, ხოლო სიკვდილი არ არის რეალური – ის მხოლოდ და მხოლოდ ასრულებს რეალობას, არ წარმოადგენს რეალურს; ამიტომ შეუძლებელია სიკვდილისთვის რაიმე გამოსასყიდის გადახდა.

არ დირს ალექსინის აზროვნების სტილის კრიტიკა, ვინაიდან იმისთვის, ვინც ჭერებს მოვლენების ურთიერთკავშირს, სრულიად ცხადია, რომ სიკვდილი რეალობას მოკლებულია იმავე თვალსაზრისით, რომლითაც ამბობენ: სიცივე არ არის რეალობა, ეს მხოლოდ და მხოლოდ სითბოს ნაკლებობა, ტემპერატურის დაცემა. სიცივე რაღაც რეალობა რომ არ იყოს, თქვენ არ მოგიწევდათ ზამთარში თბილი ტანსაცმლის ტარება, რადგან სისულელეა თავის დაცვა არარეალურისაგან. თუმცა ჩვენ არ დავიწყებთ კრიტიკას, არამედ ალექსინისა და ბერძენის დავას დავაკვირდებით პოზიტიურად და დავსვამთ კითხვას იმის შესახებ, არსებითად რა ხდებოდა იქ; საჭიროა აღინიშნოს, რომ დისპუტი არ ეხება თავად ცნება „ხსნას“, არამედ მიმდინარეობს ისე, რომ ეს ორი პიროვნება, – ბერძენი და რომაულ-კათოლიკური ეკლესიის თეოლოგი, – არ დგას საერთო პლატფორმა-

ზე: რომაელ-კათოლიკე თეოლოგი სპეციალირებს ცნებებით ისე, რომ დავის საგანს არც ეხება. ის არ მიღის მართებული მიმართულებით და მთელი პრობლემა გადააქვს სხვა კალაპოტში. ის კითხულობს: არის თუ არა სიკვდილი რამე რეალური? და ასკვნის, რომ სიკვდილში არაფერია რეალური.

ეს მოწმობს იმას, რომ აქ ერთმანეთს ეჯახება ორი შეხედულება, რომელიც განსხვავებული შშვინვიერი წყობიდან იშვა. ბერძენი აზროვნებდა ჯერ კიდევ იმ მიმართულებით, რომელიც დამახასიათებელი იყო საბერძნეთისთვის პლატონსა და არისტოტელებს შორის პერიოდში. პლატონში ჯერ კიდევ ცხოვრობდა რაღაც ძველი აღმოსავლეთის სიბრძნიდან, სადაც, ყოველ შემთხვევაში, ძველ დროში, მოიპოვებდნენ იმ უძველეს სიბრძნეს, რომელიც თანდათანობით მივიდა დაცემამდე. შემდეგ კი, თითქოს დაჩქარებული მეტამორფოზით, წარმოიქმნება არისტოტელიზმი, რომელიც არსებითად გულისხმობს სრულიად სხვა მშვინვიერ წყობას, ვიდრე პლატონიზმი. არისტოტელიზმის კაცობრიობის განვითარებაში შემოაქვს სრულიად სხვა ელემენტი, როგორც პლატონიზმის. თუ თვალს მივადევნებთ არისტოტელიზმის შემდგომ განვითარებას, იგი, თავის მხრივ, იძენს სხვადასხვა ფორმას, გადის განსხვავებულ მეტამორფოზებს, ისე, რომ თავის თავდაპირველ საფუძველს არ კარგავს. შემდეგ ჩვენ ვხედავთ, კვლავ როგორ ცოცხლდება ბერძენში, ალკუინთან მისი დისპუტის დროს, პლატონიზმი როგორც უძველესი მემკვიდრეობა, ხოლო ალკუინთან სახეზეა არისტოტელიზმი. როდესაც ორივე ეს ადამიანი ხვდება ჩვენი თვალთახედვის არეში, ჩვენ ვხედავთ ცვლილებების თამაშს, რომელიც უკვე უკროპულ ნიადაგზე ხორციელდებოდა არა იმდენად ორ მსოფლმხედველობას შორის, რამდენადაც ადამიანურ მშვინვიერ მდგომარეობებს შორის; ერთის წყარო იმალება ჯერ კიდევ უძველესი დროის აღმოსავლეთში, მეორე კი მოვიდა მოგვიანებით, რომელსაც ჩვენ უკვე ვეღარ ვხვდებით აღმოსავლეთში, მაგრამ თავს იჩენს ცივილიზებული სამყაროს შუა რეგიონებში. პირველად ის გვხვდება არისტოტელესთან რამდენადმე შესუსტებული სახით; მასში ჯერ კიდევ ცხოვრობს ძალზე ბევრი რამ ბერძნული, შემდეგ კი ეს მშვინვიერი წყობა განსაკუთრებული ძალით ვითარდება რომის კულტურაში, სადაც ის კარგანით ადრე მზადდებოდა არისტოტელემდე, არსებითად, პლა-

ტონამდეც. ამიტომ ჩვენ ასევე ვხედავთ, როგორ მზადდება განსაკუთრებული კულტურა იტალიის ნახევარკუნძულზე ჯერ კიდევ ძვ. წ. VIII საუკუნიდან, იმის პარალელურად, როგორც საბერძნეთის ნახევარკუნძულზე აგრძელებენ ცხოვრებას სამშვინველის აღმოსავლური წყობის თავისებური სახის უკანასკნელი ყლორტები, თუმცა რომაული კულტურა მცირე განსხვავებებით ვლინდებოდა ბერძნულ კულტურასთან შედარებით. ჩვენ თუ ჩავწვდებით აზრის ამ ორი სახის განსხვავებას, მაშინ აღმოვაჩენთ უმნიშვნელოვანეს ისტორიულ იმპულსს. ვინაიდან ის, რამაც თავისი ასახვა პპოვა აზრის ამ ორი სახის განსხვავებაში, მოგვიანებით გადადის ადამიანთა უმოციურ ცხოვრებაში, სოციალურ მოწყობაში და ა. შ.

ახლა შევეკითხოთ საკუთარ თავს: როგორი იყო უძველესი დროის აღმოსავლეთის მაცხოვრებელთა მსოფლმხედველობა და შემდეგ რა აისახა აქედან გვიანდელ პლატონიზმში, არსებითად კი, თვით ნეოპლატონიზმშიც. ეს იყო მაღალსულიერი კულტურა, რომელიც იშვა შინაგანი ჭვრებით და გამოვლინდა უპირატესად სურათ-ხატებში, იმაგინაციებში, მაგრამ ისეთ სურათ-ხატებში, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო განმსჭვალული სრული ცნობიერებით, ადამიანის სრული მეცნობიერებით. იმ დროის ადამიანებში სულიერი ცხოვრება ვლინდებოდა მძლავრ სურათ-ხატებში – ვედა და ვედანტა მხოლოდ ძალზე სუსტი გამოძახილია იმ დროების. ეს ყოველივე სახეზე იყო სიზმრისებური, – მე გთხოვთ, რომ სწორად გაიგოთ სიტყვა და არ აგერიოთ ჩვეულებრივ სიზმრებში, – დაქვეითებული ცნობიერების ფორმით და ეს მშვინვიერი ცხოვრება არ ლიკლივებდა და არ ანათებდა იმით, რაც ადამიანში ცხოვრობს, როცა იგი მკაფიოდ აცნობიერებს საკუთარ „მე“-ს და თავის საკუთარ არსებას. აღმოსავლელი ადამიანი მშვენივრად აცნობიერებდა, რომ იგი არსებობდა ჯერ კიდევ თავის შობამდე და რომ, ის სიკვდილის შემდეგ პკლავ ბრუნდება იმავე სულიერ სამყაროში, რომელშიც იმყოფებოდა დაბადებამდე, თავის მიწიერ ჩასახვამდე. აღმოსავლელი ადამიანის მზერა მიმართული იყო იმაზე, რაც მრავალგზის გადის დაბადებასა და სიკვდილს. მაგრამ ის შინაგანი გრძნობა, რომელიც „მე ვარ“-ში ცოცხლობს, აღმოსავლელ ადამიანს არ ჰქონდა, ამას ის ვერ ხედავდა. ის თითქოსდა წაშლილი იყო, თითქოსდა იკარგებოდა საერთო მშვინვიერ ცხოვრება-

ში და ვერ კონცენტრირდებოდა იმ ერთადერთ პუნქტზე, როგორიცაა მე-განცდა. ამ შემთხვევაში აღმოსავლელი ადამიანი თავისი ინსტინქტური ხედვით რას ჭვრებდა?

აღმოსავლელი ადამიანის მშვინვიერი წყობის განსხვავება გვიანდელი ადამიანების მშვინვიერი წყობისგან ასევე შეუძლია იგრძნოს, თუნდაც სულისმეცნიერების მეშვეობით მომზადებულმა ადამიანმა, თუ ყურადღებით ჩაუდრმავდება დიონისე არეოპაგელის არეოპაგიტიკას\*; ახლა მე არ შევეხები ავტორბის საკითხს, რადგან მე მას არაერთხელ შევეხ. მათში საუბარია „არარაზე“, როგორც რაღაც სხვა რეალობაზე, რომელიც არის გარეგნული სამყაროს ყოფიერების საპირისპირო, როგორც ის წარმოჩნდება ჩვეულებრივი ცნობიერების წინაშე. ამ არარას განხილვა შემდგომ დროებშიც გრძელდებოდა. კარლ მელოგის კარზე მცხოვრებ სკოტ ერიგენთან\* ჩვენ ჯერ კიდევ ვხვდებით ამ განხილვის გამოძახილს, ხოლო უკანასკნელ გამოძახილს ვხვდებით XV საუკუნეში ნიკოლაუს კუზანელთან\*. შემდეგ ის, რაც იგულისხმება ამ არარაში, რომელიც შეიძლება ვნახოთ დიონისეს არეოპაგიტიკაში, რომელსაც აღმოსავლელი ადამიანები აღიქვამდნენ, როგორც რაღაც სრულიად ბუნებრივს, ჩაქრა. აღმოსავლელი ადამიანისთვის რას წარმოადგენდა ეს არარა? ეს მისთვის იყო რაღაც რეალობა, იგი თავის მზერას მიაპყრობდა გარემომცველ გრძნობად სამყაროს და თავის თავს ეუბნებოდა: ეს გრძნობადი სამყარო განვითნილია სივრცეში და მოძრაობს დროში, ხოლო ჩვეულებრივ ცხოვრებაში, რაც განვენილია სივრცეში და მოძრაობს დროში, აღიარებულია არარად.

რასაც აღმოსავლელი ადამიანი ჭვრებდა, მისთვის ის იყო რეალობა, რომელიც გაივლის დაბადებასა და სიკვდილს შორის, მაგრამ არა ის, რომელიც განვენილია სივრცეში, სადაც არსებობს მინერალები, იზრდება მცენარეები, გადაადგილდებიან ცხოველები, სადაც გადაადგილდება და მოქმედებს ადამიანი, როგორც ფიზიკური არსება; ეს არ იყო ის, რაც ხდება იმ დროში, რომელშიც ვლინდება ჩვენი წარმოდგენების, გრძნობებისა და ნებელობითი იმპულსების დინამიკა. აღმოსავლელი ადამიანისთვის სრულიად ცხადი იყო: ადამიანები უნდა გავიდნენ იმ სივრციდან, რომელშიც არსებობს და მოძრაობს ყველანაირი ფიზიკური საგანი, ასევე მართებთ გასვლა დროის იმ ნაკადი-

დან, რომელშიც თავის აქტივობას ავლენენ ჩვეულებრივ მიწიერ ცხოვრებაზე დახარჯული ჩვენი მშვინვიერი ძალები. საჭიროა შეღწევა სრულიად სხვა სამყაროში, იმ სამყაროში, რომელიც გარეგნულ დროით-სივრცობრივ ყოფიერებასთან მიმართებით წარმოადგენს არარას, თუმცა, წარმოადგენს რაღაც რეალურს. აღმოსავლელი ადამიანი ჩვენი დროის ფენომენებთან დაკავშირებით დაახლოებით იგივეს განიცდიდა, რასაც ევროპელი, უკიდურეს შემთხვევაში, განიცდის რეალური რიცხვების სფეროში. თუ ევროპელს აქვს, მაგ., 50 ფრანკი, მაშასადამე, მას რაღაც აქვს. თუ მან დახარჯა აქედან 25 ფრანკი, მას დარჩა მხოლოდ – 25; თუკი იგი დახარჯავს კიდევ 15 ფრანკს, მას დარჩება 10 და ამასაც თუ დახარჯავს, იგი არაფრის მქონე იქნება. თუ ის გააგრძელებს ხარჯვას, მაშინ მას უჩნდება და ეზრდება ვალი 5, 10, 15, 25 ფრანკი. მას უგვე არაფერი აქვს, მაგრამ მას დარჩება რაღაც რეალური, ეს იქნება არა მარტო ცარიელი საფულე, არამედ ვალი 25 ან 50 ფრანკი. რეალურ სამყაროში, რომ გქონდეს ვალი, ეს ნიშნავს ძალზე მნიშვნელოვან რამეს. საერთო ფინანსურ სიტუაციაში ადამიანისთვის დიდი განსხვავებაა, უბრალოდ არაფერი პქონდეს ან პქონდეს ვალი 50 ფრანკი. თუმცა სენებული ვალი 50 ფრანკი წარმოადგენს ისეთივე ქმედითს მისი ფინანსური საქმეების საერთო მდგომარეობაში, როგორც ნალდი ფული 50 ფრანკი. ამ სფეროში ევროპელს უწევს შეიგრძნოს ვალების რეალობა, რამდენადაც საქმიან სამყაროში ვალების არსებობა სრულად იჩენს თავს.

ამდენად, თუ ამ პრინციპს გაგავრცელებთ არა მარტო ცალკეულ ინდივიდზე, არამედ მთელ სამყაროზე, მაშინ ყველაფერი, რაც უპირისპირდება ნალდ ფულს, როგორც ნულოვანი სიდიდე, აღმოჩნდება რაღაც სრულიად რეალური. აღმოსავლელი ადამიანი შეიგრძნობდა არა იმიტომ, რომ ახდენდა რაღაც სპეცულაციებს, არამედ პქონდა შესედულებები, რომლებიც მას აიძულებდა ასე შეეგრძნო, ამდენად ის შეიგრძნობდა: ერთი მხრივ, მე განვიცდი სივრცეს და დროს, ხოლო მეორე მხრივ, მე განვიცდი იმას, რისი დაკვირვებაც შეუძლებელია სივრცესა და დროში, ვინაიდან ეს არის არარა სივრცობრივ და დროით საგნებთან და სივრცობრივ და დროით მოვლენებთან მიმართებით; ცხადია, ესეც „რაღაც“ რეალობაა, მაგრამ მხოლოდ რაღაც სხვა რეალობა. ის, რაც დასავლეთის ცივილიზაციაში შემოიჭ-

რა რომის მეთაურობით, წარმოადგენს მხოლოდ გაუგებრობას: სამყაროს შექმნა არარასაგან, სადაც ცნება „არარას“ ქვეშ იგულისხმება მხოლოდ და მხოლოდ ნულოვანი სიდიდე. აღმოსავლეთში, ამ კონცეფციის წინარე სამშობლოში, სამყარო წარმოიქმნება არა არარასაგან, არამედ იმ სახის რეალობისგან, რომელზეც მე თქვენ მიგითოთეთ. გამოძახილი იმისა, რაც მსჭვალვადა აღმოსავლური აზროვნების მთელ ხატ-სახეს პლატონამდე და მისი ჩათვლით, რაც წარმოადგენდა მარადიულობის იმპულსს მევლი შეხედულებებისთვის, დავანებული იყო ზემოხსენებული ბერძნის სამშვინველში, რომელიც ცხოვრობდა კარლ დიდის კარზე და კამათობდა ალკუინთან. თეოდორ ალკუინის სამშვინველი კი უარყოფდა სამყაროს ასეთ სულიერ მოწყობას, რომლის გარეგნული გამოხატულებაც იყო აღმოსავლელი ადამიანის მიერ აღიარებული არარა. და როცა ბერძენი ლაპარაკობდა სიკვდილზე, რომლის მიზეზიც განფექცილი იყო ასეთ სულიერ ცხოვრებაში, ის ლაპარაკობდა რაღაც რეალურზე, ალკუინს კი შეეძლო შეპასუხებოდა: სიკვდილი არის არარა, ამიტომ მას არ შეუძლია არანაირი გამოხსახიდის მიღება.

თქვენ ხედავთ, როგორ პოულობს თავის გამოხატულებას დაპირისპირებულობა უძველესი აღმოსავლური აზროვნების სახესა, რომელიც დამახასიათებელი იყო თვით პლატონისთვისაც და მომდევნოს შორის, რომელიც პირველად გამოვლინდა არისტოტელესთან, ისტორიის ამ ღირსშესანიშნავ მომენტში, როცა ალკუინი დისკუსიას მართავდა ბერძენთან კარლ დიდის კარზე. მაინც რა შემოიჭრა პლატონის შემდგომ ევროპულ ცივილიზაციაში სწორედ რომაული საწყისის გავრცელების წყალობით? შემოიჭრა აზროვნების სახე – უპირატესად მიმართული იმაზე, რას განიცდის ადამიანი დაბადებასა და სიკვდილს შორის, არის ლოგიკური, ლოგიკურ-იურიდიული, იურიდიულ-დიალექტიკური აზრთა წყობა. აღმოსავლეთში საერთოდ არ იყო ლოგიკური დიალექტიკური აზრის სახე და მით უმჯგებეს, იურიდიული. დასავლეთმა კი აღმოსავლური აზრის სახეში შეიტანა ლოგიკურ-იურიდიული ელემენტი, როცა ჩვენი აზროვნება შეცვალა იმდენად, რომ თვით რელიგიური განცდებისა და წარმოდგენების გამოხატვა დავიწყეთ იურიდიულ ცნე-

ბებში. ასე ვხედავთ ჩვენ რომში სიქსტის კაპელის ჭერზე უდი-  
დესი ოსტატის – მიქელანჯელოს ნახატს, სადაც ქრისტე გა-  
მოხატულია მსოფლიო მსაჯულად, რომელსაც გამოაქვს ვერ-  
დიქტი სიკეთესა და ბოროტებაზე.

სამყაროს დინამიკაზე განსჯისას შემოაქვთ იურიდიულ-დი-  
ალექტიკური საწყისი. აღმოსავლური აზროვნების სახისთვის  
ეს სრულიად უცხო იყო. იქ არ არსებობდა ისეთი ცნებები,  
როგორიცაა ბრალი და გამოსციდვა, როგორც ზოგადად ხსნა.  
ამიტომაც შეეძლო ბერძენს დაესვა კითხვა: რა არის ეს ხსნა?  
აღმოსავლეთში სახეზე იყო იმ მეტამორფოზის ჭვრებია, რო-  
მელსაც განიცდის მარადიული საწყისი ადამიანში, როცა გა-  
დის დაბადებასა და სიკვდილს შორის პერიოდს. სახეზე იყო  
ისიც, რაც ცხოვრობს ცნებაში „კარმა“. შემდეგ ეს ყოველივე  
ჩასვეს იმ მსოფლმხედველობის ჩარჩოში, რომელიც არსები-  
თად გამოსადევი იყო მხოლოდ დაბადებასა და სიკვდილს შო-  
რის ცხოვრებისთვის და რომელიც მოიცავს მხოლოდ ამ  
ცხოვრებას, – დაბადებასა და სიკვდილს შორის. სწორედ ეს  
ცხოვრება, დაბადებასა და სიკვდილს შორის, გაუსხლტა აღმო-  
სავლელ ადამიანს. მისი მზერა მიმართული იყო, ძირითადად  
ადამიანური არსების ბირთვისკენ, იგი ნაკლებად აკვირდებოდა  
იმას, რაც ხდებოდა დაბადებასა და სიკვდილს შორის. დასავ-  
ლეთის კულტურის განვითარების პერიოდში კი ყვაოდა სხვა  
აზროვნების წყობა, რომელიც უპირატესად მიმართული იყო და-  
ბადებასა და სიკვდილს შორის მომხდარისკენ და ეყრდნობოდა  
არა იმ ძალებს, რომლებიც ადამიანს აქვს იმის წყალობით,  
რომ სულიერ-მშვინვიერს მოსავს სხეულებით, რაღაც ფიზიკური  
და ეთერული სხეულებით. ადამიანის ამ კონსტიტუციაში, – რო-  
ცა სხეულების ასეთი თანაფარდობით შესაძლებელია სულიერ-  
მშვინვიერის შინაგანი განცდა, ამასთან ამ განცდის ხასიათი  
განსაზღვრულია იმით, რომ ადამიანი თავისი სულიერ-მშვინვიე-  
რით ეფლობა სწორედ ფიზიკურ სხეულში, – ისესნება შესაძ-  
ლებლობა ადამიანური „მე“-ს სრული და მკაფიო შინაგანი გან-  
ცდისთვის. ამიტომაც, დასავლეთის ადამიანი არა მარტო ის-  
წრაფვის, არამედ მოვალედ თვლის თავის თავს, ჩასწვდეს თა-  
ვის ამ „მე“-ს, შეიგრძნოს თავისი „მე“, როგორც რაღაც დვთაებ-  
რივი. სწრაფვა, ადამიანურ „მე“-ს ჩასწვდომოდნენ, როგორც რა-  
ღაც დვთაებრივს, მკაფიოდ გამოვლინდა ჯერ კიდევ შეა საუ-

კუნების მისტიკოსებთან – ეკარტთან, ტაულერთან და სხვებთან. ადამიანური „მე“-ს წვდომა მთელი ძალით გამოკრისტალდა იმაში, რასაც წარმოადგენს შეა ეპროპული კულტურა. ამ-დენად, საჭიროა განვასხვაოთ: აღმოსავლური კულტურა, რომელიც არის დრო, როცა ადამიანის მიერ საკუთარი „მე“-ს განცდა მასში არსებობდა უსარგებლოდ, ბუნდოვნად და შეა ეპროპული კულტურა, რომელიც უმთავრესად ეფუძნება „მე“-ს განცდას. ჩვენ ვხედავთ, „მე“-ს ეს განცდა როგორ განიცდის მეტამორფოზებს: ჯერ მე მინდა გითხრათ, როგორი ბუნდოვნი სახით გვხვდება ეს ეკარტთან, ტაულერთან და სხვა მისტიკოსებთან; შემდეგ თანდათანობით როგორ ხდება უფრო მკაფიო, რამდენადაც ვითარდება თავად ადამიანური „მე“-ს კულტურა.

შემდეგ ვხედავთ, როგორ ხდება ადამიანური „მე“-ს სხვა გარღვევა ამ, შეა ეპროპული, კულტურის ფარგლებში. XVIII საუკუნის ბოლოს კანტის\* სახით თავი იჩინა რაღაცამ, რაც „მე“-ს ამ კულტურის მაგისტრალური მიმართულების თვალსაზრისით რთული ასახსნელია. მაინც რა წარმოიქმნა კანტის წყალობით? კანტი იკვლევს ბუნების შემეცნებას. იგი ამას თავს ვერ ართმევს. ბუნების შემეცნება მას სუბიექტურ პროცესად წარმოუდგენია, ის ვერ იჭრება „მე“-მდე, თუმცა მასზე მუდმივად ლაპარაკობს, ამასთან, სწორედ „მე“-სგან ამოსვლით სურს მთელი ბუნების შემეცნება სხვადასხვა ასპექტში, სიცრცისა და დროის კატეგორიებში. მაგრამ „მე“-ს ნამდვილ განცდამდე ის ვეღარ აღწევს. ის ასევე ახდენს პრაქტიკული ფილოსოფიის კონსტრუირებას თავისი პატეგორიული იმპერატივთ, რომელმაც თავის თავზე უნდა გვაუწყოს ადამიანური სამშვინველის გაურკვეველი პლასტებიდან. ამასთან, კვლავაც არ წარმოიქმნება არანაირი „მე“. აი, რა არის გასაოცარი კანტის ფილოსოფიაში: ის მთლიანად განმსჭვალულია დიალექტიკის ძალით, განმსჭვალულია ლოგიკურ-დიალექტიკური და ოურიდიული აზროვნების ნარევით, რომელშიც ყველაფერი მიმართულია ადამიანურ „მე“-სკენ; მაგრამ მას ასევე არ შეუძლია ამ „მე“-ს მოდელირება ფილოსოფიური საშუალებებით. ამიტომ, უნდა იყოს რაღაც, რაც მას ამაში ეწინააღმდეგება. შემდეგ გამოჩნდება ფიტბე\*, მაშინ ჯერ კიდევ კანტის მოწაფე და უნერგიული არგუმენტაციით აჲყავს საკუთარი ფილოსოფიის მწვერვალზე თავისი სიმარტივით მიმზიდველი თეზისი –

„მე ვარ“. ამ „მე ვარ“-იდან უნდა მომდინარეობდეს ყველაფერი, რაც ნამდვილ მეცნიერულ-ობიექტზურადაა აღიარებული. უბრალოდ, საჭიროა შეგვეძლოს თითქოსდა დედუცირება, შეგვეძლოს ამ „მე ვარ“-იდან ამოვიკითხოთ საყოველთაო მსოფლმხედველობა. კანტს არ შეუძლია ამ „მე ვარ“-თან მივიდეს. ფიხტე, მიჰყებოდა რა მის ნაკვალევს, ჯერ კიდევ კანტის მოწაფეობისას, მას უპირისპირებს ამ „მე ვარ“-ს – როგორც გამოწვევას. ხალხი კი გაოცებულია: ეს არის კანტის მოწაფე, რომელიც ამბობს ასეთ რადაცას: თუ კანტს სურს იყოს ბოლომდე თანმიმდევრული, მართებს ზუსტად ისე იფიქროს, როგორც ფიქრობს თვითონ! ფიხტესთვის უბრალოდ გაუგებარია, რომ კანტს შეუძლია იფიქროს რადაც სხვაგარად და იგი ამბობს: თუ კანტი იქნება თუნდაც ბოლომდე თანმიმდევრული, მაშინ უნდა იფიქროს ზუსტად ასე და ის აუცილებლად უნდა მივიდეს იმავე „მე ვარ“-თან. ფიხტე კიდევ უფრო დიად გამოხატავს, როცა ამბობს, რომ მისი საკუთარი ფილოსოფია სამართლიანად ეყრდნობა კანტისას და თუ ეს ასე არ არის, მაშინ იგი მზადაა კანტის მთელი კრიტიკა აღიაროს შემთხვევითი ცნებების ბრმა თამაშად და არა მხცოვანი მოაზროვნის ქმნილებად. თავად კანტმა, ცხადია, ეს ყოველივე უარყო. მას არ მოუნდა რაიმე საერთო პქონოდა იმ დასკვნებთან, რომელიც ფიხტემ მისი ფილოსოფიიდან გამოიტანა.

ახლა ჩვენ ვხედავთ, რომ სწორედ ფიხტეს უკავშირდება ყოველივე ის, რაც გააკეთა გერმანულმა იდეალისტურმა ფილოსოფიამ შელინგის, ჰეგელის და სხვათა სახით, რამაც გამოიწვია ის ბრძოლა, რაზეც მე ნაწილობრივ ვისაუბრე ჩემს ლექციებში ბუნების შემეცნების სახლერებზე.\* ამასთან ჩვენ ვამჩნევთ რადაც თავისებურს, ვამჩნევთ, რომ პეგელი მთლიანად და სრულად ცხოვრობს თავის კრისტალურად მკაფიოდ გამომუშავებულ იურიდიულ და ლოგიკურ-დიალექტიკურ ცნებებში, რომლის წყალობითაც ქმნის სამყაროს მისეულ ფილოსოფიურ სურათს, მაგრამ ეს ისეთი სურათია, რომელიც ასახვს მხოლოდ დაბადებასა და სიკვდილს შორის მომხდარს. თქვენ შეგიძლიათ გადაქექოთ პეგელის მთელი ფილოსოფია და ვერსად იპოვთ რაიმეს ისეთს, რაც დაბადებისა და სიკვდილის ფარგლებს ცდება. მას ყველაფერი დაჲყავს მსოფლიო ისტორიამდე, რელიგიამდე, ხელოვნებამდე და მეცნიერებამდე

— დაჲყავს ყველაფერი იქამდე, რაც დაბადებასა და სიკვდილს შორის განცდილის ფარგლებს არ ცდება.


რა არის აქ ღირსშესანიშნავი? ის, რაც გამოვლინდა ევროპული კულტურის უდიდეს წარმომადგენლებთან – ფიხტესთან, შელინგსა და ჰეგელთან, რომლებმაც ადამიანური „მე“ მიიყვანეს სრულ ცნობიერებამდე, მის შინაგან განცდამდე, სინამდვილეში იყო მხოლოდ უკანასკნელი საპასუხო რეაქცია რაღაც სხვაზე. ვინაიდან კანტს შეიძლება გაუგო მხოლოდ მაშინ, როცა მასზე შეიქმნი სწორ წარმოდგენას. ახლა მე ისევ ვუახლოვდები რაღაც მნიშვნელოვან მომენტს ისტორიაში, რომელსაც შეიძლება იოლად აუარონ გვერდი. მოგეხსენებათ, კანტი, და ეს სრულიად აშკარად ჩანს მისი გვიანდელი ნაწერებიდან, ასევე მიმდევარი იყო XVIII საუკუნის რაციონალიზმისა, რომელმაც თავისი გენიალური გამოხატულება პოვა ლაიბნიცის, აგრეთვე ვოლფის თხზულებებში, თუმცა საქმაოდ პედანტური სახით. აშკარად: ამ რაციონალიზმს არ ახასიათებს სულიერი რეალიებისკენ ჭეშმარიტი სწრაფვა. ამიტომაც უარყოფდა კანტი სულიერ-რეალურს, უარყოფდა „საგანს თავისთავად“, როგორც მას უწოდებდა, სამაგიეროდ მას უყვარდა დასაბუთება, ის ისწრაფოდა მკაცრი დასაბუთებებისკენ! კანტის თხზულებები ამ მხრივაც ძალზე მნიშვნელოვანია. ის წერს თავის „წმინდა გონიერის კრიტიკას“, რომელშიც არსებითად, სვამს კითხვას: როგორ უნდა მოქმედოს სამყარო, რომ სამყაროში შესაძლებელი იყოს დასაბუთება? მას არ აინტერესებდა, სინამდვილეში როგორაა მოწყობილი სამყარო, არამედ, არსებითად, სვამდა კითხვას: როგორ უნდა ვიაზროვნო მე სამყაროზე, რომ შემეძლოს ლოგიკურ-დიალექტიკურად, მხოლოდ და მხოლოდ ლოგიკურად დაგასაბუთო? მხოლოდ ამას უწევს ის ანგარიშს, და თავის „პრილეგორიუმებში ყველანაირ მომავალ მეტაფიზიკაზე, რომელსაც შეუძლია გამოვლინდეს როგორც მეცნიერება“, ის ეძებს მეტაფიზიკას, როგორც ზედნაშენს იმაზე, რაც მისი აზრით ექვემდებარება დასაბუთებებს, ხოლო ყველა დანარჩენი წყალს წაუდია! ჯოჯოხეთო, რეალური სამყაროს ეშმაკო, დაუ, მე დამრჩეს მხოლოდ დასაბუთების ხელოვნება! მე არ მაწუხებს, რა არის სინამდვილე; თუ მე მისი დასაბუთება არ შემიძლია, მე მასთან არაფერი მესაქმება!

ცხადია, ამგვარად არ ფიქრობდნენ სხვები, ამისთვის მო-  
ვიყვანოთ ქრისტიან კოლეჯის\* წიგნები, მაგ., „გონიერი აზრები  
ღმერთზე, სამყაროსა და ადამიანის სამშვინველზე, აგრეთვე  
ზოგადად ყველა მოვლენაზე“. კოლეჯი და სხვა მოაზროვნებ-  
ბიც ცდილობდნენ, მოვპოვებინათ დასაბუთებათ უზადო, თა-  
ვის თავში ჩაკეტილი სისტემა იმ თვალსაზრისით, როგორადაც  
მათ ესმოდათ დასაბუთება. კანტიც ამ სფეროში ცხოვრობდა;  
მაგრამ მასთან სახეზე იყო ის, რაც წარმოადგენდა, თითქოს-  
და, შუა ევროპული მსოფლმხედველობის გამოწურულ ლი-  
მონებს, მის ჩენოს. თუმცა, კანტთან არის ასევე რადაც სხვა,  
რაც აუხსნელს ხდის იმ ფაქტს, რომ მან მაინც შეძლო გამ-  
ხდარიყო ფიხტეს მასწავლებელი. ფიხტესთვის ხომ ის მუდმი-  
ვად გამაღიზიანებელი იყო და მან გამოიწვია კანტი, იგი გაძ-  
ლიერებულად აქცენტირებდა გამოთქმაზე „მე ვარ“ და ეს იყო  
არა რაღაც მკაცრად დასაბუთებადი, რისი ძიებაც ფიხტესთან  
საერთოდ არ დირს, არამედ მას დაუპირისპირა განვითარებუ-  
ლი შინაგანი მშვინვიერი ცხოვრება. ფიხტესთან, არსებითად,  
მთელი ძალით ამოტივტივდება ის, რაც კოლეჯისა და ლაიბნი-  
ცის მიმღევრებთან უკვე უბრალო ჩალად იქცა. მართალია,  
ფიხტე თავის ფილოსოფიას აგებს უშუალოდ აბსტრაქტული  
ცნებებით, ეურდნობა რა გამოთქმას „მე ვარ“, თუმცა მასთან  
ეს სიტყვები აღვსილია სიცოცხლით. ასევე ეს შელინგთან და  
ჰეგელთან. არსებითად, მაინც რა მოუვიდა თავად კანტს? კან-  
ტის განვითარებაზე დაკვირვებისას, აწყვდები მნიშვნელოვან  
მოქნებს. თავიდან ის იყო კოლეჯის მოწაფე, შემდეგ მოუქცა  
ინგლისელი ფილოსოფოსის დევიდ იუმის\* ძლიერი გავლენის  
ქვეშ, რომელმაც, თავად კანტის სიტყვებით, იგი გამოადვიდა  
უსიცოცხლო (ლეთარგიული), აპათიური ძილისგან. მაინც რა  
იყო ის, რამაც განმსჭვალა კანტი და რაც მიუწვდომელი აღ-  
მოჩნდა ფიხტეს გაგებისთვის? მთლიანად შუა ევროპული  
კულტურით ფორმირებულ კანტში შემოიჭრა ის, რაც ახლა  
წარმოადგენს დასავლურ კულტურას, თუმცა ეს ნაკლებად  
ესადაგებოდა მას. დასავლური კულტურა მის წინაშე წარმოჩ-  
ნდა დევიდ იუმის სახით. სწორედ იუმმა აზიარა კანტი დასაჭ-  
ლურ კულტურას. მაინც რა არის მისი თავისებურება? აღმო-  
სავლურ კულტურაში „მე“ ჯერ კიდევ ცხოვრობს მინავლებუ-  
ლად, თითქოსდა სიზმრისებურად მშვინვიერ განცდებში, რომ-

ლებიც იმაგინაციური სურათ-ხატებით გამოისახება. დასავლურ კულტურაში ადამიანის „მე“-ს წმინდა გარეგნული ფაქტები აკონტროლებს. ჩვენ ვხედავთ, რომ დასავლურ კულტურაში „მე“-ს არსებობა საგრძნობია, ამასთან არა მთვლემარე მდგომარეობაში, არამედ ჩანერგილია ფაქტებში. ამ უკანასკნელის ფარგლებში იგება, მაგ., ის დირსშესანიშნავი ფსიქოლოგია, რომელშიც ფიხტესგან განსხვავებით არ საუბრობენ მშვინვიერ ცხოვრებაზე, რომელიც მომდინარეობს ერთი – ერთადერთი ცენტრიდან, რომელიც არის „მე“, იქ საუბარია აზრებზე და კიდევ ერთხელ აზრებზე, რომლებიც უკავშირდებიან ერთმანეთს – ასოცირდებიან. ასევე მიღის საუბარი გრძნობებსა და წარმოდგენებზე, ნებელობით იმპულსებზე და ისინი ასოცირდებიან. შინაგან მშვინვიერ ცხოვრებაზე საუბრობენ ისე, როგორც აზრებზე, რომლებიც ასოცირდებიან.

ფიხტე საუბრობს „მე“-ზე; ის წყაროა აზრების; დასავლეთში კი „მე“ მთლიანად იკარგება თვალთახედვის არიდან, ვინაიდან იხშობა, გაიძნევა აზრებში, შეგრძნებებში, რომლებიც თითქოსდა დამოუკიდებლად მოქმედებენ – ასოცირდებიან და კვლავ გაიყოფიან. მშვინვიერი ცხოვრება კი ისე გამოიყურება, თითქოს წარმოდგენები თავად ერთიანდებოდნენ და ისევ სცილდებოდნენ. წაიკითხეთ საჯნერი\*, წაიკითხეთ ჯონ სტიუარტ მილლი\*, წაიკითხეთ ამერიკელი ფილოსოფოსები: ყოველთვის, როცა ისინი საუბრობენ ფსიქოლოგიაზე, მაშინვე ამოტივტივდება ეს დირსშესანიშნავი მსოფლმხედველობა, რომელიც არ გამორიცხავს „მე“-ს, – როგორც ეს ხდება აღმოსავლეთში, განვითარების ჩანასახოვანი მდგომარეობის გამო, – არამედ მთელი ძალით იღებს ამ „მე“-ს მხედველობაში, თუმცა აძლევს მას საშუალებას მთლიანად გაიხსნას წარმოდგენების, ემოციებისა და ნებელობითი იმპულსების სფეროში, რომელიც ადამიანის მშვინვიერი ცხოვრების შემაღებელია. შეიძლება ითქვას: აღმოსავლეთის ადამიანში „მე“ ჯერ კიდევ ლივლივებს წარმოდგენებზე, გრძნობებსა და ნებელობაზე; ის ჯერ კიდევ არ დაშვებულა წარმოდგენების, გრძნობებისა და ნებელობის დონეზე. დასავლური კულტურის ადამიანებში კი „მე“ უკვე ამ სფეროების ქვევით იმყოფება, ის იმყოფება აზროვნების, გრძნობისა და ნებელობის ზედაპირის ქვემოთ, ასე რომ, თავიდან ის სრულიად შეუმჩნეველია და საუბარია მხოლოდ აზ-

როვნებაზე, გრძნობასა და ნებელობაზე, როგორც დამოუკიდებელ ძალებზე. სწორედ ეს შემოიჭრა კანტში, რომელმაც აღიქვა დევიდ იუმის ფილოსოფია. მაგრამ შეა ევროპაში ამას გარკვეული პერიოდის მანილზე ეწინააღმდეგებოდნენ ფიხტე, შელინგი და ჰეგელი, შემდეგ კი დარვინიზმისა და სპენსერიზმის მსოფლიო კულტურით ყველაფერი წაიშალა.



ნახ. 2

1. Ich-მე 2. Vorstellen-წარმოდგენები. 3. Fühlen-გრძნობები. 4. Wollen-ნებელობითი იმპულსები.

კაცობრიობის განვითარების ისტორიის გაგებას შეგძლებთ მხოლოდ ამ სიღრმისეულ ძალთა კვლევის პროცესში. მაშინ გამოჩნდება, რომ აღმოსავლეთში ნატურალური სახით ვითარდებოდა ის, რაც, არსებითად, იყო მარტოოდენ სულიერი ცხოვრება. შეა ევროპულ რეგიონში კი ვითარდებოდა ის, რაც იყო დიალექტიკურ-იურიდიული, რამაც, არსებითად, დაბადა სახელმწიფოებრიობის იდეა, ვინაიდან სწორედ სახელმწიფო იყო ამისთვის შესაფერისი ობიექტი. გენიალურმა მოაზროვნებმა – ფიხტემ, შელინგმა და ჰეგელმა, უდიდესი პათოსით შექმნეს ცენტრალიზებული სახელმწიფოს კონსტიტუცია. თუმცა, დასავლეთში აღმოცენდა კულტურა, დაკავშირებული მსგავს მშვინვიერ წეობასთან, როცა „მე“ მუშაობს (წაფლულია) და მოქმედებს აზროვნების, გრძნობისა და ნებელობის დონეზე დაბლა და როცა ასოციაციის პრინციპი დომინირებს წარმოდგენებისა და ემოციური ცხოვრების სფეროში. მსგავსი სახის წარმოდგენები შეიძლება, მიმართული იყოს უმუალოდ სამეცნიერო ცხოვრებაზე. სწორედ იქ არის მათი ადგილი. დიდი შეცდომა იყო თავდაპირველად მათი მიმართვა რაღაც სხვაზე, სამეცნიერო ცხოვრების გარდა, სადაც არის მათი სიდიადისა და გენიალურობის ადგილი. თუ სპენსერი, ან ჯონ სტიურტ მილი ანდა დევიდ იუმი თავიანთ ენერგიას მიმართავდნენ არა ფი-

ლოსოფიისკენ, არამედ სამეურნეო ცხოვრების მოწყობისკენ, მაშინ წარმოიქმნებოდა რაღაც დიადი. შეუ ევროპის ბინადრები რომ შეეზღუდათ და თავიანთი ბუნებრივი ნიჭი გამოეყენებინათ მარტოდენ სახელმწიფოს მოწყობისთვის, ამასთან არ ჰქონოდათ მისწრაფება სულიერი ცხოვრების განვითარებისკენ და აეგოთ სამეურნეო ცხოვრება, მაშინ ამისგან გამოვიდოდა რაღაც დიადი. ვინაიდან ჰეგელისა და ფიხტეს ნიჭი რომ დარჩენილიყო იურიდიულ-სახელმწიფოებრივ ჩარჩოში, რომელიც ჩვენ, სოციალური ორგანიზმების სამწევრიანობა ზე\* ჩვენს მოძღვრებაში გამოვყავით, როგორც სახელმწიფო ორგანიზმის ავტონომიური სფერო, ამას შეეძლო კაცობრიობა მიეყვანა რაღაც დიადამდე. მაგრამ იმის გამო, რომ ამ მოაზროვნებმა გაფლანგეს ის, რაც უნდა მიემართოთ სახელმწიფოს მოწყობაზე, რომელშიც, თავის მხრივ, ჩართული უნდა ყოფილიყო სამეურნეო და სულიერი ცხოვრებაც, სინამდვილეში წარმოიქმნა რაღაც კარიკატურა ნამდვილი სახელმწიფო წარმონაქმნის ადგილზე. ხოლო სულიერი ცხოვრება საერთოდ შენარჩუნდა მხოლოდ უძველესი აღმოსავლეთის მემკვიდრეობის სახით. თუმცა, ადამიანებმა არ იციან, რომ ჯერ კიდევ ცხოვრობენ ძველი აღმოსავლეთის ამ მემკვიდრეობით. რას წარმოადგენს, მაგ., ქრისტიანული თეოლოგიის განსხვავებული შეხედულებები და ჯერ კიდევ რა არის, არსებითად, ჩვენი მატერიალური მეცნიერების განსხვავებული წარმოლგენები? ეს არის ან ძველი აღმოსავლეთის მემკვიდრეობა, ანდა იურიდიულ-დიალექტიკური აზროვნების შეცვლილი ტყავი, ან ასევე, როგორც სპენსერთან და მილლანთან, დასავლური კულტურიდან გადმოღება იმისა, რაც ხელსაჯრელია უშუალოდ სამეურნეო ცხოვრებისთვის.

ამდენად, უძველესი აღმოსავლეთისთვის დამახასიათებელი სულიერი აზროვნება მთელ დადამიწაზე გავრცელდა, მაგრამ ინსტინქტურად აღიქვეს ის, რაც თანამედროვეობისთვის გამოუსადეგარი აღმოჩნდა, ვინაიდან დიალექტიკურ-სახელმწიფოებრივი აზროვნება, რომელიც დასრულდა სწორედ ამჟამინდელი მსოფლიო კატასტროფით, ახლა დაცემის მდგომარეობაშია. ამასთან ცოტა გინმე თუ იყო კიდევ ისეთივე შეუწყობელი სამეურნეო აზროვნებასთან, როგორც ფიხტეს, შელინგისა და ჰეგელის მიმდევრები. და როცა მათ ხელი მოჰკიდეს სახელმწიფო მოწყობას იმ ვარაუდით, რომ გრანდიოზულ წარმატებებს მიაღწევდნენ, უპირველეს ყოვლისა, მეურნეობრიობის სარბიელზე, თავისთავად ცხადია, მათ

უკან დაიხიეს, რამდენადაც ამისთვის არ ჰქონდათ შესაბამისი ბუნებრივი ნიჭი. კაცობრიობის ისტორიული განვითარების მსვლელობაში სულიერი აზროვნება, სახელმწიფო ებრივ-პოლიტიკური აზროვნება, სამეურნეო აზროვნება გავრცელდა აღმოსავლეთში, შეა ეპროპაში, დასავლეთში. ახლა კი ჩვენ მივუახლოვდით კაცობრიობის განვითარების იმ მოქნებს, როცა მთელი კაცობრიობა თანხმობით, ერთიანი თანხმობით უნდა მივიდეს ზემოთქმულის წვდომამდე. როგორ შეიძლება ეს მოხდეს?

ეს შეიძლება მოხდეს ინიციაციის კულტურის, ახალი სულიერი ცხოვრების საფუძველზე, რომელიც თავისუფალია ცალმხრივი განვითარების ნაკლოვანებისაგან, რამდენადაც მოიცავს დედამიწის ოგიონებს, რომელიც თავისთავად ისედაც დანაწევრებულია სამ სფეროდ, ეს კი რეალურად ითვალისწინებს სოციალური ორგანიზმის სტრუქტურის სამწევრიანობას, განაზოგადებს რა ყველაფერს, რაც დედამიწაზეა გავრცელებული. ამისთვის საკმარისი არაა მხოლოდ ბუნებრივი მიღრეკილებები, აქ საჭიროა დავეყრდნოთ იმ სფეროების სულიერ განჭვრებას, რომლებიც ნამდვილად შეიძლება განიცადო, როგორც სულიერი ცხოვრების, სახელმწიფო თუ პოლიტიკური საქმიანობისა და სამეურნეო აქტივობის ავტონომიური სფეროები. სწორედ ეს წარმოადგენს დედამიწაზე ყველა ადამიანის ერთიანობის საფუძველს, რაც შესაძლებელი იქნება მაშინ, როცა სამ სფეროდ გაყოფილი, გაერთიანდება თავად ადამიანში და როცა იგი თავად ისე ჩამოაყალიბებს სოციალურ ორგანიზმს, რომ უშუალოდ მის სიახლოებს მომხდარი შეიძლება ჰარმონიაში იმყოფებოდეს. ამის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ სულისმეცნიერული განსწავლით. და აქ ჩვენ ვდგავართ იმ ადგილას, როცა შეგვიძლია, ვთქათ: უძველეს დროში ცალკეული პიროვნებები აუწევებდნენ იმას, რაც აღბეჭდილია ეპოქის სულის მიერ. ჩვენ თუ უურადდებით გამოვიკვლევთ ამ მოვლენას, – მაგ., აღმოსავლურ კულტურაში, – მაშინ აღმოვაჩენთ, რომ ხალხის მასების მშვინვიერი წყობა, არსებითად, ყოველთვის ინსტინქტურად იმყოფებოდა რაღაც უცნაურ, თავისთავად ცხად რეზონანსში იმასთან, რასაც გამოთქვამდნენ ეს ცალკეული პიროვნებები.

მაგრამ ასეთი ურთიერთქმედება სულ უფრო მეტად და მეტად ქრებოდა. ჩვენს დროში თავს იჩენს მეორე უკიდურესობა. ხალხის მასებს აქვთ ინსტინქტები, რომელიც ეწინააღმდეგება

იმას, რაც კაცობრიობისთვის სიკეთის მომტანია. ეს კი, თავის მხრივ, იწვევს მოთხოვნილებას ცალკეულ პიროვნებებში, რომელთაც სულისმეცნიერების საფუძველზე უნარი აქვთ შეიჭრან სულიერი სამყაროს სიღრმეებში. ინსტინქტებს არ მოაქვთ კეთილდღეობა, აქ აუცილებელია გაგება, ამაზე ხშირად მიუთითებდა დოქტორი კარლ უნგერი\*, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, გაუგოს სულისმკვლევარს, თუ დაეყრდნობა ჯანსაღ ადამიანურ განცდას. მხოლოდ ასეთ პირობებში წარმოიქმნება კულტურა, რომელშიც განსაკუთრებით ფასდებიან ცალკეული ინდივიდუალები, თავიანთი ღრმა შეჭრით სულიერი სამყაროს შინაგან პლასტებში, კულტურა, რომელშიც სულიერ სამყაროში შეჭრის უნარის მქონე ადამიანები ფასდებიან იმათ მსგავსად, რომლებიც ხელით მუშაობენ. მკერავს ეკითხებიან ტანსაცმლის შესახებ, ხარაზს – ფეხსაცმელზე, მაშ, რატომ არ შეიძლება მსოფლმხედველობაზე შეეკითხოთ მათ, ვინც ამის მცოდნება? სწორედ ეს არის თანამედროვეობის სასიცოცხლო მოთხოვნილება, თუმცა სინამდვილეში ეს არის რეაქცია, რომელიც ადასტურებს, რომ კაცობრიობა ჯიუტად ეწინააღმდეგება იმას, რაც მისთვის სასიკეთოა. ეს არის საშინელი, სერიოზული ბრძოლა, რომელსაც ვერ გავექცევით.

ჯერ არ ყოფილა ისეთი მწვავე პერიოდი, როცა ასე აუცილებელი იყო, უური ეგდოოთ სპეციალისტების აზრისთვის ამა თუ იმ სფეროში. ამასთან საუბარია არა ბრმა რწმენაზე ავტორიტეტებისადმი, არამედ მხოლოდ იმის გონიერ გაგებაზე, რომ სოციალური ცხოვრება, ეს არის მოღვაწეობის არენა ყვალდა იმათვეს, ვინც პროფესიულად ფლობს თავის სფეროს. თავიდან ამას ეწინააღმდეგება ინსტინქტები და გაბატონებულია რწმენა, რომ საყოველთაო ნიველირებიდან შეიძლება წარმოიქმნას რადაც სიკეთის მომტანი. ადგილი აქვს სერიოზულ შეჯახებას და ჩვენ ყველანი ვმონაწილეობთ მასში. აქ ვერ გვიშველის სიმპათია, ანტიპათია და ვერც ლოზუნგები; აქ აუცილებელია მოვლენათა ფაქტობრივი მდგომარეობის საღი აღიარება. ვინაიდან დღესდღეობით გადამწყვეტია მნიშვნელოვანი კითხვა, – ვინ ქმნის ფონს საზოგადოებაში – პიროვნებები თუ მასები. სხვა დროებისთვის ამ კითხვას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვინაიდან მასები და ცალკეული პიროვნებები ჰარმონიულად ურთიერთობდნენ; პიროვნებები, თითქოსდა, მასების წარმომადგენლები და მათი იმედების გამომხატვები

ლები იყვნენ. მაგრამ ჩვენ სულ უფრო ვუახლოვდებით იმ დროს, როცა თითოეულმა თავად უნდა ეძებოს თავის თავში წყარო იმისა, რისკენ ისტრაფვის იგი და რის შეტანას ისურვებს სოციალურ ცხოვრებაში. ხოლო დღეს გამოვლენილი რეაქცია, ეს არის მხოლოდ ნარჩენი წინააღმდეგობა სოციალურ ცხოვრებაზე ინდივიდუალობების უფრო მზარდი გავლენისა და თანამედროვე ისტორიაში მათი ჰქონდა როლის აღიარებისადმი. ადვილად დარწმუნდებით, რომ სოციალური ცხოვრების საკვანძო პროცესებში ყველგან ვლინდება ის, რაზეც სულისმეცნიერება საუბრობს. ჩვენ ვსაუბრობთ სამეცნიერო ცხოვრებაში ეკონომიკური ასოციაციების აუცილებლობაზე და ამისთვის გვესაჭიროება განსაზღვრული აზრობრივი მიღვომა. და აი, სწორედ დასაგლეთის კულტურაში განვითარდა აზროვნების პრინციპი, რომელიც ექვემდებარება ასოციაციების იდეის კანონებს. თუ ავიდებთ იმას, რასაც ჯონ სტიუარტ მილლი აკეთებს ფილოსოფიის სფეროში ლოგიკის დახმარებით და მისი აზრების მსვლელობას მივმართავთ სამეცნიერო ცხოვრებაზე, მაშინ ის იოლად ჩაეწერება მასში, ვინაიდან ფსიქოლოგიისთვის გამოუსადეგარი ასოციაციის იდეები სწორედ იქ იპოვიდნენ შესაფერის ადგილს ეკონომიკური ასოციაციების მოწყობისას. სულისმეცნიერება მისდევს სწორედ რეალობას, იქამდე, რომ ითვალისწინებს მსგავს სოციალურ უენომენებს.

ამიტომაც აცნობიერებს სულისმეცნიერება მთელი სერიოზულობით თანამედროვე მსოფლიოს სიტუაციას, ვინაიდან იცის, როგორი ბრძოლაა გაჩადებული იმათ შორის, რაც მომდინარეობს სულისმეცნიერებიდან სამწევრიანობის სოციალური იმპულსის სახით და რაც უპირისპირდება ამ სამწევრიანობას, როგორც ბოლშევიკური ნაკადი, რომელსაც მხოლოდ იმის უნარი აქვს, რომ კაცობრიობა ჩააგდოს უბედურების მორევში. მესამე უბრალოდ არ არსებობს. ბრძოლა უნდა მოხდეს ამ ორ მოწინააღმდეგებებს შორის. ამის დანახვა უნდა შეგეძლოს. ყველა დანარჩენი უკვე დაეცა. ვინც მიუკერძოებლად აკვირდება სოციალურ სიტუაციას, რომელშიც ვიმუოვებით, მან უნდა უთხრას საკუთარ თავს, რომ დღეს აუცილებელია მოვიკრიბოთ მთელი ძალა, რათა დავიცვათ თავი საშინელი არიმანული საშიშროებისაგან, რომელიც ემუქრება სულიერ კულტურას.

მეორე ლექცია  
დორნახი, 1920 წლის 22 ოქტომბერი

XV საუკუნიდან დაწყებული ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ცი-  
ვილიზებული კაცობრიობის განვითარებაში დადგა დრო, რო-  
ცა ამა თუ იმ დოზით უფრო და უფრო მაღალ საფეხურზე  
უნდა აეყვანათ სწორედ ადამიანური ინდივიდუალობა თავისი  
მეცნობიერების მთელი სისავსით. მსგავსი ინდივიდუალური  
მეცნობიერების განვითარებასთან დაკავშირებული ძალები  
სულ უფრო იზრდებოდა და ცხოვრების ყველა მოვლენა ზო-  
გადი შერისებით ინდივიდუალობის განვითარების ნიშნით  
მიმდინარეობდა. თუმცა, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ის,  
რაც მოდის სულიერი სამყაროებიდან და ზემოქმედებს ჩვენს  
ფიზიკურ სხეულებზე, ისეთ მიმართულებას იძენს, რომ ადა-  
მიანური ინდივიდუალობა თავის ლირებულების ასახვას პოუ-  
ლობს მთლიანად კაცობრიობაში. ვინაიდან საქმე ის კი არ  
არის, რომ ზოგიერთმა ადამიანმა ეგოისტურად იფიქროს –  
ჩვენ გავხდით ინდივიდები, არამედ ის, რომ საერთო საკაცობ-  
რიო განვითარების მოცემულ ეტაპზე იზრდება ინდივიდუა-  
ლური საწყისის როლი თითოეულ ადამიანში. ნებისმიერი  
ეპოქა, ნებისმიერი პერიოდი კაცობრიობის განვითარებაში, –  
მას შემდეგ, რაც გამოიკვეთა ესა თუ ის თვისება, – აღინიშ-  
ნება ამა თუ იმ თავისებურებებით; ჩვენი დროის თავისებურე-  
ბას კი წარმოადგენს ინდივიდუალობის განვითარება. ეს თა-  
ვისებურებები ადამიანის ემოციაში განსხვავებულად ინერგე-  
ბა, გამომდინარე იქიდან, როგორ იჭრებიან სულიერი ძალები  
კაცობრიობის ფიზიკურ მიწიერ ცხოვრებაში. თუმცა ჩვენს  
დროში ცალკეულ ადამიანში გამოვლენილი ჩაკეტილობის,  
გამიჯვნისა და განცალკევებულობის გამო, – ახლა კი თავი-  
სი თავი უნდა გამოვლინოს ინდივიდუალობამ და განვითარ-  
დეს სრული მეცნობიერება, სადაც თითქოსდა ჩანს ცნობიე-  
რი სამშვინველის კონტურები, გაერთიანებული თავის თავში,  
– ჩვენი ეპოქის თავისებურებები სულაც არ არის ისეთი, რო-  
გორც იყო ადრე, იმ ეპოქებში, რომლებიც იმართებოდა სუ-  
ლიერი სამყაროდან, არამედ კაცობრიობის ეფოლუციის  
მსვლელობის დროს ზედაპირზე ამოდის სრულიად განსაკუთ-  
რებული მოვლენები. ხოლო ადამიანს, რომელიც საკუთარი

ინდივიდუალობის განვითარების წყალობით სულ უფრო მეტად იძენს თავისუფლების ჩვევებს, ასევე უნდა ეჭიროს სულ უფრო მეტად გაცნობიერებული პოზიცია თავის გარშემო მომხდართან დაკავშირებით. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება სოციალური ცხოვრების მოწყობას იმის გამო, რომ მას უპირისპირდება ცნობიერი სამშვინველის ენერგიული ეგოისტური ძალები, რომლებიც ამა თუ იმ დოზით ამოიზიდება ყოფიერების იდუმალი სიღრმეებიდან; ეს სოციალური ცხოვრება კი, ჩვენი თვალსაზრისით, უნდა ეფუძნებოდეს ღრმა შინაგან საფუძვლებს. ამდენად, ერთი მხრივ, სახეზეა ცნობიერი სამშვინველის ენერგიული ეგოისტური ძალები, ხოლო მეორე მხრივ, პარალელურად ამოზრდილი აუცილებლობა, რომ ცნობიერად მოწყოს სოციალური ცხოვრება; ჩვენ უნდა გვქონდეს გაცნობიერებული პოზიცია სოციალური თანაცხოვრების ყველა მოთხოვნასთან დაკავშირებით. ბოლო დროს ჩვენ სხვადასხვა კუთხით გავაშუქეთ დასავლეთის ადამიანის პოზიცია განვითარების თვალსაზრისით და შევადარეთ ის შუა ევროპელის პოზიციას, ასევე აღმოსავლეთის ადამიანის პოზიციას. ჩვენ სხვადასხვა კუთხით განვიხილეთ\*, არსებითად, რით განსხვავდება ეს პოზიციები, რომლებიც ჩვენს დროში დამახასიათებელია აღმოსავლეთის, შუა ევროპისა და დასავლეთის ადამიანისთვის. ახლა მე მსურს, თქვენი ყურადღება მივაპყრო ერთ მოვლენაზე, რომელსაც შეუძლია უკვე გარეგნულად გვაჩვენოს, როგორ ვლინდება ეს განსხვავებები მთელ ცივილიზებულ სამყაროში.

ჩვენ ვიცით, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერული აზროვნების სახის გავლენით სოციალურ ცხოვრებაში წარმოიქმნა სპეციფიკური მსოფლმხედველობა, რომელიც განსაკუთრებით გავრცელდა პროლეტარიატის ფართო მასების წრეში, გარკვეული შეხედულება ცხოვრებაზე, რომელიც გამოვლინდა ინდუსტრიალიზაციის ეპოქაში, ჩვენს ინტელექტუალურ ეპოქაში. ყველაფერი, რაც უკავშირდება ამ სოციალურ პრობლემატიკას, მე წარმოვადგინე ჩემი წიგნის – „სოციალური საკითხის არსობრივი პუნქტები“, პირველ ნაწილში. დღეს მხოლოდ მოგნიშნავ მოსახლეობის ფართო მასების შეხედულებებში არსებულ განსხვავებას სოციალურ ცხოვრებაზე. მაშინ ჩვენთვის ნათელი გახდება განსხვავებული სოციალური შეხედულებები,

რომლებიც არსებობს, ვთქვათ, პროლეტარებს შორის, ამასთან ის, თავის მხრივ, აისახება მოსახლეობის სხვა ფენებზეც. ჩვენ შეგვიძლია ასევე სრულიად მკაფიოდ დაგინახოთ მრავალმხრივი შეხედულება ცხოვრებაზე, რაც დამახასიათებელია მოსახლეობის სხვა ფენებისთვის დასავლეთის, კერძოდ, ანგლოსაქსური ქვეყნებისთვის. ამ ქვეყნებში ხომ თანამედროვე მანქანებისა და ინდუსტრიის ეპოქაში, რომელიც ასე სწრაფად ვითარდება, პროლეტარების ფართო მასებს შორის ჩამოყალიბდა არა მარტო მატერიალისტური მსოფლმხედველობა, არამედ ასევე მისი მემკვიდრეობის სახით, გამომუშავდა ცხოვრებისადმი ჩვენ მიერ აქ არაერთხელ დახასიათებული მატერიალისტური მიღვომა, რომელიც იშვა მოსახლეობის სხვა კლასების მატერიალიზმით. ამასთან, ეს სოციალისტური მსოფლმხედველობა მთლიანად ფორმირდება სამეურნეო ბრძოლის ნიშნით, რომელიც განმსჭვალულია უშუალოდ სამეურნეო წარმოდგენებით, სამეურნეო იდეებითა და კონფლიქტებით, რომელთაც ცოტა რამ აქვთ საერთო მსოფლმხედველობრივ ბრძოლასთან. აი, რა ხდება ანგლოსაქსური დასავლეთის სოციალისტურ სამყაროში. რამდენადაც საკუთრივ სამეურნეო ცხოვრება იქ წარმოადგენს, ზოგადად, საზოგადოებრივი ცხოვრების ხასიათს, ამიტომ სოციალიზმის იმპულსები ჩაინერგა ანგლოსაქსური მოსახლეობის პროლეტარულ წრეში.

თანამედროვე დასავლეთისთვის მთლიანად დამახასიათებელია ის, რაც ვლინდება, მაგ., საგაფიცვო მოძრაობის მასშტაბურ მამოძრავებელ იმპულსებში. მაშინაც, როცა ასეთ სოციალურ კონფლიქტებში მხარეებს შორის დგება მშვიდობა, ეს მაინც მოჩვენებითია. ძალზე მნიშვნელოვანი გავლენები ქრება სწორედ იმისგან, რაც ამ ბრძოლაში სიღრმისეული ძალების დონეზე ხორციელდება. მართალია, დასავლეთის ზოგადი მდგრმარეობა მთლიანად ვერ გამოხატავს სწრაფვას ამ იმპულსებისკენ, მაინც, შეიძლება, მკაფიოდ ვიგრძნოთ, რომ მასში მამოძრავებელ ძალებს იდებს ყველა სასიცოცხლო შეხედულება, რომელიც იქ ყალიბდება ან უკვე იყო ჩამოყალიბებული უკანასკნელ პერიოდში.

კარლ მარქსი\*, მიუხედავად იმისა, რომ დაიბადა შუა ეპროპაში და აზროვნებდა შუა ეპროპისთვის დამახასიათებელ დონეზე, იძულებული გახდა გადასულიყო ინგლისში, რათა

სწორედ იქ აღექვა ეს იმპულსები. მაგრამ თავისი აღქმული მან გარდაქმნა გარკვეულ ცხოვრებისეულ შეხედულებად. თითქოს მარქსიზმი ორგორც ცხოვრებისეული შეხედულება, ყველაზე ნაკლებად შეიძლებოდა წარმოქმნილიყო გარეგნულად დასავლეთის ქვეყნებში. ცხოვრებისეული შეხედულების სახით ის გარეგნულად შეიძლებოდა აღმოცენებულიყო მხოლოდ შუა ევროპაში. იქ სოციალ-დემოკრატიულმა იდეებმა მთლიანად მიიღო ცხოვრებისეული შეხედულების ხასიათი. ის, რაც დასავლეთში წარმოადგენს ეკონომიკურ იმპულსს, რომელსაც მიჰყავს ეკონომიკურ ბრძოლამდე, შუა ევროპაში არსებობდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში, რომელიც XX საუკუნის დასაწყისიდან გადავიდა იურიდიულ-სახელმწიფო-ებრივ ფორმაში, ცხოვრებაზე ზემოხსენებულის მსგავსი მარქსისტული შეხედულებების სახით. ამან იქ მოიცვა მოსახლეობის ფართო მასები. ის გადაწვდა აგრეთვე აღმოსავლეთსაც, იმ მხარეებს, სადაც უკვე რადაც აღმოსავლურ იერს იძენს. იქაც ის ასევე შეცვლილი ფორმით განიცდება. ე. ი. ის, რაც დასავლეთში წარმოადგენს ეკონომიკურს, შუა ევროპაში სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურია; აღმოსავლეთში კი იძენს მკაფიოდ გამოხატულ რელიგიურ ხასიათს. რომ არ დაემალათ ჸეტრე დიდის\* რეფორმები, ჩვენს დროში კი ლუნინთან\* და ტრიცკისთან\* დაკავშირებული რეფორმები, რომლებიც წარმოადგენდა უცხოს, უცხოურს, როგორც მთლიანად ბოლშევიზმი იმპორტს, მაშინ შეიძლებოდა კიდევ უფრო მკაფიოდ განგვჭვრიტა, რომ ამ ბოლშევიზმში უპაე ჩვენს დროში დადი დოზით ძევს რელიგიური ელემენტი, რომელიც, მართალია, თავისი არსით მთლიანად მატერიალისტურია, მაგრამ მოქმედებს წარსულის რელიგიური იმპულსების ძალით და ასევე იმოქმედებს შემდგომშიც. მისი უსაშინელესი საწყისი გამოვლინდება სწორედ იმ პუთხით, რომ ის იმოქმედებს თითქმის მთელ აზიაში წმინდა რელიგიური იმპულსის საქვეყნო ტრიუმფით. დასავლეთში სოციალურ ფონს ქმნის ეკონომიკა, შუა ევროპაში – სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური საწყისი, ხოლო რელიგიური პათოსით სოციალური ცხოვრება მოქმედებს უკვე რუსეთში და სულ უფრო გავრცელდება აღმოსავლეთისკენ, აზიის მიმართულებით. ამ იმპულსებთან შედარებით, რომლებიც მსჯვალავენ კაცობრიობის განვითარებას,

ბევრი სხვა რამ ძალზე უმნიშვნელოდ მოგვეჩვენება. და ვინც ისეთ მოვლენებში, როგორიცაა ინგლისელი მაღაროელების ამჟამინდელი გაფიცვა, ვერ ხედავს რაღაც სიმპტომურად მრავალმნიშვნელოვანს, მას საერთოდ არ ესმის პრიორიტეტები სიღრმისეული ძალებისა, რომლებიც მთლიანად ზემოქმედებენ ჩვენი ეპოქის განვითარებაზე.

ყოველივე იმას, რაც მსგავსი სახით აღიწერება გარეგნულად, თავისი ღრმა საფუძველი აქვს, საბოლოოდ კი ამ მოვლენების ფესვები გადგმულია სულიერ სამყაროში. ადამიანის დღევანდელი ცხოვრების წვდომა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა გააცნობიერებენ ამ სამგვარობას, ამ დაყოფას – კონტინუურ ცხოვრებას დასავლეთში, იურიდიულ და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივს შეუა ევროპაში, აღმოსავლეთში კი – რელიგიურ ელემენტს, იმ სულიერ ელემენტს, რომელსაც, არსებითად, თან ახლავს რელიგიური ელფერი, მაგრამ მისი სულიერი შინაარსი ისეთია, რომ შეიძლება განიცადონ მხოლოდ იქ, დეგრადირებად აღმოსავლეთში. ეს ყველაფერი იმდენად აშკარაა, რომ შეიძლება ითქვას: დასავლეთისთვის ნატურალურია ყოველივე ის, რაც უკავშირდება ეკონომიკას და ეს განუხრელად ხორციელდება პრაქტიკულ ცხოვრებაში; შეუა ევროპისთვის ეს ვერანაირ წარმატებას ვერ მოიგანს, ვინაიდან მასში ნებისმიერი წმინდა ეკონომიკური მისწრაფება მაშინვე იძენს სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ელფერს; ხოლო გრანდიოზული გარეგნული ჩავარდნები აღმოსავლეთ ევროპაში წარმოიქმნება ტრადიციის შედეგად, რომელსაც საფუძველი დაედო ჯერ კოდევ პეტრე დიდის დროიდან: ყველაფერი, რაც იღვრება სულიერ-რელიგიური იმპულსიდან, – პანსლავიზმი, სლავოფილობა, – იქ იძენს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ ხასიათს, რის გამოცხდება სწორედ ის კოშმარები, რომელსაც ჩვენ ვაკვირდებით ეპროპულ აღმოსავლეთში. ამ სახელმწიფოებრიობის უკან, რომელმაც თავისი დაღი დაასვა ყველა მისწრაფებებს პეტრე დიდის დროიდან, არსებითად, მუდმივად იმალება სულიერი ტენდენცია ბიზანტიის გაგრძელებისა, იმალება სწორედ ბიზანტიური რელიგიურობა და ამის მსგავსი. იქაური ისტორიული ცხოვრების თვით ცალკეული მოვლენებიც საჭიროა განვიხილოთ სწორედ ამ ჭრილში. შეიძლება ითქვას: გარკვეული თვალსაზრისით ევროპული რეგიონები, ევროპის დასავლეთის ოლქების

ჩათვლით, ასევე საფრანგეთიც, მივაკუთვნოთ შუა ევროპას, ვინაიდან წმინდა დასავლეთის რეგიონის სენატის, არსებითად, დამახასიათებელია ანგლოსაქსების სული, რომელიც მათ უბიძგებს, დაემორჩილონ მხოლოდ და მხოლოდ თავიანთ ბუნებრივ ინსტინქტებს. უკანასკნელი სამი-ოთხი ასწლეულების განმავლობაში ამ სულს შემოაქვს მთელი კაცობრიობის კანონზომიერი ევრლუციური იმპულსები და განვითარება. და ამ იმპულსების წყალობით სწორედ დასავლეთში აზროვნების საბუნებისმეტყველო მეცნიერული სახე თავისი მიღწევებით ასე წარმატებით ახვევს სოციალურ ცხოვრებას საკუთარ თვისებებს. სწორედ აზროვნების ასეთი სახის შეხამება ანგლოსაქსურ ხასიათთან გახდა კიდეც მიზეზი მათი ამჟამინდელი მსოფლიო ბატონობისა. საბუნებისმეტყველო მეცნიერული აზროვნებისა და ანგლოსაქსების პრაქტიკული ხასიათის ერთმანეთთან შეერწყმის წყალობით წარმოიქმნა ყოველივე ის, რამაც თანამედროვე მეცნიერებაზე დაყრდნობით ბრწყინვალე მიღწევებამდე მიიყვანა სატრანსპორტო საშუალებების განვითარება, ვაჭრობა, ინდუსტრია, ეკონომიკური, რამაც გამოიწვია მასშტაბური კოლონიზაცია. ეს კი ლრმად არის ჩაღებული დასვლეთის ინსტინქტებში. შეიძლება მივუთითოთ თანამედროვე ისტორიული განვითარების საჯვანძო მომენტზე, 1651 წელზე, როცა გენიალურმა კრომველმა თავისი ნავიგაციური აქტით\* დასაბამი დაუდო ძალითა ახალ კონფიგურაციას ინგლისურ ზღვაოსნობაში და მთელ ინგლისურ ვაჭრობაში, რომელიც გახდა კიდეც დასავლეთის შემდგომი განვითარების ნაყოფიერი საფუძველი. ასევე შეიძლება გავისენოთ, რომ ფრანგულმა ნაოსნობამ გარეგნულად გაურკვეველი გარემოებების ძალით უზარმაზარი ზარალი განიცადა იმ დროს, როდესაც ამობრწყინდა ნაპოლეონის გარსკვლავი\*. დასავლეთში მომხდარი განპირობებული იყო სწორედ პროგრესულ ძალთა მიმართულებით, რომელიც ჩადებულია კაცობრიობის ევრლუციაში. ეს ყველაფერი განისაზღვრებოდა ეკონომიკური წარმოდგენების იმპულსებით. იფილტრებოდა ყველაფერი, რაც მოდიოდა შუა ევროპიდან, ის ყველაფერი, რასაც იაზრებდნენ არა ეკონომიკური თვალსაზრისით, ეყრდნობოდა იურიდიულ პოლიტიკურ-მილიტარისტულ პრინციპებს. ამის მკაფიო მაგალითს წარმოადგენს ისტორია იმისა, კრომველის ნავიგაციურ აქტებს როგორ დაუპირისპირა ნაპოლეონმა თავისი კონტინენტური

რი ბლოკადა, ევროპული კონტინენტისთვის დამახასიათებელი პოლიტიკურ-მილიტარისტული შეხედულებებიდან გამომდინარე. ნავიგაციური აქტი ჩაფიქრებული იყო და ხორციელდებოდა ეკონომიკურ ინსტინქტებთან მკაცრი შესაბამისობით. ხოლო ნაპოლეონის კონტინენტურ ბლოკადას XIX საუკუნის დასაწყისში პეტრები წმინდა პოლიტიკური სარჩული; მაგრამ ახლა წმინდა პოლიტიკური კონცეფცია, ეს არის რადაცის გადატანა ძველი დროიდან ახალ დროში, ეს არის რადაც ანტიკვარული და ფაქტობრივად ანაქრონიზმს წარმოადგენს. ამიტომ მოძველებულ პოლიტიკურ კონცეფციას არ შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია ახალი კონცეფციისთვის, რომელიც გამომდინარეობს ნავიგაციური აქტიდან. პირიქით, მას არ შეეძლო მოქსდინა მავნე ზემოქმედება დასავლეთზე, სადაც ახალი დროის სულისკვეთებით ბატონობდა ეკონომიკური კონცეფცია, მეტიც – საზიანო პოლიტიკური კონცეფცია.

შევაფასოთ ის ფაქტი, რომ შუა ევროპულმა ქვეყანამ საფრანგეთმა მოახდინა ჩრდილოეთ ამერიკის კოლონიები, ინგლისმა იქ დაკარგა თავისი კოლონიები, კოლონიებმა მოიპოვეს დამოუკიდებლობა. ფრანგული კოლონიზაცია XVIII საუკუნეში იყო პოლიტიკური ქმედება და ის აღმოჩნდა უშედეგო. ხოლო ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური კოლონიზაცია მთლიანად ეფუძნებოდა ეკონომიკური იმპულსებს. პოლიტიკური შეიძლებოდა კვლავ დაღუპულიყო. ჩრდილოეთ ამერიკამ დამოუკიდებლობა მოიპოვა. პოლიტიკურმა კავშირმა შემდგომში არსებობა ვერ შეძლო. თუმცა, ეკონომიკურმა კავშირებმა გაუძლო.

ასე დანაწევრდება ადამიანურ განვითარებაში ვითარებები ერთიანი ძალებით. ჩვენ სავსებით შეგვიძლია ვთქვათ: ისტორიაში ასევე ვლინდება, რომ ორი თუ აკეთებს ერთსა და იმავეს, ეს არ არის ერთი და იგივე. როდესაც კრომველი, ეკონომიკური იმპულსებიდან გამომდინარე, შესაფერის დროს გამოსცემდა თავის უჩვეულოდ ტირანულ, შეიძლება ითქვას, სასტიკ ნავიგაციურ აქტს, მაშინ, ეს აქტი, მიუხედავად ამისა, წარმოადგენდა ეკონომიკური აზროვნების ნაყოფს. ხოლო, როდესაც ტირპტცი\* განვითარების ახალ პერიოდში იწყებდა და ქმნიდა გერმანულ ნაოსნობას, გერმანულ საზღვაო ფლოტს, ის წყვეტდა წმინდა პოლიტიკურ ამოცანას, აზროვნებდა პოლიტიკურად, ეკონომიკური იმპულსის უმნიშვნელო ჩარევის გარეშე, მთელი ეკონომიკურ

რი ინსტინქტების საპირისპიროდ. მსგავსი მაგალითები საშუალებას გვაძლევს ცალკეულ ისტორიულ მოვლენებზე ვაჩვენოთ ისტორიულად ჩამოყალიბებული სამწევრიანობის არსებობა: აღმოსავლეთში ჩვენ გვაქვს რაღაც, რასაც სულიერი ელფერი დაჟრავს, მაგრამ დაცემის სტადიაშია, ამით ის მიუთითებს თავისი განვითარების უძველეს დროზე, ხოლო შუა ევროპაში რაღაც, რაც უკვე მოძველებულია, რომელმაც ამა თუ იმ დოზით შეიძინა პოლიტიკურ-იურიდიულ-მილიტარისტული, სახელმწიფოებრივი ფორმა. დასავლეთში კი – ეკონომიკური აზროვნების სრულიად ცხადი უპირატესობა პოლიტიკურზე, რომელსაც არა აქვს რეალური მნიშვნელობა, რამდენადაც სახელმწიფო იქ წარმოადგენს მარტოდენ დეკორაციას. ჩვენს დროში გერმანია მივიდა დაცემის იმ მდგომარეობამდე, როცა სახელმწიფომ შთანთქა ეკონომიკა და ინდუსტრია, კომერცია კი წავიდა ფსკერისკენ, როცა დაემონა სახელმწიფოს ძალას. თქვენ ხედავთ, რომ დასავლეთში არის პირიქით, სახელმწიფოს შთანთქაგს ეკონომიკური ცხოვრება და იქ ყველაფერი გაუდენოს ეკონომიკური პროცესით. გარეგნულად ასეთი დიფერენციაცია ვლინდება მთელ თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში. მაგრამ ის, რისი დანახვაც ასეთი სახით გარედან შეიძლება, წარმოადგენს მხოლოდ მცირე ნაწილს იმისა, რაც გარე ზედაპირზე ვლინდება სულიერი სამყაროს სიღრმეებიდან. მთელი სულიერი განვითარება ახალი დროისა მიმართულია იმისკენ, რომ დასავლეთში წინა პლაზმუებული წამოწიოს ინდივიდუალური საწყისი დასავლური სახით, ანუ ეკონომიკური სახით; შუა ეგროპაში კი ინდივიდუალობა აწ მოძველებული სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ-მილიტარისტული სახით; ასევე აღმოსავლეთში არანაკლებ მოძველებული მეთოდით, რომელიც ეფუძნება უძველეს, მთლიანად დეგრადირებულ სულიერებას. აი, რა გამოგვაქვს სულიერი სამყაროდან. გამოგვაქვს იმის წყალობით, რომ, როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში, – ჯერჯერობით ვისაუბროთ ამ ორ რეგიონზე, – თავს იჩენს ერთი თავისებურება, ღირსშესანიშნავი მოვლენა – იბადება წარმოუდგენლად ბევრი ადამიანი, რომლებსაც დარღვეული აქვთ ხელახალი განსხვეულებების რეგულარული, კანონზომიერი გზა.

თქვენ ხედავთ, რამდენად ძნელია საუბარი ხელახალ განსხვეულებაზე, კინაიდან შეუძლებელია მასზე საუბარი აბსტრაქ-

ტულად, როგორც დღეს უყვართ; ხელახლი განსხვაულების, რეინკარნაციის კანონი უშვებს გამონაკლისებს წესებიდან და მსგავსი პრობლემები მიუთითებს კაცობრიობის განვითარებაში მნიშვნელოვან რეალიებზე. ამდენად, ჩვენ ვხედავთ, რომ აღმოსავლეთშიც და დასავლეთშიც, შეა ევროპაზე ჩვენ ამ დღეებში კიდევ ვისაუბრებთ, იბადებიან ადამიანები, რომლებზეც შეუძლებელია ითქვას: ამ ადამიანში, ემორჩილება რა სამყაროს კანონებს, არსებობს ის ინდივიდუალობა, რომელიც მას აკავშირებს თავის წინა ცხოვრებასთან და იმის წინარე ცხოვრებასთან, ასევე იქნება მის მომდევნო და შემდგომ ცხოვრებებში. გარდასხეულება არის მაგისტრალური გეზი კაცობრიობის განვითარებაში, მაგრამ ის გამონაკლისებსაც უშვებს წესებიდან. როდესაც ჩვენ ვხედებით ადამიანს, მისი გარეგნული ადამიანური ფორმა ყოველთვის არ შეესატყვისება მის ნამდვილ არსეს, ვინაიდან გარეგნული იერი შეიძლება მხოლოდ უბრალოდ გარეგნობა იყოს. ჭეშმარიტად, ჩვენ შესაძლოა, შეგვხვდეს ადამიანები, რომლებიც, არსებითად, მხოლოდ გარეგნულად წარმოადგენენ ადამიანებს, რომლებიც ექვემდებარებიან რეგულარული რეინკარნაციის კანონს; სინამდვილეში ის მხოლოდ ადამიანური იერის შესატყვისი ფორმაა და თავის თავში შეიცავს ფიზიკურ, ეთერულ და ასტრალურ სხეულებს, ხოლო მასში სხეულდებიან სხვა არსებები, რომლებიც იყენებენ ადამიანურ გარსებს და მოქმედებენ მათი მეშვეობით თავიანთი მიზნებისთვის. და ეს სინამდვილეში ასეა. მაგ, დასავლეთში არსებობს საკმაოდ ბევრი ადამიანი, რომლებიც, არსებითად, არ წარმოადგენენ უბრალოდ გარდასხეულებულებს, ესენი არიან იმ არსებების მატარებელნი, რომლებიც ავლენენ მკაფიოდ გამოხატულ ნაადრევ ევოლუციურ მომწიფებას, ისინი კი, არსებითად, პირველად უნდა გამოჭლენილიყვნენ ადამიანურ იერში განვითარების უფრო გვიანდელ სტადიაზე. ეს არსებები ადამიანურ ორგანიზმს მთლიანად კი არ იყენებენ, არამედ დასავლეთის ადამიანში ისინი იპყრობენ უპირატესად ნივთიერებათა ცვლის სისტემას. ადამიანური ბუნების სამი შემადგენელი წევრიდან, ისინი ეუფლებიან სწორედ ნივთიერებათა ცვლის სისტემას, მოქმედებენ რა შესაფერისი ადამიანების მეშვეობით ფიზიკურ სამყაროზე. ვისაც ხელეწიფება ცხოვრების წვდომა მართებულად, მისთვის უკვე გარეგნული ნიშნებითაც ნათელია, როგორ არის მათთან საქმე. ასე, მაგ., ან-

გლოსაქსური საიდუმლო საზოგადოებების მრავალი წევრი, – მხვავხი საიდუმლო საზოგადოებების როლი ჩვენ უკვე არაურთხელ განვიხილავთ უკანასკნელ წლებში\*, – არსებითად, წარმოადგენენ ისეთი ნაადრევი ეგზისტენციების მატარებლებს, რომლებიც ზემოქმედებენ სამყაროზე გარკვეული ადამიანების ნივთიერებათა ცვლის სისტემის მეშვეობით და მოიპოვებენ სარბიელს თავისი აქტივობისთვის იმ ადამიანთა სხეულების წყალობით, რომლებმაც გადაუხვიეს ცხოვრებაში კანონზომიერი ხელახალი განსხვაულებებისაგან. ამგვარად ეკიდება მსგავსი ტიპის ადამიანებს გარკვეული სექტების ხელმძღვანელობა, ხოლო ერთი ძალზე გავრცელებული სექტის, რომელმაც დიდი აღიარება მოიპოვა დასავლეთში და რომელზეც მე აღრე მისაუბრია, წევრების უმრავლესობა შედგება ასეთი ტიპის ადამიანებისაგან. სწორედ ამგვარად იჭრება თანამედროვე ადამიანებში სრულიად სხვა სულიერება. და ძალზე მნიშვნელოვანია, ზემოთქმულის გათვალისწინებით შევძლოთ, განსაზღვრული ცხოვრებისეული პოზიცია დავიჰიროთ ამასთან მიმართებით. არ არის საჭირო, აბსტრაქტულად გვჯეროდეს, რომ ყველა ადამიანი ყველგან გამონაკლისის გარეშე, ექვემდებარება განმეორებით მიწიერ ცხოვრებებს. ეს იმის აღმნიშვნელი იქნებოდა, რომ გარეგნული სახე არ მივიჩნიოთ სწორედ ხასიათის რაღაც ნიშნად. ჭეშმარიტების კვლევა ნიშნავს შექრას რეალობის არსში, რომელიც გვატყუებს მსგავს შემთხვევებში თავისი გარეგნული სახით, ასევე იმის კონსტატაციას, რომ სხვა სახის არსებები, ვიდრე თანამედროვე ადამიანია, სხეულდებიან ადამიანურ გეშტალტში (იერ-სახეში), ითვისებენ რა ადამიანის გარკვეულ ნაწილს, კერძოდ, ნივთიერებათა ცვლის სისტემას. თუმცა, შემდეგ ისინი ასევე იჭრებიან ჩონჩხის სისტემაში, რიგმულ სისტემაში და ნერვულ-გრძნობად სისტემებში. არის ასეთი სამი სახის არსება, რომელიც ნივთიერებათა ცვლის სისტემის მეშვეობით სხეულება დასავლეთის სხვადასხვა ადამიანში.

პირველ სახეს განეკუთვნებიან ისეთი სულები, რომლებშიც განსაკუთრებით მიმზიდველია დედამიწის სტიქიური, ელემენტარული ძალები; ეს სულები მიღრეკილი არიან დედამიწის ასეთი სტიქიური ძალებისკენ და გუმანი მათ კარნახობთ: როგორ შეიძლება განსორციელდეს ოკუპაცია და კო-

ლონიზაცია, დედამიწის ბუნებრივი კლიმატური პირობების გამოყენებით, ან სავაჭრო კავშირებში შეჭრით და ა. შ.

მეორე სახის სულები ესწრაფვიან თავიანთი გავლენის სფეროს შიგნით ჩაახშონ თვითცნობიერება ადამიანისა და ხელი შეუშალონ მისი ცნობიერი სამშვინველის გახსნას. ეს სულები, ასე ვთქვათ, ეპიდემიურად ავრცელებენ თავიანთ გავლენას გარემომცველ ადამიანებზე, ამასთან ცდილობები აკეთონ ისე, რომ არავის გაუჩნდეს სურვილი, ჩასწვდნენ მათი ქმედებების ნამდვილ მიზეზს. მაგ., შეიძლება, ითქვას, რომ ეს მთლიანად და სრულიად ყალბი ანგარიში, ან მთლიანად და სრულიად ფალ-სიფიცირებული დოკუმენტი\*, რომელიც ამ დღეებში გამოქვეყნდა ოქსფორდის პროფესორების მიერ, უგუნურობამდე სიყალბით განმსჭვალული ეს დოკუმენტი, შეიძლება მივაკუთვნოთ იმ ცრუ ელგმენტარული სულების მოღვაწეობას, რომელთაც არ სურთ გაამჟღავნონ საკუთარი მიზნები, ამიტომ ამ იმპულსს ათვესებენ თავისებურ სოუსში და თავიანთ ზრახვებს ფუთავებ ლამაზი სიტყვებით, თუმცა, არსებითად, მათ მიღმა არ იმაღება არაფერი, გარდა მათი ყალბი არსისა. ამით მე არ ვამტკიცებ, რომ, შესაძლოა თავიანთ თვალში ძალზე ყოჩადი და გულმართალი, – მე მათ არ მივაწერ დირებულ არიმანულ ზრახვებს, – ეს ოქსფორდელი პროფესორები წარმოადგენენ ამგვარი ნააღრევი არსებების მატარებელთ; მაგრამ, მათთან მოწაფეობის გარეშე იქ ეს არ მომხდარა. ამდენად, ხსენებული არსებები დასავლეთში სხეულდებიან სწორედ გარკვეული ადამიანების რიტმული სისტემის შეშვეობით.

დასავლეთში მოქმედი მესამე სახის არსებები ისწრაფვიან, ადამიანები აიძულონ, დაივიწყონ თავიანთი ინდივიდუალური უნარები, – ის უნარები, რომლებიც თან მოგვაქვს ჩვენ სულიერი სამყაროებიდან, როცა ჩასახვისა და შობის შეშვეობით შემოვდივართ ფიზიკურ ყოფიერებაში და დააძალონ მათ ამათუ იმ სახით იმოქმედონ თავიანთი რაციონალურობის ტრაფარეტით. მესამე სახის ამ არსებების ამოცანაა, არ მიუშვან ადამიანები ინდივიდუალურ განვითარებამდე.

ამდენად, თუ პირველი სახის არსებები ისწრაფვიან მიწიერი ზედაპირის სტიქიური ძალებისკენ, კლიმატური თავისებურებებისკენ და ა. შ., მაშინ მეორე სახის არსებები ავლენენ განსაკუთრებულ მიღრევილებას, ჩანერგონ ადამიანებში გარ-

კვეული ფუქსაგატობა და ზედაპირულობა, გამოზარდონ არა-კეთილსინდისიერების ელემენტი, ხოლო მესამე სახის არსებები ცდილობენ, ამოძირკვონ ადამიანების ინდივიდუალური უნარები და გარდაქმნან ისინი ამა თუ იმ სახით რადაც სტერეოტიპურში, საკუთარი ნაციონალურობის, საკუთარი სახის ანაბეჭდში. მესამე სახის ასეთი არსებები დასავლეთში სხვულდებიან სწორედ თავის მეშვეობით, ხერვული სისტემისა და გარეგნული გრძნობის ორგანოთა სისტემის მეშვეობით. სწორედ დასავლეთის სამყაროს ადამიანების დამახასიათებელი თავისებურებების გარეგნული მხრიდან სხვადასხვა კუთხით აღწერისას ჩვენ ვეყრდნობოდით საიდუმლო საზოგადოებების, სექტებისა და ანალოგიური ორგანიზაციების უამრავ წევრთა ანალიზს, რომელთა ადამიანური იერის მიღმა იმალება არა გარდასხეულება სამშვინველისა, არამედ თავისებური სახის განსხეულება სამშვინველისა, რომელიც თავისი განვითარების მიხედვით ნააღრევად მოვიდა დედამიწაზე და აქ აფუძნებს განსაკუთრებული სახის მოწაფეობას, რომელიც საშუალებას აძლევს მათ, თითქმის ეპიდემიურად მოახდინონ თავიანთი სპეციფიკური თვისებების პროეცირება გარემომცველ ადამიანებზე. სამი სახის ეს არსებები მოქმედებენ მხოლოდ და მხოლოდ ადამიანების მეშვეობით და ჩვენ მხოლოდ მაშინ გავიგებთ სწორად ადამიანებს, როცა ვიცით: ის, რაც ვლინდება საზოგადოებრივ ცხოვრებაში, შეუძლებელია ისე მარტივად აიხსნას, როგორც ამას ისურვებდა ობივატელი, არამედ საჭიროა ეს მოვლენები გავაანალიზო მსგავსი სულიერი არსებების აქტივობის გათვალისწინებით.

სწორედ ეს სამი სახის ძალა, უფრო ზუსტად, არსებები, რომლებიც იმყოფებიან განვითარების ეხოდენ სპეციფიკურ სტადიაზე, ვლინდება დასავლეთში ადამიანის მეშვეობით, და ხელს უწყობს დასავლეთის დანიშნულებისა და როლის გაგებას, როცა მას ეხმარება ეკონომიკური სახის აზრების გამომუშავებაში. შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური ცხოვრება, ეს არის საფუძველი და ნიადაგი, რაზეც შეიძლება ამოიზარდოს რაღაც მითითებული სახით. აქ იბადება კითხვა, მაინც რა მიზანს ისახავენ ზოგადად ეს არსებები?

მათი მიზანია – ადამიანის ცხოვრება მოაქციონ ეკონომიკურ კალაპოტებში, იმის თანდათან ამოძირკვით, რაც მოდის

სულიერი ცხოვრებიდან, რათა ყოველივე სრულიად სისხლსავსე მოაქციონ აბსტრაქტული პურიგანიზმის მარწუხებში; ეს არსებები ესწრაფვიან სულიერი ცხოვრების ამოძირავასა და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ცხოვრების თანდათანობით ჩახშობას, რათა ყველაფერი მოიცვას ეკონომიკურმა ცხოვრებამ. დასავლეთში ამ სულისკვეთებით მოქმედი ადამიანები ნამდვილი მტრები და მოძულები არიან სოციალური ორგანიზმის სამწევრიანობის იმპულსისა. განხილული არსებების პირველი სახე არ უშვებს ისეთი სამეურნეო ცხოვრების წარმოქმნას, რომელიც შეძლებდა ავტონომიურად განვითარებას სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი და სოციალური ორგანიზმის სულიერი სექტორების გვერდით. ამ არსებების მეორე სახე, რომელიც მოწოდებულია ხელი შეუწყოს ზედაპირულობას, ფრაზიორობას და სიცრუეს, ისურვებდა, არ დაეშვა დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოებრივი ცხოვრების ეკონომიკურ ცხოვრებასთან ერთად განვითარება. ხოლო არსებების მესამე სახე ახშობს ადამიანის ინდივიდუალურ უნარებს, ამასთან არ სურს, რომ ის წარმოადგენდეს რაღაცას, რაც სცდება თავისი რასის, თავისი ნაციონალურობის შაბლონის ფარგლებს და ამდენად ეწინააღმდეგება სულიერი ცხოვრების დამოუკიდებელი როლის ემანსიპაციას.

ასეთია ის ძალები, რომლებიც დასავლეთში ეწინააღმდეგებიან სოციალური ორგანიზმის სამწევრიანობის პრინციპს. მან, ვინც უფრო სიღრმისეულად და გაგებით მოისურვა ეშრომა სამწევრიანობის ამ იმპულსის გავრცელებაზე, უნდა გააცნობიეროს, რომ შეუძლებელია ანგარიში არ გაუწიოს მსგავს სულიერ ფაქტორებს, რომლებიც არსებობს კაცობრიობის განვითარებაში. ძალები, რომელთაც ეჯახები, როცა გსურს კაცობრიობის განვითარებაში რაღაც ახლის შეტანა, ეს სულაც არ არის ის, რაც ეხსნება ნამდვილი ობივატელის, ფილისტერის მზერას, აქ საქმე აქვთ იმასთან, რაც შესაძლებელია, გაიხსნას მხოლოდ სულიერი შემეცნების მეშვეობით. რას გვიშველის ის, რომ თანამედროვე ადამიანი ამ ყველაფერს კითხულობს ცრურწმენით და მოსმენაც არ უნდა ისეთ სულიერ არსებებზე, რომლებიც ადამიანის მეშვეობით სამყაროში იჭრებიან? ისინი კი, დიახაც, აქ არიან, ეს სულიერი არსებები! და ვისაც არ სურს, მხოლოდ მძინარე სამშვინვე-

ლით მიადევნოს თვალი ცხოვრებაში მომხდარს, მას შეუძლია ყველგან იხილოს მათი გამოვლინება. და მაშინ, მსგავსი არსებების მოქმედებათა შედეგის დანახვისას, საკმარისია არსებული მიზეზების მხოლოდ აღიარება! ასეთია თანამედროვე დასავლეთის უმთავრესი თავისებურება. დასავლეთი მოწყობილია სწორედ ასე იმიტომ, რომ მთლიანად განასახიერებს თავის თავში თანამედროვე ეპოქის სულს, რომელიც გამოხატულია ყველაზე ელემენტარული გარეგნული ფორმით: ეკონომიკური წარმოდგენებით, ეკონომიკური აზროვნებით.

ოდესდაც აღმოსავლეთში ყვაოდა გრანდიოზული სულიერი ცხოვრება. მთელი სულიერება ცივილიზებული სამყაროსი, არსებითად, აღმოსავლეთის მემკვიდრეობაა, იმის გამოკლებით, რაც იღვრება ანთროპოსოფიაში და რასაც სურს განახლებული ფორმით წარმოჩნდეს. მაგრამ ამ რელიგიურ-სულიერი ცხოვრების ნამდვილი აყვავება განეცემთვება ძალზე შორეულ დროებს. ჩვენს დროში სწორედ აღმოსავლეთის ადამიანი, თვით რუსეთის ჩათვლით, იმყოფება პიროვნების გაორების უცნაურ მდგომარეობაში, ვინაიდან, ერთი მხრივ, ის ცხოვრობს ჯერ კიდევ უძველესი სულიერების მემკვიდრეობით, მეორე მხრივ, კი მასში ზემოქმედებს ის, რაც მოდის კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეპოქიდან: ლტოლვა საკუთარი ინდივიდუალობის გამოვლენისკენ. შედეგად აღმოსავლეთში ადამიანი უდიდესი დაცემის მდგომარეობაშია, იქ ადამიანს თითქოსდა არ შეუძლია იქცეს სრულფასოვნად, ვინაიდან მასში, აღმოსავლეთის ამ ადამიანში, თვით რუსეთის ჩათვლით, ჯიუტად იჩენს თავს ის, რაც წარმოადგენს უძველესი დროების სულიერ მემკვიდრეობას. სწორედ ამითაა განპირობებული ის, რომ ჩვენს დროში აღმოსავლეთის ასეთი ადამიანი, – როცა მისი ცნობიერება კნინდება, როცა ის იმყოფება ლეთარგიული ძილის მდგომარეობაში, ან ჩაფლულია სიზმრებში, ანდა, როგორც ეს ძალიან ხშირად ხდება აღმოსავლეთში, ვარდება მედიუმის მდგომარეობაში, – აღმოჩნდება სრულიად სხვა სახის არსებების გავლენის ქვეშ, ვიდრე დასავლეთში, ამასთან ეს არსებები იჭრებიან მის მშვინვიერ ცხოვრებაში, ისინი თითქოსდა ევლინებიან მას მშვინვიერ დონეზე. ამდენად, დასავლეთში სახეზეა ჩემ მიერ ჩამოთვლილი სამი სახეობის „ნაადრევი“ არსებები, ხოლო აღმოსავ-

ლეთში მოქმედებენ „დაგვიანებული“ არსებები, რომლებმაც უკვე ადრე მოასწრეს თავიანთი სრულყოფილების ფაზის გაფლა და ჩამორჩნენ, ახლა კი მოდიან აღმოსავლეთის ადამიანებთან, მედიუმის მდგომარეობაში მათი ყოფნისას, ასევე ეცხადებიან სიზმრისას, ან ვლინდებიან ყოველგვარი სიზმრისა თუ მედიუმის მდგომარეობის გარეშე, იმ მარტივი მიზეზით, რომ ადამიანი დვიძილის მდგომარეობაში თავის თავში ინარჩუნებს მსგავსი არსებების ზეგავლენას, რომლებიც ერთხელ შეიქრნენ მასში დამით და აგრძელებენ თავიანთ ინსპირაციულ ზემოქმედებას დვიძილის დროს.

კვლავ და კვლავ არსებობენ არსებები (სამი სახის), რომლებიც მოქმედებენ აღმოსავლეთში და, თავის მხრივ, იქ ძლიერ გავლენას ახდენენ ადამიანებზე. დასავლეთისგან განსხვავებით, სადაც ადგილი აქვს პირდაპირ ზემოქმედებას იმ ადამიანზე, რომლის მეშვეობითაც სხეულდება ეს ადამიანი, აღმოსავლეთში მოქმედებს თავისებური სახის იერარქია არსებებისა, რომელთაც შეუძლიათ თითქოსდა მოევლინონ სხვადასხვა ადამიანს. ესენი ისევ და ისევ არიან სამი სახის არსებები, მაგრამ – არაა ის არსებები, რომელთაც შეუძლიათ განსხვაულება ადამიანის მეშვეობით, არამედ – არსებები, რომლებიც წარმოჩნდებიან ადამიანის წინაშე, ინსპირირებენ მას დამის ძილიდან.

პირველი სახის არსებები ეწინააღმდეგებიან ადამიანებს, რომ ისინი მთლიანად დაეუფლონ თავიანთ ფიზიკურ სხეულს, ეწინააღმდეგებიან ადამიანებს, მოეკიდონ ეკონომიკურ საქმიანობას და საერთო მონაწილეობა მიიღონ თანამედროვეობის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ესენი არიან არსებები, რომლებიც ცდილობენ, აღმოსავლეთში დაამუხრუჭონ ეკონომიკური ცხოვრება, რომელიც ადამიანს ესაჭიროება, როგორც ერთ-ერთი აუცილებელი სექტორი სამწევრა სოციალურ ორგანიზმში.

მეორე სახეობის არსებებს მოაქვთ უკვე რაღაც ზეინდივიდუალური, მოაქვთ, თუ შეიძლება ითქვას, ისეთი პარადოქსული რამ – არაეგოისტური ეგოიზმი, ისეთი რაფინირებული, რომ, როგორც ეს ძალზე ხშირად ხდება აღმოსავლეთში, ადამიანები თავიანთ თავს მიაწერენ წარმოსახვით უანგარობასა და თავგანწირვას. სინამდვილეში ასეთი თავგანწირვა სხვა არაფერია, თუ არა განსაკუთრებული ფორმა დახვეწილი თავ-

კერძობისა, რაფინირებული ეგოზმისა; მათ სურთ, იყონ ძალა-  
ზე კეთილი, იმდენად კეთილი, რამდენადაც ეს შესაძლებელია  
ადამიანისთვის. ასეთი სურვილი განპირობებულია ეგოისტუ-  
რი გრძნობებით. სწორედ ეს შეიძლება, მთლიანად გამოიხა-  
ტოს პარადოქსული განსაზღვრებით: არაეგოისტური ეგოზმი,  
წარმოსახვითი უანგარობით შობილი ეგოზმი.

მესამე სახის არსებები, რომლებიც წარმოჩნდებიან აღმო-  
სავლეთის ადამიანის წინაშე, სულიერ ცხოვრებას აფერხე-  
ბენ დედამიწისგან მოშორებით და ადამიანებს მოსავენ ბუნ-  
დოვანი მისტიკური ატმოსფეროთი, როგორც ეს განსაკუთრე-  
ბით თვალში საცემია აღმოსავლეთში ჩვენს დროში. აქ  
კალავ და კალავ ჩვენ წინაშეა სამი სახის არსებები, რომ-  
ლებიც მოცემულ შემთხვევაში ზემოქმედებენ სულიერი სამ-  
ყაროდან, როცა არ ინკარნირდებიან ადამიანში და მტრობენ  
სოციალური ორგანიზმის სამწევრიანობას. ამდენად, აღმო-  
სავლეთში სამწევრიანობის იმპულსი ბლოკირებულია სული-  
ერი მხრიდან, ხოლო დასავლეთში – თავად ადამიანის მხრი-  
დან. თანამედროვეობის სულიერი საფუძლის განხილვისას  
ჩვენ ვხედავთ, რა სახის დიფერენციაციებია ჩადებული გა-  
რეგნული მოვლენების საიდუმლოებაში.

ზემოთქმულს საჭიროა დამატებით დავურთოთ შუა ევრო-  
პიდან მომდინარე მტრობის სპეციფიკური მოდიფიკაცია სამ-  
წევრიანობასთან დაკავშირებით, რომ თანდათანობით სულიე-  
რი თვალსაზრისით წარმოვიდგინოთ, რითი აღვიჯურვოთ,  
რათა შევძლოთ რეალურად დავუპირისპიროთ გარკვეული  
იმპულსი სულიერ ძალებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან  
სამწევრიანობის იდეას. ეს კი აუცილებელია კაცობრიობის  
განვითარებისთვის, მიუხედავად იმისა, არის თუ არა მათ-  
თვის ამოსავალი სულიერი სამყარო, როგორც აღმოსავლეთ-  
ში, ან თავად ადამიანი, როგორც დასავლეთში, ანდა წარმო-  
ადგენენ თუ არა განსაკუთრებულ სახესხვაობას, გავრცელე-  
ბულს შუა ევროპაში. ამაზე ჩვენ ხვალ ვისაუბრებთ. იმისათ-  
ვის, რომ ამ სიტუაციაში მკაფიო პოზიცია დავიჯიროთ, სა-  
ჭიროა შესაბამისი იდეებით აღვიჯურვოთ.

მესამე ლექცია  
დორნახი, 1920 წლის 23 ოქტომბერი

გუშინ მე რამდენადმე სხვა თვალსაზრისით მივუთითე, — და ეს იყო გაგრძელება იმისა, რასაც ჩვენ უკვე ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვავითარებდით, — თანამედროვე ცივილიზებული სამყაროს ხალხთა დიფერენციაციაზე. მივუთითე, როგორ წარიმართება ატლანტიდის შემდგომ მეხუთე ეპოქაში ადამიანების ინდივიდუალიზაცია სულიერი სამყაროს სიმაღლეებიდან, როგორ მოქმედებენ ერთ მხარეს, დასავლეთში, თავად ადამიანის მეშვეობით გარკვეული არსებები, რომლებმაც არამართებული სახით განვიღეს ჰიპერტროფირებული ევოლუცია, მაგრამ სხეულდებიან ადამიანურ სხეულებში, რათა შეეწინააღმდეგონ თანამედროვეობის ჭეშმარიტ იმპულსებს — სამწევრა სოციალური ორგანიზმის იმპულსებს.

მე ასევე აღვნიშხე სხვა სახის ფაქტიც. აღმოსავლეთში გარკვეული არსებები, — ისინი, რომლებმაც უკვე მოასწრეს შორეულ დროებში თავიანთი ნამდვილი როლის თამაში, — საკუთარ თავზე გვაუწყებენ არა ადამიანების მეშვეობით, არამედ თვითონ „ეცხადებიან“ ადამიანებს. მე ვსაუბრობდი, როგორ იყენებენ ისინი აღმოსავლეთში მცხოვრები ადამიანების განსაკუთრებულ მშვინვიერ წყობას, როცა იმაგინაციის ფორმებით იჭრებიან ზოგიერთი მათგანის ცნობიერებაში, ზემოქმედებენ რა ძილის დროს მათ „მე“-ზე ან ასტრალურ სხეულზე, ხოლო უკვე დვიძილის დროს ირიბად იჩენს თავს დამის ზემოქმედების შედეგები, რაზეც ადამიანებმა არაფერი იციან. სწორედ ასეთი სახით ავლენენ ეს არსებები თავიანთ თავს, მოაქვთ რა თან ყოველივე ის, რაც გზას უღობავს კაცობრიობის ჯეროვან პროგრესს აღმოსავლეთში. ამდენად, ჩვენ შეგვიძლია, ვთქვათ: დასავლეთში უძველესი დროიდან გარკვეული სახით მზადდებოდა თავისებური ტიპის მიჯაჭვულობა დედამიწაზე ამისთვის განკუთვნილ ადამიანებთან, რომლებიც, როგორც მე გუშინ გითხარით, წარმოადგენენ კიდევ სხვადასხვა სექტისა და საიდუმლო ორგანიზაციის ხელმძღვანელობას. აღმოსავლეთში ასევე არიან ცალკეული მოწინავე პიროვნებები, რომლებიც სწორედ იმ შთაბეჭდილებების გავლენით, რაც მათ იმაგინაციებში ჩნდება წარსული დროის ამ არსებებისგან, ახორციელუ-

ბენ ყოველივე იმას, რაც აფერხებს თანამედროვეობის კულტურულ განვითარებას. იმის გასაგებად, როგორ აღმოჩნდა შეა ევროპის მოსახლეობა თითქოსდა შევიწროებული ორივე მხრიდან დასავლეთისა და აღმოსავლეთის მიერ, საჭიროა დაუინჯბით დავაკვირდეთ სწორედ სულიერ პირობებს, რომელიც წარმოადგენს იმ კველაფრის საფუძველს, რაც აისახება გრძნობად-ფიზიკურ სამყაროში.

მე უკვე არაერთხელ ვისაუბრე, რომ უძველეს დროებში მთავარი იყო სულიერი ცხოვრება, მივუთოთებდი, რომ აღმოსავლეთის ადამიანებისთვის დამახასიათებელია მაღალგანვითარებული სულიერი კულტურა, რომელიც განმსჭვალულია სულიერი სამყაროების უშუალო ჭრებით; ეს სულიერი ცხოვრება უკვე მემკვიდრეობის სახით აგრძელებდა შემდგომ განვითარებას და საბერძნეთში ის ხორციელდებოდა, უპირველეს ყოვლისა, როგორც მშვენიერების ხელოვნება, თუმცა აშკარად ჰქონდა თავისი სულიერი ხედვებიც; მაგრამ დროთა განმავლობაში იქ, საბერძნეთში, მას შეერწყა ის, რაც შემდგომში მკაფიოდ გამოვლინდა არისტოტელიზმში, ანუ ეს იყო განსჯითი, დიალექტიკური აზროვნება. აღმოსავლური სიბრძნიდან მომდინარე ნაკადმა, შემდეგ შეაღწია სწორედ დასავლურ ცივილიზაციაში, გამონაკლისს წარმოადგენს ის, რაც უშუალოდ იშვა ბუნებისმეტყველებიდან და ასევე ის, როსი მოცემაც შეუძლია თანამედროვე ანთროპოსოფიულად ორიენტირებულ სულისმეცნიერებას; არსებითად, დასავლური ცივილიზაციის მთელი ეს სულიერი ცხოვრება უფუძნება უძველესი აღმოსავლეთის მემკვიდრეობას. მაგრამ ეს სულიერი ცხოვრება მთლიანად დეკადენტურია და ისეთი, რომ მას არ ჰყოფნის თავისი გამწევი ძალა. მართალია, ადამიანს ჯერ კიდევ აქვს გარავეული მიღრეკილება სულიერი სამყაროსკენ, თუმცა მისი რწმენა სულიერ სამყაროსთან მიმართებით, უკვე აღარ უკავშირდება იმას, რაც ხდება აქ, ფიზიკურ სამყაროში.


ყველაზე უკეთ ეს თვალში საცემია ანგლოსაქსურ პურიტანიზმში, სადაც, არსებითად, არ აკავშირებენ, მეტიც, არც ცდილობენ დააკავშირონ გარეგნულ გრძნობად-ფიზიკურ სამყაროსთან საერთო მოთხოვნილებისადმი სრულიად უცხო რწმენა, რომელიც განეკუთვნება სულიერის ძალზე აბსტრაქტულ სფეროებს.

საერთო მისწრაფებები, სოციალური ცხოვრების მოწყობა, ისეთ სულიერ სახეს იძენს აღმოსავლეთში, რომ გამოიყურება, როგორც რელიგიური მოძრაობა. მაგ., ბოლშევიზმი აღმოსავლეთის ადამიანების მიერ, კერძოდ, რუსი ხალხის მიერ, აღიქმება, როგორც რელიგიური მოძრაობა. ამ სოციალური მოვლენის მამოძრავებელი ძალა ეფუძნება არა იმდენად მარქსიზმის აბსტრაქტულ წარმოდგენებს, არამედ ხალხის სპეციურ დამოკიდებულებას ბოლშევიკებისადმი, რომლებიც აღიქმებიან, როგორც კაცობრიობის მსხველები, როგორც ადრინდელი რელიგიური მისწრაფებებისა და სულიერი ცხოვრების თავისებური სახის გამგრძელებულნი.

შეა ეგროპის მოსახლეობამ ყველაზე მეტად აღიქვა ის, რაც ვითარდებოდა ჯერ კიდევ რომის იმპერიის პერიოდიდან, თვით ძველი საბერძნეთის ჩათვლით, – ეს იყო დიალექტიკური ელემენტი, ანუ იურიდიული, პოლიტიკური და მილიტარისტული აზროვნების ელემენტი.

იმის გასაგებად, რა როლი ითამაშა შემდგომში იმან, რაც განვითარდა რომის იმპერიის საფუძველზე, საჭიროა ჯერ გავაცნობიეროთ, რომ რომის იმპერიის აყვავების პერიოდში, როცა წარმოიქმნა რომის კეისართა ინსტიტუტი, ადამიანური აქტივობის სამი სფერო, – სულიერი, სამეურნეო და სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური, – ერთმანეთზე იყო გადაჯაჭვული. დღეს ასეთ გადაჯაჭვას, ურთიერთგანმსჭვალვას ადგილი აქვს ფაქტობრივად მთელ ცივილიზებულ სამყაროში. თუმცა, რომის იმპერია, როგორც ცნობილია, სრულ დაცემამდე მივიღა და მისი სისუსტე განპირობებული იყო, უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ ადამიანის მოდგაწეობის ეს სამი სფერო, – სულიერი, სახელმწიფოებრივი და სამეურნეო-ეკონომიკური, – ერთმანეთს ქაოტურად მსჭვალავდა. ჰეშმარიტად, შეიძლება ითქვას: რომის, განსაკუთრებით კი ბიზანტიის, იმპერია იყო თავისებური სახის სიმბოლო ატლანტიდის შემდგომი შეოთხე ეპოქის დაისის, ბერძნულ-ლათინური ეპოქის დაისის. საკმარისია გავისეხნოთ, რომ აღმოსავლეთ რომის 107 კეისრიდან მხოლოდ 34 გარდაიცვალა თავისი სიკვდილით. 107 კეისრიდან მხოლოდ 34 გარდაიცვალა თავის ლოგინში! დანარჩენები ან მოწამლეს, ანდა დაასახირეს და დაიხუცნენ ციხეში, ან კიდევ ციხის შემდეგ იძულებულნი გახდნენ, ბერებად აღკვე-

ცილიუგნენ და ამის მსგავსი. აქ, სამხრეთ ეკროპაში მომხდარი მოვლენების შედეგად, (იხ. ნახ. 3) რამაც გამოიწვია რომის იმპერიის დაცემა, განვითარდა ის, რაც შემდგომში, თუ შეიძლება ასე ითქვას, დაიყო სამ შტოდ, რომელიც გაიჭიმა ჩრდილოეთის მიმართულებით.



ნახ. 3

1. Geendetes Geistesleben-დასრულებული სულიერი ცხოვრება.
2. Endende Jurisprudenz-ჩამოყალიბებული იურისპრუდენცია.
3. neue Wirtschaft-ახალი ეკონომიკა.
4. Staat-სახელმწიფო.
5. Staatlichkeit-სახელმწიფო ერება.
6. Geist-სული.
7. Seele-სამშვინველი.
8. Leib-სხეული.
9. Römer-რომის იმპერია.

ჯერ ჩვენ განვიხილოთ დასავლეთის შტო. დღეს მე მსურს აღვწერო ისტორიული წვრილმანები, რომლებიც გამოწვეულია ხალხთა გადასახლებით, ვისაუბრო დეტალურად, რაც წარმოიქმნა შუა საუკუნეებში კაცობრიობის წინარე ეკოლუციისაგან; აქ მინდა მივუთითო ერთ რამეზე. დასავლეთის, – თავდაპირველად, უფრო სამხრეთ-დასავლეთის, – განვითარების დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენდა ის, რომ რომაული საწყისი, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ ადამიანთა გარკვეულ რაოდენობას, გავრცელდა ესპანეთში, განვლო თანამედროვე საფრანგეთი და მიაღწია ბრიტანეთის გარკვეულ ნაწილამდე. ასეთი სახის განვითარება განიცადა რომაულმა მოსახლეობამ; ისინი შეერივნენ გერმანულ ტომებს, რომლებ-

მაც შეაღწიეს რომაული მოსახლეობის წრეში ხალხთა მაშინ-დელი მიგრაციის შედეგად.

აյ შეინიშნება ერთი თავისებური სახის მოვლენა. გერმანული ტომები ჩაინერგა რომის მოსახლეობაში, რის შედეგადაც წარმოიქმნა ის, რაც შეიძლება დავახასიათოთ მხოლოდ ასეთი სახით: გერმანული წეობის ადამიანები იჭრებიან რომაულ მოსახლეობაში, და, არსებითად, როგორც ადამიანური ტიპები, ისინი ქრებიან; მათ მაგივრად წარმოიქმნა ესპანური მოსახლეობა, ფრანგული მოსახლეობა, ასევე ნაწილობრივ ბრიტანული მოსახლეობა, რომელიც თავის თავში, ძირითადად, ატარებდა გერმანულ სისხლს, მაგრამ რომაული მეტყველების ელემენტით განმსჭვალულს. შეუძლებელია სხვაგვარად გავიგოთ, სინამდვილეში რა ხდებოდა, თუ ამას ვერ დავინახავთ. ეს ადამიანური ტიპი მთელი თავისი მშვინვიერი კონფიგურაციით, – საკუთარ შეგრძნებებით, გრძნობებითა და ინტენციებით, – შეიძლებოდა, ჩამოყალიბებულიყო მხოლოდ იმის წყალობით, რომ გერმანული ელემენტი ხალხთა გადასახლების დროს აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ გადაადგილდა. მაგრამ გერმანული ელემენტის თავისებურება იყო ის, რომ, როცა შეხებაში მოდიოდა მეტყველების უცხო ელემენტთან, – მეტყველებაში კი ყოველთვის, შეიძლება ითქვას, სხეულდება კულტურა, – ის მთლიანად ინერგებოდა მასში, იღებდა ამ მეტყველებას. უცხო მეტყველებაში შეზრდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნიშნავს, შეიმოსო ძველ სამოსში, ძველ დროში გამოჭრილ კაბაში. მას, რაც ევროპულ დასავლეთში არსებობს ლათინური რასის სახით, ფიზიკურად არა აქვს კავშირი ლათინურ სისხლთან, საერთოდ არა აქვს ის თავის თავში: ის დაკავშირებულია მეტყველებასთან და შეეზარდა იმას, რაც განხორციელდა ენის მეშვეობით, ვინაიდან დასავლეთში არსებობს ლათინური, რომაული ელემენტი, რომელიც კაცობრიობის ისტორიულ განვითარებაში გვაუწებს ადამიანურ პიროვნებაზე. სწორედ ასე წარმოიქმნა პირველად რომში ანდერმის იდეა, ასეთი სახით მოხდა ეგოიზმის შენარჩუნება, მიუხედავად სიკვდილისა. ნებულობამ, რომელიც სიკვდილის გადამლახავი ინდივიდის ცხოვრების მიღმა ვლინდება, გამოიწვია ანდერმის იდეის წარმოქმნა. ასევე მოქმედებს ლექსიკური სიმდიდრე ადამიანურ სიმდიდრეზე ხალხურში.

მეტყველების გარდა შენარჩუნდა სხვა რამეც. ამ დასავლურ ნაკადში (იხ. ნახ. 3) მემკვიდრეობით მიიღეს ასევე სხვა-დასხვა საიდუმლო საზოგადოების ტრადიციები, რომელთა მნიშვნელობაც მე გავაშუქ განსხვავებული კუთხით უკანასკნელ წლებში; ამ ტრადიციებმა, რომლებიც დამკვიდრდა ატ-ლანტიდის შემდგომი მეოთხე ეპოქიდან, ბერძნულ-ლათინური პერიოდიდან, და არსებითად, გადმოღებულია ხელნაწერების მეშვეობით აღმოსავლეთის კულტურიდან, ყველამ, გამონაკლისის გარეშე გაიარა რომის იმპერია, ლათინური საწყისი. ასე რომ, გარკვეული სახით დასავლეთის ადამიანი, რომელიც ჩაფლული იყო რომაული ენის ელემენტში, თითქოსდა იმოსქ-ბოდა წარსული დროის ძველ სამოსში. წარსული დროის სა-მოსებს წარმოადგენდა ასევე მისტერიათა უძველესი ჭეშმარი-ტებები, რომლებიც დროთა განმავლობაში აბსტრაქტული გახდა და დასავლეთის საიდუმლო საზოგადოებების კულტებ-სა და ცერემონიებში მიიღო სულ უფრო დაცლილი ფორმა; ადამიანები ამაში მონაწილეობდნენ, ვინაიდან იქ რაღაც მიმ-ზიდველს პოულობდნენ.

სხვა ხელსაყრელი გარემოებების გათვალისწინებით, ადა-მიანის მიერ გარეგნული ათვისება იმ ყველაფრისა, რასაც ვი-ლებთ მეტყველებიდან, საყრდენ წერტილად იქცა მოწინავე ადამიანებისთვის, რომელთა მსგავსიც მე გუშინ აღვწერე და მათ მიეცათ შესაძლებლობა, ამ ადამიანებში განსხვეულებუ-ლიყვნენ. ყველაზე ხელსაყრელი ასეთი განსხვეულებისთვის გახდა ანგლოსაქსური ელემენტი, იმის გამო, რომ იქ, დასავ-ლეთში, ჩადიოდნენ მხოლოდ და მხოლოდ გერმანელები, რომლებიც ამას განსაკუთრებულად აღიქვამდნენ, თუმცა უფ-რო ნაკლებად, ვიდრე, საკუთრივ რომაული ელემენტით გან-მსჭვალულ ხალხთა ლათინური ნაკადები. ასე რომ, ანგლო-საქსურ რასაში ნარჩუნდებოდა არამდგრადი წონასწორობა, ამიტომაც, არსებებს, რომლებიც სხეულდებოდნენ იქ, ჰქონ-დათ გაცილებით მეტი სივრცე მანევრირებისთვის და თავი-ანთ ქმედებებში ავლენდნენ გაცილებით მეტ თვითნებობას. მაგრამ უპირველეს ყოვლისა, საჭიროა გავაცნობიეროთ, რომ მსგავს სახალხო-ფსიქოლოგიურ კონფიგურაციაზეა დამოკი-დებული ის, რაც შეიძლება შემდეგ აისახოს ცალკეულ პი-როვნებებში. ანგლოსაქსური ელემენტისთვის დამახასიათებე-

ლი არჩევნის ამ თავისუფლების წყალობით ჩამოყალიბდა ისეთი პირობები, რომ მართალია, პურიტანობა ზოგადად წარმოადგენს რწმენის სრულიად აბსტრაქტულ სფეროს, თავის-თავად ანგლოსაქსური ელემენტი აღმოჩნდა უაღრესად ხელ-საყრელი მეცნიერული აზროვნების აღქმისთვის და მის საფუძველზე სამყაროსა და ცხოვრებისეული შეხედულებების გამოსამუშავებლად. ამით მთელი კაცობრიობა კი არ იყო შეპყრობილი, არამედ მისი მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც ენისა და სხვა ელემენტების ჩანერგვის წყალობით ამ ტიპის ადამიანებში განსხვაულების საშუალებას აძლევდა მოწინავე არსებებს, რომელთა მსგავსიც გუშინ მე აღვწერე.

მე ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ყველაფერში, რასაც ჩვენ აქ ახლა განვიხილავთ, საუბარია მხოლოდ ცალკეულ პიროვნებებზე, რომლებიც გაფანტულნი არიან დიდი რაოდენობის ადამიანებს შორის. ეს არ ეხება ერებს, არ ეხება ადამიანთა მრავალრიცხოვან მასას, არამედ ეხება მხოლოდ და მხოლოდ ცალკეულ პიროვნებებს, ამავე დროს, მათ დაეკისრათ უჩვეულო გავლენის მქონე როლის შესრულება იმ რეგიონებში, რომლებიც მე უკვე ვახსენე. დასავლეთში მსგავსი მოწინავე არსებები გარანტიას აძლევენ ადამიანს, რომელშიც სხეულ-დებიან, რომ მიიღებს გარკვეულ ხელმძღვანელ თანამდებობებს სამყაროში. ეს არსებები ძირითადად იტაცებენ ადამიანის სხეულსა და მის სამშვინველს, ხოლო სულისადმი ისინი ნაკლებ ინტერესს ავლენენ.

რატომ მოხდა, მაგ., რომ ესოდენ ყოვლისმომცველი, თუმცა ძალზე ცალმხრივი, მოძღვრება სახეობათა წარმოქმნის შესახებ შეიქმნა სწორედ ჩარლზ დარვინის\* მიერ? ეს მოხდა იმიტომ, რომ ჩარლზ დარვინთან, ფაქტობრივად დომინირებდა სხეული და სამშვინველი და არა სული. იგი ადამიანს განიხილავდა უშუალოდ სხეულისა და სამშვინველის პოზიციიდან, ხოლო სულს გვერდს უვლიდა, ასევე უურადღებას არ აქცევდა იმას, რაც სულიდან იჭრება სამშვინველის დონეზე. ვინც მიუკერძოებლად ეკიდება დარვინის კვლევის შედეგებს, მისთვის ნათელია, რომ იქ ადამიანი არ განიხილება თავისი სულის თვალსაზრისით. „სული“ მასში არსებობს როგორც მხოლოდ გარდაუვალი შემადგენელი ნაწილი ახალი საბუნებისმეტყველო მეცნიერული მიმართულებისა, რომელიც ინ-

ტერნაციონალურია; მაგრამ მთელ მის შეხედულებებს ადამიანის არსებაზე ამ ელფერს აძლევს სწორედ სხეულისა და სამშვინველის პრიორიტეტი და სულის უგულებელყოფა. მე მინდა გითხრათ, რომ დასავლეთის ადამიანები 869 წლის მსოფლიო საჯალებით კრების\* უკელაზე ერთგული მოწაფეები აღმოჩნდნენ. თავდაპირველად მათ უკურადღებოდ დატოვეს სული, როცა საფუძვლად აიღეს მხოლოდ სხეული და სამშვინველი, – ეს განსაკუთრებით გამოვლინდა შემდგომში დარგინის კვლევებში, – და მას სულის მაგივრად უბრალოდ მიაბეს ხელოვნური თავი აზროვნების მატერიალისტური სახით, დაადასტურეს რა ამით მეცნიერების ზეიმი. და რამდენადაც მოქრიდნენ, მეცნიერებისგან შეექმნათ უნიგერსალური რელიგია, ამიტომ დატოვეს გარეგნული გვერდითი დინებები, რომლებიც ამჟამად სრულიად აბსტრაქტულად არსებობენ პურიტანიზმის ფორმით, რომელსაც ნამდვილ მსოფლიო კულტურასთან უკვე არანაირი კავშირი არა აქვს. ჩვენ ვხედავთ, დასავლეთში როგორი სახით არის გადაჯაჭვული სამშვინველი და სხეული აბსტრაქტულ მეცნიერულ სულთან, რომელსაც შეიძლება მკაფიოდ დავაკვირდეთ თვით ჩვენს დრომდე.

მაგრამ, დავუშვათ, მომხდარიყო სხვა რამე. ის, რაც აგრძელებს არსებობას მეტყველებაში, რაც აგრძელებს ცხოვრებას ერთიან სულიერ სამყაროში ატლანტიდის შემდგომი მეოთხე ეპოქის ფორმით, უფრო ძლიერი რომ ყოფილიყო, მაშინ, რა გამოვიდოდა? მოხდებოდა თანამედროვე სულის მკაცრი ფანატიკური განდევნა. და მაშინ იხელმძღვანელებდნენ რა საბუნებისმეტყველო მეცნიერული მეთოდებით, უკვე აღარ შეეცდებოდნენ ხელოვნური თავი მოებათ სხეულისა და სამშვინველისთვის, არამედ მკაცრად ჩანერგავდნენ უძველეს ტრადიციებს, ამასთან ისინი, არსებითად, შეეხმოდნენ მხოლოდ სხეულებრივსა და მშვინვიერს. ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორ განავითარა მავანმა თავის თავში ბრუტალური, უხეში სახით ყოველივე ის, რაც წარმოადგენს მარტოოდენ სხეულსა და სამშვინველს და შექმნა ისეთი სწავლება, რომელიც კონცენტრირებულია, ცხადია, მხოლოდ სხეულსა და სამშვინველზე, ხოლო გარეგნული დანამატის სახით ამ შემთხვევაში გააჩნია არა მეცნიერება, არამედ ისევ და ისევ მხოლოდ გარეგნულად შენარჩუნებული, ადრინდელი დროის გა-

მოცხადებათა ნაწილი; ასეთ შემთხვევაში არსებობს იეზუიტიზმი, არსებობს იგნაცია ლოიოლა<sup>\*</sup>. მინდა გითხრათ, რომ როგორი აუცილებლობითაც წარმოშობს ანგლოსაქსური საწყისი ისეთ მოაზროვნებს, როგორიცაა ჩარლზ დარვინი, მოგვიანებით – რომაული ნაკადი წარმოშობს იგნაცია ლოიოლას.

იმ ადამიანების თავისებურება, რომლებზეც ჩვენ აქ ვსაუბრობთ, არის ის, რომ მათი მეშვეობით სამყაროს ესენება სულიერი არსებები, რომლებიც გუშინ დავახასიათეთ. აღმოსავლეთში ეს სხვაგვარადაა. იქ ძველი რომაული საწყისიდან მომდინარეობს სხვა ნაკადი (იხ. ნახ. 3) და ზედაპირზე ამოაქვს არა მარტო ენა და მეტყველება, არამედ მიმართულებას აძლევს მშვინგიერი სახის აზრებსა და მისწრაფებებს. მეტწილად ენა, მეტყველება მიისწრაფვის დასავლეთის მიმართულებით. მათი წყალობით წარმოიქმნება ყველა ის მოვლენა, რომლებზეც უკვე ვისაუბრეთ. შეა ევროპის მხარეს უფრო მეტად იხსება ის, რაც აღბეჭდილია აზრების მიმართულებით, მაგრამ აქ ეს უერთდება გერმანულ ელემენტს, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნებელობის გარკვეული შეზრდა მეტყველებასთან. თუმცა ნებელობის ამგვარი შეზრდა მეტყველებასთან შეიძლება მხოლოდ იმ დრომდე, სანამ ამ ენის, ამ მეტყველების მატარებელი ხალხი ცხოვრობს კომპაქტურად, ერთად. როდესაც გოთებმა, ვანდალებმა და მათმა მსგავსებმა მიაღწიეს დასავლეთს, ისინი ჩაეფლნენ ლათინურ ელემენტში. მეტყველებასთან შეზრდა შენარჩუნდა მხოლოდ შეა ევროპაში. ეს ნიშნავს, რომ მეტყველება სწორედ შეა ევროპაში არც ისე ძლიერად აკავშირებდა ადამიანებს, თუმცა აკავშირებდა უფრო ძლიერად, ვიდრე რომაელი ადამიანის შემთხვევაში, რომელიც დაკარგული იყო, ხოლო თავად მისი ენა შენარჩუნებული. გერმანელებს არ შეეძლოთ თავიანთი ენის დაკარგვა. მათთვის ენა თავის თავში ატარებდა რადაც მაცოცხლებელს. ის არ შეიძლებოდა დაეტოვებინათ ვინმესოვის, როგორც უტოვებენ მემკვიდრეობას. ეს მეტყველება, განუყოფლად იყო დაკავშირებული თავად ადამიანთან და განპირობებული იმ ხალხის ადამიანური სულიერი განწყობილების მთელი ხასიათითა და ფორმით, რომელიც შეა ევროპაში სულ უფრო მეტად იჩენდა თავს; სწორედ შეა ევროპაში არსებობდა ხალხი, რომლებიც განსხვაულებისთვის განსაკუთრებულ

შესაძლებლობებს არ აძლევდნენ მოწინავე არსებებს, როგორც ეს ხდებოდა დასავლეთში. თუმცა ეს არსებები მცირედით მაინც ახდენდნენ ზემოქმედებას შეა ევროპის მოსახლეობაზე. კერძოდ, სამგვარი სახის ეს არსებები განსაკუთრებული სირთულის გარეშე ევლინებოდნენ შეა ევროპის მოსახლეობას ბელადების სახით, როგორც მე გუშინ აღვწერე. მეორე მხრივ, ამან შეა ევროპის ადამიანებს ჩამოუყალიბა გარკვეული მიღრეკილება იმ მოვლენებისადმი, რომლებიც აღმოსავლეთის ადამიანებს წარმოუდგებოდათ იმაგინაციების ფორმით. თუმცა აღმოსავლეთის ადამიანებთან შედარებით შეა ევროპის ადამიანთა იმაგინაციები დღის ღვიძილისას იმდენად ბუნდოვანი იყო, რომ გამოიყურებოდა უბრალოდ, როგორც მხოლოდ ცნებები, როგორც წარმოდგენები. ასევე სუსტად ვლინდება შეა ევროპის ადამიანებში ის, რაც დაკავშირებულია არსებებთან, რომლებიც სხეულდებიან ადამიანში და თამაშობენ მნიშვნელოვან როლს დასავლეთში. შედეგად შეა ევროპაში მათ არ შეუძლიათ ანალოგიური ზემოქმედების მოხდენა სრული მასშტაბით, თუმცა სელექტიფებათ ცალკეული ადამიანები წარმართონ განსაზღვრული მიმართულებით. სწორედ შეა ევროპაში საუკუნეების განმავლობაში რაიმე მნიშვნელობის არმქონე ადამიანებს, ძალზე ცოტა შანსი პქონდათ, თავი დაეხსნათ, ერთი მხრივ, თავის თავში დასავლეთის და, მეორე მხრივ, აღმოსავლეთის სულების განსხვაულებისაგან. ამას, ასეთი ადამიანების პიროვნებები, ყოველთვის მიჰყავდა თავისებური სახის გახდებისაენ.

ამ ადამიანების რეალურად დახასიათებისას, შეიძლება ითქვას: დვიძილისას მათ, თითქოსდა, თავს ატყედებოდათ დასავლეთის სულების შეტევა, რის შედეგადაც მათი ლტოლვები და მისწრაფებები, მათი ინსტინქტური ცხოვრება ექვემდებარებოდა ზემოქმედებას, რომელიც პარალიზებას ახდენდა იმისა, რაც მათივე საკუთარ ნებელობაში ცხოვრობდა. როცა ამ ადამიანებს სძინავთ, როცა მათი ასტრალური სხეული და „მე“ განცალკევებულია, მაშინ თავის თავს ავლენენ იმის მსგავსი სულები, რომლებიც ზემოქმედებენ აღმოსავლეთის ადამიანებზე იმაგინაციურად, უმთავრესად ცნობიერების გარეშე. საკმარისია მხოლოდ ავიდოთ რომელიმე ტიპური, დამახასიათებელი პიროვნება შეა ევროპის ცივილიზაციის ფარგლებში და შეიძლება, ასე ვთქვათ, უშეა-

ლოდ შევიგრძნოთ, რომ საქმე სწორედ ასეა. აյ საჭიროა შევუ-  
ხოთ გოეთეს. აიღეთ ყოველივე ის, რაც ჩამოყალიბდა მასში და-  
სავლეთის სულების შეტევის გავლენით, რა ვლინდებოდა მის  
ნებელობაში, განსაკუთრებულად რა აგულიანებდა ახალგაზრდა  
გოეთეს, – ეს კი იოლად შეიძლება იგრძნოთ, თუ წაიკითხავთ  
ახალგაზრდობაში მის მიერ დაწერილ სცენებს „ფაუსტიდან“ ან  
„მარადი ებრაელიდან“, – მაშინ თქვენ დაინახავთ, რომ ადრეულ  
პერიოდში აღმოსავლეთის სულიერ-მშვინვიერი ელემენტის მიზი-  
დულობა ბლოკირებული იყო თავად გოეთეს ნებელობითი ელე-  
მენტით, მაგრამ წლებთან ერთად ის მომწიფდა იმისათვის, რომ  
მიბრუნებოდა იმაგინაციებს თავისი „ფაუსტის“ მეორე ნაწილში.  
თუმცა ამ ორ პერიოდს პყოფს სტილისტური უფსკრული. თქვენ  
ვერ შეძლებთ უპრობლემოდ ჩასწვდეთ „ფაუსტის“ პირველი ნა-  
წილის სტილს, გამომდინარე მეორე ნაწილის სტილიდან.

საკმარისია ჩავწვდეთ თავად გოეთეს პრობლემას, რომელიც  
ამოიზარდა დასავლეთის იმპულსების ზეგავლენით, შეიძლება  
ითქვას, რომ იგი იტანჯებოდა დასავლეთის სულების გამო;  
ახალგაზრდობაში ის ნუგეშს პოულობდა მხოლოდ იმაში, რაც  
თავის თავში შეიცავდა, არსებითად, ძალიან ბევრ დასავლურს,  
– გოტიკაში, რომელმაც მასში გამოაღვიძა სწრაფვა წარსულის  
სულებისკენ. ეს სულები ქმედითნი იყვნენ არა მარტო საბერ-  
ძნეთში, არამედ ასევე გოტიკაშიც, თუმცა წარმოადგენენებ  
მხოლოდ ნაშეიერებს იმ სულებისა, როლებიც ოდესლაც ინსპი-  
რირებდნენ აღმოსავლეთის ადამიანებს, როცა ისინი მივიდნენ  
საკუთარ დიად წინარე სიბრძნებდე, ამდენად, ჩვენ გხედავთ, რო-  
გორ კარგავს გოეთე თოხმოციანი წლების დასაწყისში მოთმი-  
ნებას დასავლეთის სულების მიმართ, როგორ ტანჯავენ მას  
ისინი. და წონასწორობის ძიებისთვის იგი მიდის სამხრეთ ეჭ-  
როპაში, რათა აღიქვას ის, რაც შეიძლება მოვიდეს სხვა მხრივ.  
სულების ამგვარი ორმხრივი გავლენა შუა ევროპის გამოჩენილ  
პიროვნებებს, თვალსაჩინო წინამდოლებებს ანიჭებს დამახასია-  
თებელ ნიშან-თვისებებს, დანარჩენები კი მისღვევ ამ წინამ-  
დოლებებს. სწორედ შუა ევროპის ადამიანები აღმოჩნდნენ განსა-  
კუთრებულად მიღრეკილნი იმის რეალიზაციისკენ, რაც აქტუა-  
ლურია მთელი კაცობრიობის ეფოლუციისთვის. ამის იღუსტრი-  
რება ყველაზე კარგად შეიძლება ისეთ პიროვნებაზე, როგორი-  
ცაა პეგელი. როცა თქვენ უღრმავდებით პეგელის ფილოსოფიას,

– მე ეს აქ უკვე არაერთხელ ვახსენე, - მაშინ აღმოაჩენთ, რომ მისთვის პირველადია სული. ამავე დროს, პეგელთან ვერ აღმოაჩენთ ისეთ რამეს, რაც გრძნობად-ფიზიკური ცხოვრების ფარგლებს მიღმაა. უშუალოდ სულიერი სწავლების ადგილას თქვენ ნახავთ ლოგიკურ დიალექტიკას, როგორც მისი ფილოსოფიის პირველ ნაწილს; მეორე ნაწილი ნატურფილოსოფია წარმოადგენს აბსტრაქციების ჯამს, რაც საკუთრივ ადამიანის არსებაში ცხოვრობს; ის, რამაც უნდა შეადგინოს ფსიქოლოგიის საგანი, წარმოდგენილია მისი ფილოსოფიის მესამე ნაწილში. მაგრამ მასში სხვა არაფერია, გარდა იმისა, რასაც ადამიანი განიცდის დაბადებასა და სიკვდილს შორის და რაც მას შემდგომში შეაქს ისტორიულ განვითარებაში. პეგელთან ხომ არსად არ არის საუბარი რაიმე სახის შექრაზე ადამიანის მარადიულ საწყისში, მის დაბადებამდელ და სიკვდილის შემდგომ ყოფიერებაში; ამას არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭება.

სწორედ ეს იჩენს თავს შუა ევროპის ყველაზე გამოჩენილ ადამიანებში; უპირველეს ყოვლისა, უნდა ვიცოდეთ, რომ ადამიანს, რომელიც აქ ცხოვრობს დაბადებასა და სიკვდილს შორის, აქვს სამშვინველი და სული. გრძნობადი სამყაროს ადამიანებისთვის, ჩვენი ფიზიკური სამყაროს ბინადართათვის, სული და სამშვინველი წარმოდგენილი უნდა იყოს სწორედ შუა ევროპის მოსახლეობის მეშვეობით.

აღმოსავლეთზე გადასვლისას, დავინახავთ, რომ აღმოსავლეთში უპირატესად ცხოვრობს სამშვინველი და სული, ხოლო დასავლეთში – უპირატესად სხეული და სამშვინველი. ამიტომაც წარმოადგენს იმაგინაციებისკენ ასვლა აღმოსავლეთში ბუნებრივ პროცესს, და მართალია, ეს იმაგინაციები ყოველთვის არაა გაცნობიერებული, ისინი მაინც ახდენენ ზემოქმედებას ცნობიერებაზე. აღმოსავლეთის ადამიანების აზროვნების თავისებურება ისეთია, რომ ის მიმართულია იმაგინაციებისკენ, ეს იმაგინაციები აბსტრაქტული ცნებების ფორმითაა შემოსილი თვით ისეთ პიროვნებებში, როგორიცაა სოლოგიოგი\*.

რომაული საწყისი გაიშალა სამ შტოდ (იხ. ნახ. 3). მასში ქაოტურად არეული დიფერენცირდება. ერთი ნაწილი მიდის დასავლეთისკენ, სადაც აქტიურად ვლინდება ახალი ელემენტი – სამეურნეო-ეკონომიკური, ის ნიშანდობლივია ახალი დროისთვის და თავის თავს აკავშირებს ბუნებისმეტყველებას-

თან. მეორე ნაწილი ბიზანტიის გავლით ისტრაფვის აღმოსავლეთისკენ და ის წარმოშობილია უძველესი სიბრძნისგან, თუმცა დეკადანისის, დაცემის პერიოდში; იქ ვითარდება ის, რაც წარმოადგენს სულიერს რელიგიური ფორმით. ბუნებრივია, მთელი ეს პროცესები პარალელურად მიმდინარეობს. ხოლო შეა ევროპისკენ მიდის პოლიტიკურ-მილიტარისტული, სახელმწიფოებრივ-იურიდიული ელემენტი; ცხადია, ეს ვრცელდება სხვადასხვა მიმართულებით, მაგრამ ჩვენ მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს მაგისტრალური გზები. რაც უფრო შორს მივდივართ აღმოსავლეთისკენ, მით უფრო აშკარა ხდება, როგორ ეთვისებიან აღმოსავლეთის ადამიანები თავიანთ მეტყველებას, თავიანთ ენას და ეს სრულებითაც არაა ისე, როგორც ეს ჩანს გერმანელ ხალხებში, რომლებიც ცხოვრობენ თავიანთ ენაში, სანამ მას იყენებენ. გაიხსენეთ სწორედ შეა ევროპის გერმანელი მოსახლეობის საინტერესო მიგრაცია, შეისწავლეთ ამ მოსახლეობის ის განშტოება, რომელიც გადასახლდა. მაგ., უნგრეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ან შვაბიელები, რომლებიც გადასახლდნენ ბანატში, ანდა ზიბენბერგერები როგორ გახდნენ საქსონელი ზიბენბერგერები. მინდა გითხრათ, რომ ყველგან შეიძლება იპოვოთ მხოლოდ გერმანული მეტყველების ელემენტის უშუალო გამოძახილი. ეს ადამიანები მთლიანად ეფლობიან მეტყველების სტიქიის აღქმაში. ძალზე საინტერესო იქნებოდა ეთნოგრაფიული კვლევა, რომელიც აჩვენებდა, როგორ განიდევნა და წაიშალა შედარებით მოკლე დროში, XIX საუბუნის უკანასკნელ ორ მესამედში, გერმანული საწყისი. აქ მიმდინარე პროცესი შეიძლება, ასე ვთქვათ, ხელებით შევიგრძნოთ, თუ საგანს გაგებით მოვეკიდებით. შეიძლება დავინახოთ, როგორ ვითარდება უნგრული ელემენტის წიაღში ხელოვნური სახით გერმანული ელემენტი, მაგრამ ნატურალური სახით – სწორედ სლავურ ელემენტში. აღმოსავლეთში კი ადამიანი სრულად შეეზრდება თვის ენას. სწორედ ეს ხშირად რჩებათ მხედველობის მიღმა. დასავლეთის ადამიანი ენაში ცხოვრობს სრულიად სხვა მეთოდით, რადიკალურად განსხვავებულად აღმოსავლელ ადამიანთან შედარებით. დასავლეთის ადამიანი თავის ენას ეპყრობა როგორც რაღაც სამოსს, ხოლო აღმოსავლეთის ადამიანი თავის ენაში ცხოვრობს, როგორც რაღაც ცოცხალში. აღმოსავლეთში კი დასავლეთის საბუნე

ბისმეტყველო მეცნიერული მსოფლმხედველობისთვის შეუძლებელია რაიმე საყრდენის პოვნა, ვინაიდან მას არ შეუძლია, ჩაეფლოს აღმოსავლეთის მეტყველების ელემენტში, რადგან აღმოსავლეთის ეს მეტყველება უარყოფს საბუნებისმეტყველო მეცნიერულ მსოფლმხედველობას.

თქვენ შეგიძლიათ, ეს შეიგრძნოთ, თუ ჩაუდრმავდებით რაბინდრანათ თაგორის\* საკმაოდ კოკეტურ განხილვებს. მართალია, ისინი განმსჭვალულია გარევული კოკეტურობით, მიუხედავად ამისა, მაინც შესაძლებელია დავინახოთ, რომ მთელი მოსი თვითშეგრძნება იბადება დასავლური მსოფლმხედველობის ზეწოლით, რომელსაც ენაში ცხოვრების წყალობით თან სდევს ამ დასავლური მსოფლმხედველობის მყისიერი უარყოფა.

ამ ყველაფერში ნაძალადევად ჩართულია შუა ევროპელი ადამიანი. მან უნდა აღიქვას ყველაფერი, რაც მოდის მასთან დასავლეთიდან. მაგრამ დასავლეთის ადამიანივით სიღრმისეულად ვერ აღიქვამს, ვინაიდან ამას ის ჟღენთს იმით, რაც აღმოსავლეთიდან მოდის. ამიტომ შუა ევროპაში გამეფებულია არამდგრადი წონასწორობა, აქედან იწყება გახლებილობაც, შუა ევროპელი ინდივიდუალობების სამშვინველთა გაორება, აქედანაა სწრაფვაც ჰარმონიის მოპოვებისკენ, რომ გაწონასწორდეს უკიდურესობები, როგორც ეს კლასიკური ფორმით დიღებულად არის წარმოდგენილი შილერის წერილებში ესთეტიკური აღზრდის თაობაზე, სადაც ამ გაორებას მკაფიოდ ავლენს სწრაფვის ორი სახე, – ბუნებრივი და გონებრივი, – რომელთაც ჯერ კიდევ მოუწევთ შერწყმა. ამავე დროს შესაძლებელია, მიუჟოთოთოვ კიდევ რადაც ძალზე სიღრმისეულზე.

რასაც დასავლეთში ავითარებენ, ამაზე შეიძლება ითქვას: იქ ადამიანებს აქვთ მიღრეკილება, აღიქვან და შეისრუბონ თავის თავში ყველაფერი, რაც მისაწვდომია განსჯისთვის, რამდენადაც ეს გადაჯაჭვულია სხეულთან და სამშვინველთან. ხოლო იქ ჩამოყალიბებული პურიტანიზმი, ეს არის მხოლოდ რაღაც საზეიმო სამოსი სხეულისთვის, იმისთვის, რაც მისაწვდომია განსჯისთვის. ამგვარად დეიზმი, ეს არის რელიგიური მსოფლმხედველობის რაღაც გამონაწური, სადაც ღმერთისგან დარჩა არა უმეტეს ზღაპრისა რაღაც საყოველთაოზე, სამყაროს სრულიად აბსტრაქტულ მიზეზზე; გონი,

როგორც ის არის სხეულსა და სამშვინველთან გადაჯაჭვული, აქ თავს ავლენს საკუთარი უფლებების წამოყენებით.

როცა თქვენ მიდიხართ აღმოსავლეთისკენ, უკავე ვეღარ შეხვდებით ასეთი განსჯის, ასეთი გონიერების რაიმენაირ გაგებას. ეს იწყება უპერ რუსეთიდან. ესმის თუ არა რუსს ზოგადად ის, რასაც დასავლეთში უწოდებენ გონიერებას? არ გვმართებს, მივეცეთ რაიმენაირ ილუზიებს; რუსებს საერთოდ წარმოდგენა არა აქვთ იმაზე, რასაც დასავლეთში უწოდებენ გონიერებას. რუსი გახსნილია იმისთვის, რასაც შეიძლება ვუწოდოთ გამოცხადება. ის, არსებითად, თავის სამშვინველში უშვებს იმას, რასაც უმადლის თავისებური სახის გამოცხადებას. გონიერება, თუნდაც ეს სიტყვა მისთვის ნაცნობი იყოს სხვათა ბაგეთაგან, მისი გაგების მიღმა ძევს. ეს ნიშნავს, რომ ის არ გრძნობს იმას, რასაც ამ დროს გრძნობს დასავლეთის ადამიანი. მაგრამ მას შეუძლია თანაგრძნობა, როცა საუბარია გამოცხადებაზე, ზეგრძნობადი სამყაროებიდან ჭეშმარიტების ჩაღვრაზე ადამიანში, ეს მას მშვენივრად ესმის. რაც შეეხება დასავლურ განსჯას, და სწორედ პურიტანიზმია ამის მშვენიერი დადასტურება, ამ შემთხვევაში დასავლეთის მაცხოვრებელს, თავისთავად, აბსოლუტურად არ ესმის, არსებითად რას წარმოადგენს რუსი ადამიანის და უპირველეს ყოვლისა, აღმოსავლეთის ადამიანის, ანუ აზიატელი ადამიანის, თავისებური დამოკიდებულება სულიერ სამყაროსთან. ეს დასავლეთის ადამიანს არანაირად არ ესმის, ვინაიდან ეს რაღაც სრულიად სხვა რამეა, ვიდრე ის, რაც გვეუწყება განსჯის მეშვეობით. სულიერიდან გამომდინარე ის მოიცავს ადამიანს და სასიცოცხლო სახით მსჯვალავს.

შუა ევროპელ ადამიანებთან საქმე ასეა: როცა ახლოვდებოდა ატლანტიდის შემდგომი მეხუთე ეპოქა, ანუ X-XII საუკუნეები და ეს მდგომარეობა ნარჩენდებოდა ჯერ კიდევ XV საუკუნის შუამდე, შუა ევროპის გამოჩენილი მოაზროვნეები შეეჯახენ გაუგონარ სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემას, რომელიც დადგა მათ წინაშე, როგორც ადამიანებისთვის, რომლებიც ცხოვრობდნენ დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, ვინაიდან დასავლეთი იჭრებოდა მათ გარემოში თავისი განსჯით, ხოლო აღმოსავლეთი – თავისი გამოცხადებით. საკმარისია შევისწავლოთ დიდებული სქოლასტიკა, რომელიც

იშვა შუა საუკუნეების სულიერი განვითარების ბრწყინვალე ეპოქის მიერ, შევისწავლოთ მოაზროვნები აღმარტინ მაგნუსი\*, (ალბერტ დიდი), თომა აქვინელი\*, დუნს სკოტი\* და ა. შ. და შევადაროთ ისინი ისეთ მოაზროვნებს, როგორიცაა როჯერ ბერნი\*, – მე მხედველობაში მყავს უფროსი ბეკონი, რომელიც უფრო მეტად დასავლეთზე იყო ორიენტირებული, – და ნათელი გახდება: შუა ევროპელი დიდებული სქოლასტიკოსების წინაშე ისმებოდა კითხვა, რომელიც ეხებოდა ურთიერთქმედებას იმისა, რაც იჭრებოდა დასავლეთიდან როგორც გონი, ხოლო აღმოსავლეთიდან როგორც გამოცხადება. ისინი მზად იყვნენ მიეღოთ ის, რაც, ერთი მხრივ, დაკავშირებული იყო სულებთან, რომელთაც სურდათ ნებელობის მეშვეობით ადამიანის სხეულსა და სამშვინველში შეჭრა, მეორე მხრივ კი მზად იყვნენ მიეღოთ ის, რაც დაკავშირებული იყო სულებთან, რომლებიც ცდილობდნენ იმაგინაციის მეშვეობით შეჭრილიყვნენ სულსა და სამშვინველში, როგორც ეს ხდებოდა აღმოსავლეთში. ამიტომაც წარმოიქმნა სქოლასტიკოსების მოძღვრება, რომელიც აფასებდა ერთსაც და მეორესაც: გონს და გამოცხადებას. გონი აუცილებელია იმისთვის, რისი წვდომაც დედამიწაზე შესაძლებელია გარეგნული გრძნობების დახმარებით, გამოცხადება კი აუცილებელია ზეგრძნობადი ჰეშმარიტებებისთვის, რომელიც შეიძლება ამოიღო მხოლოდ ბიძლიიდან და ქრისტიანული ტრადიციიდან. შუა საუკუნეების ქრისტიანულ სქოლასტიკას სწორად სწვდება ის, ვისაც ესმის, რომ მისი შემქმნელები თავის თავში აერთიანებდნენ დასავლეთის გონიერებასა და აღმოსავლეთის გამოცხადებას. მათში მოქმედებდა ორივე მიმართულება და შუა საუკუნეებში შეუძლებელი იყო ერთმანეთთან დაეკავშირებინათ ეს დაპირისპირებები, თუ არ იგრძნობდნენ პიროვნების გარკვეულ გაორებას, გახდეჩას.

ამიტომ ჩვენი მცირე გუმბათის მოხატულობაზე\*, იმ ადგილას, სადაც წარმოდგენილი უნდა იყოს გერმანული ელემენტი თავისი დუალიზმით, თქვენ ხედავთ ორი ნაკადის შეჯახებას, მოყავისფრთ-შავისა და მოწითალო-ყვითლის: მოწითალო-ყვითელი ეს არის გამოცხადება, მოშავო-მოყავისფრო არის განსჯა; იქ ფერებსა და ფერებით გამოცხადების შეგრძნებაში

გადმოცემულია ის, რაც ინსპირირებდა კაცობრიობის სხვა-დასხვა კულტურას ადამიანების მეშვეობით.

შეიძლება ითქვას, რომ ის, რაც ჩვენ გვაქვს ახლა ცივი-ლიზებული სამყაროს სახით, დასავლეთში უშუალოდ მოი-ცავს ახალი დროის სპეციფიკურ თავისებურებებს, რაც მდგომარეობს იმაში, რომ თავს იჩენს სამეურნეო-ეკონომიკური ცხოვრების ელემენტი; ეს ეკონომიკური ცხოვრება ვრცელდება მთელ ცივილიზებულ სამყაროში, ვინაიდან ად-რინდელ ეპოქებში ის არ იყო ესოდენ აქტუალური პრობლემა, როგორც ახლა. ის არის უშუალოდ დროის სულისკვეთება. პირიქით, ის, რაც არსებობს სახელმწიფოში და პოლიტიკაში, უკვე გაქრობას იწყებს. ხოლო იმან, რაც XIX საუკუნის ბო-ლო მესამედში დაფუძნდა როგორც მესამე რაიხი, თავის თავ-ში აღიქვა ძველი რომაული საწყისის ეს ჩამქრალი ელემენტი და მარცხი განიცადა. უკვე თავისი სტრუქტურით ის განწი-რული იყო, განსაკუთრებით, როცა მისი ფორმირება დასრუ-ლებული იყო. არსებითად, გერმანული რაიხი, რომელიც უდი-დესი ორგანიზაციორული გენიოთ დაფუძნდა, შიგნიდან იყო უბრალოდ გაგრძელება იურიდიულ-სახელმწიფოებრივი, პო-ლიტიკური მშენებლობისა; ამ პროცესში იგულისხმებოდა ეკონომიკური სფეროს დაუფლებაც, მაგრამ ამისთვის საჭირო სამეურნეო აზროვნებას ვერ ფლობდნენ. ვინაიდან მეურნეო-ბის ორგანიზაცია ამ რეგიონში სულ უფრო ესწრაფოდა სა-ხელმწიფოებრივი სისტემის ქვეშ დამალვას. მაგალითად, მი-ლიტარიზმი აღებული იყო საფრანგეთიდან და შეეიცარიიდან, სადაც სხვა ფორმა ჰქონდა, ხოლო შუა ევროპაში ის იყო, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნაციონალიზებული. ასე რომ, შუა ევ-როპამ ვერ შეძლო, აღექვა ვერც ნამდვილი ეკონომიკური ცხოვრება, ვერც ნამდვილი შინაგანად ცოცხალი, საკუთარი ფესვებისგან წარმოშობილი სულიერი ცხოვრება. და ყველაზე საშინელი რამ აღმოჩნდა ყოველივე, რაც დაარსდა შუა ევრო-პაში უკანასკნელი დროების ანტისულიერების საფუძველზე! ჩვენ ვხედავთ, რამდენად სწრაფად შეეზარდა სახელმწიფოებ-რივ-პოლიტიკურ სტრუქტურას სფეროები, რომლებიც მიეკუთ-ვნება სულიერ ცხოვრებას; აქედან გამომდინარე, სრულიად აშკარაა, რომ XX საუკუნის მეორე ათწლეულში შუა ევროპა-ში ვერ შეხვდებით ვერავის, ისტორიასა და მსგავს მოვლენებ-

ზე დაწეროს სხვაგვარად, თუ არა პარტიული პოზიციებიდან. ყველაფერი, რაც მოდის უნივერსიტეტებიდან, არ არის ობიექტური ისტორია, ეს პოლიტიკური შევერილობის პარტიული პოზიციაა. აღმოსავლეთის არეალში ვაკვირდებით კიდევ უფრო მეტ პრობლემას, რომელიც უკავშირდება სულიერ ცხოვრებას, წარმოშობილს აღმოსავლეთის უძველესი დროებიდან. დასავლეთიდან და შეუავრობიდან აღმოცენტრული ნაკადების მოზღვავებამ, გადაუარა პეტრე დიდის ღონისძიებებს, მის რეფორმებს, რომელიც არ იყო თავისუფალი უძველესი სულიერებისაგან, თუმცა იმყოფებოდა დეკადანსში და ავადმყოფურად ვლინდებოდა პანსლავიზმში, სლავოფილობაში. ყველაფერს საბოლოოდ მიჰყევს იმ თანამედროვე მდგომარეობისკენ, რომლისგანაც სურს, დაბადება ახალ სულს, ვინაიდან ძველი სული მთლიანად დეკადანსშია.

ამდენად, თანამედროვე სამყაროში ჩვენ ვხედავთ, როგორ იკრებს ძალებს ახალი ეკონომიკა, რომელმაც დააჩქარა იურისპუდენციისა და სახელმწიფოებრიობის დასასრული, ასევე დიდი ხნის წინ ჩამქრალი სულიერი ცხოვრება.

დასავლეთში ჩვენ ვხედავთ, როგორ შთანთქავს ყველაფერს ეკონომიკა; სახელმწიფოებრივი ელემენტი და სულიერი შემადგენელი იქ არსებობს მხოლოდ ბუნებისმეტყველების ფორმით, ცხადია, თუ არ ჩავთვლით საეჭვო პურიტანელობას. შეუავროპაში ჩვენ უკვე გვაქვს მობერებული სახელმწიფო, რომელსაც სურს ეკონომიკისა და სულიერი ცხოვრების შთანთქმა და ამიტომაც არაა სიცოცხლისუნარიანი. აღმოსავლეთში ჩვენ გვაქვს უძველესი დროის ჩამკვდარი სული და მცდელობები, მოხდეს მისი გალვანიზება დასავლური ტიპის სხვადასხვა რეფორმის დახმარებით; განურჩევლად იმისა, პეტრე დიდია თუ ლენინი, – ყველაფერი, რაც მოდის დასავლეთიდან, მოწოდებულია, მოახდინოს აღმოსავლური სულის გვამის გალვანიზება. ხსნა კი ის იქნება, რომ მკაფიოდ განვჭვრიტო: ადამიანებზე საჭიროა ახალი სულის გადმოსვლა.

ეს ახალი სული, რომლის პოვნაც შესაძლებელია უპერა არა აღმოსავლეთში, არამედ თავად დასავლეთის სამყაროს ქვეყნებში, ადამიანებს უბიძგებს იმ აუცილებლობისკენ, რომ ერთმანეთის გვერდით დააყენონ ეკონომიკა, სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება და სულიერი ცხოვრება. ამ შემ-

თხვევაში დასავლეთში ეკონომიკურ ცხოვრებას, რომელზეც იგი ბუნებისმეტყველების როლის წყალობით განსაკუთრებულად არის მორგებული, შეიძლება ასევე დაქმატოს სახელმწიფოებრივი და სულიერი ცხოვრებაც. ხოლო შუა ევროპას შეეძლება, სახელმწიფოებრივი ცხოვრების გვერდით აღიქვას ეკონომიკური და სულიერი ცხოვრება, მაგრამ იმ პირობით, რომ სახელმწიფოებრივი ცხოვრების სრულყოფა მოხდება აბსოლუტურად სხვა საფუძველზე: გახდება ანთროპოსოფიულად ორიენტირებული. ეს სული შეძლებს, ხელახლა გაანაყოფიეროს აღმოსავლეთიც. სულიერი ცხოვრება, რომელიც ევავის დასავლეთის სამყაროს ქვეყნებში, აღმოსავლეთისთვის მაშინ გახდება გასაგები, თუ მას მართებული სახით მივაწვდით, რადგენადაც ამ შემთხვევაში აღარ იქნება ხელოვნურად შექმნილი საზღვრები, რომელიც ეწინააღმდეგება იმის შეჭრას, რაც დასავლური სამყაროს ქვეყნებში ევავის ჭეშმარიტად ანთროპოსოფიულად ორიენტირებული სულიერი ცხოვრების სახით და ეს უგანასკნელი დაიწყებს აღმოსავლეთში შეღწევას, სადაც მას გაიგებენ, თუმცა ის ახლაც უკვე იჭრება იქ კულტურის ისეთი მოღვაწეების მეშვეობით, როგორიცაა რაბინდრანათ თაგორი და სხვები. საქმის არსი ის არის, რომ აღმოსავლეთი უარყოფს მეცნიერებას. მაგრამ ის მეცნიერება, რომელიც გაშუქებულია ნამდვილი სულიერებით, ისე, როგორც გვსურს, წარმოვადგინოთ ჩვენს კურსებში უმაღლესი სკოლისთვის, სრული ენთუზიაზმით იქნება მიღებული აღმოსავლეთშიც. მაშინ აღმოსავლეთიც გამოავლენს საკმარის ინტერესს მსგავს დამოუკიდებელ სულიერ ცხოვრებასთან დაკავშირებით. ის ასევე აღიქვამს დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებასაც და შეძლებს აღიქვას და დამოუკიდებლად განავითაროს ეკონომიკური ცხოვრებაც. ამდენად, გონივრულად და ამავდროულად სულიერად გააზრებული მოვლენების საფუძველზე, რომლებიც ხდება რომის იმპერიის დაცემის დროიდან თვით ჩვენს დრომდეც, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სოციალური ორგანიზმის ზემოაღწერილ სამწევრიანობაში რეალურად განხორციელდება ის, რაც არის ევროპული და აზიური სამყაროების განვითარების მიზანი.

მეოთხე ლექცია  
დორნახი, 1920 წლის 24 ოქტომბერი

ჯერ კიდევ 1891 წელს გავაძახვილებ\* მე ყურადღება შილერის „ესთეტიკურ წერილებსა“ და გოეთეს ფილოსოფიურ თხზულებას, – „ზღაპარი მწვანე გველსა და მშვენიერ შროშანზე“, – შორის არსებულ ურთიერთკავშირზე. დღეს მსურს, თქვენი ყურადღება მივაპყრო იმას, თუ როგორ არის აღწერილი შილერთან და გოეთესთან შუა ეკროპულ, დასავლურ და აღმოსავლურ ცივილიზაციებს შორის არსებული განსხვავებები, რომლებზეც გუშინ ვისაუბრე. ჩემ მიერ დახასიათებულმა ტენდენციებმა, – ერთი მხრივ, დასავლეთის სულების მიერ ადამიანური სხეულების დაპყრობამ, მეორე მხრივ, აღმოსავლეთის სულების გავლენამ, რომლებიც იმაგინაციის ფორმით შთამაგონებლად ზემოქმედებენ აღმოსავლურ ცივილიზაციაზე, – თავისი ასახვა პოვეს ისეთი გამოჩენილი მოაზროვნების თხზულებებში, როგორიცაა შილერი და გოეთე. მე დღეს ვისაუბრებ იმაზე, შილერი თავის „ესთეტიკურ წერილებში“ როგორ ცდილობს დახასიათოს მშვინვიერი წყობა ადამიანისა, რომელიც თავისი არსით წარმოადგენს რაღაც საშუალოს, რაც ნიშანდობლივია ადამიანისთვის იმ მომენტში, როცა იგი ეძლევა თავის ინსტინქტებს და შეპყრობილია გრძნობად-ფიზიკურით და რაც დამახასიათებელია თავად მისთვის, ოფონდ იმ მომენტში, როცა ის უპირატესობას ანიჭებს განსჯის ლოგიკურ სამყაროს. შილერს მიაჩნია, რომ არც ერთ შემთხვევაში ადამიანს არ შეუძლია, მივიდეს თავისუფლებამდე, ვინაიდან იმ დროს, როცა იგი ეძლევა გრძნობადი სამყაროს ინსტინქტებსა და სწრაფვებს, მთლიანად დამოკიდებულია საკუთარ სხეულებრივ-ფიზიკურ ორგანიზმზე. მაგრამ ის თავისუფალი არ არის მაშინაც, როცა მთლიანად ემორჩილება გონების ურყევ კანონებს, მკაცრ ლოგიკურ აუცილებლობას, ვინაიდან მაშინ იგი ექცევა ლოგიკის კანონების მკაცრი დიქტატის ქვეშ. შილერი მიუთითებს ოქროს კვეთის შუალედზე, რომელიც დგება, როცა ადამიანმა, ერთი მხრივ, ისე გაასულიერა თავისი ინსტინქტები, რომ ისინი არ ჩამოიყვანენ მას ქვევით, არ აქცევენ მას თავის მონად, ხოლო მეორე მხრივ, – მკაცრი წესრიგი დაამყარა თავის გარეგნულ შეხედულებებში

და ამით გაუღინოა თავისი პირადი ვნებები იმგვარად, რომ ამ შეხედულებებში არსებულ ლოგიკურ კანონზომიერებებს ასე-ვე არ შეუძლიათ მისი მონად გადაქცევა.

ესთეტიკურ ტკბობასა და ესთეტიკურ შემოქმედებაში შილური ჭვრეტდა ისეთ შუალედურ მდგომარეობას, რომელიც ადამიანს საშუალებას აძლევს, მივიდეს ნამდვილ თავისუფლებამდე.

ძალზე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ შილერის ყველა ეს სტატია წარმოიშვა სწორედ იმავე ევროპული ატმოსფეროდან, იმავე საზოგადოებრივი განწყობიდან, რომლისგანაც დაიბადა საფრანგეთის რევოლუცია. შილერსაც უშუალოდ შეეხო ის, რაც დასავლეთში ქაოტურად გამოიხატა გარეგნულ გარდაქმნაზე ორიენტირებულ უხარმიზარ პოლიტიკურ მოძრაობაში და მას უბიძგა, პასუხი ემია კითხვაზე: რა უნდა აკეთოს თავად ადამიანმა თავის თავში, რომ გახდეს ჰეშმარიტად თავისუფალი არსება? დასავლეთში კი კითხვას ასე სვამდნენ: როგორ უნდა გარდაიჭმნას გარეგნული სოციალური პირობები, სოციალური წეობა, რომ ამავე დროს ადამიანი გახდეს თავისუფალი? შილერი კითხულობდა: როგორ უნდა იმოქმედოს თავად ადამიანმა თავის თავში, რათა მოიპოვოს თავისუფლება საკუთარ მშვინვიერ წყობაში? ის დარწმუნებული იყო, რომ ადამიანი, რომელიც ახდენს თავის თავში ამ შუალედური მშვინვიერი განწყობის კულტივირებას, სოციალური მიმართებითაც ასევე წარმოადგენს ადამიანს, რომელშიც გაბატონებულია თავისუფლება. ამდენად, შილერს მიაჩნდა, რომ ადამიანს სწორედ ასეთი მეთოდით შეუძლია განავითაროს თავის თავში თავისუფალი არსება, დამოუკიდებლად, ყოველგვარი გარეგანი დონისძიებების გარეშე.

შილერი თავის „ესთეტიკურ წერილებში“ მსგავს ფორმულირებამდე მივიდა კანტის შესწავლის წყალობით. შილერი იყო ძალზე არტისტული ნატურა და სწორედ XVIII საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისში იმყოფებოდა კანტის ძლიერი გავლენის ქვეშ, ამიტომ მოცემულ კითხვაზეც შეეცადა, პასუხი გაეცა კანტის სულისკვეთებით. „ესთეტიკური წერილების“ წერა დროში ემთხვევა იმ პერიოდს, როცა გოეთებ და შილერმა ერთობლივად დააარსეს ჟურნალი „ჰორენი“ („die Horen“- ბერძნულ მითოლოგიაში წლის დროთა ქალღმერთი) და შილერმა შესთავაზა გოეთეს ჟურნალში პუბლიკაციებისთვის თავისი „ესთეტიკური წერილები“.

ცხადია, თქვენთვის ცნობილია, რომ გოეთეს მშვინვიერი წყობა ძალზე განსხვავდებოდა შილერის მშვინვიერი წყობისაგან. სწორედ ასეთი განსხვავებულობის გამო დაუახლოვდნენ ისინი ერთმანეთს. ერთს შეეძლო მეორისთვის მიეცა ის, რაც არ პქონდა. ამდენად, გოეთემ მიიღო „ესთეტიკური წერილები“, რომლებშიც შილერს სურდა, პასუხი გაეცა კითხვაზე: როგორ შეუძლია ადამიანს, შინაგანი ძალისხმევით მოიპოვოს თავისუფლება სამშვინველში, ხოლო გარეგნულად მივიღეს სოციალურად თავისუფალ ქცევებამდე? გოეთემ ცოტა რამ მიიღო შილერის ფილოსოფიური სტატიებისგან, მაგრამ არა იმიტომ, რომ ცნებებთან მოპყრობის მსგავსი მანერა, იდეების მსგავსი განვითარება გოეთესთვის იყო რადაც სრულიად უცხო. მე თავად მეჭირა ხელში გოეთეს პირადი ეგზემპლარი კანტის „წიგნისა „წმინდა გონების კრიტიკა“, რომელშიც გოეთემ თავისი ხელით მონიშნა ცალკეული ადგილები და გვერდებზე დატოვა თავისი შენიშვნები, ეს კი ნიშნავს, რომ მან ნამდვილად კარგად შეისწავლა ეს აბსტრაქტული ტრაქტატი, თუმცა ასეთი რამ მისთვის სრულებითაც არ არის დამახასიათებელი. რამდენადაც გოეთეს არ შეეძლო, მთლიანად მიეღო კანტის ფილოსოფია, ამიტომ მას, ბუნებრივია, არ შეეძლო ასევე უსიტყვოდ მიედო შილერის მოწაფეობრივი ნაშრომიც, მისი „ესთეტიკური წერილები“. მაგრამ საქმე სრულებითაც არ არის ასე. შილერის შუალედური მდგომარეობის თეორია და მის მიერ შემოთავაზებული ადამიანის მოდელი, – თავისი გონივრული იმპულსებით ლოგიკური აუცილებლობის საფუძველზე და გრძნობადი იმპულსებით გრძნობისავე მოთხოვნილების საფუძველზე, – გოეთესთვის წარმოადგენდა რადაც სწორხაზოვანს, ძალზე გამარტივებულს. მსგავსი გამარტივებული წარმოდგენა ადამიანსა და ადამიანურ განვითარებაზე გოეთესთვის იყო მიუღებელი, ამიტომაც მან მისწერა შილერს, რომ სურდა ამ პრობლემის გადაწყვეტა არა ამდაგვარი ფილოსოფიურ-განსჯითი ფორმით, არამედ ხატოვნად. შილერის „ესთეტიკურ წერილებს“ მალევე მოყვა თავისებური პასუხი, გოეთეს მიერ მწვანე გველსა და მშვენიერ შროშანზე შექმნილი ზღაპრით, სადაც ორ სამეფოში, რომელიც განლაგებულია მდინარის სხვადასხვა მხარეს, წარმოადგინა იგივე, რაც შილერმა თავისებურად გადმოსცა როგორც მგრძნობელი

ლობა და როგორც გონიერება, ოფონდ წარმოადგინა უბრალოდ ხატოვან, მრავალმნიშვნელოვან და კონკრეტულ ფორმა-ში. და ის, რაც შილერმა სრულიად აბსტრაქტულად დაახასიათა, როგორც შუალედური მდგომარეობა, გოეთემ წარმოადგინა მშენებარე ტაძრის სურათ-ხატში, რომელშიც გამეფებულები არიან სიბრძნის მეფე, (ოქროს მეფე), ციალის მეფე, (ვერცხლის მეფე), ძალის მეფე, (რკინის, სპილენძის მეფე); მაგრამ ის, რაც იშლება შემადგენელ ნაწილებად, გამოხატულია შერეულ მეფეში. ამდენად, გოეთე თავისი ნიშანდობლივი მანერით მეტაფორულ ფორმაში მიუთითებს იმაზე, რომ ადამიანთა საზოგადოების გარეგნული სტრუქტურა, მისი წევრები არ უნდა იყენებო რაღაც ერთსულოვანი, არამედ უნდა იყოს სამგვარი, ცხადია, თუ ადამიანი იქ უნდა განვითარდეს.

გოეთე ჯერ კიდევ ხატოვან ფორმაში იძლევა იმას, რაც გვიანდები ეპოქის სულისკვეთების შესაბამისად უნდა მოხულიყო, როგორც მოძღვრება სოციალურ სამწევრიანობაზე. ბუნებრივია, მასთან ეს ჯერ კიდევ არ არის სოციალური ორგანიზმის სამწევრიანობა, მაგრამ მისი ზღაპრის პერსონაჟები, ეს სამი მეფე, – ოქროს, სპილენძისა და ვერცხლის, – მიუთითებს სოციალურ ორგანიზმზე; ხოლო ის, რაც იშლება, გამოხატულია შერეულ მეფეში.

ჩვენს დროში უკვე შეუძლებელია ამ იდეების მიწოდება მსგავსი მანერით. ჩემს პირველ დრამა-მისტერიაში\* მე, არსებითად, დავამუშავე იგივე თემა, მაგრამ ამისთვის გამოვიყენე საშუალებები, რომლებიც XX საუკუნის დასაწყისს შეაფერებოდა; გოეთე კი თავის „ზღაპარს“ წერდა XVIII საუკუნის ბოლოს.

ახლა უკვე შეიძლება, გარკვეულწილად, მივუთითოთ, თუმცა თავად გოეთე ამას არ აკეთებდა, იმაზე, რომ ოქროს მეფე შეესაბამება სოციალური ორგანიზმის იმ წევრს, რომელსაც ჩვენ ადგნიშნავთ, როგორც სულიერი ცხოვრების წევრს; ციალის მეფე, ვერცხლისა, შეესაბამება პოლიტიკურ სახელმწიფოს; ძალის მეფე, სპილენძის მეფე, შეესაბამება სოციალური ორგანიზმის ეკონომიკურ წევრს; შერეული მეფე კი, რომელიც თავის თავში იშლება, წარმოადგენს ერთიან, დაუნაწევრებულ სახელმწიფოს, რომელიც თავისთავად მოკლებულია რაიმე სიმტკიცესა და მდგრადობას.


ჩვენ წინაშეა გოეთეს, თითქოსდა, ხატოვანი მითითება იმაზე, რაც ოდესმე უნდა მოვიდეს როგორც სოციალური ორგანიზმის სამწევრიანობა. ამდენად, გოეთე, როცა მან მიიღო შილერის „ესთეტიკური წერილები“, თითქოსდა ამბობს: ასე გაკეთება არ შეიძლება; ძვირფასო მეგობარო, თქვენ ადამიანს ძალზე მარტივად წარმოადგენთ. თქვენ წარმოადგინეთ სამი ძალა. მაგრამ ადამიანთა საქმე სხვაგვარადაა. თუ ავიღებთ ადამიანის მთელ შინაგან სიმდიდრეს და მას განვიხილავთ, მაშინ აღმოჩნდება დაახლოებით ოცი ძალა, – გოეთემ ისინი ხატოვნად წარმოადგინა თავისი ზდაპრის ოც პერსონაჟში, – ამასთან, ამ ძალების თამაში და ურთიერთქმედება უნდა გამოხატულიყო გაცილებით ნაკლებად აბსტრაქტული ფორმით.

ამდენად, XVIII საუკუნის ბოლოს წარმოიქმნა ორი გამოხატულება ერთი და იმავესი, ერთი მოდიოდა შილერისგან და ეფუძნებოდა, შეიძლება ითქვას, განსჯით საფუძველს, თუმცა იმისგან განსხვავებით, რაც ჩვეულებრივ კეთდება განსჯის საფუძველზე, ის განმსჭვალულია გრძნობებით, სამშვინველით, ყველაფრით, რაც ახასიათებს ცოცხალ ადამიანს. არის განსხვავება დამყაყებული ჩვეულებრივი ობივატელი, პროფესორი, რომელშიც ამოქმედებულია მხოლოდ თავი, როგორ უდგება ადამიანის განსხილვას ამჟამინდელი ფსიქოლოგიის პოზიციიდან, და იმას შორის, როგორ აყალიბებს შილერი, მთლიანი ადამიანის განცდაზე დაყრდნობით, მისი მშვინვერი წყობის იდეალს, ხოლო შემდეგ ამ ყველაფერს, ღრმად განცდილს, უბრალოდ გარდაქმნის ცნებით წარმოდგენებში.

შეუძლებელია მხოლოდ ლოგიკითა (Logisieren) და განსჯითი ანალიზით განვლო შილერის გზა, რაიმე მეშჩანურობისა და აბსტრაქციის გარეშე. გრძნობისა და შეგრძნებების სისაფსით არის ჯერ კიდევ გაუდენთილი შილერის „ესთეტიკური წერილების“ ყოველი სტრიქონი. აქ არ არის დახავსებულობა კუნიგსბერგელი იმანუელ კანტისა, თავისი გაცვეთილი ცნებებით, – „ესთეტიკურ წერილებში“ განსჯის ფორმითაა გადმოცემული ღრმა ცხოვრებისეული აზრი და ის უბრალოდ შემოსილია იდეის ფორმით. საკმარისია, ერთი ნაბიჯით წინსვლა და აღმოჩნდები სწორედ განსჯის უცერულ მოძრაობაში, რომელიც თანამედროვეობაში მუშაობს ჩვეულებრივ მეცნიერებაში, სადაც არსებითად, არ ჩანს თავად ადამიანი და უკვე ადარ აქვს

მნიშვნელობა თავად მწარმოებელს, – იქნება ეს პროფესორი ა, ან ბ, თუ გ, – ვინაიდან განსჯის საგანს უკვე აღარ აქვს მიმართება ადამიანთან მთლიანობაში. შილერთან კი უკვე თავიდანვე სახეზეა პიროვნული, თუმცა გადატანილი განსჯით სიკრცეში. შილერი მოღვაწეობდა კაცობრიობის განვითარების ჯერ კიდევ იმ პერიოდში, როცა მნიშვნელოვანი და არსებითი იყო შეჩერება რაღაც მიჯნაზე; შილერი შეჩერდა კიდეც, კაცობრიობამ კი მას მოგვიანებით მთლიანად გადააბიჯა.

ჩვენ შეგვიძლია ეს გრაფიკულად წარმოვადგინოთ. შეიძლება ითქვას: ეს არის კაცობრიობის განვითარების საერთო მიმართულება (ნახ. 4. ისარი ზემოთ). მაგრამ კაცობრიობის განვითარება ასე სწორხაზოვნად არ ხდება, – ის ასევე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მხოლოდ სქემატურად, ნახაზზე, – სინამდვილეში კი განვითარება აღწერს ლემნისკატას (ლურჯი ხაზი); ვინაიდან თუ განვითარება მიღის არჩეული მიმართულებით, მაშინ მან მუდმივად უნდა შექმნას სულ ახალი და ახალი იმპულსები, რომლებიც ამოძრავებენ ამ ლემნისკატას ზევით ყოველ ახალ ხვეულზე.



ნახ. 4

1. grün-მწვანე. 2. dunkleres Blau-მუქი ლურჯი. 3. rot-წითელი. 4. blau-ლურჯი.

შილერს, მივიდა რა ამ წერტილამდე (იხ. წერტილი ლემნისკატაზე მარჯვნივ), შეეძლო შესულიყო სრული აბსტრაქციის მუქლურჯ სფეროში, წმინდა განსჯაში, თუ წინ წავი-

დოდა დამოუკიდებელი ქმედებით იმისკენ, რასაც ის შინაგანად გრძნობდა. მაგრამ ის ჩერდება და ამავე დროს ჯერ კიდევ შინაგანად შეჩერებულია იმ წერტილზე, სადაც ადამიანი არ კარგავს პიროვნულობას, არამედ პირიქით, პიროვნება ჯერ კიდევ მთლიანად თვალსაჩინოა ამ განსჯით მსჯელობაში. აი, რატომაა ეს აღნიშნული განვითარების უფრო მაღალ ხვეულზე მწვანით და არა ლურჯით (თავად განვითარების მსგლელობა ნახატზე აღნიშნულია წითლით). ასე რომ, შეიძლება ითქვას: შილერი შეჩერდა სწორედ იმ მიჯნაზე, რომ შილერის იქითაც განსჯითი ვლინდება თავის სიწმინდეში. შილერი არ ჩავარდა ამ, XIX საუკუნისთვის ჩვეულ განსჯაში.

გოეთებ გამოხსატა იგივე, რაც შილერმა, მაგრამ სურათ-ხატებში, მწვანე გველისა და მშვენიერი შროშანის ზღაპრის გასაოცარ სურათ-ხატებში, თუმცა ამ სურათ-ხატების იქით არც ის წასულა. ის ძალზე ლიზიანდებოდა, როცა ვინმე ჩააცილდებოდა მათ, ვინაიდან მას სურდა, სწორედ ამ სურათ-ხატებში გამოესახა თავისი განცდები, რომელიც ეხებოდა, როგორც ინდივიდუალურ-ადამიანურს, ისე სოციალურ ცხოვრებასაც. მაგრამ ის ამ სურათ-ხატების ფარგლებს არ უნდა გასცდენოდა. თუ ის შეეცდებოდა ამის გაკეთებას, მაშინ გახდებოდა მეოცნებებე, ჩაეფლობოდა სხვადასხვაგვარ ფანტასმაგორიაში. იდეები დაკარგავდნენ თავიანთ კონტურებს; ისინი გახდებოდნენ ცხოვრებისთვის გამოუსადეგარი, გასცდებოდნენ ცხოვრების ფარგლებს, მოსწყდებოდნენ მას. დაიბადებოდა ქიმერული, განუხორციელებელი, ფანტასტიკური ოცნება. შეიძლება ითქვას, რომ გოეთეც იძულებული გახდა, მორიდებოდა წყალქვეშა რიფებს, მაგრამ შილერისგან განსხვავებით, მას ემუქრებოდა სრული ჩაფლობა ფანტასმაგორიაში (წითელი სფერო). ამიტომ, უპიროვნოს მან გაურია სურათ-ხატები იმაგინაციის სფეროდან, რომლის წყალობითაც ასევე მოხვდა სფეროში, რომელიც აქ აღნიშნულია მწვანე ფერით.

შილერი, თუ შეიძლება ეს სქემატურად გამოისახოს, თითქოსდა გაექცა ლურჯს, არიმანულ-ინტელექტუალურს; გოეთე გაურბოდა წითელს, მეოცნებეობას და დარჩა კონკრეტულ იმაგინაციურ სურათ-ხატებში.

შილერს როგორც შეუა ევროპელ ადამიანს საქმე ჰქონდა დასავლეთის სულებთან. მათ სურდათ მისი წაყვანა სრული გან-

სჯის ქება. კანტიც მოექცა მისი გავლენის ქვეშ. ამ ციკლის პირველ დექციაში მე უკვე ვისაუბრე, როგორ აითვისა კანტმა და ვიდ იუმის წყალობით დასავლური ინტელექტუალობა. შილერმა შეძლო ამ გავლენის გადალახვა, თუმცა კი სწავლობდა კანტს. იგი გაექცა იმას, რაც წარმოადგენს წმინდა ინტელექტუალობას.

გოეთე ებრძოდა სხვა სულებს, აღმოსავლეთის სულებს, რომლებიც მას იმაგინაციებისკენ უბიძგებდნენ. მას თავის ეპოქაში, – ვინაიდან სულისმეცნიერება მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა, – არ შეეძლო შემდგომი წინსვლა იმ იმაგინაციური ქსოვილისკენ, რომელიც არის ფილოსოფიურ თხზულებაში „ზდაპარი მწვანე გველსა და მშვენიერ შროშანზე“. ამავე დროს, იგი ინარჩუნებდა მკაფიო კონტურებს. ის არ გახვეული ფანტასიაგორი სამყარო სამხრეთში მოგზაურობისას, სადაც ჯერ კიდევ არსებობდა ბევრი რამ აღმოსავლერი მემკვიდრეობისგან. იქ მას შეეძლო, დაკვირვებოდა, ჯერ კიდევ როგორ აგრძელებდნენ მოქმედებას აღმოსავლეთის სულები აღმოსავლერი კულტურის მემკვიდრეობაში – ბერძნულ კულტურაში, რომელიც მან გადამუშავა თავისთვის იტალიელი ოსტატების ნაწარმოებების საფუძველზე. ამდენად, შეიძლება ითქვას: გოეთესა და შილერის მეგობრული კავშირი აღბეჭდილია გარკვეული თავისებურებით. შილერი ებრძოდა დავლეთის სულებს და არ აყვა მათ, მან შეინარჩუნა სიმტკიცე, არ მოექცა განსჯის უშუალო ძალაუფლების ქვეშ. გოეთე ებრძოდა აღმოსავლეთის სულებს; მათ სურდათ ის გაუკანათ ოცნებების სფეროში. მაგრამ ისიც არ მოექცა სულების გავლენის ქვეშ – დარჩა სურათ-ხატების ფარგლებში, რომელიც აღწერა თავის ფილოსოფიურ თხზულებაში „ზდაპარი მწვანე გველსა და მშვენიერ შროშანზე“. გოეთეს ჰქონდა ალტერნატივა, გამხდარიყო მეოცნებე, ან აღექვა აღმოსავლერი გამოცხადება. შილერი კი უნდა გამხდარიყო ან მთლიანად განსჯის ადამიანი, ანდა მას თავის თავში შეენარჩუნებინა ის, რისთვისაც საფრანგეთის რევოლუციურმა მთავრობამ მას მიანიჭა საფრანგეთის მოქალაქეობის წოდება, თუმცა თავად მან ეს სერიოზულად არ მიიღო.

აქ ოქვენ ხედავთ, როგორ დადგა ეპროპული განვითარების მნიშვნელოვან მომენტში გვერდიგვერდ ეს ორი ადამიანი, ორი სხვადასხვა წყობის მშვინვიერების მატარებელი, როგორც მე

აღვწერე. მე უკვე გითხარით, რომ დასავლური და აღმოსავლური ელემენტი სახეზეა ყველა შუა ევროპელ გამოჩენიდ პიროვნებაში, მაგრამ შილერისა და გოეთეს შემთხვევაში ისინი თითქოსდა ერთდროულად იქნა გვერდიგვერდ დაყენებული. შილერი და გოეთე გარკვეული თვალსაზრისით, თითქოსდა, შეჩერდნენ ამ პუნქტში და აუცილებელი იყო, სულისმეცნიერების იმპულსი, რომელსაც წინსვლით მოძრაობაში მოჰყავს ეს ლემნისკატა (იხ. ნახ. 4), მისი უფრო მაღალ საფეხურზე აყვანით.

თუმცა შილერის მიერ გაცხადებულ სამ მდგომარეობაში, რომელიც ითვალისწინებს გონივრულ აუცილებლობას, ინსტინქტურ საჭიროებებს და თავისუფალ ესთეტიკურ განწყობას და ასევე გოეთეს სამ მეფეში (ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის), ჩვენ ვჭვრეტო სოციალურ სამწევრიანობაზე ანთროპოსოფიული სწავლების წინარე ხატს, რომლის ფორმირებაც წარმოადგენს ახლო მომავლის აქტუალურ მიზანს, როგორც ცალკეული ადამიანისთვის, ასევე ადამიანთა თანაცხოვებისთვის მთლიანობაში.

სწორედ ეს ვითარებები გვაჩვენებს იმას, რომ სოციალური ორგანიზმის სამწევრიანობა თავს იჩენდა არა ვიღაცის თვითნებობის ძალით, არამედ უკვე კაცობრიობის უახლოეს განვითარებაში საუკეთესო მოაზროვნები ესწრაფოდნენ ადამიანებისთვის მის მიწოდებას. მაგრამ გოეთეს „ზღაპარი მწვანე გველსა და მშვენიერ შროშანზე“ ერთადერთი რომც ყოფილიყო, მასში ასახული სოციალური იდეებით, შეუძლებელი იქნებოდა, მივსულიყავით გარეანული მოვლენების რეალურ მამოძრავებელ ძალამდე. გოეთე მივიდა იმ მიჯნამდე, რომლის იქითაც ადამიანს უკვე აღარ შეუძლია, დაეყრდნოს უშუალოდ რელიგიურ გამოცხადებას. რომში ყოფილი ის ხომ კათოლიკე არ გამხდარა. მან აღამაღლა თავისი თავი იმაგინაციის დონეზდე. თუმცა დარჩა წმინდა სურათ-ხატების გარემოცვაში. არც შილერი გამხდარა რევოლუციონერი, არამედ გახდა ადამიანების შინაგანი სამყაროს აღმზრდელი. იგი შეჩერდა იმ მიჯნაზე, რომლის იქითაც პიროვნული უპავე აღარ არის განსჯით ფორმაში.

ასე მოქმედებს შუა ევროპის კულტურის გვიანდელ ფაზაში ის, რაც წინა პლანზე იყო წამოწეული ჯერ კიდევ უძველესი დროიდან და უკელაზე მკაფიოდ ამას თანამედროვე ადამიანი ხედავს ძველი საბერძნეთის მაგალითზე. სწორედ მისკენ ისწრა-

ფოდა გოეთეც. ძველ საბერძნეთში სოციალურ წარმოდგენებს მოსავალი მითების ფორმით, ანუ განასახიერებდნენ სურათ-ხატებით. მაგრამ ბერძნული მითოლოგია, არსებითად, ისეთივე ნაკრებია სურათ-ხატებისა, როგორიც გოეთეს „ზღაპარი მწვანე გველსა და მშვენიერ შროშანზე“. ამ სურათ-ხატების საფუძველზე შეუძლებელია, განახორციელო რაიმე რეფორმატორული ზემოქმედება სოციალურ ორგანიზმზე. შესაძლოა მხოლოდ იდეალისტურად მოხაზო მომავალი გარდაქმნების სურათი. სურათ-ხატები ძალზე იოლი სისტემა, რომ სოციალური ორგანიზმის მამოძრავებელ ძალად იქცეს. ამიტომ, ბერძნებსაც არ სჯეროდათ მითოლოგიურ სურათ-ხატებთან დარჩენით სოციალურ დონეზე რაიმეს განხორციელება.

შეიძლება ითქვას: ყოველდღიურ ცხოვრებაში, სადაც თამაშდებოდა ჩვეულებრივი მოვლენები, ბერძნები აღიარებდნენ დამოკიდებულებას თავიანთ მითოლოგიურ დმერთებზე, მითოლოგიურ სულებზე. ოუმცა, როცა საუბარი ეხებოდა კარდინალურ გადაწყვეტილებებს, ბერძნები ამბობდნენ: ეს არ ხელიწიფებათ მითოლოგიურ დმერთებს, რომლებიც წარმოჩნდებიან იმაგინაციებში; აქ უნდა ამოქმედდეს რაღაც რეალური. მაშინ ისინი მიმართავდნენ ორაკულს. იქ დმერთები უბრალო იმაგინაციები კი არ იყო, იქ დმერთები რეალურად ინსპირირებდნენ ადმიანებს. სოციალური იმპულსების მოპოვების სურვილით, ბერძნები ეჭრდნობოდნენ ორაკულების გამონათქვამებს. ასე ისინი მაღლდებოდნენ იმაგინაციებიდან ინსპირაციებისკენ, გარეგნულ ბუნებაზე დაყრდნობით. ჩვენ, თანამედროვე ადამიანები ასევე უნდა ვისწრაფოდეთ ინსპირაციის დონემდე ამაღლებისკენ, მაგრამ არა იმით, რაც ეყრდნობა გარეგნულ ბუნებას, არამედ იმით, რაც მაღლდება სულისკენ. ჩვენ გვმართებს მივიღოთ ინსპირაცია სულიერ სფეროში. როგორც ბერძნები, რომლებიც რეალურისკენ თვითინი სწრაფვის დროს არ იფარგლებოდნენ იმაგინაციებით, არამედ მაღლდებოდნენ ინსპირაციისკენ, როცა საქმე ეხებოდა სოციალურ სფეროს, ასევე არ შეიძლება ჩვენც შემოვიყარგლოთ იმაგინაციებით, არამედ უნდა ავმაღლდეთ ინსპირაციებისკენ, თუ გვსურს, ახლანდელ დროში მოვიპოვოთ რაიმე გამაჯანსაღებელი სოციალურ სფეროში.

აქ ჩვენ მივუახლოვდით სხვა უმნიშვნელოვანეს პუნქტს. რატომ შეჩერდნენ, არსებითად, შილერი და გოეთე, ერთი გან-

სჯის, ხოლო მეორე იმაგინაციის გზაზე? არც ერთისთვის ჯერ არ არსებობდა სულისმეცნიერება, სხვაგვარად შილერი შეძლებდა თვისი იდეები გაემდიდრებინა და დაესრულებინა სულისმეცნიერული წარმოდგენებით, ეპოვა რადაც უფრო რეალური, ვიდრე ის სამი მშვინვიერი მდგომარეობა, ის სამი აბსტრაქცია, რომლებიც წარმოდგენილია მის „ესთეტიკურ წერილებში“. გოვთეც საგარაუდოდ შეავსებდა იმაგინაციებს იმით, რაც რეალურად აუწყებს თავის თავზე სულიერი სამყაროდან და შეძლებდა წინ წასულიყო სოციალური ცხოვრების წარმოქმნისკენ სულიერი სამყაროს ზემოქმედებით, რომელშიც სოციალური ორგანიზმის სულიერ წევრს შეესაბამება ოქროს მეფე, სახელმწიფოებრივს – გერცხლის, ხელვის მეფე, ხოლო სამეურნეო-გონიმიკურ წევრს – რკინის, სპილენძის მეფე.

ის დრო, რომელშიც შილერი და გოვთე ამ შეხედულებებამდე მივიდნენ, – ერთი „ესთეტიკურ წერილებში“, მეორე კი – „ზღაპარში“, – ჯერ კიდევ არ იძლეოდა შესაძლებლობას ამ იდეების შემდგომი განვითარებისთვის, ვინაიდან ამისთვის საჭირო იყო სრულიად განსაკუთრებული რამის შეცნობა. საჭირო იყო იმის შეცნობა, რად იქცეოდა, არსებითად, სამყარო, თუ შილერის შემდეგ მოხდებოდა კიდევ უფრო წინსვლა, კერძოდ უპიროვნო – განსჯის სრულ განვითარებამდე. XIX საუკუნის დასაწყისში სწორედ ამ უპიროვნო-განსჯის ფორმირება მოხდა ჯერ ბუნებისმეტყველების სფეროში, ხოლო XIX საუკუნის მეორე ნახევარში უკვე გამოყენებულ იქნა გარეგნულ სოციალურ პირობებთან მიმართებაშიც. აქ ნათელია უმნიშვნელოვანები საიდუმლოება. ადამიანის ორგანიზმის აღქმულს მუდმივად მიჰყავს ნგრევისკენ. ჩვენ მუდმივად ვერ მივირთმევთ საჭმელს, რადგან კიდევაც უნდა გამოვყოთ. მთელმა მიღებულმა მაგერიამ უნდა გაიაროს დაშლის პროცესი და კვლავ გამოიყოს ორგანიზმისგან. განსჯითი კი არის ის, რაც წარმოადგენს სწორედ დამანგრეველ ფაქტორს სამეურნეო-ეკონომიკური ცხოვრებისთვის, როცა ის ამ ეკონომიკურ ცხოვრებას ეხება მონოლითურ, არასტრუქტურულ სახელმწიფოში – შერეულ მეფეში და აქ ჩვენ ვეჯახებით როულ წარმოდგენას.

ახლა ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ დროში, როცა საჭიროა საკუთარ თავში განსჯის განვითარება. ჩვენ არ შეგვიძლია ატლანტიდის შემდგომ მეხუთე ეპოქაში ცნობიერი სამშვინველის გან-

ვითარება განსჯის განვითარების გვერდის ავლით. დასავლეთის ხალხთა ამოცანაც სწორედ ის იქო, რომ მათ განსჯა უნდა შეეტანათ სამეურნეო-ეკონომიკურ ცხოვრებაში. ეს რას ნიშნავს? თანამედროვე ეკონომიკური ცხოვრება იგება განსჯის პრინციპზე და არა იმაგინაციის საფუძველზე, როგორც ეს გოეთებ წარმოადგინა თავის „ზღაპარში“. შილერმა კი განსჯაში ჩადო პიროვნული ელექტრი, ხოლო ჩვენ გვიწევს ისეთი სამეურნეო-ეკონომიკური ცხოვრების აგება, რომელიც ატლანტიდის შემდგომ მეხუთე ეპოქაში თავისი განსჯითი ხასიათის გამო გარდაუვალად იმოქმედებს დამანგრეველი სახით. ჩვენს დროში შეუძლებელია ეკონომიკური ცხოვრების წარმოქმნა იმაგინაციის საფუძველზე, როგორც ეს ხდება აღმოსავლეთში ან ხდებოდა შუა საუკუნეების ევროპაში, ვინაიდან XV საუკუნის შუა პერიოდიდან დაწყებული არსებობს ერთადერთი შესაძლებლობა, განვითარდეს ისეთი სამეურნეო ცხოვრება, რომელიც თავისთავადაც და სოციალური ორგანიზმის სხვა წევრებთან შეხამბაშიც დამანგრევლად მოქმედებს. სხვაგვარად ვერ ხერხდება. აი რატომ ემსგავსება ეკონომიკური ცხოვრება სასწორის პინას, რომელიც უნდა დაეშვას სულ უფრო დაბლა და ამით იმოქმედოს დამანგრევლად. მაგრამ აუცილებელია სწრაფვა წონასწორობისკენ, ამიტომ სამეურნეო-ეკონომიკური ცხოვრება უნდა წარმოადგენდეს სოციალური ორგანიზმის ერთ წევრს, ხოლო სულიერი ცხოვრება, რომელიც ახლანდელ დროში მას აწონასწორებს, საჭიროა მუდმივად ხელახლა წარმოიქმნას. დღეს თუ შეგჩერდებით ერთიან, მტკიცე სახელმწიფოებზე, მაშინ სამეურნეო ცხოვრება, როგორც ის არის დასავლეთში დაცემული, ამ ერთიანი, მტკიცე სახელმწიფოს ფარგლებში, მთლიანად შთანთქავს სულიერ ცხოვრებას, რაც ასეთ სახელმწიფო წყობილებას მიიყვანს რდვევამდე. როცა სახელმწიფო ყალიბდება მთლიანად განსჯით საფუძველზე, როგორც ეს ხდება ლენინისა და ტროცკის შემთხვევაში, ის უეჭველად განწირულია რდვევისთვის, ვინაიდან განსჯა გათვლილია მხოლოდ სამეურნეო-ეკონომიკურ ცხოვრებაზე.

ამას გრძნობდა შილერი, როცა იგონებდა თავის სოციალურ სისტემას. შილერი გრძნობდა: თუ განსჯის აქტივიზაციაში კიდევ უფრო წინ წავალ, მაშინ მე შევაბიჯებ სამეურნეო სფეროში და განსჯადის გამოყენება მიწევს სამეურნეო ცხოვრებასთან

მიმართებით. ამის შემდეგ მე აღვწერ არა იმას, რაც იზრდება და ყვავის, არამედ იმას, რაც რდვევაში არსებობს. შემკრთალმა შილერმა უკან დაიხია რდვევის წინაშე; ის შეჩერდა იმ მიჯნას-თან, რომლის იქითაც იწყება რდვევა. ის შეჩერდა და მიჯნა არ გადაულახავს. ახალი დროის მოაზროვნები კი წამოაყენებენ სოციალური ცხოვრების სრულიად განსხვავებულ სოციალურ სისტემებს, როცა არ ესმით, რომ აღწერილ საფუძველზე დამუშავებული ნებისმიერი სამეურნეო სისტემა, გარდაუვალად მიდის რდვევისკენ, თუ ყოველ წამს არ ხდება განახლება ავტონომიური, თვითგანვითარებადი სულიერი ცხოვრების მხრიდან, რომელიც სამეურნეო-ეკონომიკური ცხოვრების დამანგრეველ და გამხრწნელ ზემოქმედებას უპირისაპირებს რადაც აღმდგენელს. სწორედ ასეთი, პროდუქტიული ურთიერთქმედება სოციალური ორგანიზმის სულიერი წევრისა სამეურნეოსთან აღვწერება წემს წიგნში „სოციალური საკითხის არსობრივი პუნქტები“. (GA 23. ქართული გამოცემა 2011წ. მთარგ. შენიშვნა)

ატლანტიდის შემდგომ მეხუთე ეპოქაში მიღწეული განსჯის თანამედროვე დონით, სამეურნეო-ეკონომიკურ ცხოვრებას შეექლო, ადამიანის ჩარევის გარეშე, თავად კაპიტალის მიმოქცევის მართვა; თუმცა ნგრევა აუცილებლად იქნებოდა. სწორედ აქ არის აუცილებელი სულიერი ცხოვრების ჩართვა და მაშინ სულიერი ცხოვრების მეშვეობით კაპიტალი დაუბრუნდება მას, ვინც რეალურად უნდა მართოს ის. სწორედ ეს არის სოციალური ორგანიზმის სამწევრიანობის შინაგანი აზრი, რომ სწორად აგებული სამწევრა სოციალური ორგანიზმის დროს არ წარმოიქმნება არანაირი ილუზია თანამედროვე სამეურნეო-ეკონომიკურ აზროვნებასთან დაკავშირებით, რომელიც წარმოადგენს დამანგრეველ ელემენტს, ამიტომაც მასში მუდმივად უნდა იდევრებოდეს ამაღლორდინებელი ელემენტი, რომელიც ძეგს სოციალური ორგანიზმის სულიერ წევრში.

ბავშვების ყოველ ახალ თაობასთან ერთად, რომლებსაც ჩვენ სკოლაში ვასწავლით, ჩვენც გვეძლევა სულიერი სამყაროდან რაღაც სულიერი, რომელსაც ჩავრთავთ სწავლებაში და კვლავ შევაერთებთ სამეურნეო-ეკონომიკურ ცხოვრებასთან, რომ დავიცვათ რდვევისგან; ვინაიდან სამეურნეო-ეკონომიკური ცხოვრება, რომელიც თავად თავისი გზით მიდის, თავის თავში დაინგრევა. ასე შეიძლება ჩავიხედოთ მოძრაობაში.

ამდენად ვხედავთ, რა მდგომარეობაში არიან XVIII საუკუნის ბოლოს გოეთე და შილერი, როცა შილერი ამბობს: მე უნდა შევჩერდე ამ მიჯნასთან, მე არ მმართებს სოციალური სიტუაციის აღწერა, რომელიც აპელირებს მხოლოდ და მხოლოდ განსჯაზე, მე ჩემი საკუთარი განსჯით უნდა დავრჩე პიროვნულის ფარგლებში, სხვაგვარად მომიწევს დამანგრეველი სამეურნეო საქმიანობის აღწერა; გოეთე კი ამბობს: მე არ მინდა, გავხდე მეოცნებე, ჩემთვის უფრო მისაღებია მკაფიოდ გამოხატული სურათ-ხატები; მაგრამ მე თუ გადავდგამ კიდევ ერთ ნაბიჯს, დავიწყებ ლივლივს მიწაზე, ჩემთვის უკმარი იქნება ენერგია, რომ შევიჭრა რეალურ ცხოვრებაში; სამეურნეო ცხოვრებას მე დაგტოვებ სადაც ქვემოთ, სადაც დაგაფუძნებ სულიერ ცხოვრებას, ამავე დროს დავკარგავ უნარს, გავერკვე რეალურ ცხოვრების ფაქტებში.

ამდენად, თქვენ ხედავთ, რომ ჩვენ არ ვცდებით ნამდვილი გოეთეანიზმის ფარგლებს, თუნდაც მკაცრად არ მივდევდეთ გოეთეს, ვინაიდან ჩვენ მასთან ერთად მივდივართ იმ გზით, რომელიც გავლილია მათ მიერ 1832 წლიდან. ჩემი წიგნის „სოციალური საკითხის არსობრივი პუნქტები“ ერთ ადგილას უკვე მივუთითე იმაზე, რომ სამეურნეო ცხოვრება დღეს ჩაფლულია თვითრდვევაში და იძულებულია მუდმივად მისგან ამოძვრეს, როგორც ადამიანი მუდმივად ცდილობს, თავი დაადწიოს რდვევას, რომელსაც მას აყენებს საკვების მიღების პროცესი. უბრალოდ, ასეთ მითითებებს არასწორად კითხულობენ, როცა ფიქრობენ, რომ ეს წიგნი დაწერილია ისევე, როგორც დღეს წერენ წიგნების უმრავლესობას, ანუ თითქოსდა საკმარისია უბრალოდ თვალის გადავლება. არა, ასე არ შეიძლება, ასეთი წიგნის ყოველი აბზაცი, – ის კი იწერება პრაქტიკულ საფუძველზე, – საჭიროა მკითხველმა კარგად გაიაზროს თავიდან ბოლომდე.

თუ ავიდებთ ამ ორივე ვითარებას: ვინაიდან მასზე ძალიან ცოტას მუშაობდნენ, ამიტომ შილერის „ესთეტიკური წერილები“ მომდევნო თაობებმა ცუდად გაიგეს, რაზეც მე ხშირად მისაუბრია; სხვაგვარად „ესთეტიკურ წერილებს“ შეეძლო გზა გაეკვალა იმისკენ, რაც მოცემულია ჩემს წიგნში „როგორ მიიღწევა ზენა სამყაროთა შემეცნება?“; ისინი შეიძლება იყოს კარგი საფუძველი მისი წაკითხვისთვის. ასევე გოეთეს „ზღაპა-

რი მწვანე გველსა და მშვენიერ შროშანზე“, შეიძლება იქცეს თავის თავში კარგ მომზადებად ისეთი მშვინვიერი წყობის ფორმირებისთვის, რომელიც ეფუძნება არა შიშველ განსჯას, არამედ უფრო დრმა მშვინვიერ ძალებს და რომელიც საშუალებას იძლევა, ნამდვილად გაიგონ აზრი ისეთი წიგნისა, როგორიცაა „სოციალური საკითხის არსობრივი პუნქტები“. ვინაიდან შილერი, ისევე როგორც გოეთე, გრძნობდა შუა ევროპული ცივილიზაციის ტრაგიზმს. ცხადია, ის, რაც დღეს ჩვენთვის არის ცნობილი, მათ ჯერ არ იცოდნენ, ისინი ამას წინასწარ ვერ გრძნობდნენ. მაგრამ ორივეს პქონდა წინათგრძნობა, – ამაზე შეიძლება წაგიკითხოთ გოეთესთან ყველგან\*, თუნდაც მის საუბრებში ეკერმანთან, კანცლერ ფონ მიულერთან, და ასევე სხვა ადგილებშიც, – რომ: თუ არ მოხდება ახალი გარდვევა სულიერიდან, თუკი კაცობრიობა არ მივა ქრისტიანობის ახალ წვდომამდე, მაშინ ყველაფერი დაიღუპება. გოეთეს მიერ თავისი ცხოვრების ბოლოს განცდილი უამრავი იმედგაცრუება, ცხადია, ამ განწყობებიდან ამოიზარდა.

ისინი, ვინც სულისმეცნიერების გარეშე გოეთეანისტები გახდნენ, იმასაც გრძნობენ, თუ როგორ ვლინდება დასავლეთის სულებისა და აღმოსავლეთის სულების თავისებური ორმხრივი ზემოქმედება საკუთრივ შუა ევროპის გერმანულენოვან ყოფიერებაში. გუშინ მე ვილაპარაკე: ის კომპრომისი, რომელსაც ეძებდა მაღალი სქოლასტიკა განსჯით მეცნიერებასა და გამოცხადებას შორის შუა ევროპული ცივილიზაციის ფარგლებში, ასევე შეიძლება დაიყვანო დასავლეთისა და აღმოსავლეთის სულების ზემოქმედებამდე. დღეს ჩვენ ვხედავთ, როგორ გამოვლინდა ეს შილერთან და გოეთესთან. არსებითად, მთელი შუა ევროპული ცივილიზაცია სრულად და მთლიანად ჩართულია აურზაუში, სადაც ერთმანეთშია გადაჯაჭვული აღმოსავლეთი და დასავლეთი. აღმოსავლეთი იჭრება ოქროს მეფის სფეროს მეშვეობით, დასავლეთი კი – სპილენძის მეფის სფეროს მეშვეობით, ხოლო შუაში დავანებულია ის, რაც გოეთემ გამოსახავერცხლის მეფეში, – ხედვის მეფეში, – რომელიც ძნელად ეგუება სინამდვილეს. შუა ევროპის ცივილიზაციის ილუზორულობა, აი ეს იყო გოეთეს ტრაგიკული განწყობის მიზეზი, აი ეს თრგუნავდა მის სამშვინველს. ჟერმან გრიმმაც\*, რომელიც ეწყდნობოდა გოეთეს მისეულ აღქმას, – ის კი გოეთეს განიხი-

ლავდა, როგორც ადამიანს, რომელსაც სულისმეცნიერება არ შეხებია, – მშვენივრად დაახასიათა შუა ევროპული ცივილიზაცია, როგორც ჩართული აღმოსავლეთისა და დასავლეთის სულების მორევში, რის გამოც მისი ნებელობითი მისწრაფებები მართებულად ვერ განხორციელდებოდა, რამაც განაპირობა კიდევ ეს გაუბედავი, მუდმივად მერყევი განწყობები გერმანულ ისტორიაში. პერმან გრიმი საუბრობს სწორედ ამაზე: „გერმანული ისტორია ტრეიჩესთვის არის დაუსრულებელი სწრაფვა სულიერისკენ და სახელმწიფოებრივი ერთიანობისკენ და ამ გზაზე მიდის განუწყვეტელი შინაომი ჩვენივე საკუთარი თანდაყოლილი თვისებებისა“. ასე საუბრობს პერმან გრიმი, თვლის რა საკუთარ თავს გერმანელად. შემდეგ ის ამბობს: „ჩვენს ბუნებაში ძეგს, შევეწინააღმდეგოთ იქ, სადაც უფრო უპრიანი იქნებოდა დათმობა და დავთმოთ იქ, სადაც გვმართებს წინააღმდეგობა. ამავე დროს ჩვენ გვიყვარს, მოვექცეთ სხვისი გავლენის ქვეშ და ამავდროულად გვინდა უფროსობა იმისა, რასაც დავემორჩილეთ. ჩვენ წარმოუდგენლად გულმავიწყები ვართ ახლახან მომხდარის წინაშე, მოულოდნელად გულგრილი ვხდებით ვნებიანად სასურველისადმი, მოვიძულებთ მიღწეულს და ამავე დროს გვახასიათებს ურყევი, თუმცა გაურკვეველი, იმედი მომავლისა“.

ჩვენს დროში შუაევროპული ცივილიზაციის ნებელობითი მისწრაფებები ძველებურად აღბეჭდილია იმ მარადიული ტრაგიზმით, რომლითაც ასევე აღბეჭდილია გერმანული, – ისიც ხომ შუაევროპულია, – ისტორიაც, დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის განვითარების ისტორია. დღევანდელ დღემდე ყველგან ჯერ კიდევ ისეა, რომ პერმან გრიმთან ერთად შეიძლება ითქვას: აშკარად შეინიშნება სწრაფვა, დაუპირისპირდნენ იქ, სადაც საჭიროა დათმობა და დათმონ იქ, სადაც მართებთ დაპირისპირება.

ეს განეკუთვნება შუაევროპული ცნობიერების არამდგრადობას, რომელიც რიტმულად ლაგირებს სამეურნეო ცხოვრებასა და აღორძინებულ სულიერ ცხოვრებას შორის სახელმწიფოებრივი მოწყობის აღმასვლებისა და დაცემების დროს. რამდენადაც სწორედ შუა ევროპაში ზემობს თავის ტრიუმფს სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ელემენტი, ამიტომ სწორედ იქ არის გაბატონებული ხილვადობა, რომელიც შეიძლება იოლად იქცეს

ილუზიად. შილერს არ სურს, გასცდეს გარეგნობის ფარგლებს იმით, რაც მან თავის „ესთეტიკურ წერილებში“ აღწერა. მან იცის, რომ, თუ დაეყრდნობა წმინდა განსჯას, მაშინ გარდაუვალად შეაბიჯებს სამეურნეო ცხოვრების დამანგრეველ სფეროში, რომლის ნაწილიც XVIII საუკუნეში დაანგრია საფრანგეთის რევოლუციამ, ხოლო XIX საუკუნეში მას დაემუქრა რადაც გაცილებით უფრო უარესი. გოეთემ იცოდა, რომ ის მეოცნებე კი არ უნდა გამხდარიყო, არამედ უნდა დარჩენილიყო იმაგინაციურ დონეზე. მაგრამ ისიც, ამ ორ პოლუსს შორის რევაზი, – აღმოსავლეთისა და დასავლეთის სულებს შორის ამ ორომტრიალში, – სიამოვნებით ეძლეოდა ილუზიებს. არა აქვს მნიშვნელობა, რომელ სფეროში აისახება კონკრეტულად ეს განწყობა – რელიგიურ, პოლიტიკურსა თუ მილიტარისტულ ში; არა აქვს მნიშვნელობა, მეოცნებე განწყობილია თუ არა მისტიკურად, თუ ის ლუდენდორფივით\* ოცნებობს და ამავე დროს ნიადაგი ეცლება ფეხქვეშ. ბოლოს და ბოლოს ეს განისაზღვრება პიროვნული უპირატესობებით. ჰერმან გრიმისგან აღებული ის ფრაგმენტი, რომელიც მე წაგიკითხეთ, გრძელდება ასე: „თუმცა დღეს ვხედავთ: ცოტა ვინმე თუ არის მოწყვეტილი სამშობლოსგან ისე, როგორც გერმანელი, რომელიც ამერიკელი გახდა, და მაინც, ამერიკული ცხოვრება, რომელშიც ჩაერთვნენ ჩვენი ემიგრანტები, გერმანული სულის ზეგავლენით მიედინება“.

ასე წერდა უდიდესი გონებამახვილი ადამიანი ჰერმან გრიმი 1895 წელს, როცა შეიძლებოდა იმის დაჯერება, ცხადია თუ ჩავარდებოდი სულელურ ილუზიებში, რომ ამერიკაში ემიგრირებულ გერმანელებს შეეძლოთ ამერიკული ცხოვრებისთვის გერმანული ელფერის მიცემა. XIX საუკუნის მეორე ათწლეულში ამერიკანიზმა მთლიანად განხდევნა ის უმნიშვნელო, რაც გერმანელ ახალმოშენეებს შეეძლოთ თან ჩაეტანათ, თუმცა ეს მზადდებოდა დიდი ხნით ადრე იქამდე, სანამ შეძლებდა მთელი სისავსით გამოვლენას.

და ბოლოს, ჰერმან გრიმის აქ მოყვანილი ფანტასტიკური გამონათქვამები კიდევ უფრო ცხადი გახდება, თუ უურადღებით დავაკვირდებით შემდეგს: ჰერმან გრიმი ამას ამბობს გოეთეზე დაყრდნობით, ვინაიდან ის მთლიანად განმსჭვალული იყო მისი შემოქმედებით. ჰერმან გრიმის მცოდნე, ალბათ, იტყოდა, რომ გოეთეს გავლენა, მართალია, აშკარად ვლინდება მისი წერის

მანერასა და აზრთა წყობაში, მაგრამ გოეთეს ნამდვილი მას-შტაბების გადმოცემა მან ვერ მოახერხა; ის, არსებითად, აღ-წერს გოეთეს მხოლოდ ჩრდილს. ოუმცა ის ასევე წარმოადგენს გამონაკლის; ის ატარებს თავის თავში რადაც ისეთს, რაც არაა განპირობებული გოეთეს გავლენით. რას ატარებს თავის თავში პერმან გრიმი? ამერიკანიზმს, ვინაიდან კველაფერი, რაც კლინდება მის ორიგინალურ მანერაში, მისი აზრების ორიგინა-ლურ სახეში, არაა გოეთეს გავლენით და მასთან მოვიდა იმის წყალობით, რომ მან ადრე შეისწავლა ექვრსონი\*; თვით მის ფრაზეოლოგიაში, ზოგჯერ აზროვნების მანერაშიც იგრძნობა ამერიკელი ექვრსონისადმი აშკარა მიბაძვა.

ამდენად, ჰერმან გრიმი იმყოფება ამ ორგვარი ილუზიის გაფ-ლენის ქვეშ, იმყოფება მნათობი(Scheins) ვერცხლის მეფის სამე-ფოში. როცა უკვე დიდი ხანია კვალიც კი არ დარჩა ამერიკაში გერმანული გავლენისაგან, იგი ჯერ კიდევ ბოდავს, რომ ამერი-კა გახდება გერმანიზებული. ამასთან, ამერიკანიზმის საკმაოდ დიდ დოზას ატარებს თავად იგი თავის თავში.

ზოგჯერ ასე ინგიმურად აღიბეჭდება ის, რაც შემდეგ გა-რეგნულ კულტურაში ძალზე უხეში სახით ვლინდება. მთელი თანამედროვე კულტურა გაუდინთა უხეშმა დარვინიზმა, აზ-რების უხეშმა სამეურნეო-ეკონომიკურმა ხასიათმა. თუ საბო-ლოოდ არ ჩამოყალიბდება სოციალური ორგანიზმის სამწევ-რიანობა, მაშინ მივალთ სრულ ნგრევამდე, რამდენადაც სწო-რედ გარდაუვალ ნგრევამდე მიჰყავს განსჯით ჩამოყალიბე-ბულ სამეურნეო-ეკონომიკურ ცხოვრებას. და ის, ვინც თხ-ვალდ შპენგლერის\* მსგავსად სამეურნეო-ეკონომიკური ცხოვ-რების კატეგორიებით აზროვნებს, მას შეუძლია მეცნიერუ-ლად დაასაბუთოს, რომ მესამე ათასწლეულის დაწყებიდან თანამედროვე ცივილიზებული სამყარო, — ამჟამად, ჩვენს დროში ის არც ისე ცივილიზებულია, — უნდა ჩაეფლოს ყვე-ლაზე აღვირასხილ ბარბაროსობაში. ცხადია, არც შპენგლე-რისთვის, არც მისი მსგავსებისთვის არაფერია ცნობილი სუ-ლიერის მომავალი გარდვევის შესაძლებლობაზე.

ამავე დროს უნდა ითქვას, რომ სულისმეცნიერებაზე და სუ-ლისმეცნიერულ კულტურაზე დაყრდნობის გარეშე ნამდვილად ძნელი იქნება ასეთი ბარბაროსობისთვის წინააღმდეგობის გაწე-ვა. ოუმცა ყველგან თავს იჩენს სწორედ ის, რაც ესწრაფვის,

შეეწინააღმდეგოს სწორედ სულისმეცნიერებას. საუბედუროდ, სულისმეცნიერულ წრეში იგრძნობა ენერგიული, აქტიური მოღვაწეების ნაკლებობა, მაშინ, როცა დამანგრეველ მუშაობას მოწყერებულები მუხლჩაუხელად შრომობენ.

საჭიროა მხოლოდ დავინახოთ, რამდენად უმწეოა თანამედროვე ადამიანი იმ ვითარების წინაშე, რაც ხდება თანამედროვე ცივილიზებულ ცხოვრებაში. მაგალითად, ძალზე ნიშანდობლივია, რომ ერთ-ერთ შვეიცარიულ გაზეთში გამოჩნდა ანგარიში ჩემი ლექციების შესახებ, რომელიც წავიკითხე უმაღლესი სკოლისთვის კურსის გავლის დროს; ამ ლექციებში საუბარი იყო ბუნების შემეცნების ფარგლებზე. და იქვე, შვეიცარიაში, კლუარდ ფონ პარტმანი\* ეპიგონი (მიმდევარი) ართურ დრევსი\* კითხულობს ლექციებს, რომლებშიც არაცნობიერის ფილოსოფოსის ედუარდ ფონ პარტმანის მიბაძვის გარდა სხვა არაფერია. ოდონდ პარტმანი ბევრად საინტერესო იყო, ხოლო მიმდევარი, ბუნებრივია, წარმოადგენს რაღაც ძალზე საეჭვოს. და აი, კარლსრუეში, უმაღლეს სკოლაში მომუშავე ასეთი გამოტვინებული ფილოსოფოსები თავს ნებას აძლევენ ისაუბრონ იმაზე, რას წარმოადგენს ანთროპოსოფიულად ორიენტირებული სულისმეცნიერება.

და მაინც, როგორ აფასებს თანამედროვე ადამიანი, — მე მინდა ამას განსაკუთრებით გავუსვა ხაზი, — მსგავს მოვლენებს? ჩვენ ვუსმენთ ყველას და ყველაფერს. ეს ნიშნავს, რომ თანამედროვე ადამიანისთვის ყველაფერი სულერთია და ეს საშინელებაა. საქმე ის კი არ არის, თქვა თუ არა რაიმე ანთროპოსოფიის წინააღმდეგ ედუარდ ფონ პარტმანის ამჟამინდელმა მიმდევარმა ართურ დრევსმა, ვინაიდან მისი არგუმენტები ანთროპოსოფიის წინააღმდეგ თავიდანვე ცხადია, ისინი დეტალურად არის ცხობილი მისი წიგნებიდან, არამედ, მნიშვნელოვანია, რომ ადამიანები უშუალოდ დგანან თვალსაზრისზე: მათ რაღაც ესმით, ახდენენ ამის ფოკუსირებას და საქმეც გაკეთებულია, მორჩა! თემის ნამდვილი გააზრება კი სხვა მიდგომას ითხოვს. თუმცა თანამედროვე ადამიანს სწორედ ეს ეზიზდება. ადამიანებს აშინებთ და უბრალოდ ეზიზდებათ ის, რომ ამ მიმართულებით სვლისას ისინი იმდენად შორს წავიდნენ, რომ უკვე აღარ შეუძლიათ დაინახონ განსხვავება იმას, რაც ეფუძნება რეალურ ცხოვრებისეულ გამოცდილებასა და ცარიელ ქბედო-

ბას შორის, ასეთია გრაფ პერმან ფონ კაიზერლინგის\* თხზულებები, რომლებშიც არ არის გამოთქმული არც ერთი აზრი, არამედ უბრალოდ სიტყვებია, სიტყვების ცარიელი გროვა. სად უნდა მოვიძიოთ ის გულითადი სწრაფვა, რომელიც უარყოფს ცარიელ ლაქლაქს და ესწრაფვის ნამდვილ სულიერ კვლევას? ჩვენს დროში, როცა ადამიანები ჰქომარიტებას უკვე ვეღარ არჩევენ ნიღბისაგან, განსაკუთრებით გავრცელდა ტყუილი. ახლა უკვე არა მარტო ცალკეული ადამიანები, არამედ ადამიანთა უმრავლესობა ჰქომარიტებად მიიჩნევს მხოლოდ იმას, რაც მათი ნაციონალური საკუთრებაა და მცდარად მიიჩნევს სხვა ერის საკუთრებას. ორმხრივი ცილისწამება იქცა, არსებითად, საზოგადოებრივი აზრის სტანდარტად. თუ რაიმე მოდის სხვა ერიდან, ის არასწორია, ხოლო თუკი საკუთარი ერიდან – ის ყოველთვის სწორია. ეს ყოველივე იმდენი ხანია გრძელდება, რომ უკვე აზრობრივ ჩვევაში გადავიდა. მართალია ნამდვილ მიუკერძოებელ ადქმას იმისა, რაც წარმოადგენს ჰქომარიტს, ადამიანი მიჰყავს გასულიერებისკენ, მაგრამ თანამედროვე ადამიანებისთვის ეს აბსოლუტურად სულერთი გახდა.

სანამ არ გამოჩნდებიან ადამიანები საკმარისი რაოდენობით, რომლებიც ნამდვილად მთელი გულით გამოვლენ სულიერების დასაცავად, თანამედროვე ქაოსიდან არაფერი გამოვა სასიკეთო. ბევრი ფიქრობს, რომ როგორდაც შესაძლებელია გვერდი ავუაროთ ძველის გალვანიზაციას. მაგრამ ეს ძველი ქმნის თავის „სიბრძნის სკოლებს“ ცარიელი სიტყვების საფუძველზე. საუნივერსიტეტო ფილოსოფიამ, თავისი ართურ დრევსებით, ხელიდან გაუშვა ახლის ყოველმხრივი გამოვლენა, ხოლო კაცობრიობას მოლიანობაში არ სურს დაიკავოს საპასუხისმგებლო პოზიცია. და სანამ იგი თავს არ გამოავლენს ცხოვრების სამივე – სულიერ, პოლიტიკურ და სამეურნეო-ეკონომიკურ სფეროში, მანამდე თანამედროვე ქაოსიდან არ წარმოიქმნება რაიმე პეთილსაიმუდო, ხოლო დეგრადაციის პროცესი უბრალოდ გაგრძელდება.

მესუთი ლექცია  
დორნახი, 1920 წლის 29 ოქტომბერი

დღეს, ხვალ და ზეგ მე ვისაუბრებ თემაზე, რომელსაც უკვე არა-  
ერთხელ შევხებივარ და ეს იქნება საუბრის გაგრძელება\* იმ  
განსაკუთრებული გარემოებების შესახებ, რომლის დროსაც XX  
საუკუნის პირველ ნახევარში უნდა დადგეს ქრისტეს მოვლენის  
თავისებური სახის ახალი გამოცხადება. ამ თემის მომზადების-  
თვის მე შევეცდები, დღეს კიდევ ერთხელ დავახასიათო ჩვენი  
ცივილიზებული სამყაროს სულიერი მდგომარეობა და ამ თვალ-  
საზრისით ზოგადი შტრიხებით მიგითოთოთ იმაზე, როგორ მოთ-  
ხოვნებს უყნებს კაცობრიობას ეს მოახლოებული მოვლენა.

მოგეხსნებათ, რომ XV საუკუნის შუა პერიოდიდან დაწყებუ-  
ლი ცივილიზებული კაცობრიობის განვითარებაში დადგა ახა-  
ლი ერა. სწორედ ამ დროიდან დაიწყო ადამიანური ინტელექ-  
ტის ინტენსიური ფორმირება. ჩვენს თანამედროვეებს სუსტი  
წარმოდგენა აქვთ იმ ადამიანებისთვის დამახასიათებელ მშვინ-  
ვიერ წეობაზე, რომლებიც ცხოვრობდნენ ახალი ისტორიის ამ  
მნიშვნელოვან საკანონო მოქნებამდე. ნაკლებს ფიქრობენ იმაზე,  
რამდენად განსხვავებული იყო იმდროინდები ადამიანების  
მშვინვიერი წეობა, ვინაიდან სწორედ ამითაა განპირობებული  
მრავალჯერადი ტერიტორიული დაპყრობები და აგრეთვე ჯვა-  
როსნული ლაშქრობები. ხოლო მსგავსი ცვლილებების მნიშვნე-  
ლობა ჩანს უკვე იქიდან, რომ XV საუკუნის შუა პერიოდიდან  
დაწყებული ასეთი სახის მოვლენები, – იდეალისტური მოტივე-  
ბით, – სრულიად შეუძლებელი გახდა. ჩვეულებრივ მხედველო-  
ბიდან რჩებათ, რამდენად შეიცვალა კაცობრიობის ინტერესები  
მას შემდეგ, რაც მან განვლო გარდატეხის ეს მოქნები და გა-  
უჩნდა სრულიად სხვა ინტერესები. იმ დახასიათებებიდან, რომე-  
ლიც კი შეიძლება მიეცეს დროის ამ ახალ მონაკვეთს, საჭიროა  
გამოიყოს ყველაზე მთავარი, ადამიანების ძალზე გაძლიერებუ-  
ლი, თანდათან ინტენსიურად მზარდი ინტელექტუალური ძალა.

ადამიანის სამშვინველის სიღრმეებში ყოველთვის არსებობს  
რაღაც ძალა, ბუნდოვანი წუხილის ფორმით, ან მეტ-ნაკლებად  
გაცნობიერებული განზრახვის სახით. ეს ძალა არის სწრაფვა  
შემეცნებისკენ. თუ თვალს გადავავლებთ ეპროპული განვითარე-  
ბის ძველ პერიოდებს, – XI-XIV საუკუნეებს, – დავინახავთ,

რომ ადამიანები ილტვოდნენ შემეცნებისკენ, რამდენადაც იმ დროებში ადამიანი ფლობდა ისეთ მშვინვიერ უნარებს, რომლებიც მათ საშუალებას აძლევდა, გამოემუშავებინათ დამოკიდებულება იმ სულიერებასთან, რაც არსებობდა ბუნებაში, ხოლო ამის მეშვეობით თავად სულიერ სამყაროსთან. ბუნებრივია, მას შემდეგ ბევრი რამ ითქვა შემეცნებისკენ ადამიანის სწრაფვაზე. თუ მიუკერძოებლად განვიხილავთ კაცობრიობის განვითარებას, მაშინ საჭიროა აღინიშნოს, რომ ჩვენს დროში გაბატონებული სწრაფვა შემეცნებისკენ თავისი ინტენსივობით ახლოსაც ვერ მოდის შემეცნებისკენ იმ მისწრაფებასთან, რომელიც დამახასიათებელი იყო ადამიანებისთვის XV საუკუნის შუა პერიოდიდან. არსებითად, თუ გავითვალისწინებთ იდეური სისტემის გენიალურ შემქმნელებს, მაშინ მოგვიწევს იმის აღიარება, რომ ეს მხოლოდ ხელოვნურად ფორმირებული იდეური სისტემებია; არც ერთ მათგანს, არც ფიხტეს, არც შელინგს, არც ჰეგელს, არა აქვთ სწორი წარმოდგენა შემეცნებისკენ ამ დაკარგული სწრაფვის ხასიათზე. შემდეგ, XIX საუკუნის მეორე ნახევარში, შემეცნებისკენ სწრაფვას, მართალია, ძველებურად კი ელოლიავებიან, მაგრამ სულ უფრო მეტად ექვემდებარებიან გარეგნული ცხოვრების მოთხოვნილებებს. ის სულ უფრო მეტად ემსახურება ტექნიკას და თავად იგი ტექნიკისგან იღებს ასევე კონფიგურაციას. საიდან მოდის ეს ყველაფერი. ეს დაკავშირებულია სწორედ იმასთან, რომ ახალ დროში ადამიანებში სწრაფად ვითარდება ინტელექტი. ცხადია, კაცობრიობის ამჟამინდელი ინტელექტუალობა ერთაშად არ წარმოქმნილა, ის ნელ-ნელა მზადდებოდა. ვინაიდან ხანგრძლივი დროის განმავლობაში ძველი ნათელმხილველური მდგომარეობების ერთი შეხედვით შეუმჩნეველი გამოძახილები ჯერ კიდევ ნარჩუნდებოდა. და მაინც შეგვიძლია, ვთქვათ: თვით XV საუკუნემდე ძველი ნათელმხილველური მდგომარეობები თუ არა, მათი გამოძახილი მაინც გარკვეულ დონემდე ჯერ კიდევ ნარჩუნდებოდა. ყველა ადამიანს, განსაკუთრებით მათ, ვინც აქტიურად ისწრაფოდა შემეცნებისკენ, წარმოდგენა პქონდა ადამიანური სამშვინველის უმაღლეს უნარებზე, რომლებიც ყოველდღიური ცხოვრების ფარგლებს სცდებოდა. ისინი უძველეს დროებშიც განსხვავდებოდა ყოველდღიურობისგან; როცა ადამიანი, თავისებური სახის სიზმრის მდგომარეობაში, საკუთარი სამშვინველიდან იღებდა ამ უნა-

რებს, იგი მათი დახმარებით ესწრაფოდა სამყაროს არსობრივ სიღრმეებში შეღწევასა და მის სულიერ დონემდე ამაღლებას. აი, რას წარმოადგენდა იმ დროებში შემეცნება. შემეცნება ნიშნავდა იმის აღქმას, როგორ ვლინდებოდა ცალკეულ ბუნებრივ ფენომენებში სულიერ-ელემენტარული არსებები, როგორ მოქმედებდნენ დათავარივ-სულიერი არსებები ყველგან, ბუნების დიად ერთიანობაში. შემეცნებად ითვლებოდა აღქმა იმისა, რასაც აუწყებდნენ დმერთები ბუნების მოვლენების მეშვეობით, რაზე მეტყველებდნენ ისინი მოხეტიალე ვარსკვლავების საშუალებით, ზეციურ მნათობთა კონსტიტუციების დახმარებით. აი, რას ნიშნავდა მაშინ შემეცნება.

იმ მომენტში, როცა ადამიანმა უარი თქვა სამყაროს მოვლენებში სულიერის შემეცნებაზე, თავად შემეცნების ცნებამაც თვალში საცემი ზიანი განიცადა. შემეცნების შინაგანი სიმძაფრის შემცირება არის ის, რაც ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ კაცობრიობის განვითარების უახლესი ეპოქის განხილვისას.

ახლა რა არის აუცილებელი? აუცილებელია ის, რაც ჯერ-ჯერობით სახეზეა მხოლოდ ანთროპოსოფების წრეში, მაგრამ რაც საყოველთაო მონაპოვრად უნდა იქცეს. დიახ, უფალესი დროის ადამიანებს ბუნებრივი მოვლენები ისე ესაუბრებოდნენ, რომ ისინი მათ სულიერს უხსნიდნენ. ყოველი წყაროდან, თითოეული ღრუბლიდან, თითოეული მცენარიდან მეტყველებდა სულიერი. იმის წყალობით, რომ ადამიანები თავისებურად სწვდებოდნენ ბუნებრივ მოვლენებსა და ბუნების არსებებს, ისინი ეცნობოდნენ სულიერს. ახლა ეს უკვე აღარ ხდება. მაგრამ ინტელექტუალიზმი წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის შეალედურ მდგომარეობას. მაინც რა არის ინტელექტუალიზმის არსობრივი თავისებურება? ეს არის ის, რომ წმინდა ინტელექტუალიზმის დახმარებით საერთოდ შეუძლებელია შემეცნება. ინტელექტი სრულებითაც არ არის ბოძებული შემეცნებისთვის. სერიოზულად ცდებიან ისინი, რომლებიც ფიქრობენ, რომ ინტელექტის დანიშნულებაა შემეცნება. ადამიანები მხოლოდ მაშინ მოიპოვებენ კვლავ შემეცნების უნარს, როცა შეაღწევენ სულისმეცნიერული კვლევის საფუძველში, იმაში, რაც უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება, გვეუწყოს იმაგინაციის მეშვეობით. ადამიანები კვლავ შეძლებენ შეიმეცნონ, როცა გაიგებენ: ძველ დროებში ადამიანებს დათავარივ-სულიერი არსებები

ესაუბრებოდნენ ბუნების მოვლენებიდან. ინტელექტისთვის ისინი არ საუბრობდნენ. უზენაეს, ზეგრძნობად შემეცნებას უშალოდ სრულებითაც არ ესაუბრებიან ბუნების მოვლენები, ვინაიდან ბუნება მოქმედებს ორგორც უტყვი, მაგრამ ადამიანს ესაუბრებიან არსებები, ორცა ევლინებიან იმაგინაციებში, ინსპირირებენ მას, და ორმლებსაც იგი ინტუიციურად უერთდება და ორმლებიც, თავის მხრივ, ადამიანს ბუნების მოვლენებთან აკავშირებს. ამდენად, შეიძლება ითქვას: უმველეს დროებში ადამიანებს სულიერი ესსწებოდათ ბუნების მეშვეობით. ჩვენს შუალედურ მდგომარეობაში ადამიანს აქვს ინტელექტი. ბუნება დარჩა უსულო. ადამიანს მართებს ამაღლდეს ისეთი მდგომარეობისკენ, სადაც ის კვლავ შეძლებს შემეცნებას, სადაც მას ბუნება მეტად აღარ ესაუბრება დავთაგებრივ-სულიერზე, მაგრამ სადაც იგი დავთაგებრივ-სულიერს მოიცავს, მოიხელოებს ზეგრძნობადი შემეცნებით და ამის წყალობით კვლავ შეძლებს, იპოვოს ამ სულიერის კავშირი ბუნებასთან.

ძველი აღმოსავლეთის სულიერი ცხოვრების თავისებურება, ძველი აღმოსავლური შემეცნება, ორმლიც, ორგორც ჩვენ ვიცით, მემკვიდრეობის სახით კვებავდა დასავლურ ცივილიზაციას, იყო ის, რომ აღმოსავლელი მისი შემეცნების ძალთა აყვავების ხანაში ყველა ბუნებრივ მოვლენაში სულიერსაც აღიქვამდა, და რომ დავთაგებრივ-სულიერი მას ესაუბრებოდა ბუნების მეშვეობით, ესენი იყვნენ დაბალი ელემენტარული არსებები, რომლებიც იხსნებიან ცალკეულ ბუნებრივ მოვლენებში, ასევე დავთაგებრივ-სულიერი არსებები, რომლებიც მთელი ბუნების მეშვეობით საუბრობენ. მოგვიანებით შეა რეგიონში გამომუშავდა ის, რაც იურიდიულ-დიალექტიკური სულის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა. აქედან იშვა ინტელექტუალობა. ადამიანმა შეინარჩუნა სულიერი კულტურა, როგორც ძველი აღმოსავლეთის მექანიზრება. მას შემდეგ, რაც აღმოსავლეთისადმი ლტოლვის უკანასკნელი ნარჩენები უკვე დაკმაყოფილდა ჯვაროსნული ლაშქრობებით, რომლის დროსაც რაინდებმა მაინც შეძლეს რადაცით გამდიდრება და ამის მოტანა ევროპაში, ერთი მხრივ, პუტი დიდმა თავისი ევროპული რეფორმებით მოსპო აღმოსავლური მშვინვიერი წყობის ნაშთები, მეორე მხრივ კი, ევროპაში დაბანაკდნენ თურქები, რომლებმაც სწორედ იმ პერიოდის დასაწყისში, რომელსაც ჩვენ ატლანტიდის შემდგომ მეხუთე ეპოქას ვუწოდებთ, იქ განამტკიცეს

თავიანთი ბატონობა. ამით წერტილი დაესვა ევროპულ ექსპანსიას აღმოსავლეთში. ევროპას შემდგომი განვითარება უნდა გაეგრძელებინა. მას განვითარება შეეძლო მხოლოდ იურიდიულ-დიალექტიკური საწყისის გავლენით, დასავლეთ ევროპიდან გადმოტანილი სამეურნეო ელემენტის გავლენით და იმ ხანგრძლივი დაცემის პირობებში, რაც აღმოსავლეთში სულიერი ელემენტის სახით ჯერ კიდევ გადარჩა, თუმცა ამის შესაძლებლობა დაიკარგა. ამავე დროს მომზადდა ის მდგომარეობა, რომელშიც ჩვენ ახლა ვიმუოფებით. სწორედ ამ მდგომარეობიდან გამომდინარე გვმართებს კვლავ გავხსნათ სულიერი სამყაროს კარიბჭე და იმაგინაციის, ინსპირაციისა და ინტუიციის წყალობით მივიდეთ სულიერი სამყაროს ჭვრებამდე.

ეს ყოველივე მთლიანად დაკავშირებულია იმ უძველეს დროსთან, როცა აღმოსავლელი ადამიანი ეუფლებოდა თავის შემეცნებებს, როცა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ის, რაც ადამიანს თავისი უნარების, თავისი შემეცნებითი ძალების სახით შეპქონდა ფიზიკურ ყოფიერებაში საკუთარი დაბადების, საკუთარი წარმოშობის წყალობით. არსებითად, ძველი აღმოსავლერი სიბრძნის პერიოდში, იმდროინდელი ცივილიზაციის განვითარების დონისგან დამოუკიდებლად, ყველაფერი დაფუქნებული იყო სისხლზე; ამასთან ერთად ყოველივე, რაც სისხლთან იყო დაკავშირებული, იმავე ეპოქაში აღიარებული იყო სულიერად. მისტერიების საფუძველზე განისაზღვრებოდა, ვინ იყო მოწოდებული, თავისი სისხლისმიერი წარმოშობის თანახმად, გამხდარიყო ადამიანების წინამდღილი. აქ არ არის არანაირი წინააღმდეგობა, რომ მისტერიების მეშვეობით ვისაც მოუწოდებდნენ, ემართა ადამიანები, მას ამავე დროს აექნებდნენ თავის ნამდვილ ადგილას, სისხლისმიერი წარმოშობა კი წარმოადგენდა ამის გარეგნულ გამოხატულებას. მაშინ არ არსებობდა არანაირი იურიდიულად გაფორმებული დასკვნა სამართალთან დაკავშირებით, როგორ დაეკავებინათ ესა თუ ის მდგომარეობა საზოგადოებაში, ვინაიდან ადამიანებს არ უჩნდებოდათ საპირისპირო აზრი იმ დვთაებრივი გამოხატვამების წინააღმდეგ, რომლებიც განსაზღვრავდა ადამიანის მდგომარეობას. იურისპრუდენცია აღმოსავლეთში არ იცოდნენ. იქ მართავდა თეოკრატია და ეს იყო სამყაროს მართვის მეთოდი. ფიზიკურ სამყაროში ადამიანის მისიას განსაზღვრავდა სულიერი სამყარო. იმის

მიხედვით, რას გრძნობდნენ, საკუთარ თავს ეუბნებოდნენ: ადამიანი თავისი სისხლისმიერი წარმომავლობით დმურთების მიერ ისეა მართული, რომ დაყენებულია სწორედ მისთვის განკუთვნილ ადგილას, თუმცა შემდგომში ამ გრძნობის მაგივრად წინა პლანზე გამოვიდა იურიდიულ-დიალექტიკური საფარვლით შემოსილი სხვა რაღაც და მაშინ შესაძლებელი გახდა დისკუსია სამართლებრივ საფუძვლებზე, ეს კი ადამიანს საშუალებას აძლევდა, დაეკავებინა ესა თუ ის აღგილი, განეხორციელებინა ნებისმიერი საქმიანობა.

მშვინვიერი წყობის ამგვარი ვითარების მომზადება ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში დაიწყო, მაგრამ განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა იგი ძველ რომში, ხოლო დროთა განმავლობაში შუა ევროპაშიც დაიწყეს ცნებიდან გამომდინარე, დიალექტიკაზე დაყრდნობით სამართლის დაფუძნება – სხვადასხვა თვალსაზრისით ამაზე მე უკვე ვისაუბრე; აღმოსავლეთში ეს ყოველივე შეუძლებელი იყო, ამასთან მათვის სრულიად უცხოც. იქ ყველაფერი დაიყვანებოდა დმურთების მიერ გამოხატულ ნებამდე. იქ არ არსებობდა არანაირი დიალექტიკა, რომელიც მოწოდებული იყო გაეგო, რას ნიშნავდა დმურთების ეს ნება.

ახლა ჩვენ ვდგავართ ხელახალი ცვლილების ეტაპზე. ჩვენს დროში კაცობრიობაში აუცილებელია უურადღებით განვიხილოთ ეს დიალექტიკურ-იურიდიული საწყისი და გავითვალისწინოთ. და მაინც: ამ გარემოებასთან, რომელიც გამოვიდა იურიდიულ-დიალექტიკურის მეშვეობით, დაკავშირებულია უმაღლესი ეპონიმიკა, კონომიკური ელემენტი – დასავლეთიდან შემოჭრილი მთელი მსოფლიოს დამყრობი ტექნიკის დახმარებით. სამეურნეო-ეკონომიკურმა საწყისმა ქაოტური გახადა უძველესი კულტურა, რომელიც მთლიანად თეოკრატიული იყო, მთლიანად დვორივ-სულიერით იყო განმსჭვალული. ადრინდელ დროებში ადამიანი სამეურნეო ცხოვრებაში ახორციელებდა იმას, რაც მას მოეთხოვებოდა თავისი მდგომარეობისა და დირსების შესაბამისად, რომელიც დმურთების მიერ იყო დადასტურებული მათივე მისტერიების ბრძნენთა გამონათქვამებში. თუმცა, დროთა განმავლობაში, კვლავ ძალზე პრიმიტიულად დაწყებული სამეურნეო-ეკონომიკური ცხებების ქსელში, ვინაიდან ე.წ. შუა საუკუნეების დადგომის პერიოდში რომაელებს პრაქტიკულად არ ჰქონ-

დათ არანაირი ფული. ფულადი მეურნეობა თანდათანობით გაქრა და მთელ ეპროპაში გავრცელდა დიალექტიკურ-იურიდიული კულტურა, რომელიც შეიძლება ითქვას, ხატურალური სამეურნეო ფორმით არსებობდა. ადრეული შუა საუკუნეები, არსებითად, დარიბი იყო ფულით; ამდენად, ეს განაპირობებდა სამხედრო რაზმების სპეციფიკურ მოწყობას, სადაც ფულს არ იხდიდნენ რაზმელები. ძველი რომაელები თავიანთ რაზმებს ფულით ამარაგებდნენ. შუა საუკუნეებში შეიქმნა ე.წ. ლენის სისტემა (Lehenswesen), რომლისგანაც წარმოიშვა ჯარისკაცების განსაკუთრებული წოდება, წრე. მტკაველ მიწას მიჯაჭვულ ადამიანებს, რომლებიც ხატურალური მეურნეობის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდნენ, არ შეეძლოთ მონაწილეობის მიღება შორეულ ლაშქრობებში. ამდენად, ეს იურიდიულ-დიალექტიკური საწყისი იზრდებოდა ხატურალური მეურნეობის წიაღმი; ახალი ეპოქა კი დადგა მხოლოდ მაშინ, როცა ამ სამეურნეო ცხოვრებაში დასავლეთიდან შეიქრა ტექნიკა. ახალი ცივილიზებული ცხოვრება, რომელიც ახლანდელ დროში ძალზე სუსტია, ატლანტიდის შემდგომ მეხუთე ეპოქაში, არსებითად, ტექნიკის წყალბით წარმოიქმნა. ამაზე მე უკვე არაერთხელ ვისაუბრე. მე აღნიშნე, რომ XIX საუკუნის ბოლოს ჩვენს პლანეტაზე ცხოვრობდა მილიარდ ოთხასი მილიონი ადამიანი, მაგრამ ისინი ასრულებდნენ იმ მოცულობის სამუშაოს, თოთქოს ისინი იყვნენ ორი მილიარდი. ამის მიზეზი იყო ის უდიდესი სამუშაო, რომელსაც ასრულებდნენ მანქანები. ტექნიკის განვითარებამ გამოიწვია კოლოსალური გარდაქმნები სამეურნეო-ეკონომიკურ ცხოვრებაში, რომელმაც თავის მხრივ ასევე კოლოსალურად გარდაქმნა სოციალური ცხოვრება.

ჯერაც არ დამდგარა თანამედროვე ცივილიზაციაზე მანქანების მაქსიმალური გავლენის ეპოქა, ვინაიდან მასში ჯერ კიდევ ჭარბობს ინტელექტუალური ცხოვრება. იმასთან დაკავშირებით, რისი განცდაც მოუწევს კაცობრიობას, დღეს შეიძლება დავაკვირდეთ გასაოცარ მოვლენებს. ეს ჩანს განსაკუთრებით იქ, სადაც ადამიანები, რომლებიც თავის თავს პრაქტიკოსებს უწოდებენ, თავიანთ პრაქტიკაში იკავებენ მმართველის ადგილს, სადაც შემდეგ ეს პრაქტიკა ჩვეულებრივ ქრება; ამდენად, ის უმნიშვნელო პრაქტიკა, რომელსაც ისინი ფლობენ, ქრება მაშინვე, როგორც კი ისინი შეეცდებიან მის ჩართვას მმართველობაში.

ასეთი „მმართველი პრაქტიკოსების“ ან „პრაქტიკოსი მმართველების“, – ცხადია, ეს განსაზღვრება საჭიროა, ჩაისვას ბრჭყალებში, – მხრიდან ჩვენს დროში ძალზე უცნაური იდეები წარმოიშობა. ასე, მაგალითად, ამ ცოტა ხნის წინ მავანი მეუბნებოდა, რომ თითქოსდა ახალმა ეპოქამ მოგვიტანა ჩვენ მანქანები, ხოლო მასთან ერთად ქალაქის ცივილიზაცია, მაგრამ ჩვენ გვმართებს ცხოვრების აღორძინება სოფელში, ბუნების წიაღში. თითქოს შესაძლებელი იყოს მანქანების ეპოქის გაუქმება! „მანქანები უბრალოდ შევა ჩვენთან ერთად სოფლის ცხოვრებაში“, – ვუპასუხე მე ამ ადამიანს. მე მას ვუთხარი: შეიძლება განუდგე ყველაფერს, შეიძლება უკუაგდო სულიერი კულტურა, მაგრამ მანქანები დარჩება, ვინაიდან ადამიანი ჩვეულებრივად თან მოიტანს ტექნიკურ ცივილიზაციას სოფელში და ის, რაც ამოზარდა ქალაქებში, აყვავდება სოფლის ნიადაგზე.

ადამიანები ძირითადად არიან დიდი ფარული რეაქციონერები, რამდენადაც არა აქვთ მიღრეკილება, – დღეს ადამიანებს მეტწილად არ აქვთ ნებელობა, – დანერგონ ახალი იდეები ჭეშმარიტი წარმატების მისაღწევად. მათ მიაჩნიათ, რომ უმჯობესია ბუნებაში ცხოვრებას დაუბრუნდნენ, რადგან პგონიათ, რომ ასეთი რამ შესაძლებელია. ისინი თვლიან, თითქოს შეიძლებოდეს იმ ყველაფრის იგნორირება, რაც უკანასკნელმა ასწლეულებმა მოიტანეს. ეს სისულელეა! მაგრამ ადამიანებს უბრალოდ უჯვართ ეს სისულელე, რამდენადაც მათვის გაცილებით უკეთუსია, დახმარებისთვის უხმოო ძველს, ვიდრე ათვისონ ახალი. დადგა მანქანების ეპოქა. უპირველეს ყოვლისა, მანქანების დახმარებით შესაძლებელია ადამიანური სამუშაო ძალის ეკონომია. რასაც მანქანები აწარმოებენ, ჩვენს თანამედროვეობაში ამისთვის საჭირო იქნებოდა ნახევარი მიღიარდი ადამიანის შრომა, თუ მხოლოდ ადამიანის შრომას გამოვიყენებდით.

არსებითად, მთელი ეს მანქანური წარმოება ხორციელდება დასავლურ ცივილიზაციაში. ის წარმოიქმნა დასავლური ცივილიზაციის წიაღში და მხოლოდ მოგვიანებით გადავიდა აღმოსავლეთში, სადაც მას ისე ჩვეულებრივად ვერ აღიქვამენ, როგორც დასავლურ ცივილიზაციაში. ახლა მე გეტუვით ერთ აზრს და გთხოვთ, მიღლოთ სერიოზულად, როგორ უცნაურადაც უნდა მოგეწვენოთ ის. ჯერ წარმოვიდგინოთ: უძველესი ადამიანი, რომელიც უმზერს ღრუბლებს, ხედავს ნაკადულს, მრავალ-

ფეროვან მცენარეთა სამყაროს და ა. შ. იგი ამ ყველაფერში ხე-  
დავს არა მარტო თანამედროვე ადამიანის მზერისთვის მისაწ-  
ვდომს, ანუ მკვდარ ბუნებას, არამედ ჭვრებს ასევე ელემენტა-  
რულ არსებათა სულებს და უფრო მაღლაც, თვით ზენა იერარ-  
ქიის დვთაებრივ-სულიერ არსებებსაც. იგი თითქოსდა იჭრება  
ბუნების საფარველს მიღმა. ბუნება უკვე აღარ საუბრობს ამ  
დვთაებრივ-სულიერი არსებებისგან. თავდაპირველად ჩვენ გვმა-  
რთებს სულიერის წვდომა ბუნებისგან განცალკევებულად, შემ-  
დეგ კი კვლავ შეგვიძლია ბუნებასთან შეხება. დადგა გარდამა-  
ვალი დრო. ადამიანმა ბუნების სამყაროს მიუსადაგა მანქანები.  
ამ ყოველივეს იგი თავიდან აბსტრაქტულად ხედავს. მისი ეკო-  
ნომიკური ცხოვრება მანქანების დახმარებით აბსტრაქტულია.  
მას აქვს თავისი მათემატიკა, თავისი გეომეტრია, თავისი მექა-  
ნიკა. ამით ის აკეთებს მანქანების კონსტრუქციას და მათ სრუ-  
ლიად აბსტრაქტულად ხედავს. მაგრამ ძალიან მალე მას ელო-  
დება ახალი აღმოჩენა, რომ მთელ ამ მექანიზაციაში, რომელ-  
მაც აავსო სამეურნეო-ეკონომიკური ცხოვრება, კვლავ ამოქმედ-  
დება ის სულიერება, რომელსაც იგი ადრე ბუნებაში აღიქვამდა.  
თავის ტექნიკურ-სამეურნეო მექანიზმებში მისი აღქმა იყო ასეთი:  
ის მათ აწარმოებდა, ის მათ ამზადებდა, მაგრამ ისინი იღებ-  
დნენ კვლავ და კვლავ ერთადეურო ცხოვრებას, უპირველეს ყოვ-  
ლისა, რა თქმა უნდა, მხოლოდ ერთ ცხოვრებას, და რომ, ეს  
ჯერ კიდევ შეიძლება უარყო, ვინაიდან თავიდან ეს მეურნეობა  
ვლინდება თავის თავში, ანუ ეს მეურნეობა იქნის თავის ცხოვ-  
რებას, მხოლოდ სამეურნეო დონეზე. მაგრამ მალე ზოგიერთები  
დაინახავენ, როგორ იქნის ადამიანის მიერ ამ სფეროში შექმნი-  
ლი თავის ცხოვრებას, როგორ ხდება ის მიუწვდომელი ამ ინ-  
ტელექტულისთვის, მიუხედავად იმისა, რომ შექმნილია ინტელექ-  
ტის მიერ. შესაძლოა მის შესახებ სრულყოფილი წარმოდგენის  
შექმნა ჯერ მიუწვდომელია, მაგრამ ეს მოხდება. ადამიანები აღ-  
მოაჩენენ, რომ მათი სამეურნეო-ეკონომიკური ობიექტები მთლი-  
ანად დემონების მატარებელნი გახდნენ.

განვიხილოთ ეს სიტუაცია კონკრეტულ მაგალითზე. ლენი-  
ნურ-ტროცკისტული სისტემა წარმოიქმნა მხოლოდ და მხოლოდ  
ინტელექტიდან, განსჯიდან, მისი უკუდურესად ცუდი გამოვლე-  
ნით. ისინი ცდილობდნენ სამეურნეო ცხოვრების შენებას რუ-  
სეთში. ხოლო სულიერი ცხოვრება, მიუხედავად ლუბაჩარსკი-

სა\*, ადამიანებს არ აინტერესებთ. სამეურნეო ცხოვრება იქ არის მხოლოდ სახეცვლილი იდეოლოგია. შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ ტროცკისტულ-ლენინურ სისტემას ტონს აძლევს სწორედ იურიდულ-დიალექტიკური საწყისი. ბოლშევიკები აპირებენ თავიანთი სამეურნეო ცხოვრების აგებას საკუთარი იდეოლოგიის საფუძველზე, თითქოსდა ცდილობენ სამეურნეო ცხოვრებაში ხორცი შეასხან ინტელექტის. ვთქვათ, ამ ექსპერიმენტისთვის გამოყოფილია საქმარისი დრო, – პირველი მცდელობა არც ისე წარმატებული იყო, – და აი, როცა ასეთი სამეურნეო-ეკონომიკური ცხოვრება გადააბიჯებს რაღაც ზღვარს, მისი წიაღიძან ამოხეთქს დამანგრევებლი, დემონური ძალები. ექსპერიმენტი გაიჭედება, ვინაიდან ინტელექტი ვერ შეძლებს, წარმოქმნილ სამეურნეო-ეკონომიკურ მოთხოვნებთან გამკლავებას. ისევე, როგორც უძველესი ადამიანები უმზერდნენ ბუნებას, ბუნების მოვლენებს და მათში ხედავდნენ დემონურს, ასევე უნდა ისწავლოს ადამიანმა, ხელახლა დაინახოს დემონური იმაში, რაც თავად შეაქვს სამეურნეო-ეკონომიკურ ცხოვრებაში. ჯერჯერობით ის დემონები, რომლებიც ადამიანებმა მანქანებში ვერ შეიყვანეს, კვლავაც ადამიანებში შემოდიან და თავიანთ დამანგრეველ ძალებს სოციალურ რევოლუციებში ავლენენ. დამანგრეველი სოციალური რევოლუციები სხვა არაფერია, თუ არა იმის არ აღიარების შედეგი, რომ ჩვენს სამეურნეო ცხოვრებაში არსებობენ დემონები. მათში უნდა ეძებონ ელემენტარული სულიერი არსებები, როგორც ძველ დროში ეძებდნენ მათ ბუნებაში. ხოლო ავტომობიური ინტელექტუალური ცხოვრება – ეს მხოლოდ და მხოლოდ გარდამავალი მდგომარეობაა, რომელსაც საერთოდ არა აქვს არანაირი მნიშვნელობა ბუნებისთვის და ადამიანების იმ ქმედებისთვის, რომელიც მას უკავშირდება. ის მნიშვნელოვანია მხოლოდ საკუთრივ ადამიანისთვის. ადამიანებმა განივითარეს ინტელექტი, რომ მისი დახმარებით მისულიყვნენ თავისუფლებამდე. ადამიანებისთვის აუცილებელი იყო სწორედ ისეთი უნარის განვითარება, რომელსაც ურთიერთობა არ ექნებოდა არც ბუნებასთან, არც ტექნიკასთან, სამაგიეროდ მნიშვნელოვანი იქნებოდა თავად ადამიანისთვის. ვინაიდან, თავისუფლებამდე მისვლა შეუძლებელი გახდებოდა თუ განავითარებდნენ მხოლოდ ბუნებაზე დამოკიდებულ უნარებს. თუ ადამიანები საკუთარ უნარებს მიმართავდნენ სამეურნეო-ეკონომიკურ

ცხოვრებაზე, – ასევე გერ მივიდოდნენ თავისუფლებამდე, ვინაიდან მანქანები დაეუფლებოდნენ მათ. თუ ის განავითარებს უნარს, როგორც წმინდა ინტელექტს, რომელიც არ იქნება დამოკიდებული არც შემეცნებასთან, არც პრაქტიკულ ცხოვრებასთან, მაშინ კულტურული განვითარების მსვლელობისას ის თავის თავში განავითარებს თავისუფლებას. თავისუფლება შეიძლება დაიბადოს სწორედ ისეთი უნარის საფუძველზე, როგორიცაა ინტელექტი, რომელიც გარე სამყაროს არ განეკუთვნება. ინტელექტისთვის იმაგინაციური საწყისის მინიჭებით ისე, რომ არ მოწყდეს ბუნებას და გააგრძელოს მისი გარდაქმნა, საჭიროა წინასწარ იმის ათვისება, რისი შემოთავაზებაც შეუძლია სულისმეცნიერულ კვლევას.

ამას უნდა დაემატოს სხვა რამ. მე უკვე ვისაუბრე, რომ ძველი აღმოსავლეთის მცხოვრებთათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა გვაროვნობას, წარმომავლობას; ვინაიდან სწორედ ამისკენ იყო მიმართული მისტერიათა ბრძენების მიერ ღვთაებრივი ნიშნების განმარტება, მათ მიერ ადამიანებზე სახელმწიფოებრივი პოსტების განაწილებისას. წარსულის ჩრდილის სახით, ამან მოადწია უფრო გვიანდელ ღრომდე. შემდეგ ამოქმედდა იურიდიულ-დიალექტიკური საწყისი. მთავარი გახდა სახელმწიფოებრივი აღიარება. დიპლომი, ანუ დოკუმენტი გამოცდების შედეგებით, აი რა გახდა განმსაზღვრელი. ძელ თეოკრატიულ დროში განმსაზღვრელი იყო სისხლი, ახლა კი მისი ადგილი დაიკავა ქადალდებმა. ის დროები, როცა ბევრი რამ განსაზღვრული იყო წარმოშობით, ნელ-ნელა მიღის; ერთხელ დისკუსიის დროს ერთი ადვოკატისგან გავიგე: არა აქვს მნიშვნელობა, ვინ დაიბადეთ თქვენ, ვინ ხართ თქვენ! ეს მას ნაკლებად აინტერესებდა, მხედველობაში ჰქონდა მხოლოდ ნათლობის მოწმობის არსებობა ან დაბადების მოწმობა – ყველაფერი დაფუძნებული უნდა ყოფილიყო დოკუმენტებზე. ამდენად, ყველაფერი იცვლება ქადალდებით! განა ასე არაა, ეს არის საყრდენი დიალექტიკურ-იურიდიული საწყისისთვის. ამავდროულად ეს არის სამყაროს ილუზორულობის, ინტელექტის ილუზორულობის გამოხატულება. მაგრამ თავად ადამიანში ამ ილუზორულობას, – როგორც ამქვეყნიურის საპირწონეს, – შეუძლია, განავითაროს ის, რასაც მოაქვს მისთვის თავისუფლება.

უველაფრის დამადასტურებელი ქაღალდების, დოკუმენტების ამჟამინდელი როლი, რაც ოდესაც ნიშნავდა მხოლოდ გვაროვნობასა და სისხლისმიერ წარმომავლობას, ახლა მხოლოდ საწყის ეტაპზეა, ვინაიდან მოვლენათა ამჟამინდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, შემდგომში უველაფერი სულ უფრო განვითარდება. თავად წარმოშობა და მასთან ერთად გვაროვნობა თავიანთ მნიშვნელობას დაკარგავენ, უკიდურეს შემთხვევაში, დარჩება წინაპრებისგან მემკვიდრეობით დატოვებული ქონება. სამყაროში მოცემული ადამიანის ადგილობრივი და როლობით მიმართებით ღმერთებისთვის შეკითხვების დასმა შეწყვიტეს. ამის შესახებ იურიდიულ-დიალექტიკურ ეპოქაში დასაშვები გახდა დისკუსია. ახლა კი დისკუსიებიც ქრება, ვინაიდან საფუძველში იდება მემკვიდრეობის, ქონების სიდიდე. როცა საბოლოოდ გაუფასურდება ქაღალდებისადმი რწმენა – შეწყდება დისკუსიებიც, რამდენადაც ფაქტობრივად ცნება „მემკვიდრეობითი ქონება“ უბრალოდ აზრს დაკარგავს. ამდენად, არ არსებობს განვითარების სხვა გზა, გარდა თავად ადამიანის მიბრუნებისა სულისკენ, ვინაიდან ბუნებაში აღარ არის სულიერის გამოცხადება. მეორე მხრივ, სამეურნეო-ეკონომიკურ ცხოვრებაში მან უნდა მონახოს ის, რასაც იგი ადრე პოულობდა ბუნებაში.

მაგრამ ეს უველაფერი განხორციელებადია მხოლოდ ასოციაციების მეშვეობით. ის, რაც მიუწვდომელია ცალკეული ადამიანისთვის, შეიძლება ხელმისაწვდომი გახდეს ასოციაციის მეშვეობით, – საკანონო განვითარება გარკვეული ჯგუფური სამშვინველისა, რომლის კომპეტენციაშიც შედის ის, რისი გადაწყვეტაც არ ძალუძს ცალკეულ ინდივიდს. გარდამავალ პერიოდში, ინტელექტის ეპოქაში მეურნეა ცალკეული ინდივიდი, ხოლო მომავალში ამ ადგილს დაიკავებს ასოციაციები. ასოციაციებში ადამიანებმა გვერდიგვერდ უნდა იშროობონ. და მაშინ, როცა ვაღიარებთ, რომ სულიერი მიბმული უნდა იყოს სამეურნეო-ეკონომიკურ ცხოვრებასთან, კვლავ წარმოიქმნება რაღაც, რომელიც ჩაანაცვლებს სისხლისმიერ წარმომავლობასა და სხვადასხვა მოწმობას (Patent). ვინაიდან ეკონომიკური ცხოვრება გადააჭარბებს ადამიანურ შესაძლებლობებს, თუ ადამიანი ვერ აყვება მის ზრდას, თუმცი იგი თან არ მოიტანს სულიერს, რათა მართოს ეს ეკონომიკური ცხოვრება. ასოციაციაში საჭიროა შევიდნენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც თან მოაქვთ ის, რაც ადამი

ანს აქცევს მწარმოებლად ეკონომიკური ცხოვრების სფეროში, რაც მას მისცემს საშუალებას, ნამდვილად დაიმორჩილოს ეკონომიკურ ცხოვრებაში გამოვლენილი სულები. გაიხსნება სრულიად სხვა სულიერი პერსპექტივა. და რატომ მოხდება ეს?

დიახ, იმ ძველ დროებში, როცა ადამიანზე მსჯელობდნენ თავისი სისხლისმიერი წარმომავლობით, მნიშვნელოვნად ითვლებოდა, რა ხდებოდა მასთან დაბადებამდე, თუ გნებავთ, ჩასახვამდე, რამდენადაც სწორედ ამ ადამიანებს მოჰქონდათ თან სისხლის მეშვეობით ეს არსობრივი ფიზიკურ სამყაროში. მართალია, მომხდარი ავიწყდებოდათ კიდეც, მაგრამ სისხლით წარმომავლობის აღიარება თავის თავში უკვე შეიცავდა ფიზიკურ შობამდე ადამიანის არსებობის ირიბ აღიარებას. შემდეგ ამოქმედდა დიალექტიკურ-იურიდიული საწყისი. ადამიანი ფასდებოდა მხოლოდ და მხოლოდ იმის საფუძველზე, რასაც იგი წარმოადგენდა, როგორც ფიზიკური პირი. ახლა კი ძალას იქრებს რადაც სხვა, დემონური ეკონომიკური ცხოვრება. აქ კვლავ გახდება აუცილებელი ადამიანზე იმსჯელონ მისი სულიერ-მშვინვიერი ბირთვის საფუძველზე, და ისევე, როგორც უმზერენ სამეურნეო-ეკონომიკური ცხოვრების დემონურ ბუნებას, აუცილებელია, დაიწყონ იმის განჭვრება, რა მოაქვს ადამიანს განმეორებითი მიწიერი ცხოვრების გავლით. მაშინ გაგვესნება ის, თუ რითო მოდის იგი ამ ცხოვრებაში. სწორედ ეს იქნება ჩაწერილი სოციალური ორგანიზმის სულიერ სპექტრში. როცა ადამიანზე მსჯელობენ მისი წარმომავლობით, არსებოთად, არ არის საჭირო პედაგოგიკა, საკმარისია ვიცოდვთ, რომ ადამიანის მდგომარეობა ამ სამყაროში დმერთების ნების სიმბოლური გამოხატულებაა. ხოლო ადამიანზე იურიდიულ-დიალექტიკური თვალსაზრისით მსჯელობისას საკმარისია სრულიად აბსტრაქტული პედაგოგიკა, რომელიც დაკავებულია ადამიანზე, როგორც ადამიანური სახეობის წარმომადგენელზე, ზოგადი მნიშვნელობის განსჯით. ინტერსების შესაბამისად, თუ ადამიანი ჩართული უნდა იყოს კავშირებში, რომ მას შეეძლოს თავისი თავის რეალიზება ასეთი კავშირების შიგნით, მაშინ აუცილებელია გავარკვიოთ და გავითვალისწინოთ შემდეგი: პირველი შვიდწლებული, როცა ადამიანი ავითარებს თავის ფიზიკურ სხეულებრიობას, მისი შემდგომი სოციალური ცხოვრებისთვის არც ისე მნიშვნელოვანია. მისი გაძლიერება საჭიროა მხოლოდ ზო-

გადი ადამიანური თვალსაზრისით. შეიძიდან თოთხმეტ წლამდე, როცა უპირატესად ვითარდება ეთერული სხეული, ადამიანი პირველად უნდა აღიარონ ადამიანად. აღიარება უნდა მოიპოვოს იმან, რაც იწყება 14-15 წლის ასაკიდან როგორც ასტრალური სხეული, ხოლო ის აუცილებლად მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, როცა ადამიანის სულიერ-მშვინვიერი ბირთვი შედის სოციუმში და უწევს შესაბამისი ადგილის პოვნა მასში. ამ დროს აღზრდა ასევე თამაშობს სპეციფიკური სოციალური ფაქტორის როლს. საუბარია იმაზე, რომ ადსაზრდელი ბავშვის შემეცნების საფუძველზე რეალურად დადგინდეს: ეს ვარგისია ამისთვის, ხოლო ეს სხვისთვის, ამასთან ეს ვლინდება არა უადრეს იმ მომენტისა, როცა ბავშვი ამთავრებს სახალხო სკოლას. პედაგოგიური ხელოვნება და დიდაქტიკა, მასწავლებელთა აღმზრდებობითი დონე ის არის, რომ მკაფიოდ განისაზღვროს: ერთი შესაფერისია ამისთვის, სხვა – მეორესთვის. ასეთივე სულისკვთვით შეიძლება გადაწყვეტილებების მიღება კაპიტალის ცირკულაციასთან დაკავშირებით, წარმოების საშუალებების საბოლოოდ განვითარებისთვის, რაზეც არის საუბარი ჩემს წიგნში „სოციალური საკითხის არსობრივი პუნქტები“. საჭიროა წარმოიქმნას სრულიად ახალი სულიერი მსოფლმხედველობა, რომელიც პირველად მისცემს შესაძლებლობას ადამიანს განკვრიტოს სამეურნეო-ეკონომიკური ცხოვრება თავის შინაგან სულიერ სიცოცხლეში, ასევე მისი გავლენის დონე სამეურნეო-ეკონომიკური ცხოვრების მთელ კონფიგურაციაზე. ეს კი შესაძლებელია სულიერი ცხოვრების აგრონომიურიბის პირობებში, როცა სამეურნეო ცხოვრება მასზე არანაირ ზემოქმედებას არ ახდენს. სწორედ მაშინ, როცა შინაგანად ჩაწვდები კაცობრიობის განვითარების მთელ მსვლელობას, გენმის, რომ კაცობრიობის ეს განვითარება თავად ითხოვს სოციალური ორგანიზმის სამწევრიანობის ფორმირებას.

რამდენადაც, ერთი მხრივ, თურქეთის გამო, ხოლო მეორე მხრივ პეტრე დიდის რეფორმების შედეგად, აღმოსავლეთი გამოეყო დასავლეთს, ჩვენ გვესაჭიროება ისეთი დამოუკიდებელი სულიერი ცხოვრება, რომელიც საშუალებას მოგვცემს სულიერი ცხოვრება შევიმეცნოთ ახალ ფორმაში, არა ისე, როგორც ეს ხდებოდა ძველ დროებში, როცა ადამიანი საშუალებას აძლევდა ბუნებას მიემართა თავისი თავისთვის. მაშინ სულიერ

ცხოვრებას კაგშირი პქონდა მხოლოდ ბუნებასთან. ახლა უკვე არსებობს შესაძლებლობა მოიპოვო სულიერი ცხოვრება და ისე ჩაეწერო მის სოციუმში, რომ ის იქცევა მის მამოძრავებლად. ამგვარი სულიერი ცხოვრების წყალობით სულ უფრო მეტად დაკმაყოფილდება სამეურნეო-ეკონომიკური ცხოვრების მოთხოვნები, რომელიც ასოციაციებში განვითარდება. ეს შეხედულებები არსებობს უშუალოდ ანთროპოსოფიულად ორიენტირებულ სულისმეცნიერებაში. სწორედ ამიტომ ასეთი სულისმეცნიერება შეიძლება, წარმოიქმნას მხოლოდ მთელი საკაცობრიო განვითარების შემეცნების საფუძველზე.

ეს არის პირველი, რასაც მიჰყავს სულის ჭეშმარიტ შემეცნებამდე. ხოლო საყოველთაო საუბრები სულზე, რომელიც ესოდენ პოპულარული გახდა დღეს და ძალზე გავრცელებულია ფილოსოფოსებისა და სხვა ოფიციალურ წრეებში, მომავლის-თვის სრულიად გამოუსადეგარია, ვინაიდან მხოლოდ ცარიელი და აბსტრაქტულია. სულიერი სამყარო სრულიად განსხვავებულია ფიზიკურისგან. ამიტომაც არის შეუძლებელი, ფიზიკურ მსოფლმხედველობაზე დაყრდნობითა და მხოლოდ მისი აბსტრაქტორებით სულიერი მსოფლმხედველობის მოპოვება, რომელიც შესაძლებელია უშუალო სულიერი კვლევის პროცესში. ცხადია, ასეთ შემთხვევაში სულიერი სამყარო წარმოჩნდება სრულიად სხვაგვარი იმასთან შედარებით, რისი წვდომაც შესაძლებელია, თუ იცნობ მხოლოდ სულიერ სამყაროს. ადამიანებს, რომელთაც სურთ, ხელსაყრელობის გამო იცოდნენ მხოლოდ ფიზიკურ სამყაროზე, შეუძლიათ დღეს ფანგასტიკა უწოდონ საუბრებს მთვარის ეპოქაზე, მზის ეპოქასა და სატურნის ეპოქაზე. როცა ისინი ისმენებ საუბრებს დედამიწის წინა განსხვალებებზე, მათ წარმოუდგენიათ, რომ საუბარია რაღაცაზე, რასაც მათთან არანაირი კავშირი არა აქვს. მათ ხომ ისეთ რამეს აუწყებენ, რაზეც არანაირი წარმოდგენა არა აქვთ. სრულიად ბუნებრივია, რომ მათ არა აქვთ ამის შესახებ წარმოდგენა, ვინაიდან არ სურთ, რაიმე იცოდნენ სულიერ სამყაროზე. როცა მათ უყვებიან სულიერ სამყაროზე, ისინი აცხადებენ: ეს ხომ არ ეთანხმება იმას, რაც უკვე ცნობილია! ამიტომ, საქმეც სწორედ ის არის, რომ იხსნება სამყაროები, რომლებიც ეწინააღმდეგება იმას, რაც უკვე ცნობილია. სწორედ ასე მსჯელობს სულისმეცნიერებაზე ფილოსოფიის პროფესორი ართურ დრევსი; ის არ

შეესაბამება იმას, რასაც იგი წარმოადგენს, როგორც თავის შე-  
ხედულებებს. ბერლინელი ფოსტმაისტერიც, როცა შენდებოდა  
ბერლინი-პოტსდამის რკინიგზა, ასევე ამბობდა: რა საჭიროა კი-  
დევ რკინიგზით სიარული პოტსდამში! მე ისედაც ვაგზავნი იქ  
ყოველ კვირას ოთხ ცარიელ საფოსტო ეკიპაჟს. ხოლო თუ ადა-  
მიანებს სურთ, ფული ქარს გაატანონ, მათ შეუძლიათ ისინი ახ-  
ლავე გადაყარონ ფანჯარაში! ბუნებრივია, რკინიგზა, — გან-  
სხვავებით საფოსტო ეკიპაჟებისგან, — სრულებითაც არ გამოი-  
ყურებოდა ისე, როგორც ეს წარმოედგინა გულუბრყვილო ფოს-  
ტმაისტერს\* XIX საუკუნის 30-იანი წლების ბერლინში. სულიე-  
რი სამყაროს აღწერაც ხომ განსხვავდება იმისგან, რითაც აქვთ  
თავები გამოტენილი ისეთ ადამიანებს, როგორიცაა ართურ  
დორევსი. უბრალოდ ეს უკანასკნელი წარმოადგენს მის მსგავსთა  
მშენებელ მაგალითს; მეტიც, საინტერესოა, რომ ის საუკეთესო-  
თავანია და არა იმიტომ, რომ ის კარგია თავისთავად, არამედ  
იმიტომ, რომ სხვები კიდევ უფრო უარესები არიან.

ამიტომ საჭირო იყო, თავიდან გვეჩვენებინა, რომ სულიერ  
სამყაროში შესვლისას ჩვენ ნამდვილად საფუძვლიანად ვდგა-  
ვართ მკაცრ მეცნიერულ ნიადაგზე. სწორედ ამისკენ ისწრა-  
ფოდა, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი კურსი უმაღლესი სკო-  
ლისთვის ამა წლის შემოდგომაზე. მართალია, ყველაფერი  
მხოლოდ ჩანასახის მდგომარეობაშია, მაგრამ მინიმუმ ნაჩვე-  
ნები იყო, როგორ შეუძლია სულიერის შემეცნებას გარკვეულ  
სფეროებში დაეყრდნოს მეცნიერულ საფუძველს და, თავის  
მხრივ, როგორ შეუძლია სულიერს შეიჭრას იმაში, რაც მი-  
საწვდომია გრძნობადი შემეცნებისთვის.

ცხადია, შემეცნების მხრივ ამ სახით მოპოვებული, — რაც  
თავისთავად უკვე წარმოადგენს მიღწევას სასკოლო მეცნიერულ  
მისწრაფებებთან შედარებით, — ძალზე შორს არის სრულყოფი-  
ლებისაგან, ვინაიდან ეს ჯერ მხოლოდ დასაწყისია; შეიძლებო-  
და გვეჩვენებინა, როგორ მიანიშნებს ფსიქოლოგია და თავად  
მათემატიკაც სულიერ სფეროებზე. თუმცა ეს ყველაფერი იქნე-  
ბოდა ჯერ კიდევ რაღაც არასრულყოფილი და უუნარო, დახ-  
მარებოდა ჩვენს დეგრადირებულ ცივილიზაციას, თუ არ ჩაერ-  
თვებოდა რადაც ჭეშმარიტად სტიქიური, თუკი ამ ცივილიზა-  
ციაში არ შეიჭრებოდა ნამდვილად ინტენსიური ნებელობა ასე-  
ვე იმ სფეროდან, რომელსაც უწოდებენ სამურნეო-ეკონომიკუ-

რი ცხოვრების სფეროს. აუცილებელია მოვიშოროთ დამყაყებული ადათ-წესები და ძველი ჩვევები, რათა უშუალო ცხოვრება ავაგსოთ სულიერებით. ეს უნდა იყოს, როგორც ანთროპოსოფიული მოძრაობის დაგვირგვინება, პრაქტიკული ცხოვრების განვირება სულიერი გაგების დახმარებით, რომელიც მომდინარებს სულისმცნიერებიდან და სწორედ პრაქტიკულ სამეურნეო-ეკონომიკურ ცხოვრებაში. ადამიანები ცხადად დაინახავენ, როგორ შეიძლება წინ აღვუდგეთ დაცემას, როცა ამ სამეურნეო-ეკონომიკურ ცხოვრებაში შეაქვთ ცნობიერება იმისა, რომ არსებითად ქმნი რაღაც მაცოცხლებელს.

საჭიროა ყოველდღიურად, ასე ვთქათ, ხელახლა შევხედოთ ჩვენი დეგრადირებული სამეურნეო-ეკონომიკური ცხოვრების აღმაშფოთებული დაცემის ნიშნებს. ეს მოძველებული სამეურნეო-ეკონომიკური ცხოვრება გალვანიზაციას არ უქვემდებარება. პროგრესი შესაძლებელია მხოლოდ ახალი სამეურნეო ცენტრების შექმნით. ვინაიდან, როგორც დღეს არავის შეუძლია იამაყოს ყოველდღიური მეცნიერებით, – თუმცა მხოლოდ ეს მეცნიერება მიიყვანს იმ მომავალთან, რომელზეც წინასწარმეტყველებს თხვალდ შეანგარეთ, – ასევე ვერავინ იამაყებს იმ საქმიანობით, რომელიც წარმოშვა მოძველებულმა სამეურნეო-ეკონომიკურმა ცხოვრებამ. არავინ უნდა იყოს ქედმაღალი იმის გამო, რომ ის ფიზიკოსია, მათემატიკოსი, ან ბიოლოგი – ზოგადად მიღებული თვალსაზრისით. ასევე არ დირს ქედმაღლობა იმით, რომ შენ ხარ კომერსანტი ან ზოგადად ინდუსტრიის წარმომაღანელი დამატებური გაგებით. ჩვენ დროში ხომ ყავლებან გაბატონებულია მარტოოდენ ძველი. დღეს ჯერაც არსად შეიმჩნევა ყლორტები იმისა, რასაც უნდა წარმოადგენდნენ ნამდვილი პროფესიული ასოციაციები და გაერთიანებები. როცა განმეორებით ჩატარდება ლექციების კურსი, გოეთეანუმში ჩატარებულის მსგავსად, ცხადი გახდება, კონკრეტულად რა უნდა გავიზიაროთ პრაქტიკული ცხოვრებიდან, მეცნიერულ მეთოდებთან ერთად. სულიერი მიმდინარეობის პროგრესი დამოკიდებულია არა მარტო მის საკუთარ შინაარსზე, არამედ სრულიად და მთლიანად იმაზე, რაც რეალურად ხორციელდება სწორედ ამ პრაქტიკული მხრიდან, ჩვენ მიერ არჩეული მიმართულებით.

გარდა ამისა, დღეს თანამედროვე კაცობრიობის განვითარებისთვის განსაკუთრებით დამასასიათებული ნიშანია, ერთი მხრივ,

შეელი სულიერი ცხოვრების ტრადიციულ მატარებელთა აქტიურობა, რომლებიც გმობენ და სახელს უტეხენ მას, ვინც გასულივრებას ესწრაფვის მეცნიერების თანამედროვე მდგომარეობაზე დაყრდნობით. ეს ადამიანები იქცევიან სრულიად გააზრებულად, რამდენადაც არ არიან დარწმუნებულნი კაცობრიობის პროგრესულ განვითარებაში, ამიტომაც ისინი, უპირველეს ყოვლისა, დაინტერესებულნი არიან, რომ დაამუხრუჭონ მისი განვითარება. ზოგჯერ ისინი ამას ისეთი გროტესკული სახით აკეთებენ, როგორც ის ექსტრავაგანტული სწავლული, რომელიც ცოტა სხის წინ ციურისტი სხვა თემებთან ერთად ანთროპოსოფიაზეც საუბრობდა, ამასთან საუბრობდა იმდენად ღრმად და მოურიდებლად, რომ გაოცება გამოიწვია თვით საკუთარ თანამოაზრებს შორისაც და როგორც ჩანს, შედეგად გამოუვიდა ჩვენი სულისმეცნიერების თვისებური სახის რეკლამა. ასეთია მათი მისწრაფებები და ეს ადამიანები არ გაჩერდებიან, პირიქით, კიდევ უფრო მეტად გააქტიურდებიან. ეს ყოველივე კი იძენს დისკრედიტაციის ფორმას, ანუ შეფარული ტჟულის ფორმას.

ამავე დროს დღეს თვალში საცემია ასევე ძლიერი დაპირდაპირება ჩვენს სულისმცნიერებასთან, რომელიც მიმდინარეობს, არსებითად, ქვეცნობიერ დონეზე. ეს ძალზე სამწუხარო ფაქტია, რამდენადაც საუბარია გაუცნობიერებულ შინაგან ოპოზიციაზე, რომელსაც არ ესმის თავად თავისი თავის და მიმართულია იმის წინააღმდეგ, რაც კანონზომიერად უნდა არსებობდეს სულისმეცნიერულ მისწრაფებებში. მნიშვნელოვანია სწორედ ამ დონეზე ვისწავლოთ, ფეხდაფეხ მიუყვან სულისმეცნიერულ მისწრაფებებს. ვინაიდან სულისმეცნიერული მისწრაფებების შეფასება მიღებული სუბიექტური სტანდარტების საფუძველზე ნიშნავს ზუსტად იმავეს, რასაც აკეთებენ პასტორები და სხვები თავის სფეროში, როცა გმობენ და ლანძღვებენ სულისმეცნიერებას. ჩვენი ანთროპოსოფიული მოძრაობა ძალიან ფერხდება თავისებური სახის შინაგანი ოპოზიციის მიერ. მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ სფეროში თვალში საცემია ის, რაც შესამჩნევი სახით არის წარმოდგენილი ზოგიერთ ბრალდებაში, რომელიც ისმის გარედან. ხშირად ამბობენ: ამ ანთროპოსოფიულ საზოგადოებაში ყველა საუბრობს ერთის მიხედვით, სინამდვილეში ასე არ არის, თითოეული ამბობს იმას, რასაც ფიქრობს და როგორც მას სურს. ამას ხომ ჩვენ უკვე არაერთხელ შევხებივართ, ასე არ არის? თუ ვინმეს

თავში რაიმე მოუგა, მას შეუძლია დაუბრკოლებლად ამტკიცოს, რომ მან ეს მოისმინა ჩემგან, თუმცა სინამდვილეში მე მას ვეუბნებოდი სრულიად საპირისპიროს. ასეთია დღეს სამყაროში გამეფუბული ავტორიტეტისადმი რწმენის გამოვლენა. თუმცა ჩვენთან ავტორიტეტისადმი ეს რწმენა იძენს თავისებურ ფორმას, ავტორიტეტისადმი უცნაურ რწმენას. ეს კი ხშირად იჩენდა თავს. განსაკუთრებული ზიანი მას მოაქვს, როცა იძენს ოპოზიციის ამ უცნაურ ფორმას, ოპოზიციას ხომ სინამდვილეში ყოველთვის უფრო მეტი ზიანი მოჰქონდა, ვიდრე რწმენას ავტორიტეტისადმი, ამიტომაც რწმენა ავტორიტეტებისადმი ბევრად უფრო იოლია მიუტევო; კიდევ უფრო უარესი იქნებოდა, თუ პრაქტიკული ცხოვრების სფეროში გაგრცელდებოდა სწორედ ის, რასაც მე აქ ვუწოდე შინაგანი ოპოზიცია. გინაიდან, მაშინ ანთროპოსოფიული მისწრაფებების მოწინააღმდეგები აუცილებლად იტყოდნენ: დიახ, ეს ერთი ფანტასტიკური სექტანტური მოძრაობაა, ამავე დროს ძალზე არაპრაქტიკულიც. ბუნებრივია, ის ვერც გახდება პრაქტიკული, სანამ მას პრაქტიკოსები არ მოჰკიდებენ ხელს, სწორედ ისე, როგორც მკრავი ვერ შეძლებს ვერაფრის შეკერვას, თუ მას არა აქვს ნემსები.

მე მინდოდა, ამ ყველაფრით მხოლოდ მიმეთიქმინა იმაზე, რა არ უნდა გამოგვრჩეს ჩვენ მხედველობიდან. ეს სრულებითაც არ წარმოადგენს კრიტიკას და საერთოდ არ უკავშირდება იმას, რაც უკვე დაილექს – მე მივუთითებ რაღაცაზე, რაც აუცილებელია მომავლისთვის. ცხადია, ნებისმიერ შემთხვევაში მე არ მომიწევდა ამ შენიშვნების გაკეთება, რომ არ ვხედავდე ჩვენს თავს ზემოთ თავმოყრილ სხვადასხვაგარი კვამლის ბოლქებს. აქ მე მივაჟყრობ თქვენს ყურადღებას იმ ერთადერთს, რაც შეიძლება იყოს სტიმული ნამდვილი ყოველმხრივი განვითარებისთვის, – თანამშრომლობისთვის, რომელიც გაურბის მოძველებული პრაქტიკიზმის უკიდურესობებს და კეთილისმყოფლის ნიღბით ანთროპოსოფიისადმი შინაგან მტრობას. ამდენად, მე თქვენს ყურადღებას მივაჟყრობ არა იმაზე, რაც უკვე განხორციელდა ცხოვრებაში, არა მედ იმაზე, რაც აუცილებელია მომავლისთვის. ამის თაობაზე მსჯელობა უკვე ახლავე საჭიროა.

დღეს მე დავქმაყოფილდები ამ შენიშვნებით. შემდეგში ჩვენ ამ შენიშვნებს, რომელთაც თქვენ კიდევ მოისმენთ, ხვალ და ზეგ დავაკავშირებთ თავდაპირველი შესავლის თემასთან – ქრისტეს განცდა XX საუკუნეში.

მემკვიდრეობა  
დორნახი, 1920 წლის 30 ოქტომბერი

იმის გაგებამ, რასაც შეიძლება ეწოდოს ქრისტეს ხელახალი გამოცხადება, თავისი ჯეროვანი ადგილი რომ დაიკავოს ადამიანთა სამშვინველებში, აუცილებელია წინასწარ გავიაზროთ ქრისტეს იდეის ევოლუცია, ქრისტეზე წარმოდგენის ევოლუცია კაცობრიობის ისტორიის მსვლელობის დროს. გავისუნით, რომ კაცობრიობის განვითარება ეფუძნებოდა იმ მშვინვარ წყობას, რომელსაც ჩვენ ხშირად ვუწოდებდით თავისებური სახის ინსტინქტურ ჰერეტიკას, ანდა ბუნდოვან, სიზმრისეულ ნათელ ხილვას. კაცობრიობის განვითარების ამა თუ იმ ეპოქისა ენი მიბრუნებით ჩვენ მათ ვახასიათებდით, შესაბამის ეპოქაში განსაზღვრული მშვინვიერი წყობის ჩამატებით.

ჩვენ ასევე გვმართებს გავისენოთ, რომ კაცობრიობის უძველესი ნათელ ხილველური მდგომარეობის მნიშვნელოვანი ნარჩენები გოლგოთის მისტერიის დროს ჯერ კიდევ არსებობდა. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა გოლგოთის მისტერიის აღქმა, როგორც განსაზღვრული ფაქტის, მაგრამ – თავისებური ფაქტის, ვინაიდან მისი არსის წვდომა შეუძლებელია ინტელექტით, რომელიც XV საუკუნიდან ფონს უქმნის ამჟამინდელი ცივილიზაციის ადამიანთა მშვინვიერ წყობას, თუმცა ეს მოვლენა ჩაისახა ჯერ კიდევ ბერძნულ ეპოქაში და რომის დროს. ამიტომ შეიძლება ითქვას: ბერძნული ისტორიის მიმდინარეობისას, რომის ისტორიის მიმდინარეობისას და ასევე გოლგოთის მისტერიის აღსრულებისას დედამიწაზე, უამრავ ადამიანს ჯერ კიდევ პქონდა უძველესი ნათელ ხილვის საგრძნობი ნარჩენები. ამ ადამიანებმა ეს ნარჩენები უკვე დაკარგეს და დაღგნენ ინტელექტუალური განვითარების სათავეებთან. ეს განსაკუთრებით საგრძნობი იყო რომაელებთან. აი, რატომ შეიძლება ითქვას, რომ გოლგოთის მისტერია თავისი არსითა და თავისი რეალობით შეეძლოთ აღექვათ მხოლოდ მათ, ვინც ჯერ კიდევ ფლობდა ძველი ნათელ ხილვის ნაშთებს. ვისაც ეს არ პქონდა, მათ შეეძლოთ გოლგოთის მისტერიის მხოლოდ აღწერა სიმბოლური მნიშვნელობის დატვირთვით. ასეთი ინსტინქტური ნათელ ხილვა იყო უძველესი აღმოსავლეთის მოსახლეობის თავისებურება და სწორედ აღმოსავლეთის ხალხებში შემორჩა ძველი ნათელ ხილ-

ვის ნაშთები. ბოლოს და ბოლოს, თავად ქრისტე იესო დადიოდა დედამიწაზე აღმოსავლეთის ხალხებს შორის. ასე რომ, თავ-დაპირველად გოლგოთის მისტერიას სწვდებოდნენ ძველი აღმოსავლური სიბრძნის ნარჩენების საფუძველზე. ხოლო როცა გოლგოთის მისტერია გავრცელდა დასავლეთში, ბერძნებთან და რომაელებთან, ბევრ მათგანს შეეძლო გადმოედო ის, რასაც მათ ეუბნებოდნენ ადამიანები, რომელთა გაგებაც დედამიწაზე მომხდარის თაობაზე ჯერ კიდევ ეფუძნებოდა უძველესი ნა-თელხილვის ნაშთებს. რამდენადაც იმ დროებში ჯერ კიდევ შე-საძლებელი იყო ფაქტების ჭვრება მშვინვიერი თვალებით, პავ-ლეს, – იმ განსაკუთრებული მდგომარეობის წყალობით, რომე-ლიც მას მოწიფეულ ასაკში გაეხსნა პირველად გასხივოსნებუ-ლი ნათელხილვით, – შეეძლო დარწმუნებულიყო გოლგოთის მისტერიის ჭეშმარიტებაში, მის სინამდვილეში. და უკელაფერი, რაც პავლეს შეეძლო ეთქვა თავისი გამოცდილებით გოლგოთის მისტერიასთან დაკავშირებით უძველესი აღმოსავლური სიბ-რძნის საფუძველზე, რომელმაც შეინარჩუნა უძველესი ნათელ-ხილვის ნაშთები, მოგვიანებით შეიძლებოდა აღქმულიყო, რო-გორც ხარება და შეიძლებოდა შეემოსათ ჩანასახოვანი ინტე-ლექტის ფორმით; მაგრამ თავდაპირველად გოლგოთის მისტე-რიის განჭვრება ინტელექტის დახმარებით შეუძლებელი იყო. მიღებულია, გნოსტიკური ეწოდოს იმ თავისებურ ფორმას, რომ-ლითაც ადამიანები, რომლებიც თავის თავში ინარჩუნებდნენ უძველესი ნათელხილვის ნაშთებს, გოლგოთის მისტერიის გაგე-ბას მიეახლებოდნენ. შეიძლება ითქვას, რომ ფორმა, რომლითაც საუბრობდნენ გოლგოთის მისტერიაზე, უკავშირდება უძველესი ნათელხილვის ნარჩენებს, – და ეს არის სწორედ ქრისტიანული გნოზისი. ფორმა, რომლითაც გოლგოთის მისტერია შემოვიდა გარემომცველ სამყაროში, ჩემ მიერ აღწერილია წიგნში: „ქრის-ტიანობა, როგორც მისტიკური ფაქტი და უძველესი მისტერიე-ბი“. ასე რომ, გოლგოთის მისტერიის თავდაპირველმა გაგებამ მოაღწია ძველი ნათელხილვის ამ ნაშთების მეშვეობით, ძველი აღმოსავლური ინსტინქტური ჭვრების მეშვეობით. შეიძლება ითქვას, რომ ძველი აღმოსავლური ინსტინქტური ჭვრება ადამი-ანებს ახასიათებდათ თვით გოლგოთის მისტერიის ეპოქამდე. აი, რატომ იყო მისი ნამდვილი წვდომა მაშინ რეალური. შემდეგ კი შემოიჭრა ინტელექტი და გოლგოთის მისტერიის გაგება უპ-

ვე შეუძლებელი გახდა. გოლგოთის მისტერია ინტელექტის აუგავების ეპოქაში რომ მომხდარიყო, ის ბუნებრივია, კაცობრიობაზე შთაბეჭდილებას ვერ მოახდენდა.

ამდენად, უწყება გოლგოთის მისტერიაზე გადმოცემული იყო ძველი ნათელმხილვების წერილებში, და, არსებითად, სახარებები სხვა არაფერია, თუ არა ნათელმხილვის მეშვეობით მოპოვებული უწყება გოლგოთის მისტერიაზე; თქვენ იცით, ეს ასევე გადმოცემულია ჩემს წიგნში „ქრისტიანობა, როგორც მისტიკური ფაქტი“. მაგრამ შემდეგ კაცობრიობა დაფარა იმ ტალღამ, რომელსაც, როგორც უკვე ითქვა, თავისი სათავე პქონდა ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში, თუმცა ძირითადად მომდინარეობდა ძველი რომიდან, რომელმაც მოამზადა ინტელექტუალიზმი, ვინაიდან ის ატარებდა მას თავის თავში. შედეგად ჩამოყალიბდა და გავრცელდა იურიდიულ-დიალექტიკური აზროვნება, რომელმაც, თავის მხრივ, მიიყვანა სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებამდე. იურიდიულ-დიალექტიკური აზროვნება სამხრეთის ქვეყნებიდან შეიქრა იმ მხარეებში, სადაც ჯერ კიდევ ყვაოდა, როგორც მე გუშინ გითხარით, ნატურალური მეურნეობა. წარმოიქმნა შეა ევროპული ცივილიზაცია, რომელიც იკვებებოდა რომით და თავიდან ვითარდებოდა უშუალოდ ინტელექტუალიზმის ნიშნით, მაშასადამე, იქ ადამიანური სამშვინველების განხილვა ძველი სულიერების საფუძვლზე, ისინი ტრადიციის მიხედვით აღიქვამდნენ მხოლოდ საკუთრივ უწყებას სიკეთეზე, ამასთან იმ ფორმით, რომელიც შეესაბამებოდა მათ მშვინვიერწყობას. ხარება სულ უფრო იმოსებოდა დიალექტიკით, რასაც ხელს უწყობდა რომაული საწყისი. იმისგან, რასაც წარმოადგენდა ქრისტიანული გნოზისი, რომელიც ჯერ კიდევ დამოკიდებული იყო ჰერეტიკე, გამომუშავდა წმინდა დიალექტიკური ოულოგია და სწორედ ამ დროს, – პროცესები კი პარალელურად მიდიოდა, – წარმოიქმნა ერთიანი უკროპული იმპერია, რომელიც მოგვიანებით ცალ-ცალკე დაიშალა უკროპულ სახელმწიფოებად. თავდაპირველად გაერთიანებული უკროპული იმპერია წარმოადგენდა, არსებითად, ეკლესიურ სამეფოს, რომელიც გაედენილი იყო რომაული იურიდიული ფორმებით და დანერგილი

სამყაროში, საზოგადოებაში. გარეგნული სახით ხორციელდებოდა უამრავი ისტორიული მოვლენა, რომელიც ახდენდა იმის ილუსტრირებას, როგორ ვრცელდებოდა ევროპაში ეს იურიდიულ-დიალექტიკური, პოლიტიკური აზროვნება, რომლითაც იყო შემოსილი ძევლი აღმოსავლური ჭვრეტა.

მაგალითად, *კარლოს* დიდი იყო რომის პაპის ვასალი. თავისი სამეფო წოდება მან მიიღო პაპისგან. როდესაც სწავლობ კარლოს დიდის ექსანსიურ პოლიტიკას, აღმოაჩენ, რომ ის არა მარტო აფართოებდა თავის იმპერიას, არამედ დაპყრობილ ტერიტორიებზე ახდენდა და აძლიერებდა საეკლესიო-თეოლოგიურ გავლენას. არსებითად, ხდებოდა თავისებური სახის თეოკრატიული იმპერიის გაფართოება, ამასთან ის ყველგან განმსჭვალული იყო იურიდიულ-დიალექტიკური ფორმით. სასულიერო პირები იყვნენ ჩინოვნიკები, სახელმწიფო მოსამსახურეები, ერთ პიროვნებაში გაერთიანებული პოლიტიკური და საეკლესიო ელემენტებით. ძველი, ჭვრეტაზე დაფუძნებული სულიერი ცხოვრება მთლიანად უკან დარჩა, ხოლო 869 წელს სული საერთოდ გაუქმებული იქნა, რაზეც ჩვენ უკვე არაერთხელ ვისაუბრეთ; შესაბამისად, ეს სულიერი ცხოვრება გარდაიქმნა პოლიტიკურ საეკლესიო იმპერიად, რომელმაც მოიცვა ევროპის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი.

ისტორიიდან, ასევე, აქ წარმოდგენილი სულისმეცნიერული თვალსაზრისიდან, თქვენ იცით, როგორ მიმდინარეობდა რომის კათოლიკური ეკლესიის ეს განუწყვეტელი ომი იმ ქვექნებთან, რომლებსაც ამა თუ იმ დოზით სურდათ მისი გავლენისგან გათავისუფლება, – ეს ბაზალიები ხომ, არსებითად, წარმოადგენს შეუაუკუნეების ისტორიის მნიშვნელოვან ნაწილს. მაგრამ გვმართებს ყურადღების გამახვილება უზარმაზარ განსხვავებაზე ამ შეუაუკუნეობრივი წარმონაქმნის, ასევე მისი დაშლის შემდეგ წარმოქმნილი სახელმწიფოების სოციალურ სტრუქტურასა და ძველი აღმოსავლეთის სოციალურ სტრუქტურას შორის, რომელიც მთლიანად გასულიერებული და განაუმჯიერებულია უძველესი ინსტინქტური ჭვრეტით.

მაინც საიდან მოვიდა ამ ძველი აღმოსავლური ჭვრეტის შინაარსი? ის მოვიდა, ამას სხვაგვარად ვერ იტევი, თანდაყოლილი არსებობიდან(Angeboreensein); ვინაიდან მისტერიათა ბრძენი მოწაფეებს ექვებდნენ იმათ შორის, ვინც ფლობდა თანდაყოლილ

უნარებს, ამ ინსტინქტურ ჭვრეტამდე მისასვლელად. ადამიანთა უზარმაზარი მასიდან არჩევდნენ მათ, რომელთა სისხლშიც ჩადებული იყო ამგვარი ჭვრეტის უნარი. ამდენად, ბრძენი აცნობიერებდნენ, რომ ბავშვს, რომელიც ამ ფიზიკურ სამყაროში მოდის სულიერი სამყაროდან, თან მოაქვს სულიერ სამყაროში განცდილის ნარჩენი. მე ვსაუბრობ იმ ღროებზე, როცა ახლოვდებოდა გოლგოთის მისტერია და მის შემდგომ უახლეს პერიოდზე. ერთ ბავშვს თან მოჰკონდა მეტი, მეორეს – ნაკლები. შეიძლება ითქვას, რომ სისხლთან ერთად მოდიოდა სულიერ სამყაროებში განცდილის გამოძახილი. ისინი, ვისაც დაბადებამდებლი, ან, თუ გნებავთ, ჩასახვამდებლი განცდების შესახებ ინსტინქტური მოგონება ყველაზე მეტად ჰქონდათ შენარჩუნებული, იჯვნენ სწორედ მისტერიათა ყველაზე შესაფერისი მოწაფეები. მათ შეეძლოთ წვდომა და ჭვრეტა; სხვა სიტყვებით, ისინი მოპოვებული ჭვრეტის მეშვეობით აცნობიერებდნენ დმერთების ზრახვებს ადამიანთან მიმართებით, ვინაიდან მათ ეს ჯერ კიდევ დაბადებამდე განიცადეს და მიწიერ ცხოვრებაში ატარებდნენ ამ განცდების შესახებ მოგონებას. ასეთ ადამიანებს ეძებდნენ მისტერიათა ბრძენი, ქურუმები, რომ სოციუმში ჩაერთოთ ისინი, ვისაც შეეძლო ფიზიკურ სამყაროსთან მიმართებით სულიერი სამყაროს განზრახვებზე მოწმობა. სწორედ ასეთი ადამიანები საუბრობდნენ პირველად გოლგოთის მისტერიაზე. შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის ჩართვა სოციალურ ცხოვრებაში ეფუძნებოდა სხვა პრინციპებს, ვიდრე ჩვენს დორში არსებობს. ეს ხდებოდა თითქოსდა თავად დმერთების ნებით და ეს ნება ადამიანებს ეხსნებოდათ მისტერიებში.

შეა საუკუნეებში შეწყდა ადამიანის თანდაყოლილი თვისებების გავლენა, რომელიც დაკავშირებული იყო მის სისხლთან და მის მიერ დაბადების მეშვეობით მოტანილი იყო სულიერი სამყაროდან ფიზიკურ სამყაროში, ამავე დროს დაიკარგა შესაბამისი ინსტინქტური მოგონებებიც. რაზეა ახლა დამოკიდებული სოციალური სტრუქტურები? რა შეიძლება იქცეს სოციალური სტრუქტურების საფუძვლად იურიდიულ-დიალექტიკურ ეპოქაში? საფუძველში შეიძლებოდა ჩადებულიყო მხოლოდ ავტორიტეტი. ავტორიტეტი, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, თვითონ რომის პაპმა მიითვისა და რომელმაც დაიკავა ადრინდელი ადგილი, როცა მისტერიათა უძველესი ბრძენი იმეცნებ-

დნენ თავიანთ მიერ ჭვრეტის შედეგად სულიერი სამყაროდან მოტანილს. უქვედეს დროში სამყაროს სოციალურ მოწყობასთან დაკავშირებითაც გადაწყვეტილებებს იღებდნენ სულიერი სამყაროდან მოპოვებული ცოდნის საფუძველზე. შეა საუკუნეებში კი გადაწყვეტილებებს იღებდნენ მხოლოდ იმის წყალბით, რომ გარკვეულ ადამიანებს, – რომის პაპსა და მასზე დამოკიდებულ ზოგიერთ მმართველს, მეფეებს და სხვა თავადებს, – მიაწერდნენ მიწიერ ავტორიტეტს წმინდა ოურიდიულ საფუძველზე, ფორმალური კანონის საფუძველზე. ადამიანებმა დაიწყეს მბრძანებლობა იქ, სადაც ადრე მბრძანებლობდნენ დმერთები. მბრძანებლობის უფლებას კი უკვე ღებულობდნენ მხოლოდ და მხოლოდ გარეგნულ საფუძველზე.

ასე წარმოიქმნა შეუასაუკუნეობრივი პრინციპი ავტორიტეტისა, და, შეიძლება ითქვას, რომ ის გავრცელდა გოლგოთის მისტერიის აღქმაზეც, რომელსაც იგებდნენ, როგორც მხოლოდ ხარებას, შეტყობინებას. უკეთეს შემთხვევაში ის, შეიძლებოდა შეემოსათ სიმბოლურ ფორმებში, მაგრამ ესეც მხოლოდ, როგორც სურათი. ერთი ასეთი სიმბოლო იყო წმინდა საიდუმლო სერობა, ეს იყო ყველაფერი, რაც შეეძლო განეცადა ქრისტიანს ეკლესიაში. თავისი ფორმით საიდუმლო სერობა მისთვის განასახიერებდა ქრისტეს ძალის გამოვლენას ფიზიკურ სამყაროში. მორწმუნეთა თვალში თავად შესაძლებლობა, ქრისტეს ძალა გადმოღვრილიყო ფიზიკურ სამყაროში, უკავშირდებოდა ავტორიტეტს, რომელსაც ასევე პქონდა ეკლესიის კურთხევა.

ასე მზარდ იურიდიულ-დიალექტიკურ-რომაულ ელემენტს პქონდა თავისი საპირისპირო მხარე. მისი ავტორიტეტულობა ადამიანებში მუდმივად იწვევდა პროტესტს. ვინაიდან, როცა ყველაფერი ეფუძნება ავტორიტეტს, როგორც ეს იყო შეა საუკუნეებში, ადამიანებში იღვიძებს ის, რაც გარდაუვალად გამოვლინდება მომავალში: შინაგანი პროტესტი ავტორიტეტისადმი. და ეს შინაგანი პროტესტი გამოვლინდა სხვადასხვა ისტორიულ მოვლენაში ისეთი მოღვაწეების წყალობით, როგორიცაა კიკლიფი\*, ჟუსტ\* და სხვები, რომლებიც წინ აღუდგნენ წმინდა ავტორიტეტულ პრინციპს და სურდათ ქრისტეს შემეცნება თავისი თავის შიგნით, თუმცა ამის დრო ჯერ არ იყო დამდგარი. ასე რომ, მაშინ ადამიანი, არსებითად, მხოლოდ თავს იტყუებდა იმის ვარა-

უდით, რომ შესაძლებლად მიეჩნია ქრისტეს უშუალოდ წვდომა საკუთარი თავის შიგნით.

ისინი, ვინც შეა საუპუნეების პერიოდში გვხვდებოდნენ, როგორც მისტიკოსები, ასევე საუბრობდნენ ქრისტეზე, მაგრამ მათვის ჯერ კიდევ მისაწვდომი იყო ქრისტეს ნამდვილი განცდა. ავტორიტეტისადმი აღშფოთების ზრდის პიკზე ძლიერდებოდა სურვილი, კიდევ უფრო განემტკიცებინათ ეს ავტორიტეტი. ძალის გამოყენების პრინციპი ავტორიტეტის გაძლიერებისთვის, – რათა გაეკონტროლებინათ გოლგოთის მისტერიიდან მომდინარე და აეგოო ყველაფერი ავტორიტეტზე, რომ თავად გოლგოთის მისტერიაც სამარადისოდ განემტკიცებინათ უშუალოდ აგენტორიტეტით, – აი, ეს არის სწორედ იეზუიტიზმი. იეზუიტიზმში უკვე ადარ არის ქრისტე. ამ რეაქციული ორდენის წევრები თავის თავში ატარებდნენ სრულ უარყოფას იმისა, რაც არის ქრისტეს თავდაპირველი ქრისტიანული წვდომა. ის ხორციელდებოდა გნოზისში სწორედ აღმოსავლური ნათელებილვის ნაშთების მეშვეობით. იეზუიტიზმა კი თავის თავში შეიწოვა მხოლოდ ინტელექტუალურ-დიალექტიკური საწყისი და უკუაგდო ქრისტეს პრინციპი. მან არ გამოიმუშავა არანაირი ქრისტოლოგია – მან შექმნა მებრძოლი სწავლება იესოს დასაცავად, იესოლოგია. იესოს უნდა შეხედოთ, როგორც არსებას, რომელიც აღემატება ნებისმიერ ადამიანურ შესაძლებლობას, ხოლო იეზუიტური მიღომა გოლგოთის მისტერიისადმი ეფუძნებოდა მარტოლდენ ეკლესიის ავტორიტეტს.

ასე მზადდებოდა ის, რაც მოგვიანებით დადგა და ამ პროცესის კულმინაციას ჩვენ ვხედავთ XIX საუკუნეში ადამიანთა განცდებში, როცა ქრისტეს იმპულსი როგორც სპირიტუალური, სულიერი საწყისი მთლიანად დაიკარგა, როცა თეოლოგია, თუ მას სურდა ყოფილიყო თანამედროვე, საუბრობდა მხოლოდ ადამიან იესოზე. ამ გზაზე საჭირო იყო უამრავი დაბრკოლების მოცილება. ავიდოთ ის ფაქტი, რომ გოლგოთის მისტერიაზე უწყებათა შინაარსი, როცა რომაულ პრინციპს ისინი გადაჭყავდა წმინდა იურიდიულ დიალექტიკაში, იმოსებოდა გარეგნული სიმბოლიკით, რომელიც ექვემდებარებოდა ავტორიტეტულ განმარტებებს და ამიტომაც არ შეიძლებოდა ეს უწყებები გადაეცათ მორწმუნებისთვის უშუალოდ. ამით აიხსნება რომის ეკლესიის მორწმუნეთათვის ბიბლიის წაკითხვის აკრძალვა. ერთ-ერთი უმ-

თავრესი საეკლესიო დადგენილება თვით გვიანდელ შუა საუკუნეებამდე მორწმუნებისთვის კრძალავდა ბიბლიის კითხვას. არაფერი ისე არ აშინებდა პასტორებს კათოლიციზმის მოწინავე წრეებში, როგორც სახარების გავრცელება მორწმუნეთა ფართო მასებს შორის, ვინაიდან სახარება წარმოიშვა სამშვინველის სრულიად სხვა წყობიდან და სამშვინველის გაგება შესაძლებელია მხოლოდ სამშვინველის გარკვეული სპირიტუალური წყობის არსებობის შემთხვევაში. დიალექტიკური მშვინვერი განწყობით შეუძლებელია სახარებასთან მიახლოება. ამიტომაც იმ დროებში, როცა მზადდებოდა ინტელექტუალიზმი და დიალექტიკის ბატონობა, არ შეიძლებოდა დაეშვათ ფართო მასებში სახარების შეღწევა. ეპლესია სასტიკად ებრძოდა მორწმუნებებს შორის სახარების კითხვას. ის უბორობეს ერეტიკოსებად მიიჩნევდა მათ, ვინც უარყოფდა სახარების კითხვის აკრძალვას, – მაგ, ვალდენსებს ან ალბიგონელებს, რომლებიც აცხადებდნენ, რომ სახარებების კითხვით ადამიანი თავისთავად უფრო გაიგებს გოლგოთის მისტერიას. ამას კი უკვე მიჰყავდა ეპლესის როლის უარყოფისკენ და ეპლესიამ კარგად იცოდა: სახარებების დამოუკიდებელი კითხვა შეუთავსებელია მის ღოგმატურ მიღვომასთან გოლგოთის მისტერიაზე, რამდენადაც თავისი ჭეშმარიტი სახით ოთხი სახარება ეწინააღმდეგება ერთმანეთს. თუ მორწმუნეთა ფართო მასებს მისცემენ საშუალებას, დამოუკიდებლად წაიკითხონ სახარება, მაშინ ისინი მიიღებენ რაღაც სხვას, როგორც წინააღმდეგობრივ აღწერას, რადგან ინტელექტუალიზმის ჩასახვის გაოქაში შეუძლებელია მისი გაგება სხვაგარად, ვიდრე ნებისმიერი სხვა მოვლენის, რომელიც ფიზიკურ პლანზე ხდება. დიახ, იოლი არ იქნება იმის გაგება, რომ რაიმე მოვლენა, რომელსაც ადგილი აქვს ფიზიკურ პლანზე, შეიძლება აღიწეროს ერთმანეთის საწინააღმდეგო ოთხ ვარიანტში. მაგრამ თუ საუბარია მოვლენებზე, რომელთა წვდომაც გვმართებს უზენაესი შემეცნებითი ძალების მეშვეობით, მაშინ მას უნდა მივუდეთ ამა თუ იმ კუთხით, ვინაიდან მისი განხილვა საჭიროა სხვადასხვა მხრიდან. მე არაერთხელ მითქვამს, რომ აქ უპრიანია ანალოგი სიზმრებთან; სხვადასხვა ადამიანს სიზმრის შინაარსი შეიძლება პქონდეს ერთი და იგივე, ანუ სამშვინველის სიღრმეში შეიძლება ხდებოდეს ერთნაირი პროცესი, თავად სიზმრის სურათ-ხატები კი ძალზე განსხვავდებოდეს ერ-

თმანეთისგან. ამიტომ წინააღმდეგობებს სახარებებში არანაირი მნიშვნელობა არ ექნება იმისთვის, ვინც გოლგოთის მისტერიას სპირიტუალურად უდგება. მაგრამ სწორედ შეა საუკუნეების დასაწყისში ადამიანებს ჯერ არ პქონდათ ასეთი შესაძლებლობა, ისინი ყველაფერს აღიქვამდნენ დიალექტიკის ნიშნით და ეს ეხებოდა მოსახლეობის თვით ყველაზე დაბალ ფენებსაც. დიალექტიკისთვის კი მიუდებელი იყო ოთხჯერადი წინააღმდეგობრივი მოწმობა გოლგოთის მისტერიაზე. ხოლო, როცა საეკლესიო აკრძალვას ყავლი გაუვიდა, პროტესტანტიზმის წარმოქმნით უვროპულ ცხოვრებაში წარმოიქმნა სწორედ ის უთანხმოება, რომელმაც შემდეგ მიიყვანა XIX საუკუნის თანამედროვე თეოლოგიამდე, ამან მთლიანად გააქრწყდა სახარებების ყველა წინააღმდეგობა. შედეგად სახარებებისგან დარჩა მხოლოდ გაშიშვლებული ჩონჩხი. მაგრამ ეს საცოდავი ნარჩენიც კი საბას აძლევდა საკმაოდ ცხობილ შეძლევლს\* მოქმედნა ისეთი ადგილები, რომელიც ღირსებას არ მატებს სახარებებს, მოქმედნა რაიმე შეუსაბამობა, ამასთან სწორედ ისეთი ადგილები მიიჩნეოდა კიდეც მათ მიერ ნამდვილად, ხოლო ყველა დანარჩენი საუკვოდ იყო მიჩნეული. სწორედ ასე წარმოიქმნა იქსოს ბიოგრაფიები, დაწერილი თეოლოგების მიერ XIX საუკუნის დასასრულს და XX საუკუნის დასაწყისში, რომლებიც ესწრაფოდნენ ადეწერათ მხოლოდ ადამიანი იქსო და ამავე დროს სჯეროდათ, რომ ჯერ კიდევ რჩებოდნენ ქრისტიანობის წიაღში. ქრისტიანობის წიაღში დარჩენა ინტელექტუალურ-დიალექტიკურ ეპოქაში შეიძლებოდა მხოლოდ სახარებების დამოუკიდებლად კითხვის აკრძალვით მრევლში. იურიდიულ-დიალექტიკურმა ეპოქამ შეძლო მხოლოდ ერთი რამ, მან საბოლოოდ მოახდინა მთლიანად ქრისტეს გამორიცხვა.

თანამედროვე კაცობრიობა ვითარდება უშეაღმოდ ასეთი სიცრუის ატმოსფეროში. ეს ახალი კაცობრიობა ვერც ხვდება, რომ ცხოვრობს სწორედ ავტორიტეტის პრინციპის ზეწოლის ქვეშ, ამასთან ამ ფაქტს მუდმივად უარყოფებ. შეუძლებელია, მოინახოს ავტორიტეტისადმი ამ რწმენის უფრო ძლიერი მოწმობა, ვიდრე ფაქტი იმის აღიარებისა, რომ თანამედროვე ოფიციალური მეცნიერება არის ყველა მოვლენის საზომი. მიაქციეთ ყურადღება, როგორი კმაყოფილებით ხვდებიან ადამიანები ნებისმიერ ცნობას იმაზე, რომ რაღაცა „მეცნიერულად დადგენი-

ლია“. ამ მეცნიერულად დადგენილზე მათ მხოლოდ ის იციან, რომ საუბარია რომელიმე ადამიანის გამონათქვამზე, ვინც დაამთავრა გიმნაზია, გაიარა სწავლების კურსი უნივერსიტეტში და გახდა პრივატ-დოცენტი ან უნივერსიტეტის პროფესორი, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ – გაიარა ავტორიტეტული ინსტანცია, როგორც ეს ახლა ფართოდ არის გავრცელებული. და ყველაფერი, რაც შეიძუშავეს ასეთმა პრივატ-დოცენტებმა და პროფესორებმა, თითქოსდა არის სწორედ ურყევი სამეცნიერო ჰემიარიტება. შეეცადეთ დააკვირდეთ, რა სახით ადგენებ ადამიანები ჩვენს ღროში თავისთვის, რომ საქმე აქვთ ურყევ, მყარ მეცნიერულობასთან. საბოლოოდ ესეც მხოლოდ თვითმოტყუებაა და შეკლომა, ყველაფერი ეფუძნება მხოლოდ ერთ რამეს, ავტორიტეტის პრინციპს, ავტორიტეტისადმი უსაზღვრო რწმენას. ავტორიტეტისადმი ამ რწმენამ შეცვალა სოციალურ სტრუქტურებზე ზემოქმედების ადრინდელი მეთოდი, რომელიც აღმოსავლური წარმომავლობისაა.

საჭიროა ჩავწედეთ, გარკვეული წრეები, რომლებმაც მთლიანად დაკარგეს გოლგოთის მისტერიის გაგების უნარი და შეცვალეს იგი იმით, რაც ტრადიციულად მხოლოდ ავტორიტეტის დახმარებით ნარჩუნდება, როგორი სიძულვილით დაესხნენ თავს იდეას, რომ ფართო მასები გაცნობოდნენ სახარებებს; საჭიროა გავიგოთ ის შფოთი და გააფორება, რომელიც მუდმივად იზრდებოდა და საბოლოოდ მივიღა მთელი სისტემის გამომუშავებამდე, იეზუიტობამდე, ხოლო ამ სიძულვილის საგანი იყო გნოზისი. თვით ჩვენს დროშიც ჩვენ მუდმივად ვხედავთ, როგორ ფეთქდებიან თეოლოგები სიშმაგისაგან, როცა საუბარი იწყება გნოზისზე! ჩვენ გვმართებს ამ მოვლენებს შევხედოთ ევროპული კაცობრიობის ისტორიული განვითარების თვალსაზრისით. საჭიროა, მაგ., გავიგოთ უნივერსიტეტების განვითარება. როგორ ვითარდებოდნენ ეს უნივერსიტეტები? XI-XIV საუკუნეების ისტორიის განხილვისას, დაინახავთ: უნივერსიტეტები – ეკლესიის წარმონაშობია. სამონასტრო სკოლები გადაიქცა უნივერსიტეტებად. სწავლის მთელი პროცესი მიმდინარეობდა უშუალოდ რომის დირექტორებით, უნდა ერწმუნათ მხოლოდ ის, რაც მოწონებული იყო რომის მიერ. მაგრამ დროთა განმავლობაში ეს წარმოდგენაც თანდათანობით ქრებოდა. თუმცა დარჩა თავად იდეა იმის აუცილებლობაზე, რომ გარ-

კვეული ინსტანციიდან მიეღოთ მოწონება და თანხმობა აბსოლუტურად ყველაფერზე. ამდენად, ავტორიტეტის პრინციპი შენარჩუნდა თვით იმათ შორის, ვისაც უპევ აღარ სჯეროდა რომის ავტორიტეტის. რომის ავტორიტეტისადმი პიროვნული რწმენის არარსებობის მიუხედავად, ავტორიტეტის პრინციპი კვლავაც მსჯვალავს საუნივერსიტეტო ცხოვრების სტრუქტურას და მისი მონაწილეების მშვინვიერ წყობას. მსგავსი მშვინვიერი წყობა არსებობს პროტესტანტულ ქვეყნებშიც. კათოლიკური ეკლესია იბრძვის უშუალოდ თავისი ავტორიტეტისთვის, ყველანირი სულიერის უარყოფით, იმ ყველაფრის დაგმობით, რაც სცდება იურიდიულ-დიალექტიკური აზროვნების სახის ფარგლებს და რაც მოქმედებს აგტორიტეტის სოციალური პრინციპის მიუხედავად. საჭიროა მხოლოდ შევაფასოთ, რამდენად დრმად არის განვეხვილი წარსულში იმ ადამიანთა მშვინვიერი წყობა, რომლებიც ცხოვრობენ თანამედროვე ცივილიზაციის ეპოქაში. შედეგად, მათ უმრავლესობას არ გააჩნია საკუთარი პოზიცია ჰეშმარიტების მიმართ და ამან საბოლოოდ მიიყვანა საფუძვლების იმ უდიდეს რყევამდე, იმ შემაშფოთებელ ქაოსამდე, რომლის შიგნითაც ჩვენ ახლა ვცხოვრობთ.

ამავდროულად ჩვენ ვცხოვრობთ ახალი ხედვის, ახალი ჭვრეტის მომზადების ეპოქაში და სულისმეცნიერების ამოცანაა სწორედ ადამიანების მომზადება მსგავსი ხედვის მოპოვებისთვის. საუბარია არა დღის ინსტინქტურ ხედვაზე, არამედ ახალზე, რომლის მოპოვებაც ადამიანს შეუძლია ცნობიერების სრული სისაუსის დროს. თეოლოგიის პროფესიონები და სხვები ებრძვიან ამ მომავალ ხედვას. მათ ეს ხედვა ერევათ ძველ გნოსტიკურ ხედვასთან; ისინი აქტიურად გამოდიან ახლის წინააღმდეგ, ისე, რომ თავად არც ესმით, რას ამბობენ. მაგრამ ეს ხედვა აუცილებლად მოვა და მისი წვდომა კაცობრიობას მართებს. თავის მხრივ ეს ხედვა ხელს შეუწყობს გოლგოთის მისტერიის ნამდვილ წვდომას.

განვიხილოთ, როგორ იცვლებოდა ისტორიის მსკლელობისას წარმოდგენა ქრისტეზე. გოლგოთის მისტერია წარმოიშვა იმ დროებში, როცა ჯერ კიდევ სახეზე იყო უძველესი ნათელ-ხილვის ნაშთები. ადამიანებს ჯერ კიდევ პქონდათ მისი წვდომის უნარი და მათ ჩადეს მისი არსი სახარებებში. შემდეგ ქრისტიანობა დამკვიდრდა დასავლეთის სამყაროში და ის რომაუ-

ლებმა აღიქვეს დიალექტიკური სულისკვეთებით. თანდათანობით ქრებოდა ქრისტეს წვდომის შესაძლებლობა. ჯერ კიდევ ისმოდა სიტყვები გოლგოთის მისტერიაზე, მაგრამ ეს იყო ცარიელი სიტყვები და მორწმუნები კმაყოფილდებოდნენ იმ რადაცით, რასაც ეკლესიაში პასტორები ესაუბრებოდნენ მათვის რაღაც გაუგებარ ენაზე. საუბარი არ იყო მოვლენის გაგებაზე – ისინი უნდა შესულიყვნენ რაღაც გამაერთიანებელ ატმოსფეროში, რომელიც მხოლოდ მიუთითებდა გოლგოთის მისტერიაზე. თვითონ გოლგოთის მისტერიასთან ადამიანის ნამდვილი კავშირი კი სულ უფრო მეტად და მეტად იკარგებოდა. შეა საუკუნეების გარკვეულ მომენტში დაიწყო დისპუტები ამა თუ იმ სიმბოლოების მნიშვნელობაზე და ამით შენარჩუნებული რწმენა მოსავდა გოლგოთის მოვლენას. მაგალითად, დაიწყეს დისკუსია საიდუმლო სერობის მნიშვნელობაზე. მაგრამ უბედურებაა ის, რომ ადამიანები, როგორც კი იწყებენ რაიმეზე პაექრობას, მათ არ ესმით დისკუსიის საგანი. შეა საუკუნეებში, საიდუმლო სერობის გარშემო ატებილ ვნებებში დაიკარგა მისი გაგების უკანასკნელი ნაშთები, რომელიც დროთა განმავლობაში გადაიზარდა წმინდა დიალექტიკურ თამაშებში. აქედან დაიწყო თანამედროვე მიდგომა ბიბლიისადმი და დამთავრდა დამოუკიდებლად კითხვის აკრძალვით. თეორიულად შეელა კათოლიკეს დღემდე აკრძალული აქვს ბიბლიის კითხვა. მათვის ნებადართულია ბიბლიიდან ამოიკითხონ მხოლოდ სპეციალური ამონარიდები, რომლებიც გადამუშავებულია ისე, რომ სახარებები წარმოადგენს ერთიანობას, წინააღმდეგობების გარეშე. დღესაც კი ასეთი მკაცრი აკრძალვა, რომ გაეცნონ თოხ სახარებას, ბუნებრივია, ვინაიდან როგორც კი თანამედროვე სული ცდილობს სახარებებში შეღწევას, ისინი თავად ინგრევა, რამდენადაც მათ მიიჩნევენ გარეგნული ფიზიკური მოვლენების აღწერად. სრულიად წარმოუდგენელია ადამიანების ქცევა, რომლებმაც მშვენივრად იცოდნენ და საკუთარ თავზე განიცადეს, როგორ შეიცვალა სახარებების შინაარსი XIX საუკუნეში სწორედ თეოლოგიისადმი ფილოლოგიური მიდგომის გავლენით. ამ ადამიანებს კი ჰყოფნით თავხედობა, ამას სხვაგვარად ვერ ვუწოდებ, უსაყვედურონ ანთროპოსოფიას, თითქოსდა ის თვითნებურად გადმოსცემს სახარებებს და მათში დებს სხვა შინაარსს. ამ ადამიანებისთვის კარგადაა ცნობილი, რომ გოლ-

გოთის მისტერიასთან კავშირი დაიკარგება, თუ სახარებებს არ განვიხილავთ სპირიტუალური თვალსაზრისით. მუდმივად ხელავ, როგორ მოუყრიათ თავი კათედრებზე ადამიანებს და კათოლიკური თუ პროტესტანტული თეოლოგიით შეიარაღებულნი, როგორ ლანძღავენ ანთროპოსფიას, თითქოსდა ის თვითნებურად დებს რაღაც სხვას სახარებებში. ლანძღავენ, იციან რა შესანიშნავად, რომ, თუ სახარებებში სულიერ შემცნებებს არ შევიტანო, ისინი გახდება დამანგრეველი სამშვინველის ქრისტიანული წყობისთვის. საქმარისია უფრო ყურადღებით დავაკვირდეთ ამ დეტალებს და გასაგები გახდება, რომ უმრავლესობა იმათგან, ვინც წარმოუდგენელ სისულედებს ჩმახავს ანთროპოსფიაზე, არსებითად, მხოლოდ ხელსაყრელობის გამო ებდაუჭება თავის თანამდებობას, როცა ინერციით აგრძელებს იმის მტკიცებას, რაც ახალგაზრდობაში ისწავლა. თუ იციოთ, რომ ამ თეოლოგებს სრულებითაც არ ამოძრავებთ ჰეშმარიტებისკენ სწრაფვა, არამედ ამოძრავებთ უბრალოდ სულიერი თემატიკის ინტერპრეტაციის ჩვეულებრივი და ჩვეული მეთოდის დაკარგვის წინაშე შიში, მაშინ გასაგები გახდება, რით არის გამოწვეული ურონძაიერისა\* და მისი მსგავსი ადამიანების უგერგილობა, რომლებმაც უმცირესი ნაპერწყალიც კი არ დარჩა სიმართლისკენ სწრაფვისთვის.

რისი გადარჩენაც დღეს არის საჭირო, ესაა თავად გოლგოთის მისტერია, რომ ადამიანურ იმაგინაციებში კვლავ გამოვლინდეს გოლგოთის მისტერია, ვინაიდან ინტელექტს ის ვერ გამოუცხადება. ინტელექტი მხოლოდ ჩაახშობს მას. ფილოლოგიის ხელოვნებაზე დაყრდნობით ინტელექტს შეუძლია ან მოსპოს, ანდა შეინარჩუნოს იგი ტირანული ავტორიტეტის დახმარებით იეზუიტიზმის სულისკვეთებით, რომელიც ჰეშმარიტებისკენ კი არ ისწრაფვის, არამედ ცხოვრებისეული კათილდღეობისკენ. მათთვის კი, ვინც ჰეშმარიტებისკენ ისწრაფვის, დღეს გახსნილია გზა იმაგინაციისკენ, ანუ, სულიერი სამყაროს ცნობიერი ჰერეტისკენ. ეს კი შეგვაძლებინებს ადამიანის მთლიანი არსების აღქმას. ამასთან დაკავშირებით, უპირველეს უოვლისა, აუცილებელია ადამიანს მივცეთ სათანადო აღზრდა და განათლება.

ჩვენ ვიციოთ, რომ შვიდი წლის ასაკამდე, ანუ კბილების ცვლამდე, ბავშვისთვის დამახასიათებულია მიმბაძველობა. მი-

ბაძვა, არსებითად, სხვა არაფერია, თუ არა გაგრძელება იმისა, რაც არსებობდა სრულიად სხვა ფორმით სულიერ სამყაროში, ჯერ კიდევ ბავშვის დაბადებამდე, ან, თუ გნებავთ, მის ჩასახვამდე, როცა მის სამშვინველს ჯერ კიდევ შეეძლო სხვა არსებაში ჩაფლობა. მოგვიანებით ეს ყოველივე ვლინდება თავისი გარემოცვისადმი ბავშვის მიერ მიბაძვის დროს, როგორც ანასახი მის მიერ განცდილისა სულიერად. შემდეგ შვიდიდან, კბილების ცვლის პერიოდიდან თვით სქესობრივ მომწიფებამდე, ბავშვში ვლინდება ავტორიტეტის პოვნის მოთხოვნილება. მაგრამ ის, რაც ჩვენს დროში ჯერ კიდევ ცხოვრობს ბავშვის ამ მიმბაძველობით უნარში, გარკვეული აზრით მსჯვალავდა ძველი აღმოსავლეთის კაცობრიობის სოციალურ სტრუქტურას. მისტერიის ხელდასხმულები ისეთი მძლავრი ძალით მოქმედებდნენ, რომ სხვები მისდევდნენ მათ, როგორც ბავშვი მისდევს თავისი გარემოცვის უფროს ადამიანებს. სწორედ მაშინ დაიბადა ავტორიტეტის პრინციპი. ახლა კი ჩვენ გავცდით ამ პრინციპის ფარგლებს. ჩვენ შევეზრდებით იმ პრინციპს, რომელიც ვლინდება უკვე სქესობრივი მომწიფების შემდეგ, თუმცა ინდივიდუალურ პლანზე ეს რამდენადმე სხვაგარად ხდება, ვიდრე კაცობრიობის განვითარების პერიოდში. დღეს ჩვენ შევაბიჯებთ ახალ დროში, რომელიც ითხოვს ბავშვში აღიზარდოს რაღაც ისეთი, რაც არ წარმოიქმნება თავისთვალისწილების დავშვი ამ სამყაროში მოდის როგორც მიმბაძველი. ძველ აღმოსავლურ სოციალურ ცხოვრებაშიც ის ასევე მოდიოდა სამყაროს მიმბაძველად. მაგრამ მასში მცხოვრები მიმბაძველობა აგტორიტეტის გარეშე შენარჩუნდა, და ჯერ კიდევ აგრძელებს მოქმედებას თვით ჩვენი ეპოქის სოციალურ ცხოვრებაში, დამოუკიდებელი მსჯელობის ეპოქაში ყველაფერზე, კერძოდ, ეს ეხება რელიგიურ ცხოვრებასაც. ძველ აღმოსავლეთში ავტორიტეტის პრინციპი განეკუთვნებოდა მხოლოდ უახლოეს გარემოცვას, ხოლო სოციალური ფორმები იქ იყო ინფანტილურ დონეზე.

შემდეგ დადგა შუა საუკუნეების მსხვილი სოციალური წარმონაქმნების დრო. ბატონობდა ავტორიტეტის პრინციპი. მხოლოდ ჩვენს დროში იგრძნობა ამ პრინციპის წნებისგან გათავისუფლება და მას ენაცვლება დამოუკიდებელი განსჯის პრინციპი. ძველი აღმოსავლეთის რელიგიური, მხატვრული და საერთოდ მთელი ადამიანური ცხოვრების სტიქიურ-ბუნებრივი

პირობების გარეთ გამოტანა, უპე დაბადებიდან ჩადებულია თავად ბავშვში, რომელსაც ისინი მოქვეს სულიერი სამყაროდან ამ ფიზიკურ სამყაროში. როცა გაბატონებული იყო ავტორიტეტის პრინციპი, მაშინ მოთხოვნისამებრ ეყრდნობოდნენ უშუალოდ რადაცას, რომელიც მომდინარეობდა გარკვეული აუცილებლობით ადამიანის ეთერული სხეულის ჯერ კიდევ სრულიად არაცნობიერი მდგომარეობიდან. ახლა, როცა ავტორიტეტის პრინციპი თავისუფალი მსჯელობის საგანია, პედაგოგიკასა და აღზრდას ეკისრება ახალი უდიდესი პასუხისმგებლობა. აუცილებელია განვითარებად ბავშვში განვჭვრიტო ის, რა გამოვა მისგან დროთა განმავლობაში. 14-15 წლის ასაკში ბავშვში იბადება ასტრალური სხეული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იბადება ის, რაც შემოაქვთ სამყაროში უკვე არა არაცნობიერ დონეზე, არამედ სულიერი სამყაროს მზარდი ცნობიერი განცდის მეშვეობით.

დადგება დრო, როცა აღზრდისა და სწავლების ნებისმიერ მეთოდიკაში საჭირო იქნება განჭვრება იმისა, რაც ამოიზრდება ადამიანში 14-15 წლის ასაკში. ძველ დროში ამას არანაირ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ, ვინაიდან ეს დაკავშირებულია იმასთან, რაც თავისუფლად ცხოვრობს ადამიანში. თუმცა ეს არ უკავშირდება იმას, რაც ადამიანს თან მოაქვს დაბადების მეშვეობით, და, ასევე, რაც აღქმულია მის მიერ ავტორიტეტის გაფლენით, ვინაიდან ეს ახალი ხომ მან, არსებითად, საკუთარი სამშვინველიდან უნდა ამოზიდოს. საჭიროა თვალყური მივადევნოთ, რომ მან ეს განახორციელოს ნორმალურად, საჭიროა ბავშვის სწორად აღზრდა და სწავლება 14-15 წლამდე, რათა ამ ასაკის მიღწევისას მას შეეძლოს საკუთარი ასტრალური სხეულის სწორად განვითარება. ჩვენს დროში აღზრდა და განათლება უკვე სრულიად სხვა მნიშვნელობას იძენს და ადამიანებს, არსებითად, არც მართებთ ბავშვების აღზრდა, თუ ისინი ვერ ჭვრებენ ადამიანის ურთიერთკავშირს სულიერ სამყაროსთან. სწორედ ამ ახალი მიზნისთვის მოუწევთ ადამიანებს ბრძოლა.

გარკვეული თვალსაზრისით ის, რაც შუა ევროპის იდეალისტური ფილოსოფიის სახით შეიქრა ადამიანური ცნობიერების ზედაპირზე, მომდინარეობდა ინსტინქტური საფუძვლებიდან: „მე“-ს გრძნობა ფიხტესთან, შელინგთან და ჰეგელთან, არსებითად, ეხებოდა მხოლოდ ადამიანის განცდებს დაბადებასა და

სიკვდილს შორის და არ ეხებოდა ზეფიზიკურ-ადამიანურ საწყისს. გუშინ მე ვისაუბრე, რომ ევროპელი ადამიანი, თურქული გავლენისა და ასევე პუტუ პირველის რეფორმების შედეგად, მოწყდა აღმოსავლეთს. მაგრამ აღმოსავლეთი არსებობდა, როგორც მემკვიდრეობა, ეს იყო მოჩვენებითი არსებობა გამოცხადების სახით, რომელიც, შეიძლებოდა გაეგოთ მხოლოდ ძველ აღმოსავლეთში, სადაც ადამიანები ეყრდნობოდნენ მათვის ნიშანდობლივ ნათელზილვას. ძველი ნათელზილვის გარეპეული გამოძახილი შეინარჩუნა თავის თავში რუსი ხალხის აზიურად განწყობილმა ნაწილმა, რომელიც ჯერ არაა ევროპიზებული. უნდა ითქვას, რომ გამოცხადებას, თუმცა სრულიად დაცემულ ფორმაში, ჯერ კიდევ აქეს აღიილი აზიაში. იქ ადამიანები ჯერ კიდევ არიან გახსნილები გამოცხადებისთვის. ამჟამად დასაჭლეთ ევროპაში გაბატონებულია ინტელექტუალური, წმინდა დიალექტიკური ელემენტი, რომელიც ჩვენს დროში სწორედ სამეურნეო ცხოვრების მოთხოვნებზეა მორგებული. ამ თრ ელემენტს შორის, აღმოსავლურსა და დასავლეთ ევროპულს შორის, მუდმივად ჩახშობილია შუა ევროპული ელემენტი. ერთი მხრივ, მთლიანად მიწიერი სამეურნეო-ეკონომიკური ცხოვრებით შეზღუდული ინტელექტუალიზმი, ადამიანური განსჯა, დაკავებული მხოლოდ გარეგნული კვლევებით. მეორე მხრივ – აღმოსავლური გამოცხადება. ეს ღრუბლები, ჩამოწოლილი აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან, სულ უფრო საშიში სახით გროვდებოდა და ყველაფერი ემყარებოდა გამოცხადებასა და განსჯას შორის რიგმულ წონასწორობას. შუა საუკუნეების უდიდეს სქოლასტიკოსთა მცდელობის მიუხედავად, რომ ახალი დროის მოახლოებასთან ერთად გაემიჯნათ გარეგნული გრძნობადი სამყაროს წვდომა და ზეგრძნობადი გამოცხადება, ისინი სულ უფრო ეჯახებოდა ერთმანეთს. აქ ჩვენ ვხედავთ, როგორ გაძლიერდა ეს კონფრონტაცია XIX საუკუნის პირველ ნახევარში, როცა დაიბადა შუა ევროპული იდეალისტური ფილოსოფია; შემდეგ ვხედავთ დასავლეთ ევროპის დომინირებას XIX საუკუნის მეორე ნახევარში და იმასაც ვხედავთ, გარკვეული ოვალსაზრისით, როგორ ძლიერდება მთელ ევროპაში, თვით რუსეთამდე ინგლისის გავლენა. ამ დრმა შინაგანი პროცესის, რომლის აღიარება თვით ჩვენს დროშიც არ სურთ, გარეგნულ ნიშანს წარმოადგენს დამხობილი შუა ევროპა. ყველაფერი, რაც

მოყვა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის წნებში, მთლიანად აღმოჩნდა განადგურებული, დამხობილი, ამიტომ შუა ეპროპის მოსახლეობამ საერთოდ არ იცის, რა მოუხერხოს საკუთარ თავს და ცხოვრობს კონველსიებში (რეევებში); გამოსაფლის ძიების დროს კი მას სთავაზობენ სხვადასხვა უაზროპროგრამას, რომელთა ფასიც სუფთა ნულია. ეს თვალში საცემია თვით წვრილმანებამდე. ვლინდება გაუგონარი უძლურება მეურნეობაში, თვით ძველი სოციალური წყობის მიმართაც. მაინც რას აკეთებენ? ან მკაცრი გადასახადების დახმარებით უკანასკნელ წვეთს გამოწურავენ ჭველისგან, ანდა საშუალებების ნაკლებობას ავსებენ ფულის უაზრო ბეჭდვით და ხდება ისე, რომ კვირის განმავლობაში ბეჭდავენ მილიარდებს. არიან ადამიანები, რომლებიც მშვინვიერად იტანჯებიან, როცა ხედავენ ამ ბრძანებულებას აღმოსავლეთის დაცემული გამოცხადებისადმი, შუა ეპროპის გაპოტრებას და დასავლეთს თავისი განსჯით, რომელიც ჯერჯერობით შეზღუდულია უშუალოდ ეკონომიკური სფეროთი, თუმცა, ცხადია, ეს ძალზე განზოგადებული, სიმბოლური სურათია. საუბარია მომავალ დიდ ომზე ამჟრიკასა და იაპონიას შორის, თითქოსდა მესამე არ არსებობდეს. ცხადია, ეს ყოველივე წარმოუდგენიათ უხეში ფიზიკური სახით. მაგრამ არსებობს სხვა განზომილებაც. და მაშინ ის, რაც რეალურად არსებობს დაცემულ აღმოსავლეთში, შეეჯახება იმას, რაც ჯერაც არ დაბადებულა დასავლეთში, შეეჯახება შუა ეპროპის იგნორირებით; მაშინ გაქრება, თუ შეიძლება ასე ითქვას, ადამიანური „მე“-ს შეგრძნება, რომელმაც თავისი გამოხატულება პოვა სწორედ დასავლეთ ევროპაში და ის გაიჭიდიტება იმ ქაოსში, რომელიც მას უახლოვდება აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან. ვინაიდან ადამიანური „მე“-ს ბუნებაზე მსჯელობები შუა ევროპულ „იდეალისტურ ფილოსოფიასთან“ ერთად გაჭრა. XIX საუკუნის შუა პერიოდიდან დაწყებული ის უკვე აღარ არის. ასევე სრულ კრახს განიცდის მთელი კონველსიური მცდელობები სახელმწიფოს მშენებლობისა ჩვენს დროში. წარმოშობა ჩეხოსლოვაკიის მსგავსი სრულიად წარმოუდგენელი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები, რომლებსაც, ალბათ, აღარ შეუძლიათ არც ძალიან დიდხანს ცხოვრება და არც სწრაფი სიკვდილი. ასეთი წარმოუდგენელი წარმონაქმნები მხოლოდ იმიტომ შეიქმნა, რომ მშვიდობიანი შეთანხმები დაიდო დასაფ

ლეთის ადამიანების მიერ, რომლებსაც წარმოდგენა არ ჰქონდათ შუა გვროპაში ცხოვრების პირობებზე. აქ, ციურიხში, რომელიმე პროფესორს პარიზიდან შეუძლია, ჩამოთვალოს დრმა-აზროვანი არგუმენტები ჩეხი და სლოვაკი ხალხების ერთიანობის სასარგებლოდ. შეიძლება გაოცდე იმაზე, რასაც გვაუწყებს ასეთი პროფესორი ჩეხოსლოვაკიის წარმოქმნის წინასწარ განასზღვრულობაზე. ის მხოლოდ ერთი იმათგანია, რომელსაც წარმოდგენა არა აქვს აღმოსავლეთის ცხოვრებისეულ პირობებზე და სრულიად არაფერი იცის იმაზე, რომ იქ მომხდარი საჭიროა განვიხილოთ, როგორც სიმპტომი ხსენებული გაჯყლებისა, რომელიც გამოწვეულია აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის შეჯახებით. ადამიანები თვალს ხუჭავენ იმაზე, რაზეც მეტყველებს ასეთი გარეგნული სიმპტომები. მათ არ სურთ დაიჯერონ, რომ თავად შუა ევროპაშიც ადგილი აქვს ისეთ სცენებს, რომელიც გამორჩეულია თავისი სისახტიკით, როცა აღმოსავლეთის ფრონტიდან დაბრუნებული მეომრები ვერ ეგუებიან ცხოვრების მშვიდობიან პირობებს და ხდება ისე, რომ ასეთი ადამიანები აიძულებენ უდანაშაულო ქალებს, იცეკვონ შიშვლებმა, ხოლო შემდეგ მათ სიშტებს ურჭობენ და მუცლებს უფატრავენ.

სამშვიდობო ხელშეკრულების დადებისას დასავლეთის ადამიანებმა უბრალოდ თვალი დახუჭეს იმაზე, რაც მათ გონებაში არ ჯდება. ისინი კვლავ ვერ ამჩნევენ იმ უმნიშვნელოვანებს, რაც მომხდარში თავის თავს ავლენს და ადამიანები უმეტესწილად აგრძელებენ ცხოვრებას ისე, თითქოსდა სამყაროში არაფერი მომხდარიყოს. დგება, თუ შეიძლება ასე ითქვას, თვალსაწიერის უკიდურესად შევიწროება. ოდესდაც იდეალისტური სიმაღლეებიდან მოტანილი იმგვარი იდეები, რაც გვხვდება გოფთესთან, ფიხტესთან, შელინგთან, ჰეგელთან, – სინამდვილეში უკვე აღარ არსებობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. როცა აქ ვცდილობთ, ცხოვრებაში გავატაროთ ჩვენი გოეთეანუმის იდეები, მაშინ ვეჯახებით მხოლოდ სახელის გამტეხველებს: კველა მხრიდან ჩვენ გარს გვარტყია ცილისმწამებელთა ბრძო, თითქოს ამ პუბლიკას რაიმე გაეგებოდეს ასეთ მატერიებზე და შეეძლოს მათზე მსჯელობა. დღეს სრულ არარაობად იქცა ის, რაც ასი წლის წინ წარმოადგენდა მანათობელ სულიერ ცხოვრებას. ხოლო ზევით ჩამოწვა ღრუბლები, რომელიც მოდის აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან.

მაინც რა არის ის, რაც უახლოეს ათწლეულებში უნდა წარმოჩნდეს ესოდებ შემაშფოთებელი სახით, რა არის ეს? ერთი მხრივ, ეს მოწოდება მყარად დგას იმ ნიადაგზე, სადაც უნდა დაიბადოს ახალი სულიერი ცხოვრება, ხოლო მეორე მხრივ, ეს ციალია იმისა, რაზეც ჩვენს წრეში უკვე დიდი ხანია საუბრობენ – ქრისტეს გამოცხადების წინათგრძნობა ისეთ ფორმაში, როგორშიც ის უნდა განჭვრიტონ ადამიანებმა, დაწყებული XX საუკუნიდან. ვინაიდან მანამდე, სანამ დადგება საუკუნის შუა პერიოდი, ქრისტე მისაწვდომი გახდება ადამიანური ჭვრებისთვის. მაგრამ ვიდრე ძველის ნარჩენი მთლიანად წაიშლება, საჭიროა დრუბლები ჩამოწვეს. ადამიანებმა თავისუფლების სისაცსე უნდა მოიპოვონ ნულოვანი მდგომარეობიდან. და ახალი ჭვრებაც სწორედ ამ ნულოვანი მდგომარეობიდან უნდა დაიბადოს. მთელი თავისი ძალა ადამიანმა უნდა მოიპოვოს არაფრისაგან. მხოლოდ სულისმეცნიერებას შეუძლია ამისთვის მისი მომზადება. ნუ დაარქმევთ ამას რაიმე თვითნებურ სურვილს, – ეს თქვენი სურვილია, ეს დროის მოთხოვნილებაა.

მემვიდე ლექცია  
დორნახი, 1920 წლის 31 ოქტომბერი

გუშინ მე შევეხე ევროპულ ურთიერთობებს, როგორ უნდა ჩამო-  
ყალიბდეს ის უახლოეს მომავალში და თქვენ ნახეთ, რომ ევ-  
როპული და ზოგადად მთელი თანამედროვე ციფრიზაციის  
განვითარების დროს ისეთი რაღაც ქრება, რასაც ბევრი ჩვენს  
დროში, სხვადასხვა სფეროში მიიჩნევს ხელსაყრელად და ფასე-  
ულად. გუშინდეკლი მიდგომა ამ თემისადმი უნდა დაგეხმაროთ,  
განჭვრიტოთ, რომ, ვინც ვარაუდობს მომავალი დრო გაატაროს  
მშვინვიერი ძილის კომფორტულ მდგომარეობაში, მათ ელოდე-  
ბათ ძალზე უსიამოვნო გამოფიქრება. მე არ ვამტკიცებ, ამაზე  
გუშინ უკვე მივუთითე, რომ წინასწარმეტყველება, რომელიც  
ეხება ისეთ გარეგნულ მოვლენებს, როგორიცაა დაბაბულობა  
იაპონიასა და ამერიკას შორის, უკიდურეს წვრილმანებამდე ახ-  
დება და მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს კაცობრიობის გან-  
ვითარებაზე. მაგრამ ის, რაც მე დავახასიათე ზოგადი შტრიხე-  
ბით, როგორც უდიდესი სულიერი ბრძოლა აღმოსავლეთისა და-  
სავლეთთან და პირიქით, საჭიროა წარმოვიდგინოთ, როგორც  
მომავალი რეალობა, იმის მყისიერი გახსენებით, რაც ჩვენ უკვე  
კვირების განმავლობაში შევისწავლეთ, როგორც შუა ევროპის  
კულტურის თავისებურება. როგორ გასაოცრადაც უნდა ქდერ-  
დეს ეს, სწორედ იმ თანამედროვე მსოფლმხედველობიდან, რო-  
მელიც ამოიზარდა ბოლო დროის ბუნებისმეტყველების საფუჭ-  
ველზე, საჭიროა წარმოიქმნას სწორედ ძლიერი მოთხოვნილება  
იმისა, რასაც მე აღვნიშნავ, როგორც ქრისტეს მომავალ გან-  
ცდას. გუშინდელი განხილვის წყალობით ჩვენ შეგვეძლო დავ-  
რწმუნებულიყავით, რაოდენ უმნიშვნელო დოზით არსებობს თა-  
ნამედროვეობაში ქრისტეს ჭეშმარიტი განცდა. ვინაიდან ქრის-  
ტეს ისეთი განცდა, როგორიც იყო გოლგოთის მისტერიის  
დროს, კაცობრიობის განვითარების მსვლელობისას შეიცვალა,  
ხოლო ბოლო ასწლეულების განმავლობაში მთლიანად დაეცა.  
ჩვენ შეგვიძლია დავრწმუნდეთ, რომ სახარებების კითხვის ად-  
რინდელი აკრძალვა, რასაც თუნდაც წმინდა თეორიულად დაუი-  
ნებით ითხოვს კათოლიკური ეპლეხია, იმ მოთხოვნის საპირის-  
პიროდ, რომ ადამიანებმა ისინი დამოუკიდებლად იკითხონ,  
სრულებითაც არ უწყობს ხელს ქრისტეს განცდის განვითარე-

ბას. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ იმაზე, რომ თანამედროვე ცივილიზაციის პერიოდში თანდათანობით გამოვლენილი განსაკუთრებული მშვინვიერი წყობით ადამიანი კვლავ მივა ქრისტეს განცდამდე, როგორ განცდამდეც შეეძლო მიეჭვანა იმას, რაც ჯერ კიდევ დამახასიათებელი იყო ადამიანებისთვის გოლგოთის მისტერიის პერიოდში უძველესი ინსტინქტური ნათელ ხილვის ნარჩენების სახით. ამავე დროს ანგარიში უნდა გავუწიოთ იმას, როგორ იქრება ყოველთვის ბედისწერა კაცობრიობის განვითარებაში სხვაგვარად, ვიდრე ამას ელოდებიან მეშჩანებისა და პედანტების წრეში, და ის, რასაც, XX საუკუნის პირველი ნახევრის დასაწყისიდან შეიძლება ეწოდოს ქრისტეს განცდა, ასევე მოვა სრულიად სხვაგვარად. ამ განცდას ექნება მკაფიო მომართება აღწერილ მსოფლმხედველობასთან, რომელიც ეფუძნება თანამედროვე ბუნებისმეტყველებას.

დაფიქრდით მხოლოდ შემდეგზე: ადამიანის მშვინვიერი წყობა, — ამაზე ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია, მათ შორის ამ ლექციების მსვლელობის დროს, — ძალიან შეიცვალა იმასთან შედარებით, რაც მისთვის დამახასიათებელი იყო XV საუკუნის შუა პერიოდამდე. გარეგნული ისტორია ამას არ ითვალისწინებს, ვინაიდან ის მოვლენებს მხოლოდ ზედაპირულად განიხილავს. მაგრამ განსაკუთრებით ძლიერი ცვლილებები განიცადა მთელი კაცობრიობის მშვინვიერმა წყობამ იმ მონაკვეთში, რომელიც დაიწყო XIX საუკუნის შუა პერიოდიდან. ამას ასევე ნაჯლებად აქცევებ ყურადღებას, ვინაიდან, ჩვეულების შესაბამისად მისდევენ ერთხელ უავე ჩანერგილ შეხედულებებს. ჩვეულისგან მოწყვეტა შეიძლება შევნიშნოთ მხოლოდ ამჟამინდელ ახალგაზრდა თაობაში, რომელთა მსოფლმხედველობაც ძალზე განსხვავდება ახლა უკვე მოხუცი თაობის ახალგაზრდობისდროინდელი შეხედულებისაგან. ლიტერატორები ხშირად აღწერდნენ უთანხმოებას დღევანდელ უფროსებსა და ახალგაზრდებს შორის და ოუ უკუგაგდებთ დალექილ წარმოდგენებს, რომლებიც ეწინააღმდეგება იმის შემოჭრას, რაც ეწინააღმდეგება ოდესლაც ათვისებულ შეხედულებებს, მაშინ ადვილი შესამჩნევია, რაოდენ გაუგონარი განხეთქილება არსებობს თანამედროვე უფროსი თაობის წარმომადგენლებსა და ახალგაზრდებს შორის.

მეორე მხრივ, კაცობრიობის თანამედროვე განვითარებისთვის დამახასიათებელია მძლავრი რეაქციულ-კონსერვატიული

ელემენტის არსებობა, რაზეც მე გუშინ უკვე მივუთითე. ეს არის ამჟამინდელი ჩვეულებრივი მეცნიერების ავტორიტეტი-სადმი რწმენა. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ჩვეულებრივი მეცნიერების მიღწევები გიგანტური ნაბიჯებით უფლება საყოველთაო ცნობიერებას. სწორედ ამას სრულებით არ ითვალისწინებენ დღეს. საჭმარისია თვალი მივადევნოთ, განსაკუთრებით უკანასკნელ ათწლეულებში, როგორ შეიქრა XIX საუკუნის ბუნებისმეტყველების განსხვავებული წარმოდგენები თვით ყველაზე გაუნათლებელი ადამიანების სამშვინველებში. ცხადია, ბევრმა ჯერ კიდევ შეინარჩუნა გარკვეული დავთისმოშიშობა და ვერ ხვდება იმას, რა იჭრება კაცობრიობაში თანამედროვე საბუნებისმეტყველო მეცნიერული წარმოდგენებიდან. ასეთი დავთისმოშიშობა მიგვანიშნებს ადამიანების შინაგან არაგულწრფელობაზე, სურვილის არქონაზე, დაინახონ ის, რისი აღნიშვნაც სხვაგვარად შეუძლებელია, ეს კი არის – ბუნებისმეტყველებით გამოწვეული მატერიალიზმის დადგომა. უახლოეს დროში მატერიალიზმის გავრცელება არ აღიქმება, როგორც რაღაც რეგრესი და უკან მიბრუნება მეცნიერებისმაგვარი ფანტასმაგორიებისკენ, არამედ პირიქით, სამეცნიერო პოპულარული მატერიალიზმის გავრცელება მოხდება წარმოუდგენელი სისწრაფით და ნათელი გახდება, რომ მატერიალისტური განწყობები სულ უფრო მეტად, თითქოსდა, იღვრება თანამედროვე ცივილიზაციის ქაოსიდან. თანამედროვე ქაოსით წარმოშობილი ამ მატერიალისტური განწყობიდან შეუძლიათ განვითარება ცალკეულ სამშვინველებს, რომლებიც განსაბუთობებით ძლიერად შეიგრძნობენ იმას, რისი დახასიათებაც ახლა მე მსურს, თუმცა ეს დახასიათება უნდა მივცეთ განსხვავებულად, სხვადასხვა გარემოებიდან გამომდინარე. ეს შესაძლებელი იქნება იმ პირობით, რომ მომზადდება მატერიალისტური განწყობის უკუქმედება, ანუ სულისმეცნიერება შეიქრება სამყაროში, და შესაბამისად ბიძგი მიეცემა ბავშვების სულიერ განვითარებას უკვე სასკოლო ასაკში.

ნებისმიერი, ვინც ოდნავ მაინც იცნობს თანამედროვე მეცნიერულ მსოფლმხედველობას, იტყვის, რომ მისი დამახასიათებელი თავისებურებაა ის, რომ თავად ადამიანი რჩება ამ მსოფლმხედველობის ჩარჩოებს მიღმა. თანამედროვე მეცნიერული მსოფლმხედველობიდან ადამიანი, არსებითად, მთლიანად ამო-

ვარდნილია. აქ უმაღლესი სკოლისთვის ლექციების კურსის ჩატარების დროს, დავრწმუნდით, რომ ცალკეული სამეცნიერო დისციპლინების სხვადასხვა დარგში, ძირითადად, არაფერს ამბობენ ადამიანის არსებაზე. საქმარისია მხოლოდ გამოიყოს ამ მეცნიერული დარგების დამახასიათებელი თვისებები. მათ რიცხვს მიეკუთვნება, მაგ., დარვინისტული ან ვაისმანისტური, ანდა ასევე სხვა ტენდენციური მოძღვრებები ევოლუციაზე, რომლებიც გამოხატავენ ცოცხალი არსებების განვითარებას ყველაზე არასრულყოფილიდან ყველაზე სრულყოფილის ჩათვლით და ამის საფუძველზე ამტკიცებენ, რომ ადამიანიც განვითარების ამ ნაკადიდან გამოვიდა. მაგრამ ისინი ადამიანში გამოყოფენ მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც მასში სახეზეა, როგორც ცხოველური საწყისი. ადამიანს ისინი განიხილავენ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც შეუძლიათ თქვან: ადამიანის ეს სხეული, ეს ორგანო წარმოიშვა გარკვეული ორგანოდან ცხოველთა განვითარების ნაკადში. ხოლო ის, რომ ცხოველური საწყისი ადამიანში ვლინდება შეცვლილი სახით, რამდენადაც ის ადამიანში წარმოადგენს რადაც სხვას ცხოველურ სამყაროსთან შედარებით, ამას მეცნიერება, არსებითად, არც განიხილავს. მეტიც, მსგავსი მეცნიერული განხილვისას ადამიანი საერთოდ მხედველობის მიღმა რჩებათ. მეცნიერება ავითარებს გარკვეულ მეთოდებს, ამავე დროს სპეციალური დისციპლინების დაფუძნებით, რომლებიც აუცილებელია იმ შემთხვევისთვის, თუ საუბარი შეეხება მსოფლმხედველობის პრობლემებს. მაგრამ მეცნიერებას არ ძალუდს ადამიანის შემეცნება აიყვანოს იმ დონემდე, როცა ეს შემეცნება შესაძლებელი გახდება. ადამიანი ამოვარდება იქიდან, რაც ჩვენს დროში ითვლება მეცნიერულ შემეცნებად, ამიტომაც გადაიქცა იგი კიდევ უფრო დიდ ამოცანად თავად საკუთარი თავისთვის. ჩვენს დროში ეს ბევრს ჯერ კიდევ არ ესმის; მართალია, ზოგიერთს შეუძლია ეს მშვენივრად წარმოიდგინოს თეორიულად, თუმცა ერთიანი განწყობა ამ თვალსაზრისით ჯერ კიდევ არაა ნაპოვნი. ასეთი ერთიანი განწყობა მთელ მის სიცოცხლისუნარიანობაში საჭიროა გამოიკვეთოს დაწყებით სკოლებში სწორი სწავლებით. სწორი მიდგომით სწავლებისას დაწყებით კლასებში ბავშვები ისე უნდა ადზარდონ, რომ მათში წარმოიქმნას გრძნობა: დიახ, ახლა არსებობს მეცნიერება, თანამედროვე ინტელექტუალიზ-

მის წარმონაქმნი, მაგრამ რაც უფრო ვუდრმავდებით მეცნიერულ შემეცნებებს, რაც უფრო მეტად ვსწავლობთ ჩვენ მათი დახმარებით ბუნებას, მით ნაკლებს ვიგებთ ჩვენ საკუთარ თავზე, მით ნაკლებს ვიგებთ ადამიანზე.

უკანასკნელ ასწლეულებში, თვით ჩვენს დრომდე, განვითარებული უმთავრესი მშვინვიერი ძალა, ინტელექტი მთლიანად ფიტაგს ადამიანის თვითშეგრძნებასა და თვითაღქმას. მეორე მხრივ, აუცილებელი გახდება იმის გაგება, რომ ადამიანი მთლიანად ეყრდნობოდეს საკუთარ არსებას. შეიძლება ითქვას, რომ ეს აუცილებლობა თავს იჩენს, როგორც მნიშვნელოვანი სოციალური მოთხოვნა. იმასთან ერთად, რომ თანამედროვე მეცნიერებს არ შეუძლია რაიმეს თქმა ადამიანზე, ჩვენ დავინახავთ, რომ მოთხოვნილება წარმოიქმნება არა მეცნიერული იმპულსებისგან, არამედ იბადება ადამიანური ინსტინქტების სიღრმეებიდან: ადამიანს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა აამაღლოს თავისი თავი ადამიანისთვის ლირსეულ ყოფიერებამდე, მან უნდა შეიგრძნოს, რა არის თავისი არსება. ჩვენ ვხედავთ, რამდენად უფრო აქტუალური ხდება ეს მოთხოვნა, მაგრამ ასევე ვხედავთ, მეცნიერების სრულ უუნარობას, ადამიანს რაიმე აუწყოს საკუთარ არსებაზე. მსოფლმხედველობის დონეზე ადამიანის მიერ თავისი თავის განცდაში ასეთი უფსკრული სრულიად გამორიცხული იყო ძველ დროებში.

ახლა კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი უძველეს აღმოსავლურ მსოფლმხედველობას და მაშინ ჩვენ მიერ უკვე შემეცნებულის საფუძველზე შეგვიძლია გთქათ: ოდესაც ადამიანისთვის ცნობილი იყო, რომ ის დაეშვა დედამიწაზე სულიერი სიმაღლეებიდან; მანამდე, სანამ ჩასახვის, ან თუ გნებავთ, დაბადების მეშვეობით იგი შემოვიდოდა ფიზიკურ ყოფიერებაში, იგი ცხოვრობდა სულიერ სამყაროში. ამ სულიერი სამყაროდან მან თან მოიტანა ის, რაც მასში აგრძელებს ცხოვრებას, რაც წარმოადგენს მონაცემებს, რაც ბავშვობაში მისი შთაგონების წყაროა და თან მიაქვს მთელი თავისი მიწიერი ცხოვრების გაცლით. ძველი დროის თითოეულმა აღმოსავლელმა ადამიანმა იცოდა, რომ ბავშვობასა და ახალგაზრდობაში თავისივე სამშვინველის მამოძრავებელი საწყისი იყო თავისებური სახის მზითევი, თავის მიერ სულიერი სამყაროდან მოტანილი, ადრე თავისივე განცდილი, რითაც მან შემოაბიჯა ფიზიკურ ყოფიერ

რებაში. წმინდა თეორიული ცოდნა, რომ ადამიანი ადრე, მიწი-ერ ცხოვრებაში დაშვებამდე, ეწეოდა სულიერ ცხოვრებას, განსაკუთრებულ ღირებულებას არ წარმოადგენს, ღირებულია ცოცხალი განცდა, რომლის წყალობითაც ადამიანი სწვდება, რომ მამოძრავებელი საწყისი მისი სამშვინველისა, რომელსაც იგი შეიგრძნობს თავის თავში ბავშვობის ასაკიდან, მომდინა-რეობს სულიერი სამყაროდან.

თუმცა ჩვენს დროში ეს გრძნობა ადგილს უთმობს სხვას. ეს ხდება როგორც ცალკეული ადამიანის ცხოვრებაში, ასევე მთელს თანამედროვე სოციალურ ცხოვრებაში. ამის დანახვა ძალზე მნიშვნელოვანია. ნახევრად არაცნობიერად ადამიანი სულ უფრო მეტად და მეტად ექცევა თავისი მემკვიდრეობითი თვისებების სიმძიმის ქვეშ. ვინც მიუკერძოებლად დააკვირდება თანამედროვე ადამიანის გრძნობებს, იგი დაინახავს: ის, რასაც წარმოადგენს თანამედროვე ადამიანი, სათავეს იღებს მშობლე-ბისგან, ბაბუებისგან და ა. შ., თვით წინაპრებამდე. მან შეწყვი-ტა იმის შეგრძნება, რასაც შეიგრძნობდნენ ძველი ადამიანები, ის უკვე ვერ გრძნობს, რომ ადრეული ბავშვობიდან მასში ანთე-ბული მშვინვერი ცეცხლი მომდინარეობს იმ სიღრმეებიდან, რომელშიც იგი დასაბამიდან იყო განფეხვილი, იქიდან, რაც მან სულიერად განცდილიდან თან მოიტანა მიწიერ ცხოვრებაში თა-ვის შემოსვლამდე; პირიქით, ის გრძნობს თვისებებს, მემკვიდრეო-ბით მიღებულს მშობლებისგან, წინაპრებისგან და ა. შ. ჩვენს დროში, უპირველეს ყოვლისა, იმედია კითხვა: საიდან ბავშვს ესა თუ ის თვისები? და ცოტა ვინმე პასუხობს ამ კითხვზე იმ თვალსაზრისით, რაც ბავშვმა განიცადა ამა თუ იმ სახით სუ-ლიერ სამყაროში, – პირიქით, იწყებენ იმის გარკვევას, ხომ არ მიიღო მან მემკვიდრეობით ესა თუ ის თვისება ბებიისგან, ბაბუ-ისგან და ა. შ. მაგრამ, როცა ცალკეული ადამიანისთვის ამგვა-რი განცდა ხდება არა უბრალოდ თეორიული შეხედულება, არამედ გადაიზრდება წმინდად მიწიერი მემკვიდრეობითი თვი-სებებისადმი დამოკიდებულების გრძნობაში, მაშინ ეს გრძნობა სულ უფრო მეტად თრგუნავს ადამიანს და თანდათანობით გა-დაიქცევა კოშმარად. ეს გრძნობა ადამიანებში სწრაფად იზრდე-ბა, ამიტომაც თითქმის აუტანელი უნდა გახდეს უკვე უახლოეს ათწლეულში. ეს გრძნობა ასევე დაკავშირებულია ადამიანური არსებობის გაუფასურების გარკვეულ გრძნობასთან. ადამიანები

უფრო მეტად იგრძნობენ საკუთარი არსებობის დირებულების დაკარგვას, ვინაიდან ეს არსებობა მათ მიერ შეიგრძნობა როგორც ჯამი იმ ყველაფრისა, რაც ჩანერგილია ადამიანის სისხლსა და სხეულის ორგანოებში ფიზიკურად მეტკვიდრეობით მიღებული თვისებების ზემოქმედებით. ჩვენს დროში ეს ყოველივე ჯერ კიდევ წარმოადგენს რაღაც სრულიად თეორიულს. მაგრა, ლიტერატურაში უპავი გვხვდება მსგავსი სახის განცდების აღწერა. მაგრამ ის ძალიან მაღება გამოვლინდება როგორც განსაზღვრული გრძნობა, გარკვეული შეგრძნება და მაშინ ცივილიზაციული კაცობრიობა შეიგრძნობს ამ განცდის სიმძიმის სულ უფრო მეტ ზეწოლას. ის სამშვინველს ქვასავით დააწვება, ეს განცდა მთლიანად მემკვიდრეობითი თვისებისაა. ასე გამოვლინდება ადამიანში თვითგაგების აუცილებლობა, მაგრამ თანამედროვე მეცნიერება მას ვერ დაეხმარება. მაშინ მისი საზიანო მოქმედება კიდევ უფრო გაძლიერდება, ვინაიდან თანამედროვე ადამიანი თავს ისე არ იგრძნობს, როგორც სულიერი სამყაროს ნაშიერი, არამედ თავს მიიჩნევს მთლიანად მიწიერ ფიზიკური მეტკვიდრეობითი თვისებებისგან წარმოშობილად.

ამ ყველაფრთან ერთად იჭრება ეს სოციალურ ცხოვრებაში. წარმოიდგინეთ, როგორი სახის მოთხოვნები დგება კაცობრიობის წინაშე კოლოსალური მსოფლიო-პოლიტიკური უგუნურების შედეგად, რომელმაც მოიცვა მსოფლიო ბოლო წლებში. ის ნელა მზადდებოდა გასულ ასწლეულში და თავის კულმინაციას მიაღწია, როცა ჩვენს დროში გადაიქცა მსოფლიო-ისტორიულ უგუნურებად. XX საუკუნის მეორე ათწლეულში აღმოვჩნდით უდიდესი კრიზისის წინაშე, რომელიც გამოიწვია იმან, რომ ადამიანური ურთიერთობები ტოტალურად ვერ გაიგეს და ასევე იმ ფაქტმა, რომ ხალხებს მეთაურობდნენ ამისთვის ნაკლებად შესაფერისი მოღვაწეები, თუმცა გაბატონებულია აზრი, რომ ხალხს უნდა უხელმძღვანელონ სწორედ იმათ, ვინც საუბრობს ახალ საზღვრებზე, როგორც ცალკეული ხალხების ნების გამოვლენაზე. ნაციონალური შოვინიზმი ამ სიტყვის ყველაზე უარესი მნიშვნელობით, გამოიდგინებს სწორედ უახლეს დროში; ის დღეს მთელ ცივილიზებულ სამყაროს მსჯგალავს, წარმოადგენს რა იმ ულტრარეაქციული მსოფლმხედვეების სოციალურ მოდელს, რომელსაც სურს, ყველაფერი დაიყვანოს მეტკვიდრეობით თვისებებზე. როცა ადამიანები უკვე აღარ ესწრაფ-

ვიან თავიანთი ადამიანური არსების დამკვიდრებას და სოციალური სტრუქტურის ისე თრგანიზებას, რომ ისინი შეესაბამებოდეს ზოგად ადამიანურ ღირსებას, არამედ ამ სტრუქტურების აგებას ესწრაფვიან ისე, რომ ცალკეულმა ადამიანმა შეიგრძნოს თავი, როგორც ჩეხმა, სლოვაკმა, მადიარმა, ფრანგმა, ინგლისებმა, პოლონებმა დ ა. შ., აი, სწორედ მაშინ იხევს უკანა პლანზე მთელი სულიერი. ადამიანები თავად უარყოფენ მთელ სულიერს და სურთ სამყაროს მოწყობა სისხლისმიერი მემკვიდრეობითი ოვისებების საფუძველზე, ვინაიდან ადამიანური ცნებები სულ უფრო გამოიფიტება. XX საუკუნეს კი თან მოაქვს ახალი გამოცდა; გამოჩნდა ადამიანი, რომელიც ადამიანთა უზარმაზარი მასების მიერ აღიქმება, როგორც მსოფლიო ლიდერი, მაშინ, როცა მის სიტყვებში არ არსებობს საერთოდ რაიმენაირი შინაარსი და ეს ადამიანია კუდრო კიდოსონი\*, რომელიც ამბობს საერთოდ ყოველგვარ აზრს მოკლებულ სიტყვებს. აი რატომ უწევთ დაეყრდნონ რადაც სრულიად არასულიერს – სისხლით ნათესაობას, ხალხთა ნაციონალურ თავისებურებებს და შედეგად ჯერჯერობით არაფერი წარმოქმნილა სხვა, გარდა ისეთი სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმებისა, როცა თანამედროვე ცივილიზებული სამყაროს ხალხებს შორის საზღვრებს ავლებენ ადამიანები, რომლებსაც წარმოდგენაც კი არა აქვთ ამ სამყაროში არსებულ ცხოვრებისეულ კავშირებზე. არაფერი ისე ნათლად არ ავლენს ყოველივე სულიერის უარმყოფელი ახალი დროის მატერიალიზმს, როგორც ნაციონალური პრინციპის მასიური შემოჭრა.

ბუნებრივია, ასეთი ჰეშმარიტება დღეს ბევრს არ მოსწონს. შედეგად, სამშვინველის სიღრმეში ბევრი სიცრუე გროვდება. ვინაიდან მოტყუებაა – არ აღიარო პატიოსნად, რომ ადამიანები უარყოფენ სულს, როცა სურთ მსოფლიო წესრიგის დამყარება მხოლოდ სისხლისმიერ ნათესაობაზე; და მათგან ასევე ცრუობენ ისინი, რომლებიც ამავე დროს ამბობენ, რომ იხრებიან გარკვეული სპირიტუალური მსოფლმხედველობისკენ.

ახლა კი განვიხილოთ ამჟამინდელი მსოფლიო განვითარების მსვლელობა. ქაოტურად გამოვლენილი ინსტინქტების ზეიმი ადამიანებში კლავს ყოველივე სულიერს. გუშინ მე უპვე მოვიყვანე ამის ნიმუში. მსგავსი მაგალითებით თავს არ შეგაწეუნოთ, თუმცა ამის გაკეთება ძალზე იოლია. ამდენად, ჩვენ

ყველგან ვხედავთ, როგორ უარყოფენ ადამიანის ჭეშმარიტ არსებაზე შეხედულებას. ახლა კი შევვცადოთ სულისმეცნიერული თვალსაზრისით განვიხილოთ წინარე ხატი იმისა, რაც მეაღვწერე როგორც ამაღლებული გრძნობა.

თქვენ იცით, რომ სულისმეცნიერული თვალსაზრისით ჩვენი პლანეტა, სადაც კაცობრიობა განიცდის ამჟამინდელ ბედისწერებს, წარმოადგენს სამი წინამორბედი პლანეტის გარდასხეულებას, ანუ ჩვენ აუცილებლად უნდა განვიხილოთ სამი ციური სხეულის აღმავალი ტრანსფორმაცია, ხოლო ჩვენი ამჟამინდელი დედამიწა წარმოადგენს შუალედურ, გარდამავალ მდგომარეობას.



ნახ. 5

1. Geisteselbst-თვითება-სული. 2. Lebensgeist-სიცოცხლე-სული. 3. Geistes-mensch-სული-ადამიანი. 4. blau-ლურჯი.

თქვენ ასევე იცით ჩემი\* „იდუმალომუზუველების ნარკვევიდან“, რომ ადამიანის ამჟამინდელი ფიზიკური სხეული, არსებითად, წარმოადგენს დედამიწის პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე განსხეულების მემკვიდრეობას, ხოლო ის, რაც წარმოადგენს ადამიანის ეთერულ სხეულს, წარმოადგენს დედამიწის მეორე, მესამე და მეოთხე განსხეულების მემკვიდრეობას. ის, რასაც ჩვენ ვუწოდებთ ადამიანის ასტრალურ სხეულს, წარმოადგენს ამ განსხეულებებიდან მესამისა და მეოთხის მემკვიდრეობას, ადამიანის „მე“ კი პირველად მხოლოდ დედამიწის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ვლინდება. ხოლო, როცა დედამიწა გადავა თავის მომდევნო მდგომარეობებში – გამოვლინდება ის, რაც ამჟამინდელ ადამიანში ოდნავ შეინიშნება: თვითება-სული, სიცოცხლე-სული და თავად სული-ადამიანი. ეს ყველაფერი საჭიროა გამომუშავდეს ადამიანში, როგორც იყო მასში გამომუშავებული ფიზიკური, ეთერული და ასტრალური სხეულები, ასევე მისი „მე“, რომელიც ამჟამად ჩამოყალიბების პრო-

ცესშია. მაგრამ თქვენ უნდა იცოდეთ, რომ მიწიერი განვითარების მსვლელობის დროს შეიძლება ჩამოყალიბდეს თვითება-სულის, სიცოცხლე-სულისა და სული-ადამიანის მხოლოდ ჩანასახი, ვინაიდან მთლიანად გამოვლენას ისინი შეძლებენ მხოლოდ მაშინ, როცა დედამიწა გადავა სამ მომდევნო მდგომარეობაში, ამის დოდინი კი დიდხანს მოგვიწევს. „იდუმალთმეტყველების ნარკვევში“ მოყვანილი აღწერიდან თქვენ შეგიძლიათ გაარკვიოთ, რომ თვითება-სული ძირითადად წარმოადგენს უმაღლეს საფეხურზე გარდაქმნილ ასტრალურ სხეულს, სიცოცხლე-სული – უმაღლეს დონეზე გარდაქმნილ ეთერულ სხეულს, ხოლო სული-ადამიანი უმაღლეს დონეზე გარდაქმნილ ფიზიკურ სხეულს, მაგრამ უმაღლეს დონეზე ფიზიკური სხეულის მეტამორფოზა მოხდება დედამიწის მხოლოდ მეშვიდე განსხვავებაზე და ადამიანის დანარჩენი სხეულების შესაბამისი მეტამორფოზებიც ანალოგიურად მოხდება. ეს მეტამორფოზები შეიძლება უკვე დღესაც შეენიშნოთ, ჩემს დროშიც შეიძლება გავითავისოთ აზრი, რომ ეს უნდა მოხდეს. მეტიც, შეიძლება ბევრი სხვა რამეც გავარკვიოთ, თუ მიუკერძოებლად მივაპყორის მშვინვიერ მზერას საკუთარ არსებას, როცა მოვისვრით თანამედროვე მეცნიერების შეზღუდულობას. მან თავის თავს უნდა უთხრას: ცხადია, მიწიერი ყოფიერების მსვლელობისას მე არ შემიძლია ჩემს ასტრალურ სხეულში მივიდე თვითება-სულამდე, ეთერულ სხეულში სიცოცხლე-სულამდე, ასევე არ შემიძლია მივაღწიო სული-ადამიანის დონეს ჩემს ფიზიკურ სხეულში, მაგრამ მშვინვიერ დონეზე მე შემიძლია ამ ყავლაფრის გათვალისწინება. ახლა, როცა მე გამოვიმუშავებ ცნობიერ სამშვინველს, მე მას ვამზადებ სული-ადამიანის აღქმისთვის მომავალში, მიწიერი განვითარების მექანიზმი. მართალია, მე არ მაქვს უნარი შევიყვანო თვითება-სული მთელ ჩემს ასტრალურ სხეულში, მაგრამ მე ის უნდა შევიყვანო ჩემს ცნობიერ სამშვინველში. მე საჭიროა ვიცხოვო შინაგანი სახით ისე, როგორც მომიწევს ცხოვრება მას შემდეგ, რაც დედამიწა გადავა მისთვის განკუთვნილი განვითარების მომდევნო ფაზაში, ცხადია, საუბარია კოსმიურ თვალსაზრისზე. და მე მმართებს ჯერ კიდევ დედამიწის არსებობისას, მისი დაუმთავრებელი მეხუთე პერიოდით და მომდევნო მექანიზმებით, მიწიერი ყოფიერების ეს მომავალი კოსმიური ფაზები მოვათავსო

თუნდაც საკუთარ შინაგანში. მე ჩემი საკუთარი შინაგანი უნდა მოვამზადო ჩანასახში, რომ მომავალში ჩემ გარეგანსაც შეეძლოს გარდაქმნა იმ არსებაში, რომლის კონტურებიც მისაწვდომია ჩემი გაგებისთვის ახლა.

ახლა შევეცადოთ ემოციურ დონეზე მივუახლოვდეთ იმას, რაც ხდება. ადამიანი ხომ უკვე შეეზარდა თვითება-სულს; მე ხომ არაერთხელ მისაუბრია ამის შესახებ – ეს არის ცნობიურების ისეთ მდგომარეობა, რომელიც ადამიანის მიწიერი განვითარების დროს ბოლომდე გამოვლენას ვერ შეძლებს. ცნობიურების ამ მდგომარეობებს სურთ მისი გარდაქმნა, კერძოდ, მის გარეგნულ გარსებთან – ასტრალურ, ეთერულ და ფიზიკურ სხეულებთან დაკავშირებითაც; მაგრამ მიწიერი ადამიანისთვის ეს არაა არსებითი. ადამიანმა საჭიროა უთხრას თავის თავს: მე მმართებს დარჩენილი მიწიერი განვითარების გავლა შინაგანი შეგრძნებით, რომ მსგავსი შინაგანი მდგომარეობების წყალობით, რომელთა სრულად განვითარება ჯერ არ შემიძლია, მე გავდივარ თავისებური სახის მომზადებას. მომავალში ნორმად და ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცევა, როცა ადამიანები თავის თავს ეტყვიან: მე ვუმზერ ადამიანურ არსებას, როგორც ისეთ რამეს, რასაც ხელეწიფება თავისი შინაგანი ბირთვის წყალობით თავად გადაზარდოს ყოველივე იმაში, რადაც შეიძლება მე ვიქცე, როგორც მიწიერი ადამიანი. მე უნდა ვიგრძო საკუთარი თავი მიწიერი ადამიანის სახით თითქოსდა ქონდრისკაცად იმასთან შედარებით, რასაც ადამიანი არსებითად წარმოადგენს. სწორედ ეს გრძნობა ამოიზრდება იმ დიდი დაუკმაყოფილებლობიდან, რომელიც ყველაზე უახლოეს დროში წარმოიქმნება იმ ბავშვებში, რომელთაც მიიღეს სწორი განათლება და აღზრდა. ბავშვები იგრძნობენ, რომ ინტელექტუალური განათლება საშუალებას არ იძლევა, ამოიხსნას ადამიანის გამოცანა. ადამიანი ამოვარდნილია როგორც ინტელექტუალური მეთოდით მიღებული ცოდნიდან, ასევე – სოციალური სტრუქტურებიდან. ყველივე ის, რაც სამყაროში შემოდის ვილსონის სულელური დეკლარაციის სახით და შოვინიზმის გააქტიურებით, მიღის რაღაც პრინციპულად განუხორციელებლამდე. შედეგად თანამედროვე ცივილიზაცია ისწრაფვის რაღაც ისეთისკენ, როსი რეალიზაციაც უბრალოდ შეუძლებელია. თუ თანამედროვე ცივილიზაციისას კაცობრიობა თავის ენერგიას წარმართავს ნა-

ციონალური სახელმწიფოების წარმოქმნისკენ, მაშინ ნგრევის ჩანასახები კიდევ უფრო გაიზრდება და იმ ყველაფრისგან, რაც გროვდება სამშენებლებში, წარმოიქმნება სწორედ ისეთი გრძნობა, როგორც მე ახლახან აღვწერე სხვა კუთხით. ადამიანი თავის თავს ეტყვის: დიახ, ადამიანური არსება, რომელიც შინაგანად აინთება ჩემში, გაცილებით უფრო მაღალი რამ არის, ვიდრე ის, რისი განხორციელებაც მე გარეგნული სახით შემიძლია. მე განკუთვნილი ვარ იმისთვის, რომ შევიტანო სამყაროში რაღაც სხვა. მე სოციალურ სტრუქტურებში უნდა შევიტანო ისეთი რაღაც, რაც ატარებს სულიერი სიმაღლეების ანაბეჭდს. მე არ შემიძლია დავკურდნო მხოლოდ იმას, რასაც გვთავაზობს მეცნიერება სოციალურ მოწყობასთან დაკავშირებით და ა. შ. – და ადამიანს შემდგომშიც ექნება ამ დისპალანსის განცდა, ეს წინააღმდეგობა დედამიწაზე მის ქონდრისკაცულ მდგომარეობასა და იმას შორის, რაც აინთება მასში, როგორც კოსმიურ არსებაში, როგორადაც იგი შეიგრძნობს თავის თავს შინაგანად. იმ ყველაფრისაგან, რისი მოცემაც შეუძლია თანამედროვე ნაქებ განათლებას, რომელიც სავალდებულოდ არის მიწნეული, ამოიზრდება მხოლოდ შინაგანი დაუკმაყოფილებლობა და ადამიანი, რომელიც მიჩვეულია თავისი თავი შეიგრძნოს მხოლოდ და მხოლოდ მიწიერ არსებად, ერთხელაც იტყვის: ადამიანი ხომ გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ მიწიერი არსება. მიწიერი განვითარების ამჟამინდელ ფაზას საერთოდ არ შეუძლია გამოავლინოს ადამიანური არსების სისავსე, ამისთვის დედამიწაზ ჯერ ტრანსფორმაცია უნდა განიცადოს ახალ მდგომარეობაში. სინამდვილეში ადამიანი სრულებითაც არაა მიწიერი არსება, არამედ ის კოსმიური არსებაა, რომელიც ეპუთვნის მთელ კოსმოსს. ერთი მხრივ, ადამიანი მიჯაჭვულია დედამიწას, ხოლო მეორე მხრივ, შეუძლია თავისი თავი იგრძნოს კოსმიურ არსებად და ეს გრძნობა მასში სულ უფრო იზრდება. როცა ეს წარმოადგენს არა უბრალოდ თეორიას, არამედ კონკრეტული ადამიანის განცდას, რომელიც თავისი კარმის წყალობით გადაიზარდა თანამედროვე ტრივიალურ მსოფლშეგრძნებაში, როცა კაცობრიობა ზიზღს გრძნობს თავის თავში და ამის წყალობით მიდის წმინდა მემკვიდრეობითი თვისებებისა და შოვინიზმის უარყოფამდე, მხოლოდ მაშინ იწყება გარკვეული სახის ტრანსფორმაცია. ადამი-

ანი თავის თავს შეიგრძნობს როგორც კოსმიურ არსებას. იგი ცდილობს თითქოსდა ხელებით შექმნას საკუთარი კოსმიური არსების გამოცანას. აი, რა შემოვა უახლოეს ათწლეულებში: ადამიანი, შეიძლება ითქვას, ხელების შეხებით შეიგრძნობს, – ბუნებრივია, ეს უნდა გავიგოთ სიმბოლურად, – და საცოდავად იკითხავს: როგორია საკუთარი არსების, კოსმიური არსების გამოცანა? ყველაფერი, რისი გაგებაც მე შემიძლია დედამიწაზე, ყველაფერი, რისი მოცემაც დედამიწას ჩემთვის შეუძლია, ყოველივე, რაც მე შემიძლია ამოვიდო თანამედროვე, ესოდენ განდიდებული მეცნიერებიდან, პასუხს იძლევა მხოლოდ ჩემი მიწიერი არსების გამოცანაზე, ხოლო ჩემი არსების გამოცანა მის მთლიანობაში აქ საერთოდ არ განიხილება. მე ვიცი, მე ვარ კოსმიური არსება, მე ვარ ზემიწიერი არსება; ვინ ამომიხსნის მე, რა არის ჩემი ზემიწიერი არსების გამოცანა?

როგორც კითხვის საფუძვლიანი შეგრძნება, ეს ამოიზრდება მშვინვიერი ცხოვრებიდან. ყველა იმ შეგრძნებიდან, რომელიც შეიძლება ამოიზარდოს ჩვენში უახლოეს ათწლეულებში, – ჯერ კიდევ XX საუკუნის შეა პერიოდამდე, – ყველაზე მნიშვნელოვანი იქნება სწორედ ეს შეგრძნება. მოლოდინიდან, იმ მოთხოვნილებიდან, რომ პასუხი უნდა გაეცეს ადამიანური არსებობის გამოცანას, ვინაიდან ადამიანი, როგორც კოსმიური არსება, უნდა შეესაბამებოდეს მთელ კოსმოსს, ამ მოლოდინიდან დაიბადება ურყეობის გრძნობა იმაში, რომ თავად კოსმოსი გაუხსნის ადამიანს რადაცას, რისი მიცემაც მისთვის არ შეუძლია დედამიწას; აქედან წარმოიქმნება კოსმოსისადმი მიმართების განწყობა. როგორც გოლგოთის მისტერიის დროს ქრისტე გამოვლინდა ფიზიკურ სხეულში, ასე კაცობრიობის წინაშე წარდგება სულიერი ქრისტე და მხოლოდ მას, ერთადერთს შეუძლია პასუხის გაცემა, ვინაიდან იგი არა ლოკალიზებული გარკვეულ აღგილზე და საჭიროა აღვიქვათ როგორც არსება, რომელმაც ზეგრძნობადიდან, ზემიწიერიდან გადმოსვლით თავისი თავი დაუკავშირა მიწიერ კაცობრიობას. აუცილებელი იქნება იმის წვდომა, რომ ადამიანი თავისი კოსმიური ბუნების გამოცანაზე პასუხს მიიღებს მხოლოდ მაშინ, როცა მის დასახმარებლად კოსმოსიდან გადმოვა ის, ვინც თავის თავს უკავშირებს მიწიერ ყოფიერებას. მაშინ გადაწყდება სწორედ მიწიერი ყოფიერების ძირითადი დისკარმონია: დისკარმონია იმ შეგრძნებას, რომ ადამი-

ანი მიწიერი არსებაა და მის იმ ცოდნას შორის, რომ იგი არის ზემიწიერი, კოსმიური არსება. ამ გამოცანის ამოხსნისკენ სწრაფვა ადამიანს ამზადებს იმისათვის, რომ სულის იდუმალებით მოცული სიღრმეებიდან მას გაეხსნება არსება ქრისტესი, რომელიც ამიერიდან მასთან ისაუბრებს სულიერი სახით, როგორც ესაუბრებოდა იგი ადამიანებს ფიზიკურად გოლგოთის მისტერიის დროს. ქრისტე არ მოვა სულიერი სახით, თუ ადამიანები ამისთვის არ იქნებიან მზად. მომზადება კი მათ შეუძლიათ, თუ შეიგრძნობენ ჩემ მიერ უკვე სსენებულ დისონანს, რომელიც წარმოუდგენელი უფსკრულის სახით შემაწუხებლად აშინებს სამშვინველს: მისი გადალახვის შემდეგ ადამიანი თამამად ეტყვის თავის თავის: უპირველეს ყოვლისა, მე ვარ მიწიერი არსება. განვლილი ასწლეულის მთელმა ინტელექტუალურმა განვითარებამ დამარწმუნა, რომ მე წარმოვადგენ მიწიერ არსებას. მაგრამ მე საერთოდ არ ვარ მიწიერი არსება. საჭიროა, საკუთარი თავი ვიგრძნო დაკავშირებულად იმ არსებასთან, რომელიც არაა ამ სამყაროსგან, ანუ არაა ამ დედამიწიდან, კავშირში არსებასთან, რომელსაც სრულ ჭეშმარიტებაში, თეოლოგიური სიყალბის გარეშე, შეუძლია თქვას: „ჩემი სამეფო არ არის ამ წუთისოფლისა“, (იოანე. 18. 36). მაშინ ადამიანმაც უნდა უთხრას საკუთარ თავს: ჩემი სამეფო არ არის ამ წუთისოფლისა; მხოლოდ ამის შემდეგ უკავშირდება ის იმ არსებას, რომლის სამეფოც არ არის ამ წუთისოფლისა.

სწორედ დღევანდელი მეცნიერების საფუძველზე, რომელიც, როგორც უკვე ითქვა, საშინელი სისწრაფით იპყრობს ადამიანთა ცნობიერებას, უნდა განვითარდეს ის, რაც კაცობრიობას XX საუკუნის I ნახევარში მიიყვანს ქრისტეს ახალ გამოცხადებამდე. ცხადია, ქრისტეს ახალი გამოცხადება ვერ განხორციელდება იმ სამყაროში, სადაც ადამიანებისთვის დამახასიათებელია ისეთი მშვინვიერი წყობა, რომელშიც იმყოფებოდა ცივილიზებული სამყარო 1914 წლამდე, როცა ყველა საუბარი იდეალებსა და სპირიტუალურობაზე, არსებითად, სრულ სიყალბეს წარმოადგენდა. სულიერისკენ სწრაფვა ადამიანებში უნდა იშვას ლრმა შინაგანი მოთხოვნილებიდან. თავად ქრისტე კი მოეფლინება მხოლოდ მათ, ვინც უარყოფს ფართოდ გავრცელებულ სიყალბეს ადამიანის მიწიერი ცხოვრების მოწყობაზე. არც ერთი სოციალური ცხოვრება არ გადაწყდება სულისმეცნიერულ

მისწრაფებასთან დაუკავშირებლად, რომელსაც შეუძლია ხელახლა წარმოადგინოს ადამიანი, როგორც ნამდვილი ზემოწიერი არსება. სოციალური მოუწესრიგებლობა მოგვარდება იმ დოზით, როგორითაც ადამიანებს ექნებათ უნარი შეიგრძნონ საკუთარ სამშვინველში ქრისტეს იმპულსი. ყველა სხვა მცდელობა სოციალური პრობლემების გადაწყვეტისა, გამოიწვევს მხოლოდ ხგრევასა და ქაოსს, ვინაიდან ისინი ეყრდნობა ადამიანის, როგორც წმინდად მიწიერი არსების კონცეფციას. მაგრამ ადამიანი, სწორედ ჩვენს ეპოქაში, გადააბიჯებს იმ მშვინვიერი წყობის საზღვრებს, რომელიც თავს ახვევს მას საკუთარი თავი აღიქვას როგორც მარტოოდენ მიწიერი, ფიზიკური არსება. ქრისტეს ახალი განცდა განპირობებულია თავად ადამიანის მოთხოვნილებებითა და მშვინვიერი წყობით.

შესაბამისად, აუცილებელია, ანგარიში გაეწიოს ასევე იმ ყველაფერს, რაც ესწრაფვის შეეწინააღმდეგოს ქრისტეს ამ ახალ განცდას.

ასეთი ძალებისგან ჩვენს სულისმეცნიერებაზე უშუალო ხელყოფის მითითებით ჩვენ შეგვეძლო დავრწმუნებულიყავით, რომ ჩვენი ოპოზიციონერები ებრძვიან სულისმეცნიერების მოსკლას, ამაში კი მათ ხელს უწყობს მათვის დამახასიათებელი ღრმა შინაგანი არაკეთილსინდისიერება.

ამ სფეროში დღეს მიმდინარე მოვლენებს სრულიად მიუკერძოებლად უნდა მივუდგეთ. ვინაიდან ყოველდღიურად ცდილობენ, თუ შეიძლება ასე ითქვას, სასიკვდილო დარტყმა მიაყენონ სულისმეცნიერებას. ბოლო ასეთი მცდელობა იყო თეოლოგიის პროფესორ კარლ გიორგე\* და მისი კოლეგის, თეოლოგიის დოქტორის, ვინმე ჰაინცელმანისგან\*. საქმე მხოლოდ ის კი არაა, რომ თეოლოგიის ხელნებულმა დოქტორმა წაკინა სულისმეცნიერებას, – მან საგაზეთო სტატიაში მას უწოდა „ე. წ. სულისმეცნიერება“, – არამედ მსგავი მოვლენები ხშირად ხდება სწორედ აქ, დორნახში, რომელსაც თანდათანობით უბრალოდ ვებუებით. მაგრამ თეოლოგიის ამ დოქტორ გიორგეს მიერ წამოწყებული შეიძლება განვიხილოთ სხვა თვალსაზრისითაც, რომელიც დაგვანახებს, რამდენად უვიცია თვიციალური სწავლება, რომელიც ჩვენს დროში მოთავვობს ახალგაზრდობის სწავლა-განათლებას. იმ ფაქტზე აბსტრაქტორებით, რომ აქ ადგილი აქვს ხელყოფას სულისმეცნიერებაზე, შეიძლება საკუთა-

რი მზერა მივმართოთ შემდეგზე: აქ მე გამოვყოფ ცალკეულ დამასხასიათებელ თვისებებს, რომლებიც გამოვლინდა სწორედ ამ ხელყოფაში, თუმცა შემიძლია დავეყრდნო მხოლოდ საგაზეთო ანგარიშს. ამდენად, ადამიანმა, რომელიც მოწოდებულია პროფესიულად ისაუბროს ქრისტოლოგის თემებზე და დაარიგოს ახალგაზრდობა, მან ქრისტოლოგის სწავლებით, – ვინაიდან ეს არის მისი შემოსავლის წყარო, – თავდასხმის ობიექტად აქცია ჩვენი სულისმეცნიერული შემეცნების მეთოდები. კერძოდ, იგი ამტკიცებს, თითქოს იმაგინაციასა და ინტუიციასთან დაკავშირებული ეფუძნება იმას, რომ განსაკუთრებული ვარჯიშების წყალობით ხელოვნურად მუხრუჭდება და გამოიდევნება ჩვეულებრივი წარმოდგენები, ხოლო ამ პროცესში დაზოგილი ნერვული ენერგიის დახმარებით ცხოვრებაში ავლენენ იმ ხატოვან წარმოდგენებს, რომელთაც ანთროპოსოფიაში ეწოდება იმაგინაცია და ინტუიცია.

თქვენ ხედავთ ამ კაცის არგუმენტს: ხელოვნურად დამუხხუჭებული და გამოღევნილი წარმოდგენების აქტივობა და ამავე დროს დაზოგილი ნერვული ენერგია! იგი სრულებითაც არ აქცევს უურადღებას იმ ფაქტს, რომ დაზოგილი ნერვული ენერგია, უბრალოდ, ძალზე არამყარი ჰიპოთეზაა, რამდენადაც მეცნიერული თვალსაზრისით ძნელია წარმოიდგინო, როგორია დაზოგილი ნერვული ენერგია; მიუხედავად ამისა, ის მაინც საუბრობს ამაზე. განა შესაძლებელია ამტკიცო, რომ იმაგინაციებისკენ წარმმართველი შემეცნებითი მეთოდების გამოყენებისას ამ ადამიანს არ დავიწყებია ის, რასაც მე მართებულად ვუწოდებ: „სამეცნიერო სინდისს“. სხვაგვარად როგორ შეძლებდა იგი მსჯელობას, მაგალითად, ისეთ საკითხებზე, როგორიცაა შემეცნების მეთოდების გამოყენებით იმაგინაციამდე მისვლა? ან ხელოვნურად დამუხხუჭებული და გამოღევნილი წარმოდგენების აქტივობა? ამ კითხვებზე პასუხი მარტივია, თუ ჩავუდრმავდებით ანთროპოსოფიულ ლიტერატურას. ვინაიდან ის წარმოდგენები, რომელთაც იგი ნორმალურად მიიჩნევს, გაძვევებას არ ექვემდებარება. თუ იგი ცოტათი მაინც გაირჯებოდა, რათა გაეგო, გნერგავდით თუ არა ჩვენ „წარმოდგენების განდევნას“, როცა აქ ვატარებდით ჩვენს კურსს უმაღლესი სკოლისთვის, მაშინ ის არ ისაუბრებდა იმაზე, რომ ჩვენთან ხდებოდა წარმოდგენების აქტივობების ჩახშობა. პირიქით, სახეზე იყო წარმოდგენების აქ-

ტიური ცხოვრება, რომელიც სრულებითაც არაა ჩახშობილი, ამასთან ეს ეხებოდა ბევრ სამეცნიერო დისციპლინას და ამაში იოლად დარწმუნდებოდა ნებისმიერი, ვისაც ამის სტიმული ექნებოდა. თუ ამ პროფესორს „მეცნიერული სინდისი“ უკარნახებდა, გაცნობოდა იმას, რასაც ჩვენ განვიხილავთ როგორც გზას სულიერი სამყაროებისკენ, მაშინ იგი დაინახავდა: იქ ხელოვნურად არაფერი ფერხდება, პირიქით, ამ გზაზე ყველაფერი თავისუფალი ხდება. ამიტომ სრულიად ცხადია, რომ ამ ადამიანმა ვერც ერთი სიტყვა ვერ გაიგო იქიდან, რაც წერია ჩემს წიგნში „როგორ მიიღწევა ზენა სამყაროთა შემეცნება?“. სულისმეცნიერების შემეცნებით მეთოდებზე კი მან იმაზე მეტი არ იცის, რისი ათვისებაც შეუძლია რომელიმე მოხუც ქალბაზონს, რომელიც გეგმავს დაკავდეს მედიტაციებით. ყველაფერი დანარჩენი მისი გაგების მიღმა რჩება. აი, როგორ ვლინდება „მეცნიერული სინდისი“ ჩვენს დროში ოფიციალური მეცნიერების წარმომადგენელთან.

შემდეგ, როცა იგი საუბრობს იმაზე, რომ ამ დათრგუნული წარმოდგენების დაგროვების წყალობით წარმოიქმნება, – ამასთან რეკომენდებულია წარმოსახვაში დაგროვდეს წარმოდგენები, როგორც დაგროვებული წყლები, – ცოცხალი იმაგინაციები, რომლებიც არანაკლებია გრძნობად აღქმებზე, მე მსურს, მას მივუთითო უამრავ ადგილზე ჩემს წიგნებში, სადაც ხაზგასმულია, რომ იმაგინაციები არ არის გრძნობადი წარმოდგენებისა და გრძნობადი აღქმების მსგავსი. ამაზე მითითებულია მთელი სერიოზულობით. მაშ, რა ამოძრავებს ამ ბატონის „მეცნიერულ სინდისს“? – ტყუილი, რომლის წყაროც ხშირად არის უღონობა, უუნარობა, ხასწვდეს განსახილველ საგანს. ასეთი სიცრუე განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება თეოლოგიურ, ფილოსოფიურ, ისტორიულ, იურიდიულ და კიდევ განათლების სხვა დარგებში; სიცრუე კი საშინელი სისწრაფით ვრცელდება. თანამედროვე კაცობრიობამ ამ ფაქტს ანგარიში უნდა გაუწიოს, რამდენადაც სწორედ აქ იმალება მიზეზები იმისა, რომ ჩვენი კულტურა ჩაფლულია ქაოსში და არა მხოლოდ იმ ცარიელ ყბედობაში, რომელსაც აქვეუნებენ ვუდროვილსონი და მისი თანამოაზრენი.

ამას მოსდევს კიდევ ერთი საინტერესო ადგილი. როგორც ზემოთ უკვე ითქვა, მე შემიძლია დავეყრდნო მხოლოდ საგა-

ზეთო ანგარიშს, სადაც ის ამტკიცებს: რამდენადაც გამოდევნილი წარმოდგენების დაგროვების შედეგად წარმოქმნილი ეს გაცოცხლებული იმაგინაციები ამოტივტივდებიან სრულიად თვითნებურად, მათ აღწერენ როგორც სხეულებრიობისგან თავისუფალ განცდებს. და კვლავ თავისი „მეცნიერული სინდისით“ პროფესორმა უბრალოდ ყურადღება არ მიაქცია იმას, რომ სწორედ სულისმეცნიერული შემეცნებისას არაფერი ხდება თვითნებურად, პირიქით, ძლიერდება სრულიად კონტროლირებადი, ანუ თავისუფალი წარმოდგენები. შესაძლოა, ამ ადამიანმა თავისი შეხედულებები ისესხა სპირიტული და მედიუმური სეანსების აღწერებიდან, მაგრამ ასეთ შემთხვევაში მას მართებს, დაკავდეს გონებასუსტი, ინფანტილური სპირიტიზმით და მედიუმიზმით და არა იმით, რაც მისთვის გაუგებარია, მეტიც – რისი გაგება არც სურს. აქ უპრიანია მას ვურჩიოთ მხოლოდ ერთი რამ: ხელები შორს იმისგან, რაც მას არ ესმის და რისი გაგებაც არ სურს!

შემდეგ ის კვება: მოგვიანებით რაც იძენს იმაგინაციის ფორმას, შეიძლება წარმოიქმნას მხოლოდ ადამიანური ცნობიერების გახლების შედეგად. ეს უკვე, უბრალოდ, უსინდისო, მცდარი და მახინჯებაა იმისა, რაც ჩემს წიგნებში წარმოდგენილია, როგორც სულისმეცნიერების შემეცნებითი მეთოდი! ამავე დროს მზადდება ნიადაგი შემდეგი განცდებისთვის იმაზე, რომ სწორედ სულისმეცნიერება არის შეუთავსებელი ქრისტიანობასთან იმის გამო, რომ მას არ გააჩნია კულტურული დირებულება. და აი, კიდევ ერთი სრულიად „მშვენიერი“ გამონათქვამი: სულისმეცნიერებას არ გააჩნია კულტურული დირებულება იმ უბრალო მიხეზით, რომ ტელეპათია ვერასდროს შეცვლის ტელეგრაფს, აზრების კითხვა ვერ შეცვლის ტელეფონს, ხოლო მაგნიტური მკურნალობა ვერასდროს შეცვლის მედიცინას!

შეგახსენებთ, რომ აქ, გოეთეანუმში, უმაღლესი სკოლის-თვის კურსის მსვლელობისას საუბარი იყო მედიცინაზე, მაგრამ ყველგარი დილეტანტიზმის გამოკლებით, რომელიც უკავშირდება მაგნიტურ მკურნალობას, ვინაიდან საგნისადმი მიღვომა იყო ძალზე სერიოზული. უშუალოდ ჩვენს მეზობლად, სწორედ ამ კურსის დასრულებისთანავე, ოეოლოგიის დოქტორი გამოდის მტკიცებით, თითქოსდა სულისმეცნიერება ესწრაფვის მედიცინა შეცვალოს მაგნიტური მკურნალობით.

აი ასეთი გამონათქვამებით ახერხებს თანამედროვე თეოლოგი წარმატების მოპოვებას დღევანდელ პუბლიკაში! და მას თან სდევს წარმატება, როცა ქადაგებს ვითომ „გოეთეანიზმს“ და შემდეგ ამატებს, რომ სულისმეცნიერების დახმარებით შეუძლებელია მოიპოვო ქრისტე – მისი მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ სახარებების მეშვეობით. კარგი იქნებოდა გვეკითხა ასეთი „გოეთეანისტისთვის“: რომელი სახარებების მეშვეობით? ამასთან დირს, რომ შევახსენოთ: რა შექმენით თავად თქვენი თეოლოგიით სახარებებისაგან? თქვენ მიაღწიეთ მხოლოდ იმას, რომ საბოლოოდ მთელი ქრისტოლოგია ამოვარდა თანამედროვე კულტურული განვითარებიდან. ახლა კი, როცა მოამზადეთ თქვენი საქვეო მესიანური იდეები, ადამიანებს უწევთ მოისმინონ თქვენგან, თითქოს ქრისტიანობა არ საჭიროებს იმას, რაც მოდის სულისმეცნიერებისგან, ვინაიდან საჭიროა ბატონობდეს სახარებისეული სიმარტივე. განა ეს არ არის ყველაზე კარდინალური სიცრუე? განა შეიძლება სუფთა სინდისით მივიღოთ ის, რაც მოიტანა სახარებების თანამედროვე კრიტიკამ და ამავე დროს ამტკიცო, თითქოს ხსნა ამიერიდან და ყველა დროებში შეიძლება მოვიდეს მხოლოდ და მხოლოდ სახარებებისაგან – სულისმეცნიერების გარეშე.

მაინც რა გველოდება თეოლოგის მხრიდან? ეს არის ქრისტეს უარყოფა. ქრისტეს ყველაზე მტკიცე ცილისმწამებლებსა და მაგინებლებს ჩვენს დროში წარმოადგენენ სწორედ თეოლოგები. ისინი, ეს თანამედროვე თეოლოგები, ამუხრუჭებენ ნებისმიერ ჭეშმარიტ იდეას ქრისტეზე. საჭიროა განვჭერიტოთ, რომ ქრისტეს ახალი განცდა XX საუკუნეში შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, როცა ყველა კონფესიის თეოლოგები საბოლოოდ უარყოფენ და ცილს დასწამებენ ქრისტეს, ამ დროზე ადრე ის არ მოვა. იგი ადამიანებს კვლავ გამოეცხადება მაშინ, როცა „მის მხარეს მყოფი“ თანამედროვე მწიგნობრები და ფარისევლები შეძლებენ მის ცილისწამებას.

არ არის იოლი ამაზე საუბარი, რამდენადაც მაშინვე ამჩნევ, რაოდენ ცოტათია თანამედროვე ადამიანი მიდრეკილი, ანგარიში გაუწიოს ასეთი სახის განჭვრეტას. ამასობაში მტრებს არ სძინავთ, ისინი მთელი ძალით იბრძვიან. ჩვენი წინააღმდეგობა კი ძალზე სუსტია, ჭეშმარიტად სუსტი და ჩვენი აღქმა ანთროპოსოფიისა ყველა მიმართულებით რადაცნაირად მთვლემარედ

პასიურია. ამ ცნობიერების სიმძიმე კი აწვება იმ ადამიანის საჭ-შვინველს, ვინც მოვლენების ვითარებას ჭვრებს. შენ გჯერა, რომ საუბრობ დროის მოთხოვნების გათვალისწინებით, ხოლო შენ მიერ ნათქვამი შეიძლება მოემსახუროს მხოლოდ სოცია-ლურ გაჯანსაღებას, ამასთან არცოუ იშვიათად გრძნობ, რომ ნათქვამი ადამიანების მიერ აღიქმება, როგორც თავისებური სა-ხის სიტყვიერი ბელეტრისტიკა, როგორც რაღაც სიტყვადვლარ-ჭნილობა. ვისურვებდი, ადამიანებმა მიიღონ სულისმეცნიერების მიერ შემოთავაზებული ინიციატივები ცხოვრების ყველა სფე-როში, სინამდვილეში ჩვენ ვხედავთ, როგორ მანიაულირებს სიცრუე ადამიანების ცხოვრებით, თუმცა ემორჩილებიან რა რა-იმე შინაგან სიმპათიას, ისინი ზოგჯერ ანგარიშს უწევენ იმას, რაც მათ მიერ აღიქმება, როგორც ზეპირი საგაზეო ველებო-ნი. ადამიანებს ჯერ კიდევ მოუწევთ, თანდათანობით გადაეჩვი-ონ ყველაფერს, რაც იწვევს სულისმეცნიერების აღქმას ისე, როგორც ნებისმიერი სხვა ლიტერატურული პროდუქტის, რო-გორც სასიამოვნო გასართობის, რომელიც ამავე დროს გარან-ტიას იძლევა სიცოცხლე გაგრძელდეს სიკვდილის შემდეგაც, რაც არის ადამიანის ოდინდელი სახოება. ამის ნაცვლად საჭი-როა, გამოვიჩინოთ უნარი, რომ სულისმეცნიერება სიღრმისეუ-ლად, წმინდა სერიოზულობით აღვიქვათ. მაგრამ ჩვენს დროში არსებობს საშინელი უფსკრული, სულისმეცნიერების აღქმის-თვის აუცილებელსა და იმას შორის, რაც ხდება სინამდვილე-ში. შეიძლება საერთოდ ხელი ჩაიქნიო ყველაფერზე, რაც მომ-დინარეობს ანთროპოსოფიაზე ხელყოფისაგან, რასაც აკეთებს რომელიმე გიოტცე ან პაინცელმანი, ანდა საქმარისია მხოლოდ დააკვირდეთ მათ მორალურ იერს, რომ მაშინვე მიხვიდეთ დას-კვნამდე: რადაც ვერ არის წესრიგში ადამიანური სელექციის მექანიზმი, რადგან მსგავსი ადამიანები იკავებენ მოწინავე პოს-ტებს საზოგადოებაში. და სანამ კაცობრიობა სერიოზულად არ დაფიქრდება შექმნილ სიტუაციაზე, სანამ არ გაითვალისწინებს ადამიანთა ნამდვილ მოთხოვნილებებს, იგი წინ ვერ წაიწევს, ვერ განვითარდება. ყველა დეკლარაცია სოციალურ იდეალებსა და ამის მსგავსებზე აღმოჩნდება უსარგებლო, თუ მხედველობა-ში არ მიიღებენ თანამედროვე ცხოვრების ამ პრინციპულ მო-მენტს. ვინაიდან თანამედროვე ეპოქის ყველა უბედურება მომდი-ნარეობს ჩვენი გარყვნილი სულიერი ცხოვრებიდან, რომელიც

ჩაეფლო სიცრუეში, ამასთან ადამიანები ვერც ამჩნევენ, რამდენად ლრმად არის ის ჩაფლული სიცრუეში. მაინც რამდენად განსხვავდება ის, რაც ჩვენ აქ განვიხილეთ, როგორც არსებობის სასიცოცხლო აუცილებლობა, იმისგან, სინამდვილეში როგორ აღიქმება ეს ყოველივე! ჩვენ მიერ ნათქვამი ჩაფიქრებული იყო, არა როგორც თავისებური სახის ზეპირი გაზეთის გამოშვება, არამედ გულისხმობდა ადამიანებისთვის სასიცოცხლო ძალთა წეაროს მიცემას და მათ მოუწევთ თანდათანობით ისწავლონ მისი განჭვრეტა ზემოთქმულში.

ეს არის ის, რისი თქმაც მე თქვენთვის მსურდა დღეს პოზიტიური და ნეგატიური თვალსაზრისით იმაზე, რასაც მოიცავს თავის თავში, — უკვე ტრივიალურად ქცეული სიტყვა, — ჩვენი ეპოქის სული. ჩვენი ეპოქის სული, უპირველეს ყოვლისა, ეს არის მოლოდინის სული, სული, რომელიც უდიდესის გაგებისა წვდომის განვითარების მოლოდინშია და რაც ესოდენ საჭირო და აუცილებელია ქრისტეს მომავალი განცდის დაბადებისთვის XX საუკუნის პირველ ნახევარში. მაგრამ ქრისტეს ახალ განცდამდე ვერ მიხვალ, თუ რეალურად არ მოიცილებ იმ ყველაფერს, რაც არის მუხრუჭი ამ გზაზე. თუ სამშვინველისთვის სასურველი კეთილდღეობისთვის, შინაგანი კომფორტისკენ მიღრეკილების გამო მუხლს მოიყრი ტრადიციული ქრისტოლოგიის წინაშე და არ გააცნობიერებ, რომ ასეთი მუხლის მოყრა წარმოადგენს ლრმა არაკეთილსინდისიერების შეტანას უშუალოდ დღის სიბოროტეში, მაშინ შეუძლებელია მიაღწიო სიმწიფეს ქრისტეს განცდისთვის XX საუკუნეში. კაცობრიობის შემდგომი ბედისწერა ხომ იმაზეა დამოკიდებული, მოიპოვებს თუ არა ის ასეთ სიმწიფეს. ამიტომ კაცობრიობას მართებს გადალახოს ცარიელი თეოლოგიური ლაყბობა ქრისტეზე და მივიდეს ქრისტეს ჭეშმარიტ გაგებამდე.

თარგმანი შესრულებულია 1983 წლის გამოცემის მიხედვით. რუდოლფ შტაინერის შრომები შესულია პატალოგში (GA), შესაბამისად მითითებულია ბიბლიოგრაფიის ნომერი.

ბ3. . .

5. ლექციებში, - იგულისხმება დოქტორ კარლ ხეიერის ლექციები „ანთროპოსოფიული ფიქრები ისტორიულ მეცნიერებასა და ისტორიაზე“, წაკითხული 1920 წლის 14-16 ოქტომბერს, გოეთეანუმში, უმაღლესი სკოლისთვის პირველი ანთროპოსოფიული კურსის ფარგლებში.

კილპულმა ფონ პუმბრულდები, 1767-1835, გერმანელი ფილოსოფოსი, ფილოლოგი, სახელმწიფო მოდგაწე, დიპლომატი. იგულისხმება მისი „ისტორიკოსის ამოცანებზე“.

მე უკვე ვისაუბრუ - იხ, რუდოლფ შტაინერის დასკვნითი სიტყვა უმაღლესი სკოლისთვის გამართული პირველი ანთროპოსოფიული კურსის მსგლელობისას 1920 წლის 16 სექტემბერს („რეციტაციისა და დეკლამაციის ხელოვნება“, დორნახი, 1928წ.).

6. მე ხშირად მივუთითებდი, - იხ. რუდოლფ შტაინერის „ისტორიული სიმპტომატოლოგია“. GA 185.

7. გოეთე ამბობს. . . - იხ. რუდოლფ შტაინერის „გოეთეს საბუნებისმეტყველო შრომები“. GA 1b.

8. ალკუინი, 735-804, კარლოს დიდის მეგობარი და მრჩეველი, დიდი გავლენა იქონია განათლების გავრცელებაზე საფრანგეთის მონარქიაში, აფექტნებდა სკოლებს და აუმჯობესებდა სწავლას. ალკუინის დისპუტი ბერძნოთან აღწერილია კარლ ვერნერის წიგნში „ალკუინი და მისი საუკუნე“, ვენა, 1881.

11. არეოპაგიტიკა - კრუბული, რომელიც შედგება 4 ტრაქტატისა და 10 წერილისგან დოგმატიკის თემებზე; ის მიეწერება წმინდა მოწამე დიონისე არეოპაგელს (გარდ. 96წ.). რუდოლფ შტაინერი ხშირად მიუთითებს იმაზე, რომ 553 წლის შემდეგ მოხსენიებული არეოპაგიტული წერილების შინაარსი ფაქტობრივად მიდის დოონისემდე, რომელიც მოხსენიებულია „მოციქულთა საქმეებზე“ (17:34). - იხ. რუდოლფ შტაინერის ლექციების ციკლი „სულის, მისა და მამის მისტერია. სააღდგომო მიმოხილვა“. 1907 წლის 17 და 25 მარტი.

სკოტ ერიგენი, იოჰან სკოტ ერიგენი, დაახ. 810-877, ადრეული შუა საუკუნეების უდიდესი მოაზროვნე, თარგმნა ლათინურ ენაზე არეოპაგიტიპა.

ნიკოლაუს კუზანელი, 1401-1464, უდიდესი გერმანელი მოაზროვნე, ფილოსოფოსი, ოქოლოგი, სწავლული, მათემატიკოსი, საეკლესიო-პოლიტიკური მოღვაწე, კარდინალი.

16. ჩემს ლექციებში ბუნების შემეცნების საზღვრებზე. – იხ. რუდოლფ შტაინერის „ბუნების შემეცნების საზღვრები“. (8 ლექცია, დორნახი, 27.09-03.10, 1920. GA 322).

18. ქრისტიან კოლფი, 1679-1754, ფილოსოფოსი და მათემატიკოსი. «Vernünftige Gedanken . . . », 1719.

დევიდ იუმი, 1711-1776. ინგლისელი ფილოსოფოსი.

19. პერბერტ სკენსერი, 1820-1903, ინგლისელი ფილოსოფოსი.

ჯონ სტიუარტ მილი, 1806-1873, ინგლისელი ფილოსოფოსი.

21. სოციალური ორგანიზმის სამეცნიერობაზე – იხ. რუდოლფ შტაინერის „სოციალური საკითხის არსობრივი პუნქტები“. (1919 წ. GA 23. იხ. ქართული თარგმანი, 2011. მთარგ. შენიშვ).

23. კარლ უნგერი, 1878-1929, რუდოლფ შტაინერის ეზოთერული სკოლის ყველა სექციის ერთ-ერთი პირველი მონაწილე; 1908 წლიდან გარდაცვალებამდე იყო ანთროპოსოფიული საზოგადოების ფორმტანდის წევრი. უმაღლესი სკოლისთვის პირველი კურსის ფარგლებში წაიკითხა 6 ლექცია, სათაურით: „რუდოლფ შტაინერის ქმნილება“. ამ ლექციების ავტორევურატი შესულია კარლ უნგერის თხზულებების I ტომში (შტუტგარტი, 1964).

26. ჩვენ სხვადასხვა კუთხით განვიხილეთ. . . – იხ. რუდოლფ შტაინერის „ჩვენი დროის ძირითადი სოციალური მოთხოვნები. . .“. (12 ლექცია, დორნახი და ბერნი, 1918 წ. GA 186).

27. კარლ მარქსი, 1818-83, მეცნიერული სოციალიზმის დამფუძნებელი.

28. კეტრე დიდი, 1772-1725, რუსეთის ხელმწიფე.

ლენინი, (ვლადიმერ ულიანოვის ფსევდონიმი) 1870-1924.

ტროცკი, – (ლევ ბრონშტეინის ფსევდონიმი) 1879-1940.

30. ნავიგაციური აქტიო – ნავიგაციური აქტი უწოდეს კანონს, რომელიც გამოსცა ოლივერ კომპელმა 1651 წლის 9 ოქტომბერს და რომელმაც უდიდესი ოლოი ითამაშა ინგლისის ვაჭრობის ისტორიაში. ის შეიცავდა მთელ რიგ მფარველობით ზომებს

და მიიღეს ინგლისის სავაჭრო ფლოტის სტიმულირებისთვის, ასევე პოლანდიისთვის მსოფლიო ლიდერობის ჩამოსართმევად.

ნაპოლეონის ვარსკვლავი. . . : ნაპოლეონმა 1806 წლის 21 ნოემბერს გამოცემული დეკრეტით დაიწყო კ. წ. კონგრინენტალური ბლოკადა. დეკრეტი კრძალავდა სავაჭრო, საფოსტო და სხვა ურთიერთობებს ბრიტანეთის კუნძულებთან; ბლოკადა ვრცელდებოდა საფრანგეთზე დაქვემდებარებულ, მასზე დამოკიდებულ ან მის მოკავშირე ქველა ქვეყანაზე. საფრანგეთზე დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე აღმოჩენილი ნებისმიერი ინგლისური გემი ითვლებოდა საჭხედრო ტყველ, ხოლო ბრიტანეთის ქვეშვერდომების კუთვნილ ქონჯბას კონფისკაციას უკეთებდნენ. არც ერთი გემი, ინგლისიდან თუ მისი კოლონიებიდან მომვალი ან მათ პირტებში შემავალი არ დაიშვებოდა ფრანგულ პორტებში კონფისკაციის საშიშროების გამო.

31. ალფრედ ტირატი, 1849-1930, გროსადმირალი, სახელმწიფო მოხელე; გერმანული სამხედრო ფლოტის შემქმნელი.

34. მეგაზე საიდუმლო საზოგადოებების როლი. . . : ი. რუდოლფ შტაინერის ლექციების ციკლი: GA 174, GA 178, GA 254.

35. ფალსიფიცირებული დოკუმენტი, 1920 წლის ოქტომბერში ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორებმა და დოქტორებმა მოწოდებით მიმართეს ავსტრიისა და გერმანიის უნივერსიტეტების სელოვნებათმცოდნეობისა და ბუნებისმეტყველების პროფესორებს „მოეხდინათ პატრიოტიზმით წარმოქმნილი მტრობის ლიკვიდაცია და შერიგებულიყვნენ მმური გრძნობების წყალბით, რომელიც წარმოქმნება მეცნიერული მუშაობის პროცესში“. – სტატია „სალხით შერიგება“, გამოქვეყნდა ნაციონალურ გაზეთში, ბაზელი, 1920 წლის 20 ოქტომბერი.

47. ჩარლზ დარვინი, 1809-1882.

48-101 . . . მსოფლიო საკულტერო კულტა, მერვე მსოფლიო საეკლესიო კრებაზე კონსტანტინოპოლიში 869 წელს პაპი ადრიანე II-ის მეთაურობით გადაწყვიტეს, რომ ადამიანს აქვს განსჯითი და ცნობიერი სამშვინველი, – unam animam rationabilem et intellectualem, – რათა ადამიანში განსაკუთრებული სულიერი პრინციპის არსებობაზე მეტად აღარ ყოფილიყო საუბარი. ამიერიდან სულიერი შესამჩნევი იქნებოდა მხოლოდ, როგორც სამშვინველის თვისება.

49. იუნაცია ლოიოლი, 1491-1556, დააარსა იეზუიტთა ორდენი, 1534.

52. სოლომონი, 1853-1900, რუსი ფილოსოფოსი და პოეტი.

54. რაბინდრანათ თაგორი, 1861-1941, ინდოელი ფილოსოფოსი და პოეტი.

56. ალბერტ მაგნუსი, 1193-1280, (ალბერტ დიდი), სქოლასტიკის უდიდესი ფილოსოფოსი; ცნობილია როგორც დოქტორი უნივერსალი.

თომა აქვინელი, 1225-1274, სქოლასტიკოსი; ალბერტ დიდის მოწაფე. ცნობილია როგორც ანგელოზური დოქტორი. 1323 წელს წმინდანად შერაცხეს.

დუნს სკოტი, იოჰანესი, 1266-1308, სქოლასტიკოსი.

როჯერ ბერნი, 1214-1294, ფრანცისკანელი, ასწავლიდა ოქსფორდის უნივერსიტეტში.

56. ჩევნი ძვირე გუმბათის მოხატულობაზე, იგულისხმება პირველი გოეთეანუმი. ძვირე გუმბათზე წარმოდგენილი მოხატულობის აღწერა შეგიძლიათ იხილოთ რედოლფ შტაინერის ლექციების ციკლში: „გოეთეანუმის არქიტექტურული იდეა“. (GA 185).

60. ჯერ კიდევ 1891 წელს გავაძახვილე. . . , ამ თემებზე იხ. რედოლფ შტაინერის ლექციების ციკლი: GA 99/100 და GA 22.

63. ჩემს პირველ დრამა-მისტერიაში. . . : იხ. „ხელდასხმის კარიბჭე. როზენპოიცერული მისტერია“, შესულია წიგნში: „ოთხი დრამა-მისტერია“ GA 14.

74. ამაზე შეიძლება წავიკითხოთ გოეთესთან კველვან. . . შდრ. მაგალითად საუბრები კანცლერ ფონ მიულერთან 1830 წლის 8 ივნისს და ასევე ეპერმანთან 1832 წლის 11 მარტს.

პერმან გრიმი, 1828-1901. გერმანელი მწერალი, ხელოვნების ისტორიის პროფესორი. ციტირებულია სტატია „პერმან ტროიჩეს გერმანული ისტორია“, წიგნიდან „გერმანული პულტურის ისტორიაზე“, ბერლინი 1897.

76. ლუდვიგნდორფი, ერის 1865-1937, გერმანელი გენერალი.

77. ემერსონი, რალფ ვალდო ემერსონი 1803-1882, ამერიკელი მწერალი და ფილოსოფოსი.

77/94. ოსვალდ შენგალერი, 1880-1936. გერმანელი ფილოსოფოსი და პულტუროლოგი. იგულისხმება მისი წიგნი: „ევროპის დაისი“, რომლის I ნაწილი გამოქვეყნდა 1918 წელს.

78. კრისტოფერ ფონ პარტმანი, 1842-1906, „არაცნობიერის ფილოსოფია. მსოფლმხედველობის მცდელობა“, ბერლინი 1869.

78/92. ართურ დრევსი, 1865-1935, უმაღლესი ტექნიკური სკოლის ფილოსოფიის პროფესორი კარლსრუეში. 1920 წლის 10

ოქტომბერს მან კონსტანციას არაკონფესიური თემის წინაშე წაიკითხა დექტიდა „რუდოლფ შტაინერის ანთროპოსოფია“, რომელიც გაიმეორა 19 ნოემბერს მაინცში. ანთროპოსოფიის წინააღმდეგ მიმართული მისი სტატიები გამოიცა სახელწოდებით: „მეტაფიზიკა და ანთროპოსოფია, მათ მიმართებაში ზეგრძნობად შემეცნებასთან“, ბერლინი 1922.

გრაფ ჰერმან ფონ კაიზერლინგი, 1880-1946, გერმანელი მწერალი და ფილოსოფოს-ირაციონალისტი. აპროტესტებდა რაციონალიზმს, რომელიც ადამიანს წყვეტს მის ემოციურ ფესვებს. ის. მაგალითად მისი წიგნი „ფილოსოფია, როგორც ხელოვნება“, დარმშტადტი, 1920.

80. ეს იქნება საუბრის გაგრძელება. . . : ის. რუდოლფ შტაინერის „ქრისტეს გამოცხადება ეთერულ სამყაროში“. 16 დექტია, სხვადასხვა ქალაქში 1910 წ. GA 118.

89. ლუისარსე, ანტონი ვასილის ქ. 1875-1933, რუსი მწერალი და პოლიტიკოსი; 1917 წლიდან სახალხო განათლების კომისარი.

95. ფოსტმაისტერი, კარლ ფრიდრიხ ფონ ნაგლერი, 1770-1846.

104. კიკლიფი, დაახ. 1330-1384, ინგლისელი თეოლოგი და რეფორმატორი.

ჰუსი, დაახ. 1369-1415, ჩეხი (ბოჰემიიდან) თეოლოგი და რეფორმატორი.

107. საქმაოდ ცნობილ შმიედელს. . . : საუბარია პროფესორ ოტტო შმიედელზე (დაიბადა 1858წ.) და მის წიგნზე: „იესოს ცხოვრების კვლევის ძირითადი პრობლემა“, ტიუბინგენი და ლაიციგი 1902 წ. ის. გვ. 39.

111. ფრონბაიერი, იოჰან, პროტესტანტი მისიონერი; მან 1920 წელს ბაზელში გამოაქვეყნა თხზულება სახელწოდებით „თეოსოფიური მოძრაობა, მისი ისტორია, მიდგომები და შეფასება“.

125. კუდრო ვილსონი, 1856-1924, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი, 1913-1921.

126. ჩემი „იდუმალთმუტყველების ნარკვევიდან“, ის. რუდოლფ შტაინერი, GA 13.

132. კარლ გიორგი და ჰაინცელმანი, იმ დროს თეოლოგი ის პროფესორები ბაზელში.

**ასოციაცია „კოგიტო“ გამოსაცემად  
ამზადებს**

**რუდოლფ შტაინერი**

„ხელდასხმულთა ცნობიერება“.  
GA №243

**რუდოლფ შტაინერი**


„ბუნებისმეტყველება და კაცობრიობის  
მსოფლიო-ისტორიული განვითარება უძველესი  
დროიდან“.  
GA №325

**რუდოლფ შტაინერი**

„მსოფლიო ისტორიაში ბუნებისმეტყველების  
წარმოქმნის მომენტი და მისი განვითარება დღემდე“.  
GA №326

დაბეჭდილია: „კავშირი ადამიანებისთვის განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებებ“ - სტამბაში.

ძმები უბილავების 8



მთავარანგელოზი რაჭაელი



9 789941 082979